

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაკროეკონომიკის კათედრა

ნოდარ ხადური

მაკროეკონომიკური პოლიტიკა
(ლექციების კურსი)

თბილისი
2005

შესავალი

1-1 რა არის ეკონომიკა?

ტერმინი „ეკონომიკა“ ბერძნული წარმოშობისაა და საოჯახო მეურნეობის გაძლიერებას ნიშნავს. რეალურად საზოგადოების ცხოვრება დიდად გავს ოჯახის ცხოვრებას, ამიტომ ლოგიკურია, რომ სწორედ „ოჯახის გაძლიერება“ გაიგივებული ეკონომიკის მართვა და ზოგადად ეკონომიკა.

საუკუნეების განმავლობაში ეკონომიკურმა მეცნიერებამ ევოლუცია განიცადა. იგი დაიწყო მრავალ „ქვემეცნიერებად“, რომლებიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ასპექტს სწავლობენ, მაგრამ უცვლელი რჩება ეკონომიკის, როგორც მეცნიერების საგანი.

ოდითგანვე ადამიანი და ზოგადად კაცობრიობა საჭიროებებითაა დამძიმებული. ადამიანებს უამრავი მატერიალური თუ სულიერი ფაქტორების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ. ისინი განუწყვეტლივ ისწრაფვიან ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის. ადამიანებს სჭირდებათ საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი ადგილი, უამრავი სახის საქონელი, რომლებიც განსაზღვრავენ ცხოვრების დონეს. გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური, ისე ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე ეს მოთხოვნილებები უსაზღვროა, ადამიანი არასოდეს არ სჯერდება მიღწეულს და სულ უფრო მეტი და მეტი უნდა. ამასთან ყველა ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა რესურსები, რომლებიც ჩვენს ირგვლივაა. სწორედ ამ რესურსებს, მათ შორის ადამიანთა უნარს გამოიყენოს ეს რესურსები, ვიყენებთ, რათა შევძლოთ თუნდაც ფიზიკური არსებობა. თუმცა არის ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა - ეს რესურსები იშვიათია, ანუ ისინი არ არის გამოუღებელი. თუ ერთი სახის რესურსი შედარებით უფრო მეტია ბუნებაში და მისი მარაგების ამოწურვა არ არის მოსალოდნელი, მეორე სახის რესურსები უკვე დღეისათვის ამოწურულია, ან ამოწურვის პირასაა. ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ რესურსები შეზღუდულია.

სწორედ ადამიანთა ეს სწრაფვა - გაუმჯობესოს ცხოვრების მატერიალური პირობები, შეზღუდული რესურსული უზრუნველყოფის პირობებში არის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების საგანი და უმთავრესი ამოცანა, ანუ *ეკონომიკა სწავლობს ადამი-*

ანის შეუზღუდავი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების ან მათი მართვის პრობლემებს.


ეკონომიკური ანალიზის ორი, აბსოლუტურად განსხვავებული დონე, მაკრო- და მიკროეკონომიკა არსებობს¹.

ეკონომიკის შესწავლის დროს ეკონომისტები სხვადასხვა მეთოდს იყენებენ. ეკონომისტები აგროვებენ ინფორმაციას - ანუ ეკონომიკა არის *აღწერილობითი, ანუ ემპირიული* მეცნიერება, შემდგომ ეტაპზე ხდება ამ მოპოვებული მასალის ანალიზი, ანუ ყალიბდება *ეკონომიკური თეორია*. ფაქტებიდან თეორიის ჩამოყალიბება მეცნიერებაში ცნობილია როგორც *ინდუქცია*, ამ დროს ფაქტების „ნაკრები“ იმგვარად სისტემატიზირდება და კეთდება მისი ანალიზი, რომ შესაძლებელი გახდეს გარკვეული პრინციპების გამოკრისტალება. დასკვნები შეიძლება გაკეთდეს *დედუქციის* დახმარებითაც. დედუქცია შემთხვევითი დაკვირვებების, ლოგიკის, ინტუიციის მეშვეობით, *ჰიპოტეზებზე* დაყრდნობით დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ასეთი ტიპის დასკვნაა, მაგალითად, ის, რომ დაბალი ფასების შემთხვევაში მომხმარებლისათვის მიზანშეწონილია შეიძინოს მეტი საქონელი.

ეს ყველაფერი თავს იყრის *ეკონომიკური პოლიტიკის* ფორმირებაში. სწორედ ეკონომიკური პოლიტიკა გვეხმარება არსებული პრობლემების გამოსწორებასა და გადაჭრაში (იხ. ნახატი 1.).

ეკონომიკური თეორია იყენებს გარკვეულ *ეკონომიკურ ტერმინოლოგიას* და ისეთ მეთოდებს, როგორცაა *განზოგადება*, დაშვება *„სხვა თანაბარ პირობებში“* და *აბსტრაგირება*.

გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური მეცნიერება შეიძლება იყოს *პოზიტიური* და *ნორმატიული*. პოზიტიურია ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც აღწერს ფაქტებს და თავისუფალია სუბიექტური მსჯელობებისა და შეხედულებებისაგან. პოზიტიური ეკონომიკური მეცნიერება აყალიბებს სამეცნიერო შეხედულებებს ეკონომიკური ქცევების შესახებ. ნორმატიული ეკონომიკური მეცნიერება კი პირიქით, შეფასებითია და აღწერს მოსაზრებებს თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკა, ეკონომიკური პროცესები. ზოგადად პოზიტიურია ეკონომიკა, რომელიც აღწერს იმას თუ *რა არის*, ხოლო ნორმატიული თუ *რა უნდა იყოს*.



ნახატი 1. დამოკიდებულება ფაქტებს, ეკონომიკურ თეორიასა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის

1-2 რა არის მაკროეკონომიკა?

მაკროეკონომიკა - ეს არის მეცნიერება ეკონომიკაში აგრეგირებული ქცევების შესახებ. ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ფორმირება ეყრდნობა მილიონობით ინდივიდუალურ ქცევას, რომლებსაც ახორციელებენ ფირმები, მომხმარებლები, მშრომელები, სახელმწიფო მოხელეები. მაკროეკონომიკა კი კონცენტრირებულია მხოლოდ ამ ქცევების გლობალურ შედეგებზე. მაგალითისათვის, ნებისმიერი თვის განმავლობაში ათასობით ფირმა შეეცდება და გაზრდის ფასს, ათასობით კი პირიქით შეამცირებს მას. ფასის *ერთობლივი* ცვლილების ანალიზისას ჩვენ ათასობით ცალკეული ცვლილების *საშუალო* ცვლილებას უნდა დავეყრდნოთ, რისთვისაც ფასების სპეციალური ინდექსის გაანგარიშებაა საჭირო, რაც ეკონომიკაში მათი ერთობლივი ცვლილების დინამიკის გაზომვის საშუალებას მოგვცემს.

ამრიგად მთავარი მაკროეკონომიკური მეთოდი არის ერთობლივი ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი და არა ცალკეული სუბიექტების ქმედებების ტენდენციის ანა-

¹ საუბარი მათ შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება.

ლიზი. ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული მახასიათებლები (GDP², დაგროვების ნორმა, სამომხმარებლო ფასების ინდექსი და სხვ.) დინამიკისა და ტენდენციების გლობალურ სურათს ქმნიან. ისინი ქმნიან ინსტრუმენტებს, რომლებიც საშუალებას იძლევა ყურადღება ეკონომიკაში დომინირებულ ტენდენციებზე გამახვილდეს და არა ცალკეულ ცვლილებებზე, რომლებიც ეკონომიკის ცალკეულ ელემენტებზე ზემოქმედებენ.

ერთობლივი ეკონომიკური ტენდენციების მაკროეკონომიკური ანალიზი ფართო ინფორმაციას ეყრდნობა, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გროვდება. თანამედროვე მაკროეკონომიკა, როგორც მეცნიერება მხოლოდ გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა, როდესაც ეკონომიკური სტატისტიკის სპეციალისტებმა აგრეგირებული ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშება და ამ მიზნით სტატისტიკური მონაცემების დიდი მასივების შეგროვება დაიწყეს. მათგან უმნიშვნელოვანესი *ეროვნული შემოსავლის ანგარიშები* იყო, რომლებიც გამოშვების, შემოსავლების, მოხმარებისა და ინვესტიციების ერთობლივ დონეს აფიქსირებდნენ. მათი სწორად გაგებაა მაკროეკონომიკური ანალიზის უმთავრესი ელემენტი.

მაკროეკონომიკა „ეკონომიკის ოლიმპიდან ჭკრეტას“ ცდილობს, როდესაც მიმდინარე პროცესების ცალკეული ფორმების თუ სექტორების მიხედვით ზედმეტი დეტალიზაცია არ ხდება. მაკროეკონომიკა ეკონომიკური ცხოვრების გლობალური პრობლემებისაკენ მიისწრაფვის. მაკროეკონომიკის საგანს ისეთი ტიპის შეკითხვები წარმოადგენენ, როგორცაა: დროის გარკვეულ მონაკვეთში რა უბიძგებს ეროვნულ ეკონომიკას იქითკენ, რომ იგი იყოს უფრო მდიდარი ან უფრო ღარიბი, როგორია ქვეყნის მოქალაქეთა მიერ მომავალში განსახორციელებელი დანახოების მოცულობა, რატომ იზრდება გაცილებით უფრო დიდი ტემპებით ფასები რუსეთში, ვიდრე შვეიცარიაში, რა განსაზღვრავს დოლარის ფასს ლართან მიმართებაში, რატომ აღემატება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იმპორტი ამ ქვეყნიდან ექსპორტს და ა.შ.

² ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, არასწორი ტერმინი „მთლიანი შიდა პროდუქტი“ დამკვიდრდა, რომელიც სრულად ვერ ასახავს ამ ტერმინის არსს (აღნიშნულზე დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, ამდენად მსჯელობებისას ჩვენ ტერმინის ინგლისურენოვან აბრევიატურას GDP (Gross Domestic Product) გამოვიყენებთ. თუმცა არც ეს მიგვაჩნია ბოლომდე გამართლებულად. შესაბამისად ინგლისური აბრევიატურით გამოვიყენებთ სხვა ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებსაც, რაც მათ გათვლებში, ინდექსებსა და ფორმულებში გამოყენებასაც გაგვიოლავს.

ერთ-ერთი უმთავრესი კითხვა, რომელიც მაკროეკონომიკის წინაშე დგას, შეეხება სახელმწიფოს შესაძლებლობას ზემოქმედება მოახდინოს საერთო ეკონომიკურ პროცესებზე, განსაკუთრებით ფისკალური და მონეტარული პოლიტიკების მეშვეობით. მკვლევართა უდიდესი ნაწილი მიიჩნევს, რომ როგორც მთავრობის ფისკალური (საფინანსო-საბიუჯეტო) პოლიტიკა, ისე ცენტრალური ბანკის (საქართველოს შემთხვევაში ეროვნული ბანკის) მონეტარული (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკა, გარკვეულწილად და საკმოდ მნიშვნელოვნად, ზემოქმედებს წარმოებაზე, ფასებზე, საერთაშორისო ვაჭრობასა და დასაქმებაზე. ამასთან მკვლევართა ნაწილი დარწმუნებულია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ პროცესებზე ზემოქმედებადი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკების გატარების აუცილებლობაში, რასაც ცხადია არ ეთანხმება მკვლევართა მეორე ნაწილი.

თანამედროვე მაკროეკონომიკა ფართოდ იყენებს მიკროეკონომიკის თეორიულ საფუძვლებს, რომელიც საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების არსებობისა და ბაზარზე ურთიერთობების შესახებ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს სწავლობს. გასათვალისწინებელია, რომ ზოგადეკონომიკური ტენდენციები მილიონობით საოჯახო მეურნეობისა და ფირმის ინდივიდუალური გადაწყვეტილების შედეგია. ცხადია თითოეული გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესწავლა შეუძლებელია, რის გამოც **მაკროეკონომიკური თეორიები** მილიონობით საოჯახო მეურნეობისა და ფირმის **ქცევის ძირითად პრინციპებს უნდა ეთანხმებოდეს.**

აღნიშნულიდან გამომდინარე **მაკროეკონომიკური ანალიზი სამი ეტაპისაგან შედგება.** პირველ ეტაპზე მკვლევარები თეორიულ დონეზე ცდილობენ ცალკეული ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების ქცევების შესწავლას. ამ დროს მკვლევარები ცდილობენ წარმოადგინონ ე.წ. **გასაშუალებელი**, რეპრეზენტაციული, ტიპიური ფირმის (საოჯახო მეურნეობის) ქცევები.

მეორე ეტაპზე ხდება ინდივიდუალური გადაწყვეტილებების **აგრეგირება**, ანუ შეკრება. ამასთან ხდება ზოგადეკონომიკური პროცესების ანალიზი. ხდება ტიპიური ფირმის ან ტიპიური საოჯახო მეურნეობის ქცევის გავრცელება, „მულტიპლიცირება“. მკვლევარები ცდილობენ იპოვონ კავშირები, რომლებიც ძირითადი ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთკავშირის დადგენაში დაგვეხმარება.

მესამე ეტაპზე ფაქტობრივი მაკროეკონომიკური ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის დროს ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ხდება იმის შემოწმება, აქვს თუ არა თეორიას რეალური საფუძველი და შეიძლება თუ არა მისი გამოყენება. სწორედ ამგვარად ხდება ეკონომიკური მოვლენების ანალიზი და აგრეთვე გარკვეული ეკონომიკური პროგნოზების არგუმენტირება.

1-3 მაკროეკონომიკური თეორიის ზოგიერთი გადამწყვეტი პრობლემა

ზოგიერთი პრობლემის შესწავლისას მაკროეკონომიკური მეცნიერება ისეთი ცვლადებით ოპერირებს, როგორებიცაა წარმოების, უმუშევრობის, ფასების, საგარეო ვაჭრობის ერთობლივი მოცულობა. მათი ანალიზი კი თავის მხრივ იწვევს ისეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, როგორიცაა, მაგალითად: რა განაპირობებს მათ მიმდინარე მოცულობას ეკონომიკაში, როგორები არიან ფაქტორები, რომლებიც იწვევენ მათ ცვლილებას მოკლევადიან პერიოდში, რა განაპირობებს მათ გრძელვადიან დინამიკას. ანუ მაკროეკონომიკა ყველა ამ პრობლემას სხვადასხვა დროით გარემოში სწავლობს. ეს დროითი გარემოებია: *მიმდინარე, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდები.*

კითხვები, რომლებზეც ეკონომისტებს მოუწევთ პასუხის გაცემა, შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: *რა არის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის წყარო, ერთიდაიგივე დროით შუალედებში რატომაა ეკონომიკის განვითარების ტემპები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირი, ეკონომიკურ პოლიტიკას შეუძლია თუ არა ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის ტემპებზე ზემოქმედება, რა არის ეკონომიკური ციკლის მიზეზები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა განაპირობებს ეკონომიკის დაცემის სიღრმეს, რომელი ეკონომიკური ძალები იწვევენ ეკონომიკის დაცემას და რომელი აღმავლობას, ეკონომიკური ციკლის მიზეზი გარეგანი ძალებია (შოკი, პოლიტიკური თუ სხვა სახის მოვლენები, და სხვა) თუ შინაგანი, რომელთა პროგნოზირებაც შეიძლება, როგორი ტიპის რყევებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეკონომიკისათვის, რამდენად მსგავსია ციკლები ხანგრძლივობის, მასშტაბურობის, პერიოდულობის მიხედვით, შეუძლია თუ არა მთავრობას მოკლევადიანი რყევების შემცირება ან მოსპობა.*

უმუშევრობა - ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელსაც მაკროეკონომიკა სწავლობს. უმუშევრობის დონე არის იმ ადამიანთა წილი სამუშაო ძალაში, რომლებსაც არ გააჩნიათ სამსახური და აქტიურად ეძებენ მას. ეკონომიკური ციკლების დროს უმუშევრობის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია.

მესამე, უმნიშვნელოვანესი ცვლადი, მაჩვენებელი, რომელიც მაკროეკონომისტების შესწავლის საგანს წარმოადგენს, არის *ინფლაციის ტემპები*, რომელიც ფასების საერთო დონის ცვლილებას გვიჩვენებს. ინფლაცია შეიძლება იყოს როგორც დადებითი, როცა ხდება ფასების ზრდა, ასევე უარყოფითი, როცა ფასები მცირდება. კითხვები ინფლაციასთან დაკავშირებით შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: *რა განაპირობებს გრძელვადიან პერიოდში ინფლაციის საშუალო დონეს, რატომ გაიზარდა ინფლაციის ტემპები, რატომ განსხვავდება იგი სხვადასხვა ქვეყანაში, როგორ კავშირშია ინფლაცია ეკონომიკურ ციკლებთან.*

რომელიც მაკროეკონომისტების შესწავლის საგანია, ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, როგორცაა *სავაჭრო ბალანსი*. რაც ქვეყნის წმინდა ექსპორტის ტოლია და მიიღება ექსპორტის იმპორტის მოცულობით შემცირებით. თუ ქვეყანა ახორციელებს ექსპორტს, რომელიც აღემატება იმპორტს, ჩვენ ვამბობთ, რომ ადგილი აქვს *დადებით სალდოს*, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი აქვს *სავაჭრო ბალანსის დეფიციტს*. მაკროეკონომისტების მიერ სავაჭრო ბალანსის შესწავლის უმთავრესი მიზანი არის საქონლის ექსპორტსა და იმპორტს და ფინანსურ ნაკადებს შორის დამოკიდებულების ანალიზი. თუ ქვეყანა ახორციელებს უფრო მეტი საქონლის იმპორტს, ვიდრე ექსპორტს, ლოგიკურია, რომ ის ამას აკეთებს ვალის სანაცვლოდ, და პირიქით, თუ ქვეყანა ახორციელებს უფრო მეტ ექსპორტს, რეალურად ის აკრედიტებს სხვა ქვეყნებს. ამდენად, სავაჭრო ბალანსის შესწავლა საშუალებას გვამძლევს შევისწავლოთ თუ რატომ სესხულობენ ამა თუ იმ ქვეყნის მაცხოვრებლები სხვა ქვეყნების მაცხოვრებლებისაგან. გარდა საქართველოსი, რომელსაც უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს, უარყოფითი სალდო აქვს აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებს, იმ დროს როცა იაპონიას დადებითი სავაჭრო სალდო აქვს. მთავარი კითხვაც სწორედ ამ ფაქტის გამო წარმოიშვება: *რატომ?* ამასთან საინტერესოა რა *მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთ მოვლენებს.*

სწორედ ყველა ამ კითხვაზე, და არა მხოლოდ მათზე შევეცდებით გავცეთ პასუხი მაკროეკონომიკის დახმარებით.

1-4 მაკროეკონომიკური თეორია ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით

სახელმწიფოს³ და ეკონომიკის ურთიერთობები პრაქტიკულად ყოველთვის სწავლულთა ყურადღების ცენტრში იყო და ამ თემაზე ეკონომიკური კვლევები ჯერ კიდევ უძველეს დროში დაიწყო. მეცნიერ-ეკონომისტთა შორის ეკონომიკურ პოლიტიკაზე ფიქრი და განსჯა ეკონომიკური მეცნიერების გარიჟრაჟზე დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ თავად მაკროეკონომიკა, და შესაბამისად მაკროეკონომიკური პოლიტიკა გასული, XX საუკუნის პირმშოა, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება ყოველთვის იყო ეკონომისტთა ერთ-ერთი უპირველესი საფიქრალი.

დიდი ალბათობით შეიძლება დავუშვათ, რომ ეკონომიკური თეორიების განვითარება შესაბამისი პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკის გამოძახილია. ამ მოსაზრებას ადასტურებს ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რომლის თითქმის ყველა ფურცელი იმ დროინდელი პოლიტიკური შეხედულებების შესაბამისია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკონომიკური მეცნიერება ყოველთვის სრულფასოვნად ვერ ხსნიდა ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს და არ იყო მზად სწორი პასუხი გაეცა ყველა იმ საჭირობო საკითხისათვის, რომელსაც დღის წესრიგში დრო აყენებდა, რაც ხშირ შემთხვევაში სუსტი სამეცნიერო აპარატისა და მეთოდოლოგიური საფუძვლების „დამსახურება“⁴.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, როცა ეკონომიკური მეცნიერება, როგორც მწყობრი სისტემა, საერთოდ არ არსებობდა, ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ შეხედულებები ფართოდ იყო გავრცელებული სხვა-

³ „სახელმწიფოს“ ქვეშ, როგორც წესი ყოველთვის ვიგულისხმებთ ხელისუფლებას, რომელიც აერთიანებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას.

⁴ უპირველეს ყოვლისა საუბარი XVII-XIX საუკუნეების ეკონომიკურ მეცნიერებას ეხება, თუმცა დღესაც საკმაოდ ძნელია ცალსახა პასუხები გაეცეს ეკონომიკაში არსებულ ყველა პრობლემას. ამ მოსაზრებას ადასტურებს აშშ ყოფილი პრეზიდენტის, ჰარი ტრუმენის მახვილგონივრული გამოხატულება, რომ ის ეძებდა „ცალხელა ეკონომისტს“, რადგან როცა იგი რჩევას ეკითხებოდა ეკონომისტებს, ისინი ყოველთვის პასუხობდნენ „მეორეს მხრივ“, რაც ინგლისური ენის სიტყვათაწყობის „On the other hand“-ის სიტყვასიტყვით თარგმანის შემთხვევაში ნიშნავს „მეორე ხელზე“, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეკონომისტების შეხედულებები ცალსახად არ განსაზღვრავს მოქმედებათა „რეცეპტებს“.

დასხვა ტიპის (მათ შორის მხატვრულ, ისტორიულ, ფილოსოფიურ და ა.შ.) ლიტერატურაში.

ძველი ეგვიპტის, შუამდინარეთის, ინდოეთის, ჩინეთის ისტორიული ძეგლების გაცნობა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ იმდროინდელი სახელმწიფოს „ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“⁵.

საინტერესო ეკონომიკური შეხედულებებია (მათ შორის „ეკონომიკური პოლიტიკის“ შესახებ) ჩამოყალიბებული ანტიკური საბერძნეთისა და რომის ძეგლებში, მათ შორის ქსენოფონტეს, პლატონის, არისტოტელეს, კატონის, ვარონის, კოლუმელას, ტიბერიუს და გაიუს გრაკუსების ნააზრევში, რელიგიურ ლიტერატურაში (მათ შორის ბიბლიაში, ყურანში და სხვ.).

საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარება და ფიქრი სახელმწიფოს მოწყობაზე ეკონომიკური თეორიის (ეკონომიკური მეცნიერების) განვითარებას და დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებას განაპირობებდა.

პირველი ეკონომიკური მოძღვრება, რომელმაც ფაქტობრივად საფუძველი დაუდო ეკონომიკურ პოლიტიკაზე ფიქრს, იყო „მერკანტილიზმი“. მისი ძირითადი პრინციპები საყოველთაოდ ცნობილია და შემდეგ ასპექტებს მოიცავს:

- ოქრო და სხვა ნებისმიერი სახის განძეული, როგორც სიმდიდრის გამოხატვის არსი;
- საგარეო ვაჭრობის რეგულირება ქვეყანაში ოქროსა და ვერცხლის შემოდინების უზრუნველსაყოფად;
- იაფი ნედლეულის იმპორტის მეშვეობით ადგილობრივი მრეწველობის ხელშეწყობა;
- სამრეწველო საქონელის იმპორტზე პროტექციონისტული საბაჟო ტარიფები;
- ექსპორტის და განსაკუთრებით კი მზა პროდუქციის ექსპორტის წახალისება;

⁵ ცხადია მას პირობითად შეიძლება ეწოდოს „პოლიტიკა“, რადგან იგი ნაკლებად თანმიმდევრული იყო და არც პოლიტიკის ფორმირებისათვის დამახასიათებელი ნიშნები გააჩნდა, ეს ალბათ უფრო სახელმწიფოს მართვის წესების კონკრეტული ფორმა იყო, რომელიც მხოლოდ საუკუნეების გასვლის შემდეგ ჩამოყალიბდა მწყობრ სისტემად – პოლიტიკად. რეალურად, კი „ეკონომიკური პოლიტიკა“, როგორც ასეთი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა.

- მოსახლეობის რაოდენობის ზრდა დაბალი ხელფასის შესანარჩუნებლად.

მერკანტილისტური მოძღვრების დედაბოძს დადებითი სავაჭრო ბალანსის დოქტრინა, როგორც ეროვნული სიმდიდრის აუცილებელი პირობა, წარმოადგენდა. ადამ სმითის აზრით მერკანტილიზმი სხვა არაფერია, თუ არა პროტექციონისტული შეცდომების ნაზავი, რომელიც „ჩვენმა ვაჭრებმა და მრეწველებმა“ თავს მოახვიეს „გამყიდველ პარლამენტს“, და ემყარება იმ „უმარტივეს წარმოდგენას, რომ თითქოს სიმდიდრე არის ფულის ფლობა“.

ისევე როგორც ინდივიდი, ქვეყანაც უნდა მოიხმარდეს იმაზე ნაკლებს, ვიდრე აწარმოებს. მერკანტილისტთა აზრით ეს ნამატი უნდა იღებდეს ფულის ან განძის ფორმას. ისინი შეცდომით აიგივებდნენ ფულს და სიმდიდრეს, დადებით სავაჭრო ბალანსსა და მოხმარების ოდენობაზე წარმოების ყოველწლიურ გარდამეტს.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც ხშირად ართულებს ეკონომიკური თეორიების შესწავლას, ეს, უპირველეს ყოვლისა, ერთიანი ეკონომიკური ტერმინოლოგიის არარსებობასა და სამეცნიერო ნაშრომების სუსტ ანალიტიკურ ხასიათს შეეხება. ეკონომიკური თეორიის, როგორც მეცნიერების წარმოშობის პერიოდში არც ეკონომიკური ტერმინოლოგია იყო სრულყოფილი⁶ და არც მეცნიერული კვლევის ფორმები და მეთოდები. მიუხედავად ამისა XVII-XVIII საუკუნეების ნაშრომებს (მათ შორის უილიამ პეტის, თომას მენის⁷, ანტუან მონკრეტიენის, უილიამ სტაფორდის, დევიდ იუმის, ჯონ ლოკის, ჯეიმს სტიუარტის, ჯონ ლოუს და სხვ.) ძირითად ღერძად მაინც დადებითი სავაჭრო სალდოს პრინციპი გასდევს. ექსპორტის იმპორტზე გადამეტება, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების გარანტი – ეს არის მერკანტილისტთა უმთავრესი იდეა და კლასიკოს-ეკონომისტთა შეფასებით მათი თეორიის უმთავრესი უზუსტობა.

მერკანტილისტებმა იცოდნენ, რომ ფულის რაოდენობასა და ფასებს⁸ შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა. ამდენად მათი შეხედულებანი წინააღმდეგობრივია, რამეთუ დადებითი სავაჭრო ბალანსი ქვეყანაში მეტი რაოდენობით ფულის

⁶ სამწუხაროდ, დღესაც კი ეკონომიკური ტერმინოლოგიის თვალსაზრისით საკმაოდ ბუნდოვანი მდგომარეობაა, განსაკუთრებით ეს ქართულ ეკონომიკურ სკოლას შეეხება. სამწუხაროდ დღემდე ვერ მოხერხდა ერთიანი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება, განსაკუთრებით ეს მაკროეკონომიკურ ტერმინებს შეეხება. აღნიშნულ საკითხებზე შედარებით ვრცლად ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

⁷ რუსულ ენაზე თარგმნილ ლიტერატურაში თომას მენი მოხსენიებულია როგორც „Томас Ман“, ქართულ ლიტერატურაში ბოლო ხანებში მკვიდრდება ამ გვარის ინგლისური ტრანსკრიპცია.

⁸ დღევანდელი გადასახედიდან ალბათ უპრიანი იქნება „ფასების დონეზე“ და არა ფასებზე საუბარი.

შემოდინებას და შესაბამისად ფასების ზრდას უწყობს ხელს⁹, მაშინ როცა მერკანტილისტების შეხედულებები ფასების ზრდის საწინააღმდეგოა და მათ მიაჩნიათ, რომ ფასები ამ გზით (ანუ ექსპორტის იმპორტზე გადამეტებით) შესაძლოა კიდევ შემცირდეს.

ეკონომიკურ პოლიტიკაზე შემდეგი მნიშვნელოვანი შეხედულებები ფიზიოკრატებმა ჩამოაყალიბეს. ფიზიოკრატია, როგორც ჩანს მერკანტილიზმის შედეგი და მასზე რეაქცია იყო, რადგან ფიზიოკრატების ნააზრევს „ღერძად“ თავისუფალი ვაჭრობა გასდევს, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ფიზიოკრატებს ეკონომიკის დარგებიდან მწარმოებლურად მხოლოდ სოფლის მეურნეობა მიაჩნდათ.

ფიზიოკრატული სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელი ფრანსუა კენე აღნიშნავდა, რომ მრეწველობა (მეწარმეობა), ხელოსნობა და ვაჭრობა არ არის პროდუქტიული დარგი და, რომ, მხოლოდ სოფლის მეურნეობაში იქმნება სიმდიდრე. ეკონომიკურ თეორიაში გამოიკვეთა სახელმწიფოს მხრიდან დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების დასაბუთების მცდელობა, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიოკრატების სწავლება, გარკვეულწილად, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირების შეზღუდვის მომხრეა, ეკონომიკურ პოლიტიკაზე მწყობრი სისტემის შექმნისაგან ჯერ კიდევ საკმაოდ შორია.

XVIII საუკუნის, და მთელს შემდგომ ეკონომიკურ აზროვნებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ადამ სმიტმა და მისმა „ხალხთა სიმდიდრემ“¹⁰. მისი „უხილავი ხელის“ თეორია დღესაც საკმაოდ აქტუალური და მრავლისმომცველია.

სმიტის აზრით მხოლოდ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ დონეს. მას მიაჩნდა, რომ თავისუფალი საბაზრო მექანიზმი საუკეთესო შედეგს და საზოგადოების ჰარმონიული განვითარების საფუძველს მხოლოდ მაშინ იძლევა, თუ იგი შესაბამის ინსტიტუციონალურ და სამართლებრივ ნორმებშია მოქცეული. ამდენად, იმის მტკიცება, რომ თითქოს სმიტის აზრით სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებაში არ უნდა ერეოდეს, არაკორექტულია. უფრო მეტიც, სმიტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თავისუფალი საბაზრო მექანიზმი სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ნორმებისა და ჩარჩოების

⁹ ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად.

¹⁰ „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“.

არსებობას ითვალისწინებს, იმის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ „უხილავი“ და „ხილული“ ხელი ერთად უნდა ფუნქციონირებდეს, რაც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების რეალური საფუძველი უნდა გახდეს.

„ხალხთა სიმდიდრეში“ გარკვეული ადგილი დაბეგვრის, საზოგადოებრივი სამუშაოების, სახელმწიფო ვალის პრობლემებს უკავია, მაგრამ სმითის შეხედულებები ამ სფეროში ნაკლებად თანმიმდევრულია და ყოველივე ზემოთქმულს ის მაინც არამწარმოებლურ შრომად და, შესაბამისად, საწარმოო რესურსების არადანიშნულებისა-მებრ გამოყენებად მიიჩნევს.

ეკონომიკურ პოლიტიკაზე საინტერესო შეხედულებებს შეიცავს მალთუსის ხალხთმოსახლეობის თეორია. აღნიშნულმა თეორიამ, რომლის თანახმადაც მოსახლეობის ზრდა მკაცრად და დამოკიდებული სურსათის რაოდენობაზე, შემდგომში ხელფასის თეორიის შემუშავებასა და დასაბუთებას შეუწყო ხელი, რომელსაც საფუძვლად საარსებო მინიმუმი ედო.

მალთუსის აზრით, სახელმწიფოს, ან კერძო ქველმოქმედების მხრიდან მოსახლეობის ცხოვრების დონის ნებისმიერ გაუმჯობესებაზე ფიქრსაც კი ხალხის მასა გადათელავს და ნებისმიერი ასეთი ქმედება მხოლოდ შეამცირებს ადამიანთა რაოდენობის ზრდის მთავარ შემაკავებელ ფაქტორს – თითოეულისათვის იმის აუცილებლობას, რომ იზრუნოს საკუთარ თავზე და პასუხი აგოს საკუთარ წინდაუხედაობაზე.

მალთუსის თეორია მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი შემადგენელი ნაწილის ჩამოყალიბებასა და მისი მეცნიერული საფუძვლების შესახებ, როგორცაა დემოგრაფიული პოლიტიკა.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ ფუძემდებლის დავით რიკარდოს სხვა უაღრესად საინტერესო მოსაზრებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფარდობითი უპირატესობის თეორიაა, რომელიც ჩვენის აზრით ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

XIX საუკუნის ეკონომიკურ მეცნიერებაში მოვლენა იყო ჯონ სტიუარტ მილი, რომლის ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის პრინციპები“, რომელიც 1848 წელს გამოიცა, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, XX საუკუნის დასაწყისამდე, „ეკონომისტთა ბიბლიად“ ითვლებოდა.

საინტერესოა მილის შეხედულება ინფლაციაზე და დასკვნა, რომ ფასების ზრდა ამცირებს ვალის რეალურ მოცულობას და ის ხელს უწყობს დებიტორებს და აზარალებს კრედიტორებს¹¹. იგი აანალიზებს სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებს და აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. კერძოდ, მილი პროტექციონიზმის წინააღმდეგია, თუმცა „ჩვილი“ დარგების მიმართ დათმობის მომხრეა. მას მიაჩნია, რომ მთავარი პრინციპი უნდა იყოს „laissez-faire“¹² და მისგან გადახვევა აუცილებლად ბოროტებად უნდა ჩაითვალოს.

განსაკუთრებული როლი ითამაშა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში კარლ მარქსმა, ადამიანმა, რომლის შეხედულებების „ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში“ ვცხოვრობდით.

მარქსის და მისი მიმდევრების შეხედულებებს ეკონომიკურ პოლიტიკაზე ლეიტმოტივად გასდევს კომუნიზმის იდეა, რომელიც მთელს მსოფლიოში ან ყველაზე განვითარებულ ქვეყნებში ერთდროულად უნდა გაბატონებულიყო¹³. საყოველთაოდ ცნობილია მარქსის შეხედულებები სახელმწიფოს როლზე ეკონომიკის რეგულირებაში. მსოფლიოს 1/6-ზე ეკონომიკის ნაციონალიზაცია და სახელმწიფოს მიერ მისთვის უჩვეულო ფუნქციების შესრულება, რაც კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას მოიცავდა, სწორედ მის იდეებზე დაყრდნობით მოხდა.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მრავალი გამოჩენილი ეკონომისტი (ალფრედ მარშალი, ლეონ ვალრასი, ვილფრედო პარეტო, კნუტ ვიქსელი, ჯეიმს ბ. კლარკი, არტურ სესილ პიგუ, ირვინგ ფიშერი, იოზეფ შუმპეტერი) თავის ყურადღებას ისეთ ასპექტებზე ამახვილებს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე ახდენს დიდ გავლენას.

შემდგომში სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთობების (ანუ გარკვეულწილად ეკონომიკური პოლიტიკის) შესახებ მოსაზრებანი პირობითად შეიძლება რამ-

¹¹ აღნიშნული მოსაზრება ხშირად კონკრეტულ გამოყენებას პოულობს როგორც სახელმწიფოს, ასევე საკრედიტო დაწესებულებების მხრიდან. ცხადია მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალა სწორედ სახელმწიფოს მხრიდან ვალის შემცირების მიზნით ინფლაციური პროცესების წახალისებაა. გასათვალისწინებელია, რომ საუბარი ეხება მხოლოდ შიდა ვალს, ანუ ვალს, რომელიც დაფიქსირებულია ეროვნულ ვალუტაში.

¹² „laissez-faire“ – შეიძლება ითარგმნოს, როგორც ჩაურევლობის პრინციპი.

¹³ არ შეიძლება არ გავიხსენოთ „მარქსიზმ-ლენინიზმის“ ფუძემდებლები, რომლებმაც ერთგვარი რევიზია ჩაუტარეს მარქსის ამ მოსაზრებას და „კომუნიზმის მშენებლობა“ არა-თუ მთელს მსოფლიოში

დენიმი, მეტ-ნაკლებად საწინააღმდეგო ჯგუფად დავყოთ, რომელთაგან პირველი, კლასიკური ეკონომიკური თეორიის მიმდევრები – *კლასიკოსები* არიან, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. მათი შეხედულებები შეიძლება ერთი იდეის გარშემო გავაერთიანოთ. ეს იდეა მილისეული „laissez-faire“-ა და გულისხმობს, რომ საბაზრო სისტემას შეუძლია თავად უზრუნველყოს ეკონომიკური რესურსების სრული გამოყენება. კლასიკოსთა აზრით „საგანგებო ფაქტორების“ (ომი, პოლიტიკური გადატრიალებები, ბუნებრივი კატაკლიზმები) ზეგავლენით შესაძლოა ეკონომიკა რესურსების სრულ გამოყენებას ასცდეს. თუმცა ბაზარი ფასების, ხელფასისა და საპროცენტო განაკვეთის მყისიერად ცვლილებით სრულ დასაქმებასა და რესურსების სრულ გამოყენებას აღწევს. ლოგიკა მარტივია, წარმოებისა და დასაქმების მასშტაბების შემცირება იწვევს ფასების, ხელფასისა და საპროცენტო განაკვეთის შემცირებას. დაბალი ფასები უზრუნველყოფს სამომხმარებლო ხარჯების ზრდას, დაბალი ხელფასი – დასაქმების ზრდას, ხოლო დაბალი საპროცენტო განაკვეთი – ინვესტიციების ზრდას. ამდენად საქონლისა და მუშახელის ნებისმიერი ჭარბი ოდენობა მალე გაქრება. აღნიშნული მოსაზრება სეის კანონს ემყარება, რომლის თანახმადაც *მიწოდება წარმოქმნის შესაბამის მოთხოვნას*.

XX საუკუნის 30-იანი წლების დიდმა დეპრესიამ¹⁴ დღის წესრიგში ეკონომიკური მეცნიერების სრულიად სხვა მიმართულების განვითარება გამოიწვია.

1929 წლის 25 ოქტომბერს, პარასკევს¹⁵ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე, აქციების ფასების კატასტროფულ კლებას პანიკა მოჰყვა. ზარალმა 15 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. დიდი დეპრესიის 4 წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა თითქმის განახევრდა (შემცირდა 46,2%-ით), ავტომშენებლობა 80 %-ით, თუჯის ჩამოსხმა 79 %-ით, ფოლადის ჩამოსხმა 76 %-ით, ნავთობის მოპოვება 78 %-ით შემცირდა, ამ წლებში გაკოტრდა 135 ათასი ფირმა, 5760 ბანკი, 1 მილიონამდე ფერმერი, უმუშევრად დარჩა 17 მილიონი ადამიანი.

ამ ფონზე პრეზიდენტ რუზველტის არჩევის შემდეგ დაიწყო „ახალი კურსის“ გატარება. აშშ ხელისუფლებამ „ზურგი აქცია“ ლიბერალური მართვის დოქტრინას და

ერთდროულად, ან რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში ერთად, არამედ ჩამორჩენილ რუსეთში დაიწყო. ამ „მშენებლობის“ შესახებ ჩვენ ქვემოთ შედარებით უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

¹⁴ დიდ დეპრესიაზე ჩვენ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

¹⁵ ამ დღეს შემდგომში „შავი პარასკევი“ უწოდეს.

შესაბამისად მხარი დაუჭირა ეკონომიკური პროცესების მართვაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას. თუმცა ამ რეფორმებმა თანმიმდევრული ხასიათი მხოლოდ რეფორმების დაწყებიდან ორი წლის შემდეგ მიიღეს.

1936 წელს ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ ქეინზმა თავის უმთავრესი ეკონომიკური ნაშრომი „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ გამოსცა. ქეინზის თეორია და რუზველტის ადმინისტრაციის პრაქტიკული ქმედებები უმუშალო კავშირშია ერთმანეთთან, რადგან იმდროინდელი აშშ-ს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ქეინზის თეორიას ემყარებოდა და თავის მხრივ მეცნიერის შეხედულებების შესანიშნავი არგუმენტი იყო.

ქეინზმა ახსნა, თუ რატომაა ბაზარი არათვითრეგულირებადი სისტემა. მან გააკრიტიკა კლასიკური ეკონომიკური სკოლა და განსაკუთრებით სეის კანონი. ქეინზმა მიანიშნა ერთ ფაქტორს, რომელსაც კლასიკოსების ნაშრომებში ყურადღება არ ეთმობოდა, მან ახსნა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მთელი შემოსავალი არ იხარჯება პროდუქციის საწარმოებლად და იგი იზოგება, გარკვეული ოდენობის საქონელი არ ტოვებს მწარმოებლის საწყობებს. რაც წარმოების მასშტაბების შემცირებას, უმუშევრობის ზრდას, ფასების დაცემას, ინვესტიციებზე მოთხოვნილების შემცირებას და საპროცენტო განაკვეთის შემცირებას იწვევს.

ქეინზი საბაზრო მექანიზმს ეკონომიკური ზრდის წამახალისებელ საუკეთესო ფაქტორად მიიჩნევდა, მაგრამ იგი მაინც არ თვლიდა მას ისეთ სისტემად, რომელიც თავად შესძლებდა მუდმივი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას. ეკონომიკური კრიზისების და ციკლური რყევების მიზეზებს იგი მხოლოდ გარე ფაქტორებში (ომი, კატაკლიზმები) არ ეძებდა და უმუშევრობის და ინფლაციის მიზეზებს ფუნდამენტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების სინქრონულად მიღების შეუძლებლობაში ეძებდა. შიდა და გარე ფაქტორების სინთეზი ეკონომიკურ ციკლებს უფრო დიდ რეზონანსულობას ანიჭებენ, რაც გასული საუკუნის ეკონომიკურმა ისტორიამ¹⁶ არაერთხელ დაადასტურა.

ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ კამათი და დისკუსია ქეინზის შემდეგ არ დასრულებულა და პირიქით, სულ უფრო ფართო გასაქანს პოულობენ კლასიკოსების

¹⁶ „გასული საუკუნე“ ვიხმარეთ მხოლოდ ერთი მოსაზრების გამო, რომ კრიზისები, როგორც მაკროეკონომიკური მოვლენა მხოლოდ გასული, XX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს.

მიმდევრები, რომლებმაც კლასიკური პოლიტეკონომიის თეზისები პრინციპულად ახალ სიმაღლეებზე აიყვანეს. ყოველივე ეს საფუძვლად დაედო ნეოკლასიკურ სკოლას, რომელიც სათავეებს მარგინალისტური რევოლუციის თეორეტიკოსებისაგან (ა. მარშალი, ლ. ვალრასი) იღებს და ინდივიდუალიზმსა და ატომიზმს ეყრდნობა. ნეოკლასიკოსების მეთოდოლოგიის თანახმად სწორედ ინდივიდუალურ მეურნეობაში ჩნდება ამა თუ იმ რესურსის, დოვლათის¹⁷ და სხვადასხვა სახის უპირატესობების სარგებლიანობის შეფასება, რომელიც შემდგომში საფუძვლად ედება თავისუფალი საბაზრო მექანიზმის პირობებში რეალური ფასებისა და შემოსავლების დადგენას, რომლებზე დაყრდნობითაც ეკონომიკური სუბიექტები სწორ გადაწყვეტილებებს ღებულობენ.

ნეოკლასიკოსები სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩაურევლობის პრინციპის ყველაზე თანმიმდევრულ მხარდამჭერებად გამოდიან. მათ „ფრთებქვეშ“ გაერთიანებული მონეტარისტები, რომელთა უპირობო ლიდერია მილტონ ფრიდმენი, მიწოდების ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები (მ. ფელდსტეინი, ა. ლაფერი), რაციონალური მოლოდინის სკოლის წარმომადგენლები (რ. ლუკასი, ჯ. მუთი) თვლიან, რომ საბაზრო ეკონომიკა ფლობს მდგრადი დინამიური წონასწორობის მექანიზმს და სახელმწიფოს მხრიდან არსობრივ დახმარებას არ საჭიროებს და თუ სახელმწიფო ატარებს მყარ ანტიინფლაციურ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას, დანარჩენ პრობლემებს ბაზარი თავად დაარეგულირებს. ისინი მოითხოვენ სოციალური ხარჯების შემცირებას, რაც (გაზრდილი სოციალური ხარჯები) მათი აზრით ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას, შესაბამისად მაღალ საგადასახადო განაკვეთებს, ინფლაციას და დიდ ბიუროკრატიულ ხარჯებს იწვევს.

ნეოკლასიკოსების წარმომადგენლები ხშირად მემარჯვენე ხელისუფლების მრჩეველები იყვნენ. მილტონ ფრიდმენი ჩილეს დიქტატორის პინოჩეტის და, „რკინის ლედად“ წოდებული, მარგარეთ თეთჩერის ეკონომიკური მრჩეველი იყო, მონეტარისტები და მიწოდების ეკონომიკის სკოლის მიმდევრები რეიგანის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდნენ, რის შედეგადაც ე.წ. „რეიგანომიკა“ წარმოიშვა.

ნეოკლასიკოსების მსგავსად სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩაურევლობის მომხრეები არიან ნეოლიბერალები (ვ. ოიკენი, ა. მიულერ-არმაკი, ლ. ერჰარდი), მაგრამ

¹⁷ რუსულ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული ტერმინი „Благо“ ქართულად სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც „კეთილდღეობა“, თუმცა ალბათ უფრო კორექტული იქნება ტერმინ „დოვლათის“

ნეოკლასიკოსებისაგან განსხვავებით მათ რამდენიმე პრინციპი აქვთ, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ფუნქციების აღებას და მათ ჯეროვან დონეზე შესრულებას მოითხოვენ. უპირველეს ყოვლისა ეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ეხება. ნეოლიბერალთა აზრით არ შეიძლება სახელმწიფო „გულხელდაკრეფილი“ დაელოდოს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების თავისთავად შექმნის პროცესს და იგი თვითდინებაზე მიუშვას, პირიქით სახელმწიფო აქტიურად, მიზანმიმართულად უნდა აყალიბებდეს და ცდილობდეს ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების შექმნას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბაზრო ეკონომიკა მყარად მოიკიდებს ფეხს, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეზღუდოს ეკონომიკაში ჩარევა და მხოლოდ ამის შემდეგ მიუშვას ბაზარი „თვითდინებაზე“.

ნეოლიბერალთა შეხედულება „თვითდინების“ შესახებ ასევე განსხვავდება ნეოკლასიკოსთა შეხედულებებისაგან და იგი მკაცრ ანტიმონოპოლიურ რეგულირებასაც გულისხმობს, რაც, ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ მიუთითებს საბაზრო მექანიზმის არასრულყოფილებასა და მისი რეგულირების აუცილებლობაზე.

მესამე, და ჩვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ნეოკლასიკოსებსა და ნეოლიბერალებს შორის არის სოციალური ფუნქცია. ნეოლიბერალთა აზრით საბაზრო ეკონომიკის მექანიზმები და განაწილება სამართლიანი¹⁸ და ეფექტიანია მხოლოდ მოსახლეობის გარკვეული ფენების მიმართ. ხოლო მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს და მათ შორის სოციალურად დაუცველ ფენებს (ავადმყოფები, პენსიონერები, ინვალიდები და ა.შ.) აუცილებლად ესაჭიროება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა და დახმარება.

ნეოლიბერალური სკოლის უდიდესი წარმომადგენელი, ლუდვიგ ერჰარდი გერმანული „ეკონომიკური სასწაულის მამა“ და საკუთარი თეორიული შეხედულებების პრაქტიკაში განმხორციელებელი იყო. მისი უმთავრესი იდეა „კეთილდღეობა ყველასათვის“ გულსხმობს საბაზრო კონკურენციის პირობებში ძლიერი ინდივიდების მიერ მაღალი შემოსავლების, ხოლო სუსტების მიერ სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას

გამოყენება, მით უფრო, რომ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში უკვე მკვიდრდება ამის ტრადიცია.

¹⁸ „სამართლიანობის“ და „თანასწორობის“ შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ არანაირი სამართლიანობა შემოსავლების განაწილებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, იმდენად ეფემერულია თვით ეს ტერმინი.

მიღებას. ერჰარდის აზრით კონკურენცია განაპირობებს პროგრესისა და მოგების სოციალიზაციას. ზოგიერთი მეცნიერის აზრით გერმანულ ნეოლიბერალურ სკოლას ნეოკლასიციზმსა და ქეინზიანელობას შორის გარდამავალი ადგილი უკავია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქეინზიანელობა ორ არათანაბარ ჯგუფად გაიყო. ძირითად ჯგუფში, რომელსაც ხშირად ორთოდოქს ქეინზიანელებსაც უწოდებენ, შედიოდნენ ისეთი ცნობილი ეკონომისტები, როგორებიც არიან ე. ჰანსენი, ჯ. ჰიქსი, პ. სამუელსონი. ისინი ქეინზის მაკროეკონომიკისა და ნეოკლასიკოსების მიკროთეორიის სინთეზს შეეცადნენ. ამ გზით მიღებული „ნეოკლასიკური სინთეზის“ კონცეფცია მაკროპროპორციების რეგულირების აქტიურ სახელმწიფო პოლიტიკასა და მიკროდონეზე მაქსიმალურად განვითარებულ კერძო ინიციატივას გულისხმობს. აღნიშნული მიმართულების თეორიამ პრაქტიკული გამოხატულება გასული საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში აშშ ადმინისტრაციის (პრეზიდენტები ჯ. კენედი და ლ. ჯონსონი) მიერ გატარებულ კერძო ინვესტიციების წამახალისებელ აქტიურ პოლიტიკაში ჰპოვა, რასაც შედეგად ეკონომიკური ზრდა მოჰყვა.

მაკროდონეზე ერთობლივი მოთხოვნის სამომხმარებლო ხარჯების მეშვეობით სტიმულირებას უჭერენ მხარს „მემარცხენე“ ქეინზიანელები ანუ პოსტქეინზიანელები (ჯ. რობინსონი, პ. სრაფა). ისინი ე.წ. „რბილი რობინჰუდიზმის“ იდეის აქტიური მხარდამჭერები არიან და შეძლებული ფენების მაღალი საგადასახადო განაკვეთებით დაბეგვრით მიღებული შემოსავლებით სოციალურად დაუცველი ფენების დახმარების მომხრენი არიან. ამ მიმართულებამ სკანდინავიის ქვეყნებში მიიღო პრაქტიკული გამოყენება, მაგრამ ამ ქვეყნებში შვედური ეკონომიკური სკოლის ზეგავლენა უფრო იგრძნობა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე ეკონომიკურ თეორიაში ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორცაა „ინსტიტუციონალიზმი“ (ჯ. გელბრეიტი, ფ. პერუ). მათი მოთხოვნები ბაზრისა და კერძო საკუთრების, როგორც ეკონომიკის საფუძვლის ნაწილობრივ ნაციონალიზაციასა და სახელმწიფო რეგულირების მაქსიმალურ დონესთან შეთავსებას შეეხება. სწორედ ინსტიტუციონალისტებში წარმოიშვა ინდიკატიური დაგეგმვის იდეა, როგორც კვლავწარმოების პროპორციებზე უშუალო ზემოქმედების პროგრამის შექმნა და განხორციელება. ისინი აქტიური სოციალური

პოლიტიკის მხარდამჭერები არიან და სოციალური დახმარების ასპექტების გაფართოებას ითხოვენ.

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებამდე აქტიურად ვითარდებოდა ე.წ. „საბჭოური ეკონომიკური სკოლა“, რომელიც სამ ძირითად პრობლემას: სოციალიზმის ეკონომიკური წყობის ბუნებას, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემასა და კანონებს, მის განვითარებას; სოციალიზმის დროს სასაქონლო-ფულად ურთიერთობებსა და სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის გზებსა და წყაროებს სწავლობდა.

„სახელმწიფო სოციალიზმის“ ეკონომიკურმა თეორიამ¹⁹, რომელიც საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური სახელმწიფოების განვითარების უმთავრესი ორიენტირი იყო, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პოლიტიკური და იდეოლოგიური დიქტატის პირობებში მოახერხა ხელი შეეწყო საწარმოო ძალთა მნიშვნელოვანი განვითარებისა და ცხოვრების დონისა და კეთილდღეობის შედარებითი ზრდისათვის. თუმცა 80-იანი წლებიდან იგი პროგრესის შემაფერხებელ ფაქტორად თავადვე იქცა.

იმდროინდელი ეკონომიკური თეორია გამომდინარეობდა პოლიტიკიდან (და არა პირიქით, როდესაც ეკონომიკური თეორიის პრინციპები საფუძვლად ედებოდა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და რაზეც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ზემოთ) და ეკონომისტებისათვის დოგმა იყო მარქსის „კაპიტალი“ და ლენინის შრომები, კომუნისტური პარტიის ყრილობების, პლენუმების და პოლიტბიუროს გადაწყვეტილებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. აღნიშნული თეორიული და პოლიტიკური დოგმების მეშვეობით უკვე 1981 წლისათვის მსოფლიოს 1/6-ზე „კომუნისმის უმაღლესი ფაზა“ უნდა აშენებულიყო.

სოციალისტური პოლიტეკონომია ეკონომიკას, ფორმალურად, ბაზისურ კატეგორიად, ხოლო ყველა დანარჩენს ზედნაშენად აღიარებდა. თუმცა ეს მოსაზრება მხოლოდ „პოლიტეკონომიის“ სახელმძღვანელოებში რჩებოდა და რეალობასთან მას საერთო არაფერი ჰქონდა.

¹⁹ რომელსაც ოფიციალურად უფრო დიდი და მრავლისმეტყველი სახელი „სოციალიზმის მარქსისტულ-ლენინური პოლიტეკონომია“ ეწოდებოდა.

წარმოების საშუალებები და მ.შ. მიწა სახელმწიფოს ეკუთვნოდა²⁰ და ქვეყანა ერთიანი, დირექტიული გეგმით იმართებოდა. მართვის ამ სისტემაში დეპოლიტიზირებული, ჭეშმარიტი ეკონომიკური მეცნიერების ადგილი ნაკლებად რჩებოდა. ხშირად, იმასაც კი, თუ რა საკითხებზე უნდა ემუშავათ ცნობილ და დიდ მეცნიერ-ეკონომისტებს²¹ „ზემოთ“ წყვეტდნენ და მეცნიერება შემოქმედებითობას მოკლებული იყო.

სოციალისტურმა სისტემამ თავისი უუნარობა მალევე აჩვენა, მაგრამ იდეოლოგიური აპარატი არ იძლეოდა რეალური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას, რაც „კოსმეტიკური რემონტის“ ხშირად ჩატარების აუცილებლობას იწვევდა. სწორედ ამას უნდა მიეწეროს ის უამრავი „სრულყოფისა“ და „რეფორმირების“ მცდელობები და უამრავი „დამაზუსტებელი“ ეპითეტი, რომლითაც საბჭოური სოციალიზმის სხვადასხვა ეტაპის სახელი გამოიხატებოდა. საყოველთაოდ ცნობილია „განვითარებული სოციალიზმის“ და „განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის“ ეტაპები, რომელიც ცნობილი „პერესტროიკით“, სოციალისტური სისტემისა და საბჭოთა კავშირის რღვევით დამთავრდა.

სოციალისტური სისტემის რღვევამ დღის წესრიგში შესაბამისი ეკონომიკური თეორიის არსებობა და ეკონომიკის სისტემის რეფორმირების თეორიული საფუძვლების მომზადება დააყენა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოს ეკონომიკაში და ეკონომიკურ თეორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ეტაპი, რომლის დროსაც უნდა მომხდარიყო ეკონომიკური სისტემის განვითარების ბუნებრივ რელსებზე დაბრუნება.

ამ პროცესში ეკონომიკურ ლიტერატურაში გაჩნდა ტერმინი „პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია“, რომელიც უფრო ფართოდ ასახავს პროცესის არსს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სოციალისტურ ეკონომიკაზე და სოციალიზმზე საუბარი ზემოთ გვექონდა, ტერმინი „პოსტსოციალისტური“ თავისი არსით არ შეესაბამება იმ

²⁰ მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების ფორმებიდან, გარდა წმინდა სახელმწიფო საკუთრებისა, გავრცელებული იყო ე.წ. „საკოლმეურნეო“ საკუთრება, იგი ჩვენ მაინც სახელმწიფო საკუთრების განსაკუთრებულ ფორმად უნდა ჩავთვალოთ. ამასთან ასეთივე „კვაზი-კერძო“ საკუთრების ფორმა იყო ე.წ. „ცეკავშირი“, რომელიც ფორმალურად ასევე მეპაიეთა საკუთრებაზე იყო დაფუძნებული, სინამდვილეში კი ის ისეთივე მმართველობის ორგანო (და პრაქტიკულად ანალოგიური ფუნქციებით) იყო, როგორც სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროები.

²¹ ასეთები, კი საკმაოდ ბევრნი იყვნენ, მათ შორის საქართველოშიც. ქართულ ეკონომიკურ სკოლას აყალიბებდნენ ისეთი გრანდები, როგორებიც იყვნენ ფილიპე გოგიჩაიშვილი, პაატა გუგუშვილი, ნიკო ქოიავა, ვასილ ჩანტლაძე და სხვები.

დატვირთვას, რასაც ვცდილობთ დავაკისროთ ტერმინს - „პოსტკომუნისტური“, ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო. განასხვავებენ „სოციალიზმის“ რამდენიმე, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ მოდელს, ესაა მარქსისტული, საბჭოური, ჩინური, იუგოსლავიური, აფრიკული, ფაშისტური, ისლამური, შვედური, აფრიკულ-აზიური სოციალიზმი. ამდენად ტერმინი „პოსტსოციალისტური“ მეტად ბუნდოვანია და არ აზუსტებს რომელი „სოციალიზმის“ შემდგომ ეტაპზეა საუბარი. შეიძლებოდა გამოგვეყენებინა ტერმინი „პოსტსაბჭოური“, მაგრამ იგი გეოგრაფიულად და იდეოლოგიურადაც შეზღუდულია, რამეთუ მოიცავს მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას და მისი გავრცელება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე, ჩინეთზე არ იქნებოდა გამართლებული და ვერც ის გამოხატავს პრობლემის არსს. ყველა ამ ქვეყანას, მხოლოდ ერთი რამ აქვს საერთო - ყველა ეს ქვეყანა კომუნიზმს აშენებდა. ამდენად ტერმინ „პოსტკომუნისტურის“ გამოყენება ყველაზე მეტად ლოგიკურია.

დღეისათვის თანამედროვეობის უდიდესი მეცნიერ-ეკონომისტები ცდილობენ ახსნა გამოუმეზონ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესებს და რეფორმის გარკვეულწილად „რეცეპტებიც“ შემოგვთავაზონ. ეკონომიკურ თეორიაში ცნობილია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ორი გზა - „შოკური თერაპია“ და „გრადუალიზმი“, რომელთაგან პირველი პროცესების დაჩქარებულად, „შოკისებურად“, ხოლო გრადუალიზმი ამ პროცესების თანდათანობით წარმართვას გულისხმობს. ზოგიერთი მეცნიერი გამოყოფს კიდევ ე.წ. „მესამე გზას“, რომელიც თავისი არსით უფრო თანდათანობითი (დროში გაწელილი) გრადუალიზმია²².

მას შემდეგ, რაც „სოციალისტური“ ეკონომიკა და მისი „თეორიული საფუძველი“ მარქსისტულ-ლენინური პოლიტეკონომია, ისტორიის საკუთრება გახდა, პოლიტიკისაგან განსხვავებით, ეკონომიკური თეორია ერთპოლუსიანი არ გამხდარა და დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ ხმამაღლა საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგ არავინ გამოდის, მაკროეკონომიკაში საკმაოდ დიდია დაპირისპირება სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებს შორის, კამათისა და დისკუსიების საგანი მხოლოდ ერთია - რა დოზით უნდა ერეოდეს სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებაში.

²² აღნიშნულ საკითხებზე უფრო დაწვრილებით საუბარი ქვემოთ გვექნება, როდესაც სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოებში მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე გვექნება საუბარი.

პრობლემა, როგორც ჩანს, კიდევ კარგა ხანს არ გადაწყდება და ეკონომისტებს კიდევ ბევრი ექნებათ საკამათო.

1-5 მაკროეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბება

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დევიდ იუმი, სწავლობდა რა დამოკიდებულებას ფულის მასას, სავაჭრო ბალანსსა და ფასების დონეს შორის, მაკროეკონომიკაში ერთ-ერთი პირველი გარღვევის ავტორი გახდა. ეს „დიდი გარღვევა“ დღეს ცნობილია, როგორც „საგადამხდელო ბალანსისადმი მონეტარისტული მიდგომა“, და დღემდე რჩება ამოსავლ წერტილად იმ თეორიისათვის, რომელიც ანალიზებს კავშირებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკასა და საგარეო ვაჭრობის მოდელებს შორის. ფულის შესწავლას XVIII-XIX საუკუნეებში *ფულის რაოდენობრივი თეორიის* ჩამოყალიბება მოჰყვა, რაც დღემდე ფულადი სისტემის ანალიზის საფუძვლად რჩება.

მაკროეკონომიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამმა მოვლენამ. **უპირველეს ყოვლისა აგრეგირებული მაჩვენებლების** მოგროვება და ანალიზი დაიწყო. აღნიშნული განპირობებული იყო პირველი მსოფლიო ომის დროს საბრძოლო მოქმედებებისა და მასთან დაკავშირებული პროცესების დაგეგმვის აუცილებლობით. აღნიშნული პროცესები ომის შემდეგაც გაგრძელდა.

ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიურო (*NBER*), აშშ კერძო კვლევითი ორგანიზაცია, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყებს ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზს. ამ საქმიანობას ხელმძღვანელობდა საიმონ კუზნეცი, რომელიც შემდგომ ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. 30-იანი წლებიდან დაიწყო ეროვნულ ანგარიშების შემუშავება, შემდგომ კი მათი სისტემატიზება, ამ სამუშაოებს რიჩარდ სტოუნი ხელმძღვანელობდა, რომელიც ასევე ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. დღეისათვის მაკროეკონომიკური ანალიზს სწორედ ეროვნულ ანგარიშთა სისტემა უდევს საფუძვლად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

მეორე მოვლენა, რომელიც ასევე მაკროეკონომიკურ მეცნიერებას დაედო საფუძვლად, იყო იმის დასაბუთება, რომ *საქმიანი ციკლი* განმეორებადი ეკონომიკური მოვლენაა. ამ დასკვნის დასაბუთებაზე მუშაობდა, როგორც *NBER*, ასევე კლერ მიტჩელი,

რომელმაც დაასაბუთა, რომ საქმიანი ციკლის განმავლობაში მარაგების და წარმოების მოცულობას, აგრეთვე ფასების დონეს სისტემატიზებული ცვლილებების ტენდენცია აქვთ.

მესამე მოვლენა ისეთი უმნიშვნელოვანესი, მსოფლიო მასშტაბის კატაკლიზმა იყო, როგორცა დიდი დეპრესიაა. სწორედ დიდი დეპრესიის დროს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დემოკრატიული მთავრობები ფაშისტურმა მთავრობებმა შეცვალეს. სწორედ მათ დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

დიდი დეპრესია 1929 წელს დაიწყო და მთელი მსოფლიო განიცდიდა წარმოების მოცულობების მნიშვნელოვან დაცემასა და უდიდეს უმუშევრობას.

სწორედ დიდმა დეპრესიამ პირველად ეჭვქვეშ დააყენა კლასიკოს-ეკონომისტთა შეხედულება იმის თაობაზე, რომ საბაზრო ეკონომიკა თვითრეგულირებადი სისტემაა. ჯონ მეინარდ ქეინზმა დიდი დეპრესიის წარმოშობის თეორიულ სქემა შეისწავლა და მნიშვნელოვანი პოსტულატები ჩამოაყალიბა. ქეინზის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ XX საუკუნის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ნაშრომად იქცა, იგი ქეინზმა 1936 წელს გამოსცა. ქეინზმა მაკროეკონომიკის განვითარებაში უდიდესი ღვაწლი შეიტანა იმ ნაშრომებით, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებას შეეხებოდა. ქეინზის ღვაწლზე ისიც კი მეტყველებს, რომ ეკონომისტები დღემდე პრაქტიკულად თავს ან „ქეინზიანელებად“ ან „არაქეინზიანელებად“ აღიარებენ.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქეინზის თეორია და რეზულტის ადმინისტრაციის პრაქტიკული ქმედებები უშუალო კავშირშია ერთმანეთთან, რადგან იმდროინდელი აშშ-ს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ქეინზის თეორიას ემყარებოდა და თავის მხრივ მეცნიერის შეხედულებების მართებულობის შესანიშნავი არგუმენტი იყო. ქეინზმა ახსნა, თუ რატომაა ბაზარი არათვითრეგულირებადი სისტემა. მან გააკრიტიკა კლასიკური ეკონომიკური სკოლა და განსაკუთრებით სეის კანონი. მან ერთ ფაქტორს მიანიშნა, რომელსაც კლასიკოსების ნაშრომებში ყურადღება არ ეთმობოდა, მან ახსნა, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მთელი შემოსავალი არ იხარჯება პროდუქციის საწარმოებლად და იგი იზოგება, გარკვეული ოდენობის საქონელი არ ტოვებს მწარმოებლის საწყობებს. რაც წარმოების მასშტაბების შემცირებას,

უმუშევრობის ზრდას, ფასების დაცემას, ინვესტიციებზე მოთხოვნილების შემცირებას და საპროცენტო განაკვეთის შემცირებას იწვევს.

ქეინზი საბაზრო მექანიზმს ეკონომიკური ზრდის წამახალისებელ საუკეთესო ფაქტორად მიიჩნევდა, მაგრამ იგი მაინც არ თვლიდა მას ისეთ სისტემად, რომელიც თავად შესძლებდა მუდმივი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას. ეკონომიკური კრიზისების და ციკლური რყევების მიზეზებს იგი მხოლოდ გარე ფაქტორებში (ომი, კატაკლიზმები) არ ეძებდა და უმუშევრობის და ინფლაციის მიზეზებს ფუნდამენტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების სინქრონულად მიღების შეუძლებლობაში ეძებდა. შიდა და გარე ფაქტორების სინთეზი ეკონომიკურ ციკლებს უფრო დიდ რეზონანსულობას ანიჭებენ, რაც გასული საუკუნის ეკონომიკურმა ისტორიამ არაერთხელ დაადასტურა.

ომისშემდგომ პირველი 25 წლის განმავლობაში მსოფლიოში გაბატონებული იყო ქეინზის პოლიტიკური რეკომენდაციები. განმტკიცდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო ბერკეტების მეშვეობით შეუძლია თავიდან აიცილოს ეკონომიკის დაცემა. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა არნახულ აღმავლობას განიცდიდა.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ეკონომიკაში ახალი ტიპის პრობლემა გაჩნდა, რომელმაც გვერდზე გადაწია ქეინზის მოსაზრებები. მრავალი ქვეყანა *სტაგფლაციის* - ერთდროულად ინფლაციისა და სტაგნაციის (უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ან უარყოფითი ტემპების ერთობლიობა) პირისპირ აღმოჩნდა. ქეინზის მიმდევრებისათვის რთული აღმოჩნდა ისეთი მაკროეკონომიკური ბერკეტების გამოზებნა, რომელიც ეკონომიკის სტაბილურად განვითარებას უზრუნველყოფდა.

დიდი დეპრესია

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გასული საუკუნის 30-იანი წლების დიდი დეპრესია მსოფლიო ეკონომიკისათვის უდიდესი კატასტროფა იყო. 1929-1932 წლების განმავლობაში წარმოების მოცულობა აშშ-ში განახევრდა, გერმანიაში შემცირდა 40%-ით, საფრანგეთში - 30%-ით.

აღნიშნული ქვეყნები არნახულმა დეფლაციამ მოიცვა, ფასები დიდ ბრიტანეთში 23%-ით, გერმანიასა და აშშ-ში 30%-ით, საფრანგეთში 40%-ით შემცირდა. უდიდესი იყო უმუშევრობის მასშტაბები, ამერიკის შრომისუნარიანი მოსახლეობის 1/4 უმუშევარი იყო.

ნედლეულზე მოთხოვნის შემცირების გამო კრიზისმა მოიცვა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები. იმპორტის მოცულობის შემცირების მიზნით ბევრმა სახელმწიფომ დააწესა ქვოტები, რასაც შესაბამისად სხვა ქვეყნების მხრიდან ანალოგიური მოქმედებები მოჰყვა. საგარეო ვაჭრობა კოლაფსმა მოიცვა.

რამ გამოიწვია ეს კრიზისი? ქეინზის აზრით კრიზისის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ინვესტორთა მომავლისადმი რწმენის რყევა იყო. თავის ნაშრომში მან გაანალიზა მაკროეკონომიკური გარემო, რამაც საშუალება შექმნა ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა ანტიკრიზისული ბრძოლის იარაღად გადაქცეულიყო.

ქეინზისაგან განსხვავებულად აღიქვამდა იმდროინდელ მოვლენებს, შემდგომში ნობელი პრემიის ლაურეატი, მილტონ ფრიდმენი და მისი თანაავტორი ანა შვარცი. მათი აზრით დეპრესიის უმთავრესი მიზეზი ამერიკის მთავრობის შემაკავებელი ეკონომიკური პოლიტიკა იყო. ბანკების გაკოტრების წინააღმდეგ მიმართული მონეტარული ნაბიჯები, რომლებიც აშშ-ში გადაიდგა, ფრიდმენის აზრით, სრული კრახით დასრულდა და საქმიანი ციკლის შიგნით ჩვეულებრივი დაცემა დიდ დეპრესიად გადააქცია.

ჩარლზ კინდლბერგერის (მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი) დაცემის წინააღმდეგ განვითარებული ქვეყნების ბრძოლა უშედეგო იყო მხოლოდ იმის გამო, რომ ამ დროისათვის მსოფლიო ეკონომიკას არ ჰყავდა ლიდერი, რომელიც შესძლებდა წინ აღდგომოდა საგარეო ვაჭრობაში შემოდებულ შეზღუდვებს და მსოფლიო ეკონომიკას კრედიტებს გამოუყოფდა. აღსანიშნავია, რომ აშშ თავად გადაიქცა საგარეო ვაჭრობაში პროტექციონისტული პოლიტიკის ინიციატორი, როდესაც 1930 წელს მიღებულ იქნა სმუთ-ჰოლის ტარიფი, რამაც ერთ-ერთი ყველაზე ცუდი როლი ითამაშა ეკონომიკური დაცემის შემდგომ ინსპირირებაში.

ის რომ ამ დროს მსოფლიო ეკონომიკას არ ჰყავდა ლიდერი, კინდლბერგერის აზრით შემთხვევითობა იყო. ამ დროისათვის ბრიტანეთმა უკვე დაკარგა ეს როლი,

ხოლო აშშ-ს ჯერ არ მიუღია იგი, ამასთან არ არსებობდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები.

პიტერ თემინის (მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი) აზრით დიდი დეპრესია პირველი მსოფლიო ომისა და მისგან გამომდინარე კონფლიქტების დაგვიანებული გამოძახილი იყო. იმ დროს როდესაც გამარჯვებულები და დამარცხებულები რეპარაციების, საგარეო ვალებისა და ფინანსური პრობლემების თაობაზე აგრძელებდნენ დისკუსიებს, ევროპის ქვეყნების უმეტესობა უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რასაც ამლიერებდა ურთიერთუნდობლობის მნიშვნელოვანი დოზა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ აღმოჩნდა ჩართული მთელი მსოფლიო ამ პროცესებში, თემინის აზრით იგი გამოიწვია იმ დროისათვის გაბატონებულმა ოქროს სტანდარტმა²³. რამეთუ ოქროს სტანდარტი პრაქტიკულად გამორიცხავდა დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას. როგორც შემდგომში ჯეფრი საქსმა და ბარი ეიხენგრინმა დაადგინეს, ქვეყნებმა, რომლებმაც პირველებმა თქვეს უარი ოქროს სტანდარტზე, პირველებმა დასძლიეს დეპრესიის მარწუხები.

²³ საერთაშორისო ოქროს სტანდარტი მოქმედებდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. მის შესაბამისად ძირითად საგადამხდელო საშუალებად აღიარებული იყო ოქრო, ხოლო ეროვნული ვალუტების ღირებულება ოქროს გარკვეულ რაოდენობასთან იყო მიბმული.

თავი 1. მაკროეკონომიკა და მაკროეკონომიკური პოლიტიკა

საზოგადოების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე სახელმწიფო²⁴ ეკონომიკის განუყოფელ ნაწილად განიხილებოდა და განიხილება. მიუხედავად სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შესახებ ეკონომიკურ თეორიაში არსებულ აზრთა რადიკალური სხვადასხვაობისა, თანამედროვე სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებაში აქტიურად მონაწილეობს, რაც თავის მხრივ უცილობლად განაპირობებს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას.

სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირებაში მონაწილეობის ხარისხი განსხვავებულია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ეკონომიკაში ყველგან გამოდის როგორც რეგულატორი (ანუ ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებელი და განმახორციელებელი) და ასევე როგორც უშუალოდ ეკონომიკური სუბიექტი. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში თანდათანობით, მაგრამ განუხრელად იზრდება, რასაც თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ გაწეულმა ხარჯებმა თუ 1913 წელს საშუალოდ GDP-ის 13% შეადგინეს, გასული საუკუნის ბოლოსათვის იგივე მაჩვენებელი უკვე 45% იყო.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია ის ინსტრუმენტები, რომლებიც ეკონომიკური ურთიერთობების სხვა სუბიექტებს არ გააჩნიათ და როგორც ჩანს, მიუხედავად ეკონომიკურ თეორიაში არსებული ჯერ კიდევ იშვიათი, მაგრამ თამამი გამონათქვამებისა, რომელიც შეეხება ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის (მაგალითად, ფულის) დენაციონალიზაციას, ისინი (ინსტრუმენტები) ალბათ

²⁴ უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულია ტერმინი - არა „სახელმწიფოს“, არამედ „მთავრობის“ ეკონომიკურ ფუნქციები, ეკონომიკური მიზნები და ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკა, ჩვენი აზრით, ალბათ მიზანშეწონილი იქნება მთავრობის ეკონომიკური ფუნქციების ზოგადად სახელმწიფოზე განვრცობა, რადგან ხელისუფლების დანაწილების კლასიკური პრინციპის თანახმად ძალიან ბევრ სახელმწიფოში (მათ შორის, ცხადია საქართველოშიც) მთავრობა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლებაა და მთლიანად ვერ განსაზღვრავს ეკონომიკურ პოლიტიკას. შეიძლება გვეხმარა ტერმინი „ხელისუფლება“, რომელიც თავის თავში აერთიანებს როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას, როგორც ცენტრალურ (ზოგიერთ ქვეყანაში ფედერალურ), ისე ადგილობრივ დონეებზე, მაგრამ ტრადიციისადმი პატივისცემის ნიშნად და იმის ხაზგასასმელად, რომ ხელისუფლება მხოლოდ სახელმწიფოს ნაწილია, რომელსაც სახელმწიფოს უფრო დიდი ნაწილის, მოსახლეობის წინაშე უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა გააჩნია და რომ მსოფლიოს სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში არაპირდაპირი გზით (არჩევნები, რეფერენდუმები და ა.შ.) მოსახლეობაც მონაწილეობს პოლიტიკის, მ.შ. ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში, ჩვენ, სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებზე, ეკონომიკურ მიზნებზე და შესაბამისად ეკონომიკურ პოლიტიკაზე ვისაუბრებთ.

კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ისევ სახელმწიფოს ექსკლუზიურ მფლობელობაში დარჩებიან.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში *ეკონომიკური პოლიტიკა* განსაზღვრულია როგორც *ხელისუფლების მიერ ეკონომიკის სფეროში გატარებულ ღონისძიებათა, ქმედებათა სისტემა და სახელმწიფოს მიზნებიდან, ამოცანებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, ეკონომიკური პროცესებისათვის განსაზღვრული მიმართულებების მიცემა, ეკონომიკური ქცევების ან მათი შედეგების გაკონტროლება და მათზე ზემოქმედება.*

ეკონომიკური პოლიტიკა მოიცავს სტრუქტურულ, საინვესტიციო, ფულად-საკრედიტო, სოციალურ, საგარეო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკას. აღსანიშნავია, რომ არც ეს ჩამონათვალია სრულყოფილი და ეკონომიკური პოლიტიკის უამრავი სხვა „შემადგენელი პოლიტიკის“ მოძიება შეიძლება, კერძოდ ხელისუფლება ახორციელებს სამრეწველო, აგრარულ და ა.შ. ეკონომიკურ პოლიტიკას, მაგრამ ჩვენი კვლევის სფერო, გაცილებით უფრო ვიწროა და ეკონომიკური პოლიტიკის მხოლოდ მაკროეკონომიკურ ასპექტებს შეეხება.

2-1. სახელმწიფოს მაკროეკონომიკური მიზნები და ფუნქციები

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება საკმაოდ რთული პროცესია და მიზნების შერჩევას, მიზნების მიღწევის შესაძლო ვარიანტების შემუშავებას და შეფასებას მოიცავს. მაკროეკონომიკური პოლიტიკა მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევის სტრატეგიული და ტაქტიკური გზების ერთობლიობაა.

სახელმწიფოს მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება სწორედ *მაკროეკონომიკური მიზნების*, მათ შორის პრიორიტეტების სწორად განსაზღვრასა და ფორმირებას უნდა დაეთმოს.

ღია ეკონომიკაში (სწორედ ასეთი ტიპის ეკონომიკურ სისტემებად ჩამოყალიბდა ან ყალიბდება მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობის, და მათ შორის საქართველოს ეკონომიკური სისტემა) უმთავრეს მაკროეკონომიკურ მიზნებად *შიდა და საგარეო წონასწორობათა მიღწევა* შეგვიძლია დავასახელოთ.

შიდა წონასწორობა რესურსების სრულად გამოყენებასა და შიდა ფასების სტაბილურ დონეს გულისხმობს, ხოლო საგარეო წონასწორობა კი მიიღწევა, როცა სახელმწიფოს მიმდინარე ოპერაციათა ბალანსი არ არის იმდენად დეფიციტური, რომ იგი აღმოჩნდეს უძლური გადაიხადოს საგარეო ვალები, ან ბალანსში არ არის ისეთი გარდამეტი, რომელიც ანალოგიურ მდგომარეობაში ჩააგდებს სხვა სახელმწიფოებს. აღნიშნული მიზნების მიღწევა შესაძლებელია განხილულ იქნას როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ამოცანა საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

აღსანიშნავია, რომ შიდა ბაზარზე არსებული მდგომარეობა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს (თუმცა არა გადამწყვეტ) როლს ასრულებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, შიდა წონასწორობა მიიღწევა როდესაც რესურსები (მათ შორის შრომითი) გამოიყენება სრულად, ხოლო ფასები შიდა ბაზარზე სტაბილურია.

სამუელსონისა და ნორდჰაუსის მიხედვით 3 უმთავრესი მაკროეკონომიკური მიზანი არსებობს, ესაა

- პროდუქციის გამოშვების მაღალი დონე და სწრაფი ზრდა;
- დასაქმების მაღალი დონე, მცირე იძულებით უმუშევრობასთან ერთად;
- თავისუფალ ბაზრებზე ფასების სტაბილურობა.

შესაძლებელია ეს მიზნებიც “გაიშალოს”, რაც პრობლემის სიღრმეში ჩაწვდომის უკეთეს საშუალებას მოგვცემს.

ამ მიზნით შესაძლოა მაკონელისა და ბრიუს ფორმულირებით ვისარგებლოთ, რომელთა აზრით უმთავრეს ეკონომიკურ მიზნებად უნდა მივიჩნიოთ:

- ეკონომიკური ზრდა;
- სრული დასაქმება;
- ეკონომიკური ეფექტიანობა;
- ფასების სტაბილური დონე;
- ეკონომიკური თავისუფლება;
- შემოსავლების სამართლიანი განაწილება;
- ეკონომიკური უზრუნველყოფა;
- სავაჭრო ბალანსი.

აღნიშნული მიზნებიდან ერთი შეხედვით, მხოლოდ ბოლო (სავაჭრო ბალანსი) განეკუთვნება უშუალოდ საგარეო მიზნებს, დანარჩენი შვიდი კი შიდა წონასწორობის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. თუმცა, დღეს, როცა მთელი მსოფლიო მისწრაფის გლობალიზაციისაკენ, რთულია რომელიმე კონკრეტულ მიზანს ეწოდოს შიდა ან საგარეო (ამ საკითხზე უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი) და მისი მიღწევაც მხოლოდ შესაბამისად შიდა ან საგარეო ფაქტორებით იყოს შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ მაკროეკონომიკური მიზნების პრიორიტეტულობის განსაზღვრისას ეკონომიკური მეცნიერებაში ერთიანი შეხედულება არ ჩამოყალიბებულა და სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელს სხვადასხვა მიზნები მიაჩნია პრიორიტეტულად, მაგრამ ზემოთჩამოთვლილი მიზნების არსებობა თითქოსდა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

იმის გამო, რომ კრუგმანისა და ობსტფელდის და სამუელსონისა და ნორდ-ჰაუზის მიერ ფორმულირებულ მიზნებს მაკონელისა და ბრიუს მიერ ფორმულირებული მიზნები მოიცავს, და თანაც იგი უფრო დეტალურად აღწერს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისათვის აუცილებელ მიზნებს, ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელს განვიხილავთ უფრო დაწვრილებით.

ნებისმიერი სახელმწიფოს უმთავრესი ეკონომიკური მიზანი **ეკონომიკური ზრდაა**. იგი უფრო მეტი რაოდენობის და უკეთესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების წარმოებას – ანუ ცხოვრების უფრო მაღალ დონეს გულისხმობს. თავისთავად ეკონომიკური ზრდა მიიღწევა არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენების გზით. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური ზრდა *გამორიცხულია უცხოური კაპიტალის მონაწილეობის გარეშე*.

ეკონომიკურ ზრდის მიღწევისათვის გასათვალისწინებელია საგარეო ვაჭრობა (ექსპორტი და იმპორტი), რადგან ქვეყანაში შესაძლებელია საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის ცვლილება გამოწვეული იყოს სხვა ქვეყნებში ამა-თუ იმ პროდუქციაზე მოთხოვნის ცვლილებით და შესაბამისად ექსპორტის წახალისებით ან შეზღუდვით და მისი მოცულობების შესაბამისი ცვლილებით, ან საპირისპირო პროცესები შეიძლება გამოიწვიოს სამამულო ბაზარზე გარკვეული სამამულო პროდუქციის უცხოურით ჩანაცვლების ხარისხის ცვლილებამ. ამდენად, მხოლოდ პირობითად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ზრდა სახელმწიფოს შიდა ეკონომიკური მიზანია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები საკმაოდ მგრძობიარეა პარტნიორ (და არა მხოლოდ პარტნიორ) ქვეყნებში მიმდინარე პროცესების მიმართ, რაც ასევე საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. ამ თეზის საუკეთესო დადასტურებაა რუსეთში 1998 წლის 18 აგვისტოს განვითარებული მოვლენები, რომლებმაც უდიდესი კვალი დაამჩნიეს საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს²⁵;

სრული დასაქმება – სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ყველას, რათა მათ ჰქონდეთ თავისი სურვილისა და შესაძლებლობების შესაბამისი სამსახური. ერთი შეხედვით აღნიშნული მიზანიც თითქოს მხოლოდ საშინაო მიზნების კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა დასაქმება გაცდა შიდა სახელმწიფოებრივ პრობლემას და გლობალური მასშტაბები მიიღო. ძალიან ბევრი ადამიანი საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებს სამსახურს და ბევრიც სხვა ქვეყნიდან ჩამოდის სამუშაოს სამძებნელად. ამდენად რთულია რაიმე მკვეთრი საზღვრის გავლება ამ მიზნის მიღწევის საშინაო და საგარეო ასპექტებს შორის;

ეკონომიკური ეფექტიანობა – შეზღუდული საწარმოო რესურსების მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური უკუგების მიღება. ამ შემთხვევაშიც საგარეო და საშინაო ფაქტორების სინთეზთან გვაქვს საქმე, რადგან მხოლოდ კონკურენციის პირობებში მიიღწევა რესურსების ეფექტიანი გამოყენება. ამ შემთხვევაში, როცა საუბარი მაკროდონზე გვაქვს, ხაზი უნდა გაესვას ქვეყნებს შორის კონკურენციას, ფარდობითი და აბსოლუტური უპირატესობის გამოყენებას, უცხოური ინვესტიციების დაბანდებას და ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას, რაც ეფექტიანობის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად მიგვაჩნია;

ფასების სტაბილური დონე – ფასების საერთო დონის მკვეთრი ზრდისა და შემცირების, ანუ ინფლაციისა და დეფლაციისაგან თავის არიდება. აღსანიშნავია, რომ ფასების დონე ყველაზე უფრო მეტადაა დამოკიდებული ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ ვითარებაზე და ამდენად მისი განხილვაც აუცილებლად საგარეო ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. გასათვალისწინებელია, რომ ფასების დონე ექსპორტ-იმპორტის განმსაზღვრელია და ამდენად მას

²⁵ აღნიშნულ თემას შედარებით უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევხებით.

განსაკუთრებული როლი ენიჭება როგორც პირველი (ეკონომიკური ზრდა), ასევე მერვე (სავაჭრო ბალანსი) მიზნის მიღწევისათვის;

ეკონომიკური თავისუფლება – მწარმოებლები და მომხმარებლები თავის საქმიანობაში აღჭურვილნი უნდა იყვნენ მაქსიმალური თავისუფლებით, რაც უნდა გამოიხატებოდეს ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის აბსოლუტური თავისუფლებით. ცხადია სიტყვა „აბსოლუტური“ ამ შემთხვევაში სულაც არ ნიშნავს მართლაც აბსოლუტურს, მაგრამ თავისუფლების ხარისხი მაღალი უნდა იყოს. ეს კი გამორიცხულია მხოლოდ შიდა ბაზარზე არსებული შესაძლებლობებით, ან პირიქით შიდა ბაზრის სხვებისათვის ჩაკეცილობით და პროტექციონისტული საბაჟო პოლიტიკის გატარებით. ეკონომიკურ სუბიექტებს უნდა შეეძლოთ თავისი შესაძლებლობების გამოყენება იქ, სადაც მათთვის ყველაზე კარგი პირობებია, რაც მომგებიანი იქნება როგორც მათთვის, ასევე სახელმწიფოსათვისაც;

შემოსავლების სამართლიანი განაწილება – მოქალაქეთა არც-ერთი ჯგუფი არ უნდა იმყოფებოდეს სიღატაკის მდგომარეობაში, მაშინ როცა სხვა ჯგუფები იმყოფებიან განცხრომაში. თუმცა თავისთავად ტერმინი „სამართლიანი“ ვერ ასახავს პრობლემის არსს. რა შეიძლება იწოდებოდეს „შემოსავლების სამართლიან განაწილებად“, ზოგიერთს მიაჩნია, რომ ეს შეიძლება იყოს „კომუნიზმის დიადი პრინციპის – ყველას მოთხოვნილების მიხედვით“ ინტერპრეტაცია, სხვების აზრით კი „სოციალიზმის პრინციპის – ყველას შრომის მიხედვით“ განხორციელებაა. შესაძლოა ეს არც ერთია და არც მეორე (უფრო სწორედ, ეს არც ერთია და არც მეორე). როგორც წესი, საუბარი შეეხება „შედეგების თანასწორობას“. ვფიქრობთ, ამ მიზნის ქვეშ თანამედროვე ეტაპზე, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სოციალური და სხვა ტიპის გართულებების თავიდან აცილებაზე უნდა იყოს საუბარი და არა შემოსავლების მართლაც სამართლიან განაწილებაზე, რადგან თვით „სამართლიანობის“ დადგენის არანაირი ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გარკვეული სუბიექტური, თუ ობიექტური მოვლენების ზეგავლენით ადამიანთა ნაწილი ტოვებს თავის ძირითად საცხოვრებელ ადგილს, როგორც დევნილები, ლტოლვილები ეძებენ პოლიტიკურ თუ სხვა სახის თავშესაფარს სხვა ქვეყნებში, რაც პრაქტიკულად კიდევ უფრო გაურკვეველს ხდის მათ მიმართ „შემოსავლების სამართლიანი განაწილების“ პრინციპის განხორციელებას და სახელმწიფოს ამ მიზნის არსს;

ეკონომიკური უზრუნველყოფა – სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ავადმყოფთა, შრომისუნაროთა, მოხუცებულთა და იმ პირთა ღირსეული არსებობა, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო არა აქვთ მინიმალური შემოსავალიც კი. განსაკუთრებით აქტუალური ხდება აღნიშნული მიზანი ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც მოსახლეობის ნაწილი იქცა დევნილად, ლტოლვილად. მათ თავის ძირითად საცხოვრებელ ადგილას დატოვეს მათი არსებობისათვის აუცილებელი ყველა ნივთი და ღვთის ანაზარად არიან დარჩენილნი. ამდენად სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მათი არსებობისათვის საჭირო პირობების შექმნა. ხშირად ადამიანთა ნაწილი პოლიტიკური და სხვა მოსაზრებების გამო ტოვებს სამშობლოს და სხვა ქვეყნებში ეძებს თავშესაფარს. მიმღები ქვეყანა ვალდებულია მათ მიმართაც განახორციელოს ანალოგიური საქმიანობა და უზრუნველყოს ისინი საარსებო საშუალებებით, მანამდე მაინც, ვიდრე ისინი არ შეძლებენ საკუთარი არსებობისათვის საჭირო სახსრების თავად მოპოვებას;

სავაჭრო ბალანსი – სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების დროს დაიცვას გონივრული ბალანსი. იმის მტკიცება, რომ სავაჭრო ბალანსის დაცვა მხოლოდ და მხოლოდ საგარეო მიზანია, საკმაოდ რთულია, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა იგი დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკურ ზრდაზე, ფასების საერთო დონეზე; როგორც ცნობილია სავაჭრო ბალანსი სხვა არაფერია, თუ არა ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა²⁶; მათი მოცულობები დამოკიდებულია როგორც წარმოების მოცულობასა და დარგობრივ სტრუქტურაზე, ასევე მოხმარების მოცულობასა და სტრუქტურაზე, ამდენად აღნიშნული მიზნის მისაღწევად არ კმარა სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება და ხელოვნური ბარიერებით იმპორტის შეზღუდვა, საუბარი ალბათ უფრო მეტად ექსპორტის ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელებასა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობას უნდა შეეხებოდეს, რადგან თავად იმპორტი, თავისუფალი ბაზრის პირობებში, ძირითადად მაინც ადგილობრივ ბაზარზე დეფიციტის დაფარვის საუკეთესო წყაროა. ამდენად იმპორტის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნულ ეკონომიკას შეუძლია აწარმოოს და ბაზარს მიაწოდოს ანალოგიური პროდუქ-

²⁶ ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ საუბარია „სავაჭრო ბალანსზე“ და არა „სავაჭრის ბალანსზე“.

ცია, რომლის ხარისხობრივი მაჩვენებლები არ ჩამოუვარდება მაინც იმპორტულ ანალოგებს და ფასი კი არ აღემატება იმპორტული ანალოგების ფასს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთაღნიშნული მიზნების ინტერპრეტაციაც კი საკმაოდ რთული და სარისკო საქმეა, რადგან თავად ამ მიზნების ამგვარი რედაქციის ავტორიც კი არ განმარტავს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „მკვეთრ ზრდად“, „სამართლიან განაწილებად“, „გონივრულ ბალანსად“ და ა.შ. რაც იწვევს საკმაოდ დიდ დისკუსიას და ხშირ შემთხვევაში გაურკვევლობასაც კი, არა მარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ მსჯელობებშიც²⁷.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული მიზნები შეიძლება იყოს როგორც ურთიერთშემავსებელი, ასევე, ურთიერთგამომრიცხავი.

მაგალითად, ეკონომიკური ზრდა წარმოუდგენელია ეფექტიანობისა და სრული დასაქმების გარეშე. თავის მხრივ ეკონომიკური ზრდა ფასების სტაბილურ დონესა და ეკონომიკურ უზრუნველყოფას განაპირობებს. ამასთან ინფლაციისა და დასაქმების ერთის მხრივ, და დასაქმებისა და ეკონომიკური უზრუნველყოფის ეკონომიკური მიზნები, მეორეს მხრივ, ასეთივე ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინფლაციის ტემპების ზრდას, როგორც წესი, უმუშევრობის შემცირება (დასაქმების ზრდა) მოჰყვება და პირიქით, ხოლო დასაქმების ზრდა ამცირებს სახელმწიფოს მხრიდან სოციალური დახმარებების (ეკონომიკური უზრუნველყოფის) აუცილებლობასა და მის ოდენობას.

სახელმწიფოს უმთავრესი ეკონომიკური მიზანი – ეკონომიკური ზრდა, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, ხშირ შემთხვევაში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფასად მიიღწევა. ამდენად უკანასკნელ ხანს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება ეკოლოგიურ პრობლემებს ეთმობა.

აღნიშნული ეკონომიკური მიზნების განხორციელებაში ვლინდება სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციები, რომლებიც ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ როგორც ზემოთაღნიშნული მიზნების განხორციელების პრაქტიკული საფუძველი.

²⁷ აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ბერნარდ შოუს ცნობილი გამონათქვამი, რომელიც თავის წიგნში მოყვანილი აქვს თანამდროვეობის ერთ-ერთ ცნობილ ეკონომისტს ნ. გრეგორი მენკიუსს – „ეკონომისტებს თუნდაც ერთი საქმის ბოლომდე მიყვანაც რომ დაავალონ, ისინი ვერასოდეს ვერ შეთანხმდებიან“. სწორედ აღნიშნული თეზა უდევს საფუძვლად ჩვენს მსჯელობებსაც, რადგან საკმაოდ რთული აღმოჩნდა ეკონომისტებს შორის, თუნდაც საკმაოდ ტრივიალურ და მარტივ საკითხებშიც კი, ერთიანი პოზიციის მოძიება.

მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებთან დაკავშირებითაც განსხვავდება, თუმცა გარკვეული კომპრომისების შემდეგ შესაძლოა აქაც მაკონელისა და ბრიუს კლასიფიკაციით ვიხელმძღვანელოთ და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- *საბაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნა;*
- *კონკურენციის დაცვა;*
- *შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება;*
- *ეროვნული პროდუქტის სტრუქტურის შეცვლის მიზნით რესურსების განაწილების კორექტირება;*
- *ეკონომიკის სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის წახალისება;*

შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ფუნქცია (მაგალითად, ეკონომიკის სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის წახალისება და შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილება) პრაქტიკულად კონკრეტული ეკონომიკური მიზნებიდან (ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, სრული დასაქმება და ფასების სტაბილური დონე და ეკონომიკური უზრუნველყოფა და შემოსავლების სამართლიანი განაწილება) უშუალოდ გამომდინარეობს, ამდენად მიზნები ასახავს ფუნქციების არსს. ამასთან ფუნქციების თანმიმდევრობას შევცვლით და მაკონელისა და ბრიუს მიერ დასახელებულ პირველ ფუნქციას ფუნქციების ბოლოს განვიხილავთ, რადგან აღნიშნული ფუნქცია, ჩვენი აზრით ერთგვარ რეზიუმირებას უკეთებს დანარჩენ ფუნქციებს და ქმნის მათი შესრულების ბაზას.

სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები „ბაზრის ფიასკოს“ დაძლევის საშუალებაა. თუ განვიხილავთ მაკონელისა და ბრიუს რედაქციით ჩამოყალიბებული ფუნქციებს (გარდა პირველისა) დავინახავთ, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები „ბაზრის ფიასკოს“ სამი შემადგენელი ნაწილის საზოგადოებრივი დოვლათის²⁸ (მ.შ. კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის) წარმოებას, გარე (ექსტერნალური) ეფექტებისა და არასაკმარისი კონკურენციის დაძლევას „ემსახურებიან“.

²⁸ დოლანისა და ლინდსეის ნაშრომის რუსულენოვან ვერსიაში, ისევე როგორც სხვა ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „общественные блага“.

კონკურენციის დაცვა – იმის გათვალისწინებით, რომ კონკურენცია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დროს განვითარების უმთავრესი მასტიმულირებელი ფაქტორია და ამასთან მწარმოებლების ინტერესების მომხმარებლის ინტერესებისადმი დამორჩილება სწორედ კონკურენციის წყალობით ხდება და ბაზარი მომხმარებლის ინტერესების დაცვის ფუნქციას იძენს, როდესაც მას (მომხმარებელს) საშუალება აქვს მისთვის სასურველი ფასისა და თვისებების პროდუქცია შეიძინოს, გასაგები ხდება, თუ რატომამისი შენარჩუნება აუცილებელი, მაგრამ ბაზარი, რომელიც არ არის თვითრეგულირებადი სისტემა, კონკურენციის მეშვეობით ებრძვის კონკურენციას, ანუ ძლიერისა და სუსტის ბრძოლა, რომელიც განვითარების სტიმულია, შესაძლოა ბაზარზე მხოლოდ ერთი მათგანის, ძლიერის დარჩენის საფუძველი გახდეს. „ჯუნგლების კანონი“, რომელიც შესაძლებელი ხდება ეკონომიკურ ურთიერთობებში გადმოვიდეს, საბოლოო ჯამში მომხმარებლის ინტერესებს შელახავს, რადგან შეზღუდული კონკურენციის პირობებში მონოპოლისტს შესაძლებლობა ეძლევა ბაზარზე მომხმარებელს საკუთარი ფასი და სხვა პირობები უკარნახოს. თუ გავითვალისწინებთ აქსიომატურ გამონათქვამს, რომ ყველა მწარმოებელი მომხმარებელია, მაგრამ ყველა მომხმარებელი – მწარმოებელი არაა, ცხადი ხდება, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას უმრავლესობის ინტერესი და შეზღუდოს მონოპოლისტური გაერთიანებების წარმოქმნა, ხოლო თუ გარკვეული პირობების გამო, შეზღუდვა შეუძლებელია, მაშინ პირობები (მ.შ. ფასი, ხარისხი და ა.შ.) უკარნახოს მეწარმე სუბიექტებს, ან თავად სახელმწიფო იყოს მონოპოლისტი და ამით აღმოფხვრას განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი და „ბაზრის ფიასკო“.

რესურსების გადანაწილება – ხშირ შემთხვევაში საბაზრო მექანიზმი ზოგიერთი სახის საქონლისა და მომსახურების საჭირო რაოდენობით წარმოებას ვერ უზრუნველყოფს, ან საერთოდ არ გამოყოფს რესურსებს იმ საქონლის საწარმოებლად, რომლის წარმოებაც ეკონომიკურად მეწარმისათვის გაუმართლებელია, მაგრამ საზოგადოებისათვის აუცილებელია. პირველ შემთხვევაში საქმე ეხება „გარე ეფექტებს“, ხოლო მეორე შემთხვევაში ე.წ. „საზოგადოებრივ დოვლათს“.

„გარე ეფექტებად“ უნდა მივიჩნიოთ ის ეფექტები, რომელსაც წარმოება ახდენს სხვა პირზე (მ.შ. ბუნებაზე) და ამ ეფექტების დაძლევისათვის ხარჯები უნდა გაიღოს მესამე პირმა, ანუ მან ვისაც არც წარმოების და არც მოხმარების პროცესში მონაწილეობა

არ მიუღია²⁹, ხოლო „საზოგადოებრივ დოვლათს“ განეკუთვნება ისეთი საქონელი და მომსახურება, რომელიც არ არის გამორიცხვადი (დამატებით მომხმარებელს შეუძლია მისი უსასყიდლოდ მიღება და შეუძლებელია რაიმე ბარიერის დაწესება, რათა მომხმარებლისათვის მისი გამოყენება მიუწვდომელი გახდეს და შეუძლებელია მომხმარებლების გამორიცხვა ამ საქონლის მოხმარების პროცესიდან) და კონკურენტული (წარმოების ნებისმიერი მოცემული დონისას ზღვრული დანახარჯები დამატებითი მომხმარებლისათვის ნულის ტოლია), ხოლო კვაზისაზოგადოებრივია საქონელი, რომელიც შეიძლება იყოს ან კონკურენტული ან გამორიცხვადი, ან ორივე ერთად. ამავე ჯგუფში უნდა გაერთიანდეს ის საქონელი და მომსახურება, რომლის წარმოებაშიც მასშტაბის ეფექტს აქვს მნიშვნელობა.

გარე ეფექტების წყალობით, იმის გამო, რომ კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტი ახდენს მის მიერ გასაწევი ხარჯების მესამე პირზე გადატანას, მისაღები მოგების ოდენობა იზრდება და ფირმა რესურსების გადადინების წყალობით წარმოების გაფართოებას ახდენს.

სახელმწიფო ვალდებულია დააწესოს გარკვეული ნორმები და/ან გადასახადები, რომლებიც შეზღუდავს ასეთი ტიპის საწარმოთა გაფართოებას ან მიღებულ სახსრებს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიმართავს.

გარე ეფექტები შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ უარყოფითი, არამედ დადებითიც. მაგალითად, განათლება, ვაქცინაცია და სხვ. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ შეიძლება წახალისოს ან მოთხოვნა (ტრანსფერების სახით), ან მიწოდება (სუბსიდირების სახით), ან თავად გამოვიდეს მეწარმის როლში.

სრულიად საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე „საზოგადოებრივი დოვლათის“ შემთხვევაში. საზოგადოებრივი დოვლათის კლასიკური მაგალითია შუქურა, რომლის მომსახურების მიღება და შესაბამისად ღირებულების გადახდაც ე.წ. „გამორიცხვის მეთოდით“ შეუძლებელია. ამდენად ბაზარზე პრაქტიკულად შეუძლებელია მოიძებნოს კერძო კომპანია, რომელიც დააფინანსებს მას, არადა ბევრ ადგილას

²⁹ გარე ეფექტის საუკეთესო მაგალითია ქიმიური ან მეტალურგიული წარმოება, რომელიც გამონაბოლქვით ზიანს აყენებს გარემოს. აღნიშნული ზიანის დაფარვა უწევს არა თავად წარმოებას, არამედ მოსახლეობას, რომელსაც შესაძლოა არანაირი შეხება არც წარმოებასთან და არც მოხმარებასთან არ ჰქონდეს. წარმოება კი ერთგვარ ეკონომიას აკეთებს და მის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს (მათ შორის დამატებითი მოწყობილობების შეძენაზე ან მიყვებელი ზარალის კომპენსაციაზე) არ ფარავს.

ნავიგაცია შუქურას გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამდენად სახელმწიფო თავად იღებს ვალდებულებას დააფინანსოს ანალოგიური დოვლათი.

საბაზრო სისტემის ნაკლოვანებების („ბაზრის ფიასკოს“ შემადგენელი ნაწილების) დაძლევის მიზნით სახელმწიფო თავად იწყებს გარკვეული სახის პროდუქციის წარმოებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც აუცილებლად უნდა შეასრულოს სახელმწიფომ, არის **შემოსავლების და სიმდიდრის გადანაწილება**, რათა მიღწეული იყოს სოციალურად დაუცველი ფენების დაცვა და ე.წ. „შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება“, მაგრამ რეალურად აღნიშნული ფუნქციის უმთავრესი დანიშნულება საზოგადოების სოციალური სიმშვიდის უზრუნველყოფაა და არა სიმდიდრის თანაბარი განაწილება.

აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად სახელმწიფო საგადასახადო სისტემას იყენებს და ბეგრავს რა მაღალშემოსავლიან ფენებს, ამონაგები თანხებით ცდილობს ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების „გული მოიგოს“.

ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის წახალისების ფუნქცია – შეიძლება სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მაკროეკონომიკურ ფუნქციად მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მაკროდონეზე მიკროეკონომიკის წარმატებულად ფუნქციონირების წახალისებასთან, რაც შესაბამისი მაკროეკონომიკური ინდიკატორების წყალობით მიიღწევა. კერძოდ, ფასების სტაბილური დონის, დასაქმების მაღალი დონის უზრუნველყოფით სახელმწიფო ცდილობს შესაბამისი გარემო შექმნას, რომელშიც მეწარმე მხოლოდ წარმოებაზე იფიქრებს და არა იმ რისკზე, რომელიც შესაძლოა სახელმწიფოს მხრიდან „სიურპრიზად“ მოევლინოს.

ამგვარად, ჩვენ მივადექით სახელმწიფოს უმთავრეს ეკონომიკურ (და არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ზოგადსახელმწიფოებრივ) ფუნქციას, **საბაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზისა და საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნას**. აღნიშნული ფუნქცია გარკვეულად აერთიანებს ყველა დანარჩენ ფუნქციას, რადგანაც ზემოთაღნიშნული ფუნქციების შესრულების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, „თამაშის წესები“ და სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტებია. გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება სხვა მნიშვნელოვან

ფაქტორებთან ერთად დიდადაა დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე და სოციალურ ფაქტორებზე. არავისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ რუსეთში 1917 წლის თებერვალში და ოქტომბერში განხორციელებული გადატრიალებები, რომელსაც ჩვენ „თებერვლის რევოლუციისა“ და „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ სახელებით ვიცნობთ, სოციალური უკმაყოფილებების ბაზაზე მოხდა. ამდენად სახელმწიფოს მიერ აღნიშნული ფუნქციების შესრულება, ზოგადად საბაზრო სისტემის ფუნქციონირებისათვის საფუძველს ქმნის, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, სადაც სოციალური რისკი მაღალია.

კიდევ ერთ ასპექტს გავუსვამთ ხაზს, რომელიც ვფიქრობთ, აღნიშნული ფუნქციის „შემადგენელი ნაწილია“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ წარმოების 4 ფაქტორია მიწა, შრომა, კაპიტალი და სამეწარმეო უნარი. რომლებზეც ნაწილდება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.

ევროპასა და ამერიკაში თეორიული ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სახელმძღვანელოში, პროფესორ ვლადიმერ პაპავას მოსაზრებებზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ **სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი** წარმოების მეხუთე ფაქტორია, რომლიდანაც შემოსავალი ირიბი გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებული თანხებია.

აქ აღსანიშნავია ერთი ფაქტორი – ჩრდილოვანი ეკონომიკა. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა იყენებს ყველა იმ ფაქტორს, რომელსაც იყენებს ლეგალური ეკონომიკა და შესაბამისად შემოსავლებიც ისეთივე პრინციპებით ნაწილდება, როგორც ლეგალურ ეკონომიკაში, არსებითი განსხვავება ლეგალურ და ჩრდილოვან ეკონომიკას შორის, ჩვენი აზრით, სწორედ წარმოების მეხუთე ფაქტორი – სახელმწიფოს ეკონომიკური უნარი და შესაბამისად მისგან მიღებული შემოსავალია, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკის შემთხვევაში სახელმწიფოს ხელში არ ხვდება.

ლეგალურ ეკონომიკაში **სადაც მხოლოდ სახელმწიფო ასრულებს სახელმწიფოს ფუნქციებს**, ირიბი გადასახადების სახით შემოსავლები ბიუჯეტში მიიმართება, ხოლო სხვა შემთხვევაში, როცა თუნდაც მცირე სეგმენტში სახელმწიფო თუნდაც იოტის ოდენადაც ვერ ასრულებს საკუთარ ფუნქციებს და მის ფუნქციებს „ასრულებენ“ სხვები, შემოსავლების დიდი ნაწილი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის

გამოყენებით იქმნება და ამის გამო ბიუჯეტში უნდა შედიოდეს, ე.წ. „ჩრდილოვანი ბიუჯეტის“ მეშვეობით ნაწილდება.

წარმოების სხვა დანარჩენი ოთხი ფაქტორიდან (მიწა, შრომა, კაპიტალი და სამეწარმეო უნარი) მიღებული შემოსავლები, მიუხედავად იმისა, ჩრდილოვან ეკონომიკაში იგი გამოყენებული თუ ლეგალურში, ძირითადად ერთნაირად ნაწილდება რენტის, ხელფასის, პროცენტის ან მოგების სახით. გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როდესაც წარმოების ზემოთდასახელებული ოთხი ფაქტორიდან შემოსავლები მიიღება ლეგალურ ეკონომიკაში, მათი ნაწილი პირდაპირი გადასახადების სახით ისევ ბიუჯეტში აკუმულირდება, მაშინ როცა ჩრდილოვან ეკონომიკაში გამოყენებული ფაქტორებიდან მიღებული შემოსავალი პრაქტიკულად მხოლოდ ამ ფაქტორთა მფლობელებს რჩება, ანუ შემოსავლის მიმღებნი (მაგალითად დაქირავებული მუშები მიღებული ხელფასიდან, ან მეწარმეები მოგებიდან) არ იხდიან საშემოსავლო ან მოგების გადასახადს.

ჩრდილოვანი ეკონომიკა სხვადასხვა ზომით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს და „ჩრდილში“ მოღვაწე კომპანიები სახელმწიფოს მის კუთვნილ შემოსავლებს (ირიბ გადასახადებს) არ უხდიან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შემოსავლის ამ გადაუხდელი ნაწილით მთლიანად მეწარმე სუბიექტთა შემოსავალი და მათ შორის მოგება იზრდება.

ხშირად სახელმწიფოსათვის გადასახდელი თანხები სხვადასხვა ჯურის ადამიანებს შორის, როგორც ბიუროკრატის წარმომადგენლებთან, ე.წ. ქრთამის და სხვადასხვა არაფორმალურ გაერთიანებებთან „წილის“ სახით ნაწილდება.

რეკეტი, როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური, სახელმწიფო მანქანის მიერ საკუთარი ფუნქციების არასრულფასოვნად შესრულების ხარჯზე მისი (სახელმწიფოს კუთვნილი) შემოსავლების ნაწილის მითვისების გზით, თავისთავზე იღებს სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქციის შესრულების მოვალეობას, მათ შორის ეკონომიკური გარემოს ფორმირების და მეწარმე სუბიექტთა „დაცვის“ ფუნქციის შესრულებას.

ქრთამი და „წილი“ შესაძლებელია ჩავთვალოთ ასევე არაპირდაპირი (ირიბი) გადასახადების ნაწილად, რომელიც სახელმწიფოსათვის გადასახდელ არაპირდაპირ

გადასახადებთან ერთად ჯამში შეადგენს შემოსავალს ბიზნესიდან, რომელიც ნაწილდება უშუალოდ სახელმწიფოსა და „რეკეტიორებს“ შორის.

სახელმწიფოს ინტერესებშია მისი გავლენის ზრდა და ბიუროკრატისა და რეკეტის გავლენის შემცირება, რაც როგორც სახელმწიფოს ფუნქციების უკეთ განხორციელებას შეუწყობს ხელს, ასევე მკვეთრად გააჯანსაღებს ბიზნესის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ გარემოს.

სახელმწიფოს მხრიდან სწორედ აღნიშნულ ეკონომიკური მიზნებსა და ეკონომიკურ ფუნქციებს შორის პრიორიტეტების განსაზღვრაში და მათ ჯეროვნად შესრულების პროცესში, თანმიმდევრული ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და აღსრულებაში გამოიხატება პოლიტიკის, და უპირველეს ყოვლისა მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ეკონომიკაზე ზემოქმედების ბერკეტების თვალსაზრისით სახელმწიფო საკმაოდ შეზღუდულია, ამდენად ეკონომიკური მიზნების სწორად შერჩევას, მათი მიღწევის შესაძლო ვარიანტების გათვლასა და შედეგების წინასწარ განჭვრეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

იმის და მიხედვით, თუ რომელი მიზნების პრიორიტეტულობას ირჩევს სახელმწიფო, შესაძლებელია მისი (უფრო სწორი იქნებოდა ალბათ ხელისუფლების) „ხასიათის“, კერძოდ კი მისი სოციალური ორიენტაციის დადგენა.

თუ, სახელმწიფო ძირითად პრიორიტეტად აღიარებს ეკონომიკურ ზრდას, იგი ვერ მიიღწევა ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის ზრდის გარეშე, რაც ისედაც ეფემერულ „შემოსავლების სამართლიან განაწილებას“ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს და პირველ ეტაპზე სოციალური პროგრამების დაფინანსებასაც ამცირებს. შემდგომში, როცა ეკონომიკურ ზრდას უკვე ხელშესახები შედეგები ექნება, სოციალური უზრუნველყოფის საკითხები მნიშვნელოვნად წამოწევაც გახდება შესაძლებელი.

4. მაკროეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებანი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ სახელმწიფოებში

იმის მიხედვით თუ ვინ წყვეტს ე.წ. "სამ ეკონომიკურ პრობლემას" (Самуельсон, Нордхаус, 1999. с. 68) "რა, როგორ და ვისთვის", განასხვავებენ ოთხი ტიპის ეკონომიკურ სისტემას: თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ეკონომიკას, ტრადიციულ ეკონომიკას და შერეულ ეკონომიკას (Макконнелл, Брю, 1992. с. 46-48), ბოლომდე თუ ჩავუღრმავდებით პრობლემას ალბათ შერეული ეკონომიკის სხვადასხვა ფორმასთან გვაქვს საქმე, რადგან "წმინდა" სახით, არც კაპიტალიზმი, არც მბრძანებლური ეკონომიკა და არც ტრადიციული მეურნეობა არ არსებობს³⁰.

ნებისმიერ შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას საფუძვლად იდეოლოგია უდევს.

თუ ერთ შემთხვევაში ესაა კაპიტალიზმის იდეოლოგია (Макконнелл, Брю, 1992. сс. 46-48; 51-53; Макконнелл, Брю, 1999. с. 64-65), მეორე შემთხვევაში (რომელიც თავის მხრივ მრავალ სხვა "ქვე-შემთხვევას" მოიცავს) მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას უფრო ამ იდეოლოგიის (კაპიტალისტური იდეოლოგიის) არარსებობა და მისი საწინააღმდეგო იდეოლოგიების (მათ შორის, კომუნისტური იდეოლოგიის) არსებობა ედება საფუძვლად.

კაპიტალისტური იდეოლოგია, რომელმაც დაადასტურა თავისი უპირატესობა სხვა იდეოლოგიებთან, ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს (Макконнелл, Брю, 1992. сс. 46-48; 51-53; Макконнелл, Брю, 1999. с. 64-65):

- კერძო საკუთრება;
- არჩევანისა და მეწარმეობის თავისუფლება;
- კერძო ინტერესი;
- კონკურენცია;
- ფასების სისტემაზე დაყრდნობა, ანუ საბაზრო მექანიზმი;
- სახელმწიფოს შეზღუდული როლი.

³⁰ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ კაპიტალიზმისა და მბრძანებლურ ადმინისტრაციული ეკონომიკის დროს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებებს, რადგან ტრადიციული ეკონომიკა ჯერ კიდევ შორსაა ისეთი პრობლემისაგან, რომელიც შეიძლება მაკროეკონომიკურ რანგში ავამაღლოთ, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტრადიციული ეკონომიკის ელემენტებს ვხვდებით ორივე ტიპის ეკონომიკურ სისტემაში (მაგალითად, ბარტერი).

იმის გათვალისწინებით, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა, ამდენად ჩვენ აპრიორად ვუშვებთ, რომ ვსაუბრობთ არა "წმინდა კაპიტალიზმზე", რომელიც მოქმედებს პრინციპით "ლაისსეუფაირე", არამედ შერეული ტიპის ეკონომიკურ სისტემაზე, რომელშიც *სახელმწიფო და მხოლოდ სახელმწიფო ასრულებს იმ, და მხოლოდ იმ ფუნქციებს რომლებზეც ზემოთ გვექონდა საუბარი*. ჩვენი პირველი დაშვებით საუბარი შეეხება იმ შერეული ტიპის ეკონომიკას, რომელშიც ყველაზე დიდია კაპიტალისტური იდეოლოგიის ზეგავლენა³¹.

ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ იმ იდეოლოგიურ წანამდღვრებს, რომლებიც მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას არის გათვალისწინებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

კერძო საკუთრება – ევოლუციური განვითარების წმინდათაწმინდა მონაპოვარია, რომელიც საფუძვლად უდევს კაპიტალისტურ ეკონომიკას. მხოლოდ კერძო საკუთრებას შეუძლია წახალისოს ინვესტირების, გაცვლის პროცესები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ უნდა იყოს სხვაობა საკუთრების ფორმებს შორის და რომელიმე მესაკუთრე, იმისდა მიუხედავად, ვინაა ის, სახელმწიფო, თუ კერძო პირი, საკუთრებაზე ერთნაირი უფლებებით უნდა სარგებლობდეს. ამდენად საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფო ისეთივე მესაკუთრედ უნდა გამოდიოდეს, როგორც სხვა მესაკუთრეები და სახელმწიფო ქონება თავისი არსით კერძო ქონებისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს³².

მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლება – კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საბაზრო ეკონომიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლებას. რაც იმას ნიშნავს, რომ ყველას აქვს უფლება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აირჩიოს საქმიანობის სფერო, რესურსები, აწარმოოს ნებისმიერი სახის პროდუქცია და გაყიდოს იგი მისთვის სასურველ ბაზარზე, მიიღოს მოგება და გამოიყენოს მიღებული შემოსავალი საკუთარი შეხედულებისამებრ. რაც მთავარია, თავისუფალი არჩევანი ადამიანებს აძლევს საშუალებას შეიძინოს ის მომსახურება და

³¹ აღიარებულია, რომ ყველაზე მეტი "თავისუფლების ხარისხით" გამოირჩევა აშშ ეკონომიკა.

³² იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ არ ვსაუბრობთ "წმინდა კაპიტალიზმზე", როგორც ასეთზე, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო საკუთრება, ისევე როგორც კაპიტალისტური იდეოლოგიის სხვა შემადგენელი ნაწილები შესაძლოა შეზღუდული იყოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზოგიერთ დარგსა და სფეროში, ისეთებში როგორებიცაა თავდაცვითი და საჰაერო და კოსმოსური ნავიგაციის სისტემები და ა.შ.

საქონელი, რომელიც მას სურს. ამდენად სწორედ მომხმარებელი წყვეტს თუ რა, როგორი და რამდენი უნდა აწარმოოს კაპიტალისტურმა ეკონომიკამ.

პირადი ინტერესი – ყველა ადამიანი ცდილობს გაიუმჯობესოს მდგომარეობა. მეწარმე ცდილობს ხარჯების მინიმიზაციის და მაქსიმალურად მაღალი სარეალიზაციო ფასების მეშვეობით გაზარდოს მოგება, ანალოგიურად ხარჯების მინიმიზაციას ცდილობს მომხმარებელიც. ამდენად კაპიტალიზმის პირობებში სწორედ ბაზრის სუბიექტთა პირადი (კერძო) ინტერესი აყალიბებს სხვადასხვა ეკონომიკურ ერთეულთა ქცევის ფუნდამენტალურ სახეს (Макконнелл, Брю, 1999. с.65). ჩამოყალიბებულია ე.წ. "ჰომო ეკონომიკუს"³³-ი (პაპავა, 1999ბ; Автономов, 1989, 1990, 1998), რომლის პირადი ინტერესი აძლევს ეკონომიკას განვითარების სტიმულს.

კონკურენცია – იმის გამო, რომ კონკურენციაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, შევეცდებით, მის მხოლოდ ზოგიერთ ასპექტზე გავამახვილოთ ყურადღება. არჩევანის საშუალება და პირადი ინტერესი ქმნის კონკურენციის, ანუ ეკონომიკური შეჯიბრის, როგორც ეკონომიკური განვითარების სტიმულის საუკეთესო ბაზას. კონკურენცია თავის თავში საბაზრო შეთანხმებების მონაწილეთა საკმაოდ დიდ რაოდენობას მოიცავს, რაც საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული როგორც მონოპოლიური, ასევე მონოფსონიური ფასები და შესაბამისად ბაზარმა შესძლოს როგორც მწარმოებელთა, ისე მომხმარებელთა ინტერესების სრული დაცვა. კონკურენციის დროს ვერც მწარმოებელმა და ვერც მომხმარებელმა ვერ უნდა შესძლოს ფასებით მანიპულირება. კონკურენციის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ასევე შეიძლება **არჩევანის თავისუფლებასაც** დავუკავშიროთ არის ბაზრებზე თავისუფალი შესვლისა და გამოსვლის შესაძლებლობა. რასაც არანაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე სხვა დანარჩენ იდეოლოგიურ მოთხოვნილებებს.

და ბოლოს, ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი იდეოლოგიური მოთხოვნა, ჩვენის აზრით არის **სახელმწიფოს შეზღუდული როლი**³⁴ – კონკურენტული კაპიტალისტური ეკონომიკა უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ამდენად ის არ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან სხვა სახის რეგულირებას და ხშირად პირიქითაც, სახელმწიფოს მხრიდან ზედმეტი ჩარევა შესაძლებელია უკუეფექტის

³³ "ჰომო ეკონომიკუს"-ის ფენომენზე დაწვრილებით შემდგომ გვექნება საუბარი.

³⁴ საუბარია რა თქმა უნდა ხელისუფლების როლზე.

მომტანიც კი იყოს. ამდენად კაპიტალიზმის იდეოლოგიაში სახელმწიფოს ყველაზე მცირე ადგილი უკავია. მაგრამ, ვინაიდან ბაზარი არ არის სრულად თვითრეგულირებადი სისტემა, სახელმწიფო "ბაზრის ფიასკოს" აღმოფხვრას უნდა ცდილობდეს.

სწორედ აღნიშნული იდეოლოგია უდევს საფუძვლად მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებას.

გარდა აღნიშნული იდეოლოგიური საფუძველისა, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკას საფუძვლად უდევს ეკონომიკური თეორიის მიღწევები. კერძოდ, გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან აშშ-ის ადმინისტრაციამ, რომელსაც პრეზიდენტი ჯონ კენედი ხელმძღვანელობდა, შეიმუშავა ახალი სამოქმედო პროგრამა "ახალი ზღვრები"³⁵ (Поляк, Маркова, 1999, с. 528), რომელიც ნეოლიბერალი ეკონომისტების მიერ იყო შემუშავებული და საქონლისა და მომსახურების მიწოდებასა და ერთობლივ მოთხოვნას შორის თანაფარდობის შენარჩუნებისაკენ თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმით, დასაქმების მაღალი დონისა და სტაბილური ფასების შენარჩუნებით შეუფერხებელი ეკონომიკური ზრდის მიღწევას გულისხმობდა. პროგრამა ემყარებოდა დეფიციტური დაფინანსების ქეინზიანურ იდეას. პროგრამის განხორციელებას 60-იან წლებში საკმაოდ დიდი ეფექტი მოჰყვა.

1981 წლიდან აშშ-ს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში დაიწყო ახალი ეტაპი, ე.წ. "რეიგანომიკა". იგი 80-90-იან წლებში თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში განხორციელებული ნეოკონსერვატორული პოლიტიკის ერთ-ერთი ვარიანტი იყო (Поляк, Маркова, 1999, с. 529), იგი სოციალური პროგრამებისა და გადასახადების განაკვეთების შემცირებას, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით ინფლაციასთან ბრძოლასა და სამეწარმეო საქმიანობის დერეგულირებას მოიცავდა. ამ პოლიტიკას გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფო ბიუჯეტის 290 მლრდ. დოლარიანი დეფიციტი და მკვეთრად გაზრდილი სახელმწიფო ვალი მოჰყვა (Поляк, Маркова, 1999, с. 530).

მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა აშშ ყოფილ პრეზიდენტის ბილ კლინტონის ადმინისტრაციას მოუწია, რომელმაც გამოსავლის ძებნა ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკაში დაიწყო.

ქლინთონის პოლიტიკა 3 პროგრამას (Поляк, Маркова, 1999, с. 531) მოიცავდა:

1. ეკონომიკის სტიმულირება დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით, რაზეც 30 მლრდ. დოლარი იყო გათვალისწინებული;
2. 140 მლრდ. დოლარის მიზნობრივი კაპიტალდაბანდებები და კერძო ინვესტორების შეღავათიანი დაფინანსებაზე გათვლილი საინვესტიციო პროგრამა;
3. საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების პროგრამა, რაც მოიცავდა ერთის მხრივ ხელისუფლების ხარჯების შემცირებას, ხოლო მეორეს მხრივ გადასახადების განაკვეთების ზრდას. პროგრამა უკვე 1993 წლის ბიუჯეტისათვის ითვალისწინებდა 150 კონკრეტულ წინადადებას.

ქლინთონის პოლიტიკამ აშშ-ს საშუალება მისცა საკუთარი ეკონომიკის დაფინანსება გარკვეულწილად "სხვისი ხარჯით" გაეკეთებინა, რასაც უთუოდ ხელს უწყობს აშშ დოლარის მიერ ფულის ფუნქციების მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში დაუბრკოლებლად შესრულება.

ჯორჯ უ. ბუშის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ქლინთონის პროგრამის განხორციელება შეჩერდა და ბუშმა გარკვეულად მისი მამის, უფროსი ჯორჯ ბუშის წინამორბედის, რონალდ რეიგანის გზა გააგრძელა.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკის გლობალიზაციამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების დროს მსოფლიო გიგანტებიც კი გარკვეულწილად "ყურს უგდებენ" ერთმანეთს და ემორჩილებიან მსოფლიო საფინანსო წესრიგს, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები³⁶ განსაზღვრავენ.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თვალსაზრისით მეორე, სრულიად საწინააღმდეგო ჯგუფის სახელმწიფოებში აბსოლუტურად განსხვავებული იდეოლოგია იყო გამეფებული. ჩვენ შევეცდებით კაპიტალიზმის იდეოლოგიის გაანალიზების საფუძველზე წარმოვაჩინოთ "არაკაპიტალისტური იდეოლოგია", ამასთან მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ტიპის სახელმწიფოებში ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას მეტ-ნაკლებად განსხვავებული იდეოლოგია ედო საფუძველად, თუმცა მათში საერთო ხასიათის დაჭერა არც-თუ ისე რთულია.

³⁵ "Новые рубежи".

³⁶ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები გადაწყვეტილებების მიღებისას თავის მხრივ ითვალისწინებენ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების აზრს, რამეთუ მათ დაფინანსებაში ლომის წილი, სწორედ ამ ქვეყნებს მიუძღვით.

ცნობილი ეკონომისტის, ლეშეკ ბალცეროვიჩის განმარტებით მთავარი დამახასიათებელი მომენტი, რომელიც ახასიათებს თითქმის ყველა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოს³⁷, არის წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება (Балцерович, 1999. с. 30). თუმცა ალბათ არა იმდენად საზოგადოებრივ საკუთრებაზე იყო დამყარებული ის იდეოლოგია, რომელიც გამეფებული იყო აღნიშნული ტიპის სახელმწიფოებში³⁸, რამდენადაც მკაცრად გამოხატულ "ანტიკერძოსაკუთრებით" შეხედულებებზე.

წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება დიდად განსაზღვრავდა მთელს იდეოლოგიას, რომელსაც ემორჩილებოდა ეკონომიკური პოლიტიკა. მესაკუთრე, ამ შემთხვევაში სახელმწიფო (და უფრო თუ დავაკონკრეტებთ, სახელმწიფო მმართველობის ბიუროკრატიული აპარატი) განსაზღვრავს ქონების გამოყენების ყველა ასპექტს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საკუთრება პრაქტიკულად უპატრონობას ნიშნავდა, ვინაიდან არ არსებობდა მწყობრი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ქონების მოვლა-პატრონობას. პირიქით, ის ადამიანები, რომლებიც ამა-თუ იმ ფაქტორის გამო დროებით მართავდნენ სახელმწიფო ქონებას, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ცდილობდნენ სახელმწიფო ქონება საკუთარი ინტერესებისათვის დაემორჩილებინათ.

მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლება – იმის გამო, რომ წარმოების საშუალებების მესაკუთრე სახელმწიფოა და მასვე ეკუთვნის ყველა რესურსი, მხოლოდ სახელმწიფო წყვეტს ვინ, სად, რამდენი და როგორ უნდა აწარმოოს, აგრეთვე ვინ, სად, რამდენი და რა ფასად უნდა შეიძინოს და ვინ, სად და რამდენი უნდა მოიხმაროს. უმთავრეს გადაწყვეტილებებს სახელმწიფო ღებულობს და თავად სახელმწიფო ასრულებს მათ. გამორიცხულია ნებისმიერი თვითშემოქმედება და ყველაფერი ერთიან, ადმინისტრაციულ გეგმას ემორჩილება, გეგმას რომელიც სახელმწიფო საგეგმო

³⁷ აღსანიშნავია ისიც, რომ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკა მხოლოდ პოსტკომუნისტური ქვეყნების ისტორიის ნაწილი არ ყოფილა. ცნობილია ისეთი ეკონომიკური სისტემებიც, როცა ერთი შეხედვით კაპიტალისტური იდეოლოგიის გარკვეული (მ.შ. ერთ-ერთი მთავარი, საკუთრებითი) ელემენტები შენარჩუნებულია, მაგრამ ქვეყანა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის ერთ-ერთ ქრესტომათიულ მოდელს წარმოადგენდა (მაგალითად ფაშისტური გერმანია).

³⁸ იმის გამო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირი ამ ტიპის სახელმწიფოებისათვის გარკვეულ მოდელს წარმოადგენდა, ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი მსჯელობები შესაძლოა დაკონკრეტდეს და არგუმენტებად სწორედ ყოფილი სსრკ-სათვის დამახასიათებელი თვისებები მოვიყვანოთ.

კომიტეტის ("გოსპლანის") კედლებში იწერება და რომლიდანაც გადახვევა "სამშობლოს ღალატის ტოლფასია".

თავად გეგმას ჰქონდა ერთი მნიშვნელოვანი მხარე, პრიორიტეტი გეგმაზომიერ განვითარებას ენიჭებოდა, თუმცა, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თავად სისტემა ახალისებდა გეგმის დარღვევას, მისი გადაჭარბების მიმართულებით, რაც ვფიქრობთ, ისეთივე (თუ უფრო მეტად არა) დარღვევად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, როგორც გეგმის შეუსრულებლობა. ყოველივე ამის საფუძველს იძლევა გეგმის გადაჭარბების შემთხვევაში რესურსების არაყაირათიანად მოხმარების წახალისება, რადგან იგივე გეგმას ზეგეგმიური პროდუქციის რეალიზება დაგეგმილი არ ჰქონდა. ამდენად გეგმიური ეკონომიკა წინააღმდეგობრივი იყო და თუ ერთის მხრივ მკაცრად სჯიდა გეგმის დამრღვევს, მეორე მხრივ იგივე გეგმის დამრღვევს აჯილდოებდა და "სოციალისტური შრომის გმირის" წოდებასა და უმაღლეს სახელმწიფო ჯილდოებს ანიჭებდა. იმის გამო, რომ წარმოება მთლიანად დაგეგმილი იყო, იგეგმებოდა მოხმარებაც და უბრალო მომხმარებელი³⁹ მოკლებული იყო ელემენტარული არჩევანის საშუალებას. ქვეყანა (და ქვეყნები) აწარმოებდა და მოიხმარებდა იმას და იმგვარად, როგორც კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და "გოსპლანი" გადაწყვეტდნენ.

პირადი ინტერესის როლი – იმ ფონზე, რაც ზემოთ ვნახეთ, პირად ინტერესზე ალბათ საუბარიც კი არ შეიძლება, რადგან პირადი ინტერესი საზოგადოებრივ (უფრო სწორედ, პარტიულ-ბიუროკრატიულ) ინტერესს იყო დაქვემდებარებული და პირადი ინტერესის ნებისმიერი გამოვლენა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა. ჩამოყალიბდა ადამიანის ტიპი "ჰომო სოვეტიკუს"-ი (Бузгалин, 1994, сс. 250-253), რომელიც დათრგუნულია სახელმწიფოს მხრიდან და მოწყალეების თვალთ შესცქეროდა სახელმწიფოსა და ჩინოვნიკებს და მთლიანად მათზეა დამოკიდებული (პაპავა, 1999ბ, გვ. 18). ალბათ სწორედ პირადი ინტერესის არარსებობამ შეუწყო ხელი იმას, რომ ქვეყნის ეკონომიკა მხოლოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსების ექსტენსიურ

³⁹ ჩვენი მსჯელობებიდან გვსურს გამოვყოთ ბიუროკრატიული და პარტიული ნომენკლატურა, რომელიც შედარებით უფრო თავისუფალი იყო არჩევანში, მაგრამ ეს "თავისუფლება" მკაცრად რეგლამენტირებული იყო პარტიის ცკ-ს, მინისტრთა საბჭოს, გოსპლანის, კგბ-ს და სხვა მსგავსი დაწესებულებების სპეცმადაზიების ასორტიმენტით.

გამოყენებას ემყარებოდა (პაპავა, 2000გ, გვ. 5) და გამორიცხავდა წინსვლის თვითრეგულირებად და თვითწამახალისებელ მექანიზმებს.

კონკურენცია – მაშინ როდესაც დაგეგმილი იყო რომელ საწარმოს რამდენი და რა სახის პროდუქცია უნდა ეწარმოებინა და სად უნდა გაეყიდა, ხოლო ფასს ასევე ”ზემოთ”, ფასების სახელმწიფო კომიტეტში ადგენდნენ, ეკონომიკურ ურთიერთობებში კონკურენციის არანაირი ელემენტიც კი არ იყო. ამდენად ყველა საწარმო გარანტირებული იყო, რომ მის პროდუქციას ”მყიდველი” ყოველთვის ეყოლებოდა და მდიდარი ბუნებრივი რესურსებისაგან ”სახალხო მეურნეობა”⁴⁰ ყოველად უხარისხო პროდუქციას უშვებდა. კონკურენცია მხოლოდ ე.წ. საკოლმეურნეო ბაზრებზე გვხვდებოდა, სადაც საბაზრო ეკონომიკის ”ოაზისი” იყო. შედარებით უფრო ფართოდ იყო გავრცელებული კონკურენცია ”ჩრდილოვან ეკონომიკაში”, რომლის მასშტაბები იმ დროსაც კი საკმაოდ დიდი იყო. ცალკე აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო კონკურენცია, რომელიც ასევე პრაქტიკულად არ არსებობდა, გარდა სამხედრო-სამრეწველო და კოსმოსურ ნაგებობათა წარმოების სფეროში. ალბათ აღნიშნულის დამსახურებაა, რომ სწორედ ამ დარგებში იქმნებოდა შედეგები, რომლებიც დღესაც ანცვიფრებენ სპეციალისტებს (მათ შორის საქართველოში წარმოებული პროდუქციაც).

სახელმწიფოს შეზღუდული როლი – სახელმწიფოს როლი ეკონომიკის რეგულირებაში, გადატანითი მნიშვნელობით, მართლაც ”შეზღუდული” იყო, რამეთუ იგი აბსოლუტურად არ მონაწილეობდა ეკონომიკის რეგულირებაში, ან რა უნდა დაერეგულირებინა, და ბაზრის რომელი ”ფიასკო” უნდა გაენეიტრალეებინა, როდესაც თავად იყო მწარმოებელიც, მომხმარებელიც და ბაზარიც.

ამასთან სახელმწიფო მკაცრად დევნიდა მათ, ვინც ”კაპიტალისტური იდეოლოგიის” ცხოვრებაში გატარების თუნდაც უმნიშვნელო მცდელობაში იქნებოდა შემჩნეული.

გარდა ამისა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენდნენ მარქსისტულ-ლენინური დოგმები, ”სოციალიზმის გზაზე დამდგარი” განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარება, ცივი ომი და კონკურენცია კაპიტალისტურ სამყაროსთან. ამ კონკურენტულ ბრძოლაში კომუნისტურ იდეოლოგიაზე დამყარებული

სახელმწიფოები და მთლიანად "არასაბაზრო ეკონომიკა" დამარცხდა და დაახლოებით 10 წლის წინ⁴¹ მსოფლიოს ეკონომიკურ ისტორიაში უპრეცედენტო პროცესი დაიწყო – პროცესი "კომუნიზმიდან – კაპიტალიზმისაკენ", რომელიც მეცნიერთა შორის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესადაა ცნობილი და თავის თავში არაკაპიტალისტურიდან კაპიტალისტურ იდეოლოგიაზე დაბრუნებას და განვითარების ბუნებრივ, ევოლუციურ კალაპოტში ჩადგომას გულისხმობს⁴².

ცხადია არც ეს პროცესი გამოირჩევა ერთგვაროვნებით, რის შესახებაც ზემოთაც გვქონდა საუბარი, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ არსებული თეორიული შეხედულებების განვითარებას შევხებით, მაგრამ ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო დაწვრილებით შევეცდებით განვიხილოთ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი და ამ პროცესში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებები.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია სახელმწიფო საკუთრების - კერძო საკუთრებით, გეგმიური ეკონომიკის – მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლებით შეცვლას, პირადი ინტერესის წახალისებას, კონკურენციის ელემენტების შემოტანასა და განმტკიცებას, და რაც მთავარია სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში უშუალო ჩარევის "ბაზრის ფიასკოს" განეიტრალებით შეცვლას გულისხმობს.

როგორც ე.წ. "კაპიტალისტური იდეოლოგიის" ანალიზისას ვნახეთ, მთავარი "ვე-შაპი", რომელზეც საბაზრო ეკონომიკა დგას კერძო საკუთრებაა, ანალოგიურად სახელმწიფო საკუთრებაზეა დაყრდნობილი მრძანებლური ეკონომიკა. ამდენად უმთავრესი პრობლემა, რომელიც ტრანსფორმაციის პროცესში ჩნდება არის სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო საკუთრებაზე გადასვლა. მიუხედავად იმისა, ანალოგიური პროცესები საკმაოდ გავრცელებულია დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოებში და არსით ისიც სახელმწიფო ქონების გაყიდვაა და თითქოს ერთი შეხედვით

⁴⁰ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი, რომ ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ქვეყნის ეკონომიკას უმჯობესია თუ მოვიხსენიებთ, როგორც "ეროვნულ ეკონომიკას", მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვფიქრობთ უმჯობესია, თუ იმ დროისა და იდეოლოგიისათვის დამახასიათებელ ტერმინს გამოვიყენებთ.

⁴¹ მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ეს პროცესი (პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია) 1990 წლის 1 იანვრიდან (ფიშერი, 1996, გვ. 6), პოლონეთში რადიკალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელების დაწყებისას იწყება.

⁴² დღეს ამ პროცესში ჩაბმულია ყოფილი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის, აღმოსავლეთ ევროპის, აზიისა და აფრიკის სახელმწიფოები (ჩინეთი, მონღოლეთი, ვიეტნამი, ანგოლა, ეთიოპია, მოზამბიკი) (ფიშერი, 1996, გვ. 5).

პრივატიზაციის იდენტურია, სინამდვილეში პრივატიზება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში გარდა წმინდა ტექნიკური, საინჟინრო პროცესისა, როდესაც ამა-თუ იმ ობიექტს ეცვლება მესაკუთრე, არის ფსიქოლოგიური და ინსტიტუციონალური პროცესი. ამ დროს, გარდა იმისა, რომ ობიექტი იცვლის მეპატრონეს, საზოგადოებაში ჩნდება სრულიად ახალი ფენა – მესაკუთრეები, რომლებზეც დიდადაა დამოკიდებული როგორც ეკონომიკის განვითარება, ასევე სოციალური ფონი.

სხვადასხვა სახელმწიფოში პრივატიზების სხვადასხვა ფორმა იქნა შერჩეული და გამოყენებული. თუმცა ამ პროცესის ფორმების გარკვეული კლასიფიკაცია შეიძლება, კერძოდ (ვ. პაპავა, 1995ა, გვ. 70-71):

1. სახელმწიფო ქონების მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ დარიგება;
2. სახელმწიფო ქონების შრომითი კოლექტივებისათვის უსასყიდლოდ დარიგება;
3. სახელმწიფო ქონების შესყიდვა შრომითი კოლექტივების მიერ;
4. სახელმწიფო ქონების გაყიდვა.

შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო მათი სხვადასხვა კომბინაციაც. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში პრივატიზაცია წარიმართა პროცესის ეკონომიკური ბუნების გაუთვალისწინებლად, პოპულისტური მეთოდებით, რამაც საბოლოო ჯამში, ჩვენი აზრით "დათვური სამსახური" გაუწია, როგორც ახლად გაჩენილ მესაკუთრეებს, ასევე ეკონომიკას მთლიანად⁴³.

შემდეგი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც პოსტკომუნისტურმა ტრანსფორმაციამ დააყენა დღის წესრიგში იყო **გეგმიური ეკონომიკის – მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლებით შეცვლის აუცილებლობა**. საჭირო გახდა მოსახლეობას მიეღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომელსაც ადრე ვერ იღებდნენ და გაეწიათ რისკი, რომელიც ადრე არ ჰქონდათ (Тыпой, 1999. с. 56), ცხადია, პროცესი საკმაოდ რთული, მაგრამ აუცილებელია.

ძირითადად ფსიქოლოგიურია **პირადი ინტერესის წახალისება**, თუმცა მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რამეთუ სწორედ ეს პროცესი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა შეიძლება გახდეს. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყებამდეც კი

⁴³ ამ საკითხებზე დაწვრილებით საუბარი ქვემოთ გვექნება, როდესაც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესებს საქართველოს მაგალითზე განვიხილავთ.

საზოგადოებაში მახინჯი ფორმებით, მაგრამ მაინც არსებობდა "ჰომო ეკონომიკუს"-ი, რომელიც თავის ქმედებაში საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს: როგორც მომხმარებელი ცდილობს რაციონალური ქმედებებით გაზარდოს სარგებლიანობა, ხოლო როგორც მეწარმე⁴⁴ – მოგება, შემდგომში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის წყალობით მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა, თუმცა სამწუხაროდ, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და გადაწყვეტილებების მიღებაზე ისინი ზეგავლენას ჯერ კიდევ ვერ ახდენენ. ჯერ კიდევ ბევრია საზოგადოებაში ისეთი ადამიანი, რომელსაც ქვეცნობიერად კვლავ ეშინია სახელმწიფოსი და ისევ სახელმწიფო-საგან ელის დახმარებას, თუმცა აშკარაა მისი შეხედულებებისა და ქცევების ცვლილება და დემოკრატიული პრინციპების მოთხოვნა. ასეთი ადამიანი "ჰომო ტრანსფორმატიცუს"-ი (პაპავა, 1999ბ, გვ. 18; პაპავა, 1996A, პპ. 260-262; 1996B, პპ. 307-309; პაპავა, ჩვიკოვანი (ედ.), 1997, პპ. 9-11) პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ძირითადი მამოძრავებელია (პაპავა, 1999ბ, გვ. 18). ამდენად რაც უფრო მალე აღმოიფხვრება "ჰომო სოვიეტიკუს"-ი, შემცირდება "ჰომო ტრანსფორმატიცუს"-ის რაოდენობა და საზოგადოებასა და პოლიტიკაში განმსაზღვრელი "ჰომო ეკონომიკუს"-ი გახდება, მით უფრო მალე და წარმატებით დასრულდება ტრანსფორმაციის პროცესი. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ყველა დანარჩენი ფაქტორი ამ პროცესის მხოლოდ დაჩქარებას ან დამუხრუჭებას ემსახურება და მათ გარკვეულწილად მეორეხარისხოვანი როლი ენიჭებათ.

კონკურენციის ელემენტების შემოტანა და განმტკიცება – ასევე ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამეთუ კონკურენცია უნდა გახდეს ტრანსფორმირებადი ეკონომიკური სისტემის სტრუქტურის და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში მისი ადგილის დამამკვიდრებელი უმთავრესი მექანიზმი. სამწუხაროდ, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ყოველგვარი მისაღები და მიუღებელი ფორმებით ცდილობენ კონკურენციის შეზღუდვას, განსაკუთრებით ეს უცხოური ანალოგებისაგან თავის დაცვას ეხება, რასაც "ბაზრის დაცვის" მიზნით აკეთებენ. ჯერ კიდევ მძლავრობს პროტექციონისტული

⁴⁴ მიუხედავად იმისა, რომ საუბარი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებამდე, მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ ეკონომიკას შეეხება, იმ დროსაც კი იყვნენ "მეწარმეები", რომლებიც ძირითადად "ჩრდილოვან ეკონომიკაში" (მ.შ. ლეგალური, სახელმწიფო საწარმოების "ჩრდილოვან" ნაწილში) მოღვაწეობდნენ (პაპავა, K3ადური, 1997).

ელემენტები, თუმცა მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების შეუქცევადი პროცესი და "რკინის ფარდის" ჩამოხსნა ხელოვნურ ბარიერებს მოხსნის.

კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, არის **სახელმწიფოს მიერ მისთვის ჩვეული ფუნქციების შესრულების დაწყება და უშუალო სამეურნეო ფუნქციების ჩამოცილება.**

თავად პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში სახელმწიფოს დამატებით უხდება გარკვეული პროცესების მართვაში მონაწილეობის მიღება და ექვსი ტიპის ღონისძიებათა კომპლექსის გატარება (Lიპტონ, შაცჰს, 1990):

1. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია;
2. ფასების ლიბერალიზაცია;
3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეროვნული ვალუტის მიმდინარე ოპერაციების მიხედვით კონვერტირების უზრუნველყოფა;
4. საწარმოთა რეფორმა (პრივატიზების გზით);
5. სოციალური უზრუნველყოფის ქსელის შექმნა;
6. საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციონალური სამართლებრივი სტრუქტურის (მ.შ. საბაზრო საფინანსო სისტემის) ფორმირება.

იმის გამო, რომ ბაზარი ჯერ კიდევ არ არსებობს და სახელმწიფოს არ შეუძლია ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობების მომზადება ჯერ კიდევ არარსებულ სისტემას დაავალოს და თავად გვერდზე გადგეს, სახელმწიფოს უხდება საბაზრო მექანიზმებისათვის თავადაც მოემზადოს და სისტემაც მოამზადოს.

ამდენად ტრანსფორმაციის პროცესი, რომელზეც ზემოთ გვექონდა საუბარი და სახელმწიფო საკუთრების - კერძო საკუთრებით, გეგმიური ეკონომიკის - მეწარმეობისა და არჩევანის თავისუფლებით შეცვლას, პირადი ინტერესის წახალისებას, კონკურენციის ელემენტების შემოტანასა და განმტკიცებას და სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში უშუალო ჩარევის "ბაზრის ფიასკოს" განეიტრალებით შეცვლას მოიცავს, თვითდინებით ვერ განხორციელდება და სახელმწიფოს მხრიდან დამატებით ზემოთდასახელებული ექვსი ტიპის ღონისძიებათა გატარებას საჭიროებს.

აღნიშნული ღონისძიებები ტრანსფორმაციის კონკრეტული მიმართულებების განხორციელების გზაა, რამეთუ ვინ თუ არა სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საკუთ-

რებითი ურთიერთობების შეცვლაზე, კონკურენციის დაცვაზე, ადამიანის კერძო ინტერესის წახალისებაზე და ა.შ.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყება ბევრ სახელმწიფოში უმძიმეს მაკროეკონომიკურ ფონზე მოხდა. სხვადასხვა ობიექტურმა და სუბიექტურმა პირობებმა ეკონომიკის ვარდნა, ინფლაციის მაღალი ტემპები, უმუშევრობა გამოიწვიეს, რაც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყებისთანავე მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის აუცილებლობას იწვევს. რაც შესაბამისი მაკროეკონომიკური პოლიტიკით უნდა გახდეს შესაძლებელი.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და მისი შედეგების კლასიფიკაცია სამი ცვლადის – გადაწყვეტილებების მიღების სისწრაფის, დროში განაწილებისა და რეალიზაციის ტემპების მეშვეობით შეგვიძლია ორ ძირითად ჯგუფად (Бальцерович, 1999, с. 164):

1. რადიკალური და კომპლექსური ეკონომიკური პროგრამა – რომლის თანახმადაც სტაბილიზაცია, ლიბერალიზაცია და ინსტიტუციონალური გარდაქმნა მეტნაკლებად ერთდროულად იწყება და მაქსიმალურთან მიახლოებული ტემპებით მიმდინარეობს;
2. არარადიკალური ეკონომიკური პროგრამები – როცა სტაბილიზაცია და ინსტიტუციონალური გარდაქმნები არ მიმდინარეობს სინქრონულად, ან ისინი ხორციელდება შესაძლებელზე უფრო ნელი ტემპებით ან წყდება.

შესაბამისად, ჩვენ ”შოკურ თერაპიას” და გრადუალიზმზე (პაპავა, 1999ა) შეგვიძლია ვისაუბროთ.

”შოკური თერაპია”, ანუ ”დიდი დარტყმა”⁴⁵ (Кოწალიკ, 1994, პ. 116) გულისხმობს მოკლე დროში რადიკალურ გარდაქმნათა რაოდენობის მაქსიმიზებას, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას ან მინიმიზებას და მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას (პაპავა, 1999ა, გვ. 122).

”შოკური თერაპიის” განხორციელების ქრესტომათიული მაგალითებია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი დასავლეთ გერმანია (Эрхард, 1991), და პოსტკომუნისტური პოლონეთი (პაპავა, 1999ა; Бальцерович, 1999).

”გრადუალისტები” მხარს უჭერენ თანდათანობით გარდაქმნას. ”გრადუალისტური” რეფორმების საუკეთესო მაგალითია ჩინეთი, სადაც შენარჩუნებულია კომუნისტური იდეოლოგია და კომუნისტური პარტიის მმართველობა (პაპავა, 1999ა, გვ. 123). ამასთან ჩინეთის ეკონომიკა განუხრელად იზრდება (Стиглиц, 1997), რაც ერთი შეხედვით ჩინური გზის წარმატებებზე მეტყველებს, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩინეთის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გავრცობა სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებზე პრაქტიკულად შეუძლებელია⁴⁶ და ამდენად წარმატებული რეფორმირების ერთადერთ აპრობირებულ გზად სწორედ თანმიმდევრულად განხორციელებული ”შოკური თერაპია” მიგვაჩნია.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნების დიდ ნაწილს ერთდროულად ორი მნიშვნელოვანი პრობლემის: დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება პარალელურად უწევდა. ამდენად არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალება არ იძლეოდა ამ პროცესების დამოუკიდებლად წარმართვის საშუალებას და თითქმის ყველა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ დახმარებისათვის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს, უპირველეს ყოვლისა კი საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს მიმართა, ამდენად ამ ქვეყნებში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ზემოთგანხილულ წანამდღვრებთან ერთად პოლიტიკის ფორმირებაში უდიდესი წვლილი მსოფლიო საფინანსო წესრიგის განმსაზღვრელმა ორგანიზაციებმა შეიტანეს (პაპავა, 2000გ). რომელთა დამსახურებადაც უნდა მივიჩნიოთ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის წარმართვისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი როგორც მეთოდური და მეთოდოლოგიური, ასევე ფინანსური დახმარება და სხვადასხვა პოსტკომუნისტური ქვეყნის ხელისუფალთა მეტნაკლებად კოორდინირებული ქმედებები.

⁴⁵ “Вог Ванг” ; “Большой удар”.

⁴⁶ ეს შეუძლებელია ჩინეთის რამდენიმე უპირატესობის გამო, რომელიც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებს არ გააჩნიათ. კერძოდ, 1. ჩინელებს, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ღარიბად ცხოვრობენ, ნაცვლად იმისა, რომ გაზარდონ მოხმარება, ყოველწლიურად GDP-ის 40 %-ის ინვესტირებას აკეთებენ; 2. ჩინეთს ჰყავს სტაბილური მთავრობა, რომელიც ახერხებს რეფორმების თანმიმდევრობით განხორციელებას და არ გადაუხვევს რეფორმების გზას; 3. “ამერიკელი” ჩინელები – კაპიტალისტურ სამყაროში გამოცდილებამიღებული მენეჯერები საკმაოდ მრავალრიცხოვანი დიასპორიდან, რომლებიც სამუშაოდ ბრუნდებიან ჩინეთში; 4. ჩინეთის სამუშაო ძალის მხოლოდ 18% მუშაობდა მსხვილ სახელმწიფო ობიექტებზე (მაშინ როცა რუსეთში იგივე მაჩვენებელი 93%-ია) (Турой, 1999. сс. 67-73). ყოველივე ეს ადასტურებს, რომ შეუძლებელია სხვა ქვეყნებში ჩინური გზის გავლა, თუნდაც ერთი მიზეზის გამო,

თავი 2. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლები

2.1. მაკროეკონომიკური ინდიკატორები და მათი გაზომვის მეთოდები

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება წარმოდგენილია ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის რეალური შესწავლის გარეშე, რომელიც თავის მხრივ ზუსტი ინფორმაციის არსებობას ემყარება.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ზუსტ ანალიზს, ასევე ეკონომიკური მიზნების შესაძლო მიღწევის შემთხვევაში მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს. ამდენად ინდიკატორებს, რომლებიც მაკროეკონომიკური პოლიტიკისათვის აუცილებელ ეკონომიკურ (მ.შ. სტატისტიკურ) ინფორმაციას მოგვაწვდიან, და რომელსაც **მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს** ვუწოდებთ, სწორი, ოპტიმალური და ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მხოლოდ მაკროეკონომიკური ინდიკატორების მეშვეობითაა შესაძლებელი ეკონომიკისათვის “ზუსტი დიაგნოზის დასმა” და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შერჩევისა და გატარების შემთხვევაში შესაძლო შედეგების განჭვრეტა.

სახელმწიფოს ეკონომიკური მიზნების ფონზე განვიხილავთ ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, მათი გამოთვლისა და გაზომვის მეთოდებს.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ თუ მაკონელისა და ბრიუს ფორმულირებით ვისარგებლებთ, უმთავრეს ეკონომიკურ მიზნებად უნდა მივიჩნიოთ (Макконелл, Брю, 1992. сс. 23-24., Макконелл, Брю, 1999, стр. 8):

- ეკონომიკური ზრდა;
- სრული დასაქმება;
- ეკონომიკური ეფექტიანობა;
- ფასების სტაბილური დონე;
- ეკონომიკური თავისუფლება;

რომელსაც ხელისუფლების არასტაბილურობა ჰქვია და შეუძლებელი ხდება რეფორმების თანმიმდევრული პოლიტიკური უზრუნველყოფა (პაპავა, 1999ა, გვ. 123; Папава, 2000).

- შემოსავლების სამართლიანი განაწილება;
- ეკონომიკური უზრუნველყოფა;
- სავაჭრო ბალანსი.

თითოეული ამ მიზნის მიღწევა სახელმწიფოსაგან გარკვეული ღონისძიებების გატარებას გულისხმობს და თითოეული მიზნის მიღწევაც შესაბამისი ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევით დასტურდება. ცხადია არის მიზნები, რომელთა შედეგის ზუსტი ფორმალიზება და დათვლა შეუძლებელია (მაგალითად, ეკონომიკის თავისუფლება, ეკონომიკური ეფექტიანობა), მაგრამ ზოგადად სწორედ მაკროეკონომიკური ინდიკატორები ასახავენ ეკონომიკური მიზნების მიღწევის ხარისხს.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიზანი *სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევაა*. ეკონომიკური ზრდა კი ვლინდება ისეთი უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური ინდიკატორის ცვლილებაში, როგორცაა GDP.

თუ უმთავრესი ეკონომიკური მიზნებიდან გამოვალთ, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას და მაკროეკონომიკური პროცესების ანალიზისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ინდიკატორი არის GDP-ის ზრდის ტემპი. რომელიც გაიანგარიშება როგორც საანგარიშო და მისი წინა წლის GDP-ის სხვაობა, რომელიც წინა წლის GDP-ის მოცულობასთანაა დაპროცენტებული.

$$\Delta GDP = \frac{GDP_1 - GDP_0}{GDP_0} \times 100\%;$$

სწორედ აღნიშნული მაჩვენებელი გამოიყენება ყველაზე ხშირად ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზისათვის. თუ $\Delta GDP > 100\%$ -ზე ეკონომიკა იზრდება, ხოლო თუ იგი 100%-ზე ნაკლებია ეკონომიკაში დაცემაა.

ნათლად ჩანს, რომ უმთავრესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე უფრო ნათელ და სრულყოფილ წარმოდგენას იძლევა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე არის GDP.

ეკონომიკურ ლიტერატურაში GDP-ს რამდენიმე განმარტებაა ცნობილი, კერძოდ, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის გრეგორი ნ. მენქიუს განმარტებით *GDP არის ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება, რომელიც ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში იწარმოება* (მენქიუ, 2000, გვ. 639; Мэнкью, 1994, с. 58-65; Мэнкью, 1999, с. 481). ამასთან, როგორც წესი, დროის პერიოდად

აღებულია კალენდარული წელი. პრაქტიკულად ანალოგიურად განმარტავენ GDP-ს რ. დორნბუში და ს. ფიშერი (Дорнбуш, Фишер, 1997, с. 19).

არც სხვა ავტორები განმარტავენ GDP-ს რადიკალურად განსხვავებულად, მაგრამ გარკვეული ტექნიკური და რედაქციული განსხვავება მაინც არის. კერძოდ, ჯ. საქსისა და ფ. ლარენის რედაქციით *GDP ქვეყნის საზღვრებში, დროის გარკვეულ პერიოდში საბოლოო საქონლისა და მომსახურების მიმდინარე წარმოების ჯამური შეფასება* (Сакс, Ларрен, 1999, с. 39).

მაკონელი და ბრიუ აზუსტებენ რესურსების (მ.შ. შრომითი რესურსების) წარმომავლობას და აცხადებენ, რომ *GDP არის ქვეყნის შიგნით წლის განმავლობაში წარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულება, მიუხედავად იმისა, რომელი ქვეყნის რესურსებით იქნა იგი წარმოებული* (Макконнелл, Брю, 1992, с. 133; 1999, с. 132).

ოდნავ განსხვავებული ინტერპრეტაციით განმარტავენ GDP-ს მ. ბურდა და ჩ. ვიპლოში. მათ აქვთ GDP-ს 3 განმარტება (Бурда, Виплош, 1998, сс. 28-29), რომლებიც გამომდინარეობს GDP-ს გაანგარიშების სახეებიდან. მათი აზრით:

- GDP არის ცალკეული გეოგრაფიული ტერიტორიის საზღვრებში წმინდა საბოლოო გაყიდვების ჯამი;
- GDP არის ცალკეული გეოგრაფიული ტერიტორიის საზღვრებში შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამი;
- GDP არის ცალკეული გეოგრაფიული ტერიტორიის საზღვრებში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ფაქტორული შემოსავლების⁴⁷ ჯამი;

ჩვენი აზრით ბურდასა და ვიპლოშის რედაქციიდან დაზუსტებას საჭიროებს რამდენიმე ასპექტი, კერძოდ, სხვა განმარტებებისაგან განსხვავებით საუბარია გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სახელმწიფო (GDP-ს გამოანგარიშების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა), ისე მისი გარკვეული ნაწილი (შტატი, ოლქი, რეგიონი, ქალაქი და ა.შ.) და ასევე სახელმწიფოთა გაერთიანება (მაგალითად, ევროპის კავშირი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) (Бурда, Виплош, 1998, сс. 28-29). მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც GDP-ის სახელმწიფოს გარკვეულ ტერიტორიაზე

გაანგარიშებას ეხება, როგორც ცნობილია ხარჯების მიხედვით GDP-ის გაანგარიშებისას GDP-ის მოცულობის კორექტირება ხდება ექსპორტისა და იმპორტის მოცულობებით, კერძოდ GDP-ის ემატება ექსპორტის მოცულობა და აკლდება იმპორტი. რაც ართულებს სახელმწიფოს გარკვეული ტერიტორიული ერთეულების მიხედვით GDP-ის გაანგარიშებას, თუ თეორიულად მაინც შესაძლებელია გარკვეულ ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის დათვლა, პრაქტიკულად შეუძლებელია ამავე ტერიტორიაზე მოხმარებული იმპორტული პროდუქციის რაოდენობის განსაზღვრა. ამდენად, ჩვენი აზრით ქვეყნის ცალკეული ტერიტორიული ერთეულების მიხედვით GDP-ის გაანგარიშება შესაძლებელია მხოლოდ ტერიტორიაზე შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამით.

განასხვავებენ GDP-ს გაანგარიშების დანახარჯებისა და შემოსავლების მეთოდებს (Макконнелл, Брю, 1992, с. 135-142; 1999, с. 134-141), თუმცა პრაქტიკაში მიღებულია წარმოების მეთოდიც (ОВИ, 1999, с. 9). ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ თითოეულ მათგანს. მანამდე კი დავაზუსტებთ, რომ GDP-ს გაანგარიშებისას შეფასება ხდება ფულად ერთეულში და გამორიცხულია ორმაგი აღრიცხვა (ანუ აღრიცხება მხოლოდ საბოლოო პროდუქცია, ხოლო შუალედური მოხმარება გამოირიცხება, რათა არ მოხდეს GDP-ს მოცულობის ხელოვნური, დაუსაბუთებელი ზრდა).

GDP-ს მოცულობაში არ შეიტანება ნახმარი საქონლით ვაჭრობა და ფინანსური ოპერაციები, რომლის შემადგენლობაშიც განიხილება სახელმწიფო ტრანსფერტული გადახდები (პენსიები, დახმარებები და ა.შ.), წმინდა ტრანსფერტული გადახდები (ერთი კერძო პირიდან მეორესათვის საჩუქრის გადაცემა ან სტიპენდია) და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები.

GDP-ს გაანგარიშების ყველაზე გავრცელებული ფორმაა დანახარჯების მეთოდით მისი გაანგარიშება (Макконнелл, Брю, 1992. сс. 139; Макконнелл, Брю, 1999. сс. 139,), რომლის თანახმადაც

$$GDP = B + I_g + G + X_g \quad (1)$$

სადაც, B – არის პირადი სამომხმარებლო ხარჯები;

I_g – ერთობლივი კერძო სამამულო ინვესტიციები;

G – სახელმწიფო შესყიდვები;

⁴⁷ “ფაქტორულ შემოსავლებს” განეკუთვნება წარმოების ფაქტორებიდან მიღებული შემოსავალი;

X_6 – წმინდა ექსპორტი.

აღსანიშნავია რომ, ზოგიერთ ავტორთან (მაგალითად, МЭНХЬЮ, 1994, с. 71) GDP აღნიშნულია Y სიმბოლოთი, ხოლო საქსი და ლარენი ნაცვლად $C+I_8+G+X_6$, იყენებენ შედარებით უფრო გართულებულ ფორმულას, რომელშიც ”მთავარ მოქმედ პირად” გამოდის P – ფასები (Сакс, Ларрен, 1999, с. 42) და (1) ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$GDP=P_C C+P_I I+P_G G+(P_X X-P_M IM) \quad (2)$$

ცხადია, არსით (1) და (2) ერთიდაიგივე მოვლენას ასახავს, ამიტომ ჩვენ (1)-ს განვიხილავთ, რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება ეკონომიკურ ლიტერატურაში.

ზოგიერთი ნაშრომში სახელმწიფო შესყიდვები და პირადი სამომხმარებლო ხარჯები გაერთიანებულია საბოლოო მოხმარებაში (ОВИ, 1999, с. 10).

დაწვრილებით განვიხილოთ (1)-ის ელემენტები:

C – პირადი სამომხმარებლო ხარჯები, სხვა არაფერია თუ არა დროის პერიოდში ქვეყანაში პირადი მოხმარებისათვის გამოყენებული ხანგრძლივი (ავტომანქანა, სახლი და ა.შ.) და ხანმოკლე (სურსათი, ტანსაცმელი) მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების (იურისტის, ექიმის, ხელოვანის და ა.შ) ღირებულება;

I_8 – ერთობლივი კერძო სამამულო ინვესტიციები. აღნიშნული ტერმინი აერთიანებს ქვეყნის შიგნით ადგილობრივი სახსრებით ყველა მანქანა-დანადგარის შექმნას, შენობის აშენებასა და მარაგების შეცვლას⁴⁸. გასათვალისწინებელია, რომ ინვესტიციებს განეკუთვნება მხოლოდ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა, შენობების აშენება და არა ფასიანი ქაღალდების შექმნა ან გასხვისება. დასაზუსტებელია ტერმინში სიტყვა ”ერთობლივი”, რომელიც ასახავს წლის განმავლობაში წარმოების პროცესში მოხმარებული მანქანა-დანადგარების შესაცვლელად განხორციელებულ ინვესტიციებსაც და ნებისმიერ ახლად განხორციელებულ ინვესტიციასაც, მაშინ როცა წმინდა კერძო სამამულო ინვესტიციები წლის განმავლობაში მხოლოდ კაპიტალის ნამატს აღნიშნავს (Макконнелл, Брю, 1999, с. 137).

⁴⁸ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაძლოა წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის ნაწილის რეალიზება ვერ მოხდეს და მან ნაცვლად მოხმარებლისა, მწარმოებლის ან რეალიზატორის საწყობში დაიდოს ბინა და სხვა რომელიმე წელს იქნეს გაყიდული, ამდენად, მარაგების აღრიცხვა GDP-ის გაანგარიშების ასევე უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

G – სახელმწიფო შესყიდვები ასახავს წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ყველა ხარჯს, გარდა ტრანსფერტული გადახდებისა. ცხადი ხდება, რომ შესაძლებელია სახელმწიფო და პირადი მოხმარების გაერთიანება, თუმცა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ანალიზისათვის ფრიად საჭირო ინფორმაციის მიღება შეიძლება თუ მათ ცალკე-ცალკე განვიხილავთ. სწორედ GDP-ში სახელმწიფო შესყიდვების წილის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევის ხარისხი.

X_წ – წმინდა ექსპორტი ასახავს იმ ოდენობას, რომლითაც უცხო სახელმწიფოთა დანახარჯები ადგილობრივ საქონელსა და მომსახურებაზე (ექსპორტი - **X**) აღემატება ადგილობრივ დანახარჯებს უცხოური საქონლისა და მომსახურების შეძენაზე (იმპორტი - **M**), ანუ $X_{წ}=X-M$, აღსანიშნავია, რომ ძალიან ბევრ სახელმწიფოში⁴⁹ **X_წ**-ის სიდიდე უარყოფითია და იგი ამცირებს GDP-ს მოცულობას.

შემოსავლების მეთოდით GDP-ს გაანგარიშების დროს გარკვეულ სირთულებთან გვაქვს საქმე, თუმცა მისი ფორმულირებაც შესაძლებელია, კერძოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დოკუმენტებში (OBI, 1999, c. 9) მოყვანილია ასეთი ფორმულა

$$GDP_{(საბაზრო ფასებით)} = GDP_{(ფაქტორული ღირებულებით)} + TSP = W + OS + TSP$$

სადაც, **W** – მუშებისათვის გადახდილი ხელფასი და სხვა წახალისებებია;

OS – საწარმოების საოპერაციო მოგებაა (მ.შ. საიჯარო გადასახადი, პროცენტი, ამორტიზაცია და მოგება);

TSP – გადასახადებს გამოკლებული პროდუქციის სუბსიდირებაზე ხელისუფლებისაგან მიღებული თანხები;

აღნიშნული მეთოდი არა მარტო საერთაშორისო სავალუტო ფონდის სამუშაო დოკუმენტებში გვხვდება. მაკონელი და ბრიუ უფრო დაწვრილებით განიხილავენ მას, მათი განმარტებით აღნიშნული მეთოდით გაანგარიშებისას ყურადღება უნდა მიექცეს ხელფასს, რენტას, პროცენტს, საკუთრებიდან შემოსავალს, კორპორაციათა მოგებასა და ირიბ გადასახადებს.

⁴⁹ მათ შორის ცხადია საქართველოშიც.

ხელფასი – მოიცავს როგორც შრომის ნებისმიერ ანაზღაურებას (ხელფასი, ჯამაგირი, დანამატი), ასევე დამქირავებლის შენატანებს სოციალურ, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა ფონდებში;

რენტა – არის ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების შემოსავალი, რომლებიც ახორციელებენ მატერიალური რესურსების მიწოდებას (მაგალითად მიწის ან ოფისის მიქირავებას). წმინდა რენტა არის რენტისა და მიქირავებული ობიექტის ამორტიზაციის სხვაობა;

პროცენტი – თანხაა, რომელსაც ფირმები უხდიან ფულადი კაპიტალის მიმწოდებლებს (მაგალითად, პროცენტი ანაბარზე, კორპორაციების ანაბარზე), აქ არ გაითვალისწინება სახელმწიფოს მიერ გადახდილი პროცენტები;

შემოსავალი საკუთრებიდან – მოიცავს შემოსავალს ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობიდან;

კორპორაციის მოგება – გამოიყენება 3 მიმართულებით: *მოგების გადასახადის* გადასახდელად, *დივიდენდების* დასარიგებლად და *გაუნაწილებელ მოგებად* (ანუ მოგების ნაწილი მიიმარტება ინვესტიციების სახით).

ირიბი გადასახადები – განიხილება როგორც წარმოების ხარჯები და შეიტანება პროდუქციის ფასში. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ იგი არაფაქტორული შემოსავალია და ამდენად არ უნდა შეიტანებოდეს ერთობლივ შემოსავალში (Макконнелл, Брю, 1999, с.141), თუმცა როგორც უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი, ირიბ გადასახადებს იხდიან წარმოების მე-5 ფაქტორის გამოყენებისათვის (პაპავა, 1995. გვ. 21-23; Папава, 1993Б, 37-38; Гრიფფიტს, ჭალლ, 1997. პ.358), ამდენად იგი ასევე ფაქტორულ შემოსავლებს განეკუთვნება.

ამორტიზაცია – ძირითადი კაპიტალის გამოყენებისათვის გაწეული ხარჯია.

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც გამოიყენება GDP-ს გაანგარიშების დროს არის წარმოების მეთოდი, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ სახელმწიფოში *ეროვნულ ანგარიშთა სისტემები* გამოიყენება (ОБИ, 1999, с. 9). ამ მეთოდის შესაბამისად GDP *უდრის ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ დამატებულ ღირებულებას* ანუ ეს არის წარმოების მოცულობის ღირებულებასა და წარმოების პროცესში გამოყენებული ყველა საქონლისა და მომსახურების ღირებულებას (ანუ შუალედურ მოხმარებას) შორის სხვაობა.

$$GDP = \sum VA \quad (4)$$

სადაც VA – დამატებული ღირებულება⁵⁰.

GDP-ს მოცულობა და მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია საფუძვლად უდევს სხვა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია GNP⁵¹ – **ერთობლივი ეროვნული პროდუქტი**, რომელიც განიმარტება, როგორც *ყველა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება, რომელიც იწარმოება ქვეყანაში, წლის განმავლობაში* (Макконнелл, Брю, 1999, სს. 142, ც-2). ოდნავ განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს მენქიუს, რომლის თანახმადაც GNP – *ქვეყნის მოქალაქეების მიერ დროის გარკვეულ პერიოდში წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულების ჯამია*⁵² (Мэнкью, 1999, ს. 483). ანუ GNP – არის რეზიდენტების მიერ, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულების ჯამი.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემების მიხედვით, რომელიც პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს მაკროეკონომიკურ ანგარიშგებას უდევს საფუძვლად, ეკონომიკური ანალიზის დროს პრაქტიკულად აღარ გამოიყენება ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორი, როგორცაა GNP – **ერთობლივი ეროვნული პროდუქტი**, მის ნაცვლად დღეისათვის გამოიყენება **ერთობლივი ეროვნული შემოსავალი GNI**⁵³ (ОБИ, 1999, ს. 10). აღნიშნული ინდიკატორის გაანგარიშებას GDP-ისაგან განსხვავებით, საფუძვლად უდევს არა ტერიტორიული და საქონლისა და მომსახურების წარმოების, არამედ *ეროვნული*⁵⁴ და მიღებული შემოსავლის პრინციპები. რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთობლივ მოთხოვნას, როგორც ბაზარზე სტაბილურობის განმსაზღვრელ

⁵⁰ ინგლისურად “*Value Added*”.

⁵¹ ინგლისურად “*Гросс Национал Продукт*”.

⁵² აბსოლუტურად განსხვავებული განმარტებაა მენქიუს ქართულ გამოცემაში, რაც ვფიქრობთ, თარგმანის არასრულფასოვნებაზე მიუთითებს. კერძოდ, ქართული გამოცემის მიხედვით GNP “*დროის მოცემულ პერიოდში ქვეყანაში მისი მოქალაქეების მიერ წარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულება*” (მენქიუს, 2000, გვ. 641), ამ განმარტების თანახმად GNP არ მოიცავს ამ ქვეყნის რეზიდენტების მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას.

⁵³ “*Гросс национал инCOME*”.

⁵⁴ ამ შემთხვევაში ინგლისური “*Национальный*” და შესაბამისად ქართული “*ეროვნული*” ნამდვილად არ მოიცავს თავის თავში ეთნიკურ წარმომავლობას და გულისხმობს მოქალაქეობასა და რეზიდენტობას.

ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს, ამ შემთხვევაში, ცხადი ხდება, რომ მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული დამატებული ღირებულება და შესაბამისად აქედან მიღებული შემოსავლები, მაშინ როცა ღია ეკონომიკის პრინციპები მოქმედებენ, სრულად ვერ აყალიბებენ ერთობლივ მოთხოვნას და მის ფორმირებაში ქვეყნის ფარგლებს გარედან მიღებული შემოსავლები, ხშირ შემთხვევაში ლომის წილს ასრულებენ⁵⁵.

GNI-ის გაანგარიშებისათვის GDP-ის აკლებენ არარეზიდენტების მიერ ქვეყნის შიგნით მიღებულ შემოსავლებს და უმატებენ არარეზიდენტი საწარმოების მიერ რეზიდენტებისათვის გადასახდელ თანხას. GNI-სა და GDP-ს შორის სხვაობას "საზღვარგარეთიდან წმინდა ფაქტორულ⁵⁶ შემოსავლებს" - Y_g -ს უწოდებენ (OBI, 1999, cc. 10-11).

$$GNI = GDP + Y_g \quad (5)$$

Y_g -ს შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა.

იმის გამო, რომ ძალიან ბევრი ქვეყნის სტატისტიკური ორგანო (მათ შორის, სამწუხაროდ, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც) ვერ ახერხებს GNI-ის დათვლას, ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრად GDP რჩება.

გარკვეული მიზეზების გამო GDP-ც სრულად ვერ ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას: აქ უწინარეს ყოვლისა აღურიცხავი ეკონომიკის, ე.წ. "ჩრდილოვანი ეკონომიკის" არსებობაზე უნდა ვისაუბროთ, რომელიც ცხადია უშუალოდ არ ხვდება GDP-ს აღრიცხვაში, მაგრამ მონაწილეობს როგორც ერთობლივი მოთხოვნის, ასევე ერთობლივი მიწოდების ფორმირებაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც GDP-ს დავუბრუნდებით, და მისგან წარმოებულ და მასზე "მიბმულ" მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს განვიხილავთ.

⁵⁵ ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია იმ სახელმწიფოებისათვის, სადაც მაღალი უმუშევრობაა და სამუშაო ძალის მიგრაციას აქვს ადგილი. ასეთ სახელმწიფოებში (და მათ შორის საქართველოშიც) საზღვარგარეთიდან მიღებული შემოსავლები ათეულობით ათასი ოჯახის არსებობის ერთადერთი წყარო და შესაბამისად მათი მოთხოვნის განმსაზღვრელია.

⁵⁶ ამ შემთხვევაში საუბარია "წარმოების ფაქტორებზე" (მიწა, შრომა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი), რომლის ექსპორტიც სახელმწიფო დებულობს ე.წ. "ფაქტორულ შემოსავლებს". როგორც წესი "ფაქტორულ შემოსავლებში" დიდი ადგილი უკავია შემოსავლებს ინვესტიციებიდან (დივიდენდებისა და პროცენტების სახით), რაც შეეხება ხელფასიდან შემოსავლებს, ოფიციალურ სტატისტიკაში იგი ნაკლებად ხვდება, რადგან ამა თუ იმ ქვეყანაში სხვა ქვეყნის მოქალაქე გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ (როგორც წესი, ნახევარ წელს დამატებული ერთი დღე) ხდება ქვეყნის რეზიდენტი, ამიტომ მის მიერ ამის

მათგან ზოგიერთი, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი უმჯობესია მაკონ-ელისა და ბრიუს რედაქციით განვიხილოთ (Макконнелл, Брю, 1992, сс. 141-143; Макконнелл, Брю, 1999, сс. 141-143;), თუმცა პრაქტიკულად ანალოგიურადაა ისინი განმარტებული სხვა ავტორების მიერაც (მაგალითად, მენქიუ, 2000, გვ. 643; Мэнкью, 1999, сс. 484-485;)

NDP – წმინდა სამამულო პროდუქტი⁵⁷ არის GDP-ის გამოკლებული წარ-მოებული პროდუქციის ის მოცულობა, რომელიც მიიმართა წარმოების პროცესში გამოყენებული ძირითადი საშუალებების აღსადგენად;

NI – ეროვნული შემოსავალი⁵⁸ არის ის შემოსავალი, რომელსაც იღებენ რესურ-სების მიმწოდებლები GNP-ის წარმოებაში შეტანილი წვლილისათვის. იგი უდრის GNP-ს, იმ გადახდების გარეშე, რომელიც დაკავშირებულია არარეზიდენტების მიერ ქვეყანაში მიღებულ შემოსავლებთან და წმინდა შემოსავლებთან;

PI – პირადი შემოსავალი⁵⁹ არის მოქალაქეების ხელთ არსებული შემოსავლები, საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე და განსხვავდება ეროვნული შემოსავლისაგან გადახდილი სოციალური და სხვა სახის ანარიცხებით, გადასახადებით და დამატებული წმინდა ტრანსფერტული გადასახდელები.

DI – ხელთარსებული (წმინდა) პირადი შემოსავალი⁶⁰ საშემოსავლო გადასა-ხადის გადახდის შემდეგ საოჯახო მეურნეობებში დარჩენილი შემოსავალი.

გვსურს დავაზუსტოთ, რომ ჩვენი კვლევის ძირითადი საგანი იქნება GDP, რომლის სრულყოფილი ანალიზის შემთხვევაში ეკონომიკის მეტნაკლებად ზუსტად შესწავლაა შესაძლებელი და ეკონომიკის განვითარების გზებისა და შესაბამისი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაც უფრო ნაყოფიერი იქნება.

უფრო სრულყოფილი მაკროეკონომიკური ანალიზისათვის ჩვენ ვთავაზობთ ახალ ინდიკატორს - GDP-ის საშუალო მაჩვენებლის გაანგარიშება გარკვეული ფართობების მიხედვით (მაგალითად, 1 კმ², ან 1000 კმ² და ა.შ.). აღნიშნული ინდიკატორი საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ ქვეყნის ტერიტორიის ათვისების ხარისხი,

შემდეგ მიღებული ის შემოსავალიც კი, რომელსაც იგი ოჯახს უგზავნის, შემოსავლის მიღების ადგილის სახელმწიფოს GDP-ში და GNI-ში ითვლება.

⁵⁷ ინგლისურად “ნეტ დომესტიკ პროდუქტ”.

⁵⁸ ინგლისურად “ნაციონალ ინკომე”.

⁵⁹ ინგლისურად “პერსონალ ინკომე”.

⁶⁰ ინგლისურად “დისპოსაბლე ინკომე”.

ეკონომიკის ინტენსიურობის მაჩვენებელი და ხელისუფლებისათვის იგი ტერიტორიულ ჭრილში ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მაკროეკონომიკური პრობლემების მოგვარების კარგი ინდიკატორი იქნება.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის დროს ანალოგიური მაჩვენებელი არ გამოიყენება არცერთ ქვეყანაში და ამასთან იგი არ არის აღწერილი არცერთ სამეცნიერო ნაშრომში, ამდენად უფრო დაწვრილებით შევჩერდებით მასზე.

ვფიქრობთ, ანალიზისათვის ყველაზე მარტივი და მრავლისმომცველია GDP-ის გაანგარიშება 1 კმ²-ზე. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ამ ფართობზე შესაძლოა GDP-ის საკმაოდ მცირე წილი მოდიოდეს, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც ბუნებრივი თუ სხვა პირობების გამო ტერიტორიის დიდი ნაწილი აუთვისებელია და ეროვნული ეკონომიკა მხოლოდ ქვეყნის ათვისებულ ნაწილში აწარმოებს პროდუქციას (მაგალითად ცენტრალური აზიის, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები, სადაც ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოებს ან მიუვალ მთებს უკავია).

შემოვიღოთ აღნიშვნა R (ინგლისური "ლეცლამატიონ"-დან, რაც ქართულად "მიწის ათვისებას" ნიშნავს).

$$R = \frac{GDP}{S},$$

სადაც S – ქვეყნის ფართობია კვადრატულ კილომეტრებში.

აღნიშნული ინდექსის მეშვეობით, რომელსაც ჩვენ ქვეყნის ეკონომიკური ათვისების ინდექსი ვუწოდებთ შესაძლებელი ხდება ქვეყნების შედარება ტერიტორიის ათვისების მიხედვით⁶¹.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებზე⁶² დაყრდნობით ქვეყნის ეკონომიკური ათვისების ინდექსი გაანგარიშებული იქნა რამდენიმე სახელმწიფოს მიხედვით.

ქვეყნის ეკონომიკური ათვისების ინდექსი

⁶¹ ჩვენს მიერ გაკეთებულია ანალიზი, რომლითაც შევეცადეთ გაგვეანგარიშებინა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკური ათვისების ინდექსი, რომელიც მე-2 დანართის სახით ერთვის ნაშრომს.

⁶² მონაცემები აღებულია საიტიდან: <http://www.unece.org/stat/da/ta.htm>

(1999 წლის მონაცემების მიხედვით)

1	ქვეყანა	ტერიტორია (1000 კვ.კმ)	მოსახლეობა (მლნ. კაცი)	GDP მლრდ. აშშ დოლარებში	GDP მოსახლეობის ერთ სულზე (1000 აშშ დოლარებში)	GDP ერთ კვ.კმ-ზე (ათას აშშ დოლარებში)
1	2	3	4	5	6	7
1	ნიდერლანდები	41,53	15,81	387,24	24,49	9325,20
2	ბელგია	30,53	10,21	248,63	24,34	8144,26
3	შვეიცარია	41,26	7,14	259,53	36,34	6289,58
4	გაერთიანებული სამეფო	244,10	59,50	1485,17	24,96	6084,23
5	გერმანია	357,02	82,10	2153,89	26,23	6032,93
6	ისრაელი	21,06	6,12	99,73	16,29	4736,50
7	დანია	43,09	5,32	173,29	32,58	4021,11
8	იტალია	301,34	57,65	1171,16	20,32	3886,55
9	საფრანგეთი	551,50	58,62	1422,42	24,26	2579,18
10	ავსტრია	83,86	8,09	208,45	25,76	2485,75
11	პორტუგალია	91,98	99,69	112,65	1,13	1224,65
12	ესპანეთი	505,99	39,42	592,57	15,03	1171,10
13	ირლანდია	70,27	3,74	76,78	20,50	1092,56
14	კვიპროსი	9,25	0,75	9,89	13,13	1068,64
15	აშშ	9363,41	275,13	9299,00	33,80	993,12
16	სლოვენია	20,27	0,20	20,01	101,78	986,81
17	საბერძნეთი	131,96	10,53	124,96	11,86	946,97
18	ჩეხეთი	78,87	10,28	53,06	5,16	672,83
19	შვეცია	449,96	8,86	237,59	26,82	528,02
20	უნგრეთი	93,03	10,07	48,50	4,82	521,37
21	პოლონეთი	312,69	38,65	154,25	3,99	493,31
22	ნორვეგია	323,76	4,46	152,44	34,18	470,83
23	სლოვაკია	49,04	5,40	19,69	3,65	401,61
24	ხორვატია	56,54	4,55	20,21	4,44	357,46
25	თურქეთი	774,82	64,39	184,76	2,87	238,46
26	ლიტვა	65,30	3,70	10,65	2,88	163,09
27	იუგოსლავია	102,17	8,37	16,50	1,97	161,45
28	რუმინეთი	238,39	22,47	34,02	1,51	142,73
29	მაკედონია	25,71	2,01	3,43	1,71	133,49

30	ბულგარეთი	110,99	8,21	12,65	1,54	114,00
31	ესტონეთი	45,23	1,44	5,13	3,56	113,41
32	ალბანეთი	28,75	3,39	3,06	0,90	106,46
33	ლატვია	64,59	2,43	6,10	2,51	94,49
34	ისლანდია	103,00	0,28	8,86	31,96	86,00
35	კანადა	9970,61	30,49	638,67	20,95	64,05
36	სომხეთი	29,74	3,80	1,85	0,49	62,03
37	უკრაინა	603,70	49,91	31,00	0,62	51,35
38	ბელორუსი	207,60	1,03	10,53	10,20	50,72
39	აზერბაიჯანი	86,60	7,98	3,99	0,50	46,12
40	საქართველო	69,70	5,40	2,80	0,52	40,17
41	უზბეკეთი	447,40	24,41	16,52	0,68	36,92
42	მოლდოვა	33,85	36,47	1,16	0,03	34,33
43	რუსეთი	17075,40	145,94	182,93	1,25	10,71
44	ტაჯიკეთი	143,10	6,13	1,09	0,18	7,60
45	თურქმენეთი	491,20	4,76	3,27	0,69	6,66
46	ყირგიზეთი	199,90	4,85	1,24	0,26	6,20
47	ყაზახეთი	2724,90	14,96	15,84	1,06	5,81

აღნიშნული გაანგარიშებების მიხედვით, 1999 წლის მონაცემების მიხედვით, ქვეყნის ტერიტორია ყველაზე უფრო ინტენსიურად ათვისებულია ნიდერლანდებში, სადაც 1 კმ²-ზე დაახლოებით 9,3 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის GDP იწარმოება, მაშინ როდესაც იგივე მაჩვენებელი ბელგიისათვის 8,1 მლნ. აშშ დოლარია, შვეიცარიისათვის 6,3 მლნ. აშშ დოლარი, გაერთიანებული სამეფოსათვის და გერმანიისათვის 6 მლნ. დოლარი, აშშ-სათვის დაახლოებით 1 მლნ. აშშ დოლარი, თურქეთისათვის 240 ათასი აშშ დოლარი, ლიტვისათვის 163 ათასი აშშ დოლარი, სომხეთისათვის 62 ათასი აშშ დოლარი, აზერბაიჯანისათვის 46 ათასი დოლარი, ხოლო საქართველოსათვის 40 ათასი აშშ დოლარი.

აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით საქართველო წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა უზბეკეთი (37 ათასი დოლარი), მოლდოვა (34 ათასი დოლარი), რუსეთი (10,7 ათასი დოლარი), ტაჯიკეთი (7,6 ათასი დოლარი), თურქმენეთი (6,66 ათასი დოლარი), ყირგიზეთი (6,2 ათასი დოლარი), ყაზახეთი (5,8 ათასი დოლარი).

ამ მაჩვენებლებისა გაანალიზებით ნათლად ჩანს, რომ ნიდერლანდებში ტერიტორია 232-ჯერ უკეთაა ათვისებული ვიდრე საქართველოში, 10-ჯერ უკეთ ვიდრე აშშ-ში, 930-ჯერ უკეთ ვიდრე რუსეთში.

სასურველია გაანგარიშებულ იქნეს R რეგიონების, რაიონების, ქალაქების მიხედვით. ამ შემთხვევაში ნაცვლად GDP-ისა უნდა ავიღოთ შესაბამის რეგიონში, რაიონში ან ქალაქში შექმნილი GDP-ის წილი და გავყოთ შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ფართობზე.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, რომ ბურდასა და ვიპლოშის მიხედვით GDP სხვა არაფერია, თუ არა გარკვეულ ტერიტორიაზე შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამი (Бурда, Вишлош, 1998, сс. 28-29), მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხარჯების მიხედვით GDP-ის გაანგარიშებისას აუცილებელია იმპორტისა და ექსპორტის გათვალისწინება, რაც საკმაოდ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული ცალკეული რეგიონების მიხედვით GDP-ის გაანგარიშებისათვის, განსაკუთრებით რთულია რეგიონის ტერიტორიაზე მოხმარებული იმპორტული საქონლისა და მომსახურების გაანგარიშება. ამდენად, თუ შეუძლებელია GDP-ის დათვლა რეგიონების მიხედვით, GDP-ის ნაცვლად აღებულ უნდა იქნეს შესაბამის ტერიტორიაზე (როგორც რეგიონში, ასევე მთელ ქვეყანაში) შექმნილი დამატებული ღირებულება.

მივიღებთ კონკრეტულ მაჩვენებლებს, რომელიც R_{reg} აღვნიშნოთ.

$$R_{reg}^i = \frac{VA_i}{S_i};$$

სადაც R_{reg}^i - i -ური რეგიონის ეკონომიკური ათვისების ინდექსია,

VA_i – ამ რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულებაა,

S_i – ამ რეგიონის ფართობია.

თუ აღნიშნულ მაჩვენებელს გამოვიანგარიშებთ ქვეყნის ყველა ტერიტორიული ერთეულის მიხედვით (ფედერაციულ ქვეყნებში ფედერაციის სუბიექტების, უნიტარულ სახელმწიფოში ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით) ჩვენ ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების განვითარების დონეთა შედარების საკმაოდ ნათელი და ობიექტური სურათი გვექნება.

შესაძლებელია საშუალო R_{reg} -ს - \bar{R}_{reg} გამოთვლა.

$$\bar{R} = \frac{\sum_{i=1}^n R_{reg}^i S_i}{\sum_{i=1}^n S_i} = \frac{\sum_{i=1}^n R_{reg}^i S_i}{S};$$

სადაც, n – რეგიონების რაოდენობაა.

ანალიზისათვის სასარგებლო იქნება ქვეყნის ეკონომიკური ათვისების თანაბარ-
ზომიერების ინდექსის - R_s გამოთვლა.

$$R_s = \frac{\sum_{i=1}^n (R_{reg}^i - \bar{R})^2 S_i}{\sum_{i=1}^n S_i} = \frac{\sum_{i=1}^n (R_{reg}^i - \bar{R})^2 S_i}{S};$$

თუ $R_{reg}^i = \bar{R}$ ($i=1, 2, \dots, n$), მაშინ $R_s = 0$, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანა მთელ ტერიტორიაზე თანაბრად ვითარდება, ხოლო რაც უფრო მეტია R_s - ნულზე, მით უფრო არათანაბრად ვითარდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონი.

აღნიშნული მაჩვენებელი ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას საშუალებას მისცემს რეგიონალური პროგრამების (მათ შორის ტრასვერტების განაწილების დროს) შემუშავების დროს სწორი აქცენტები დასვან და ამით აღმოფხვრან ან მინიმუმამდე დაიყვანონ რეგიონების განვითარების დონეებს შორის დისპროპორცია.

სასურველია ქვეყნის ფართობების კორექტირებაც. ამ შემთხვევაში ქვეყნის ტერიტორიის მთელ ფართობს უნდა გამოაკლდეს იმ ტერიტორიების ფართობები, რომლებზეც დროებით არ ვრცელდება ქვეყნის იურისდიქცია (ამ შემთხვევაში, ცხადია ეს პრობლემა ყველაზე მეტად საქართველოსათვისაა აქტუალური).

ანალიზისათვის შესაძლებელია ცალკე იყოს გაანგარიშებული L მხოლოდ ათვისებული ტერიტორიების მიხედვით – L_{us} , რაც ქვეყნის რეგიონებს შორის განვითარების დონეთა შორის დისბალანსზე უფრო სრულყოფილ წარმოდგენას მოგვცემს.

ვფიქრობთ, თუ სტატისტიკური ორგანოები დაიწყებენ აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებას, ამით საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადაიდგმება ქვეყნის ეკონომიკური ანალიზის სრულყოფისაკენ.

სამწუხაროდ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს არ გააჩნია ინფორმაცია რეგიონების მიხედვით შექმნილი დღგ-ს შესახებ. ამდენად ჩვენ მხოლოდ მათივე ექსპერტული გათვლებით ვისარგებლეთ და საქართველოში გავიანგარიშეთ რეგიონის ეკონომიკური ათვისების ინდექსები 1998 და 1999 წლებისათვის.

გავითვალისწინეთ რა ის ფაქტი, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდება აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ნაწილზე და შესაბამისად ამ ტერიტორიაზე შექმნილი საქონელი და მომსახურება ვერ აისახება საქართველოში შექმნილ GDP-ში, საქართველოს სხვა ადმინისტრაციული და ტერიტორიული ერთეულების (რეგიონების) ეკონომიკური ათვისების შედეგებით უფრო ზუსტი ანალიზისათვის ჩვენს მიერ კორექტირებული იქნა საქართველოს ფართობი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ჯავის რაიონების ფართობებით (შესაბამისად 8 ათასი და 1500 კმ²). ამდენად გაანგარიშებებში საქართველოს ფართობად აღებულია არა 69700 კმ², არამედ 58830 კმ² (ზემოთმოყვანილ სახელმწიფოთაშორის შედარებებში საქართველოს ფართობი აღებულია ქვეყნის მთელი ტერიტორიის მიხედვით).

საქართველოს რეგიონების ეკონომიკური ათვისების ინდექსი⁶³

რეგიონი	ფართობი	1998 წელი		1999 წელი	
		შექნილი GDP (მლნ. ლარებში)	რეგიონის ეკონომიკური ათვისების ინდექსი	შექნილი GDP (მლნ. ლარებში)	რეგიონის ეკონომიკური ათვისების ინდექსი
თბილისი	121	1233,2	10,19	1424,1	11,77
სამეგრელო ზემო-სვანეთი	4916	517,8	0,11	497	0,10
იმერეთი და რაჭა	14128	929,4	0,07	1036,9	0,07
გურია	2182	194,1	0,09	202,2	0,09
ქვემო ქართლი	4906	574,7	0,12	673,3	0,14
შიდა ქართლი და მცხეთა მთიანეთი	11094	501,8	0,05	566,9	0,05
კახეთი	12207	487,2	0,04	548,3	0,04
აჭარა	2864	410,5	0,14	498,7	0,17
სამცხე-ჯავახეთი	6412	191,8	0,03	218,3	0,03
სულ საქართველოში	58830	5040,5	0,09	5665,7	0,10

აღნიშნული გათვლები ცხადყოფენ საქართველოს რეგიონების არათანაბარ განვითარებას. თუ თბილისში 1999 წლის განმავლობაში 1 კმ²-ზე 11,77 მლნ. ლარის GDP იქნა წარმოებული, იგივე მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთისათვის სულ 30 ათასი ლარი იყო, შიდა ქართლსა და მცხეთა მთიანეთში 50 ათასი ლარი, იმერეთში და რაჭაში 70 ათასი ლარი, გურიაში 90 ათასი ლარი, ქვემო ქართლში 140 ათასი ლარი, ხოლო აჭარაში

⁶³ ინფორმაცია აღებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტული გათვლებიდან

170 ათასი ლარი იყო. საშუალო მონაცემი საქართველოსათვის 100 ათასი ლარია. იგივე მაჩვენებლებიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ მიუხედავად საერთო ეკონომიკური ზრდისა აჭარაში, თბილისსა და ქვემო ქართლში 1 კმ²-ზე წარმოებული პროდუქციის ზრდის დონე უფრო მაღალია ვიდრე დანარჩენ რეგიონებში, ხოლო სამეგრელოსა და ზემო სვანეთში იგივე მაჩვენებელი შემცირებულია.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულ იქნა ქვეყნის ეკონომიკური ათვისების თანაბარზომიერების ინდექსი - R_s , რომელიც საქართველოსათვის 0,98-ს ტოლია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო მეტად არათანაბრად არის განვითარებული და როგორც ცენტრალური ისე ადგილობრივი ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა აღნიშნული უთანაბრობის გამოსწორება.

მაკონელისა და ბრიუს მიხედვით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია *სრული დასაქმება*. რომელსაც შეესაბამება ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორი, როგორიცაა უმუშევრობის დონე.

უმუშევრობის დონე გაიანგარიშება უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით სამუშაო ძალასთან და 100-ზე გამრავლებით. შესაძლებელია გაანგარიშებული იყოს ზრდასრულ მოსახლეობასთან სამუშაო ძალის წილი, რომელიც გაიანგარიშება როგორც სამუშაო ძალის რაოდენობის შეფარდება ზრდასრული მოსახლეობის რიცხვთან და მრავლდება 100-ზე (Мэнкью, 1994, с. 84).

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მიზანია *ფასების სტაბილური დონე*. შესაბამისად ეკონომიკური ანალიზისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, რომლებიც ფასების ცვლილებაზე გვამლევენ გარკვეულ წარმოდგენას.

იმის გათვალისწინებით, რომ GDP არის სიდიდე, რომელიც საბაზრო ფასებით გამოიხატება, ცხადია გარდა ნატურალური მაჩვენებლების ცვლილებისა, რომელიც კონკრეტულად ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებითაა გამოწვეული, ფასების ცვლილებაც მის არანაკლებ შეცვლას იწვევს.

სურათის უკეთ დანახვისათვის ვისარგებლოთ (2)⁶⁴-თ, რომლის ზოგადი ანალიზიდანაც კი მშვენივრად ჩანს, რომ GDP-ის ცვლილება ნებისმიერი მიმართულებით, უშუალოდ პირადი სამომხმარებლო ხარჯების, ერთობლივი კერძო სამამულო ინვესტიციების, სახელმწიფო შესყიდვების და წმინდა ექსპორტის (ფორმულაში ექსპორტისა და იმპორტის სხვაობა) გარდა, დიდადაა დამოკიდებული მათ შესაბამის ფასებზე.

ამდენად ეკონომიკის მდგომარეობის უფრო სრულყოფილი შესწავლისათვის დღის წესრიგში დადგა ფასების ცვლილების გამორიცხვა. რის გამოც გაიანგარიშება GDP-ის ორი მაჩვენებელი, რეალური და ნომინალური (მენქიუ, 2000, გვ. 647-648; Мэнкью, 1994, с. 67-70; Мэнкью, 1999, с. 486-487; Дорнбуш, Фишер, 1997, с. 19-21; Макконнелл, Брю, 1992, с. 147; 1999, с. 148-150; Бурда, Виплош, 1998, сс. 28-29; Сакс, Ларрен, 1999, сс. 50-51; Луссе, 1999, с. 26).

როგორც ცნობილია, ნომინალური GDP იანგარიშება მიმდინარე ფასებით და იგი წარმოების დინამიკის ზუსტი სურათის მისაღებად გამოუსადეგარია, რადგან შედარება სხვა პერიოდებთან პრაქტიკულად შეუძლებელია. შედარების გარეშე კი შეუძლებელია საუბარი იმაზე თუ როგორი პროცესები მიმდინარეობს ეროვნულ ეკონომიკაში.

შედარებით უფრო ზუსტია რეალური GDP-ის გაანგარიშება საბაზო წლის ფასებით (მენქიუ, 2000, გვ. 647-648; Мэнкью, 1994, с. 67-70; Мэнкью, 1999, с. 486-487; Дорнбуш, Фишер, 1997, с. 19-21; Макконнелл, Брю, 1992, с. 147; 1999, с. 148-150; Бурда, Виплош, 1998, сс. 28-29; Сакс, Ларрен, 1999, сс. 50-51; Луссе, 1999, с. 26), როდესაც საანგარიშო წლის ნატურალური მაჩვენებლები მრავლდება საბაზო წლის ფასებზე.

ნომინალური და რეალური GDP-ის შეფარდება გვამღევს ფასების ინდექსს, GDP-ს დეფლატორს (მენქიუ, 2000, გვ. 649).

$$DGDP = NGDP/RGDPX100 \quad (6)$$

ამრიგად, GDP-ის დეფლატორი საშუალებას გვამღევს უფრო ზუსტად გავაანალიზოთ ეკონომიკის მდგომარეობა. შეიძლება დავასკვნათ, რომ GDP-ის დეფლატორი არის ფასების ინდექსი, რომლითაც გაიზომება ინფლაციის ტემპები.

ანალოგიურად ფასების ინდექსი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს სამომხმარებლო კალათის მეშვეობით, ამ შემთხვევაში ნაცვლად GDP-ისა აიღება სამომხმარებლო

⁶⁴ იხ. დანართი 1.

კალათის ღირებულებები საანგარიშო და საბაზო წელს და მათი შეფარდებითა და 100-ზე გამრავლებით მიიღება ფასების ინდექსი.

იმის გათვალისწინებით, რომ ფასების დონეზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფული, სრულყოფილი ეკონომიკური ანალიზი შეუძლებელია გაკეთდეს, თუ არ გვეცოდინება ისეთი ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები, როგორცაა ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსები, მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა და ფულის მიმოქცევის სიჩქარე. გარკვეულწილად შეიძლება აღინიშნოს, რომ სწორედ აღნიშნული ინდიკატორები ასახავენ ყველაზე ოპერატიულად ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, რისი მაგალითიც არაერთია მსოფლიოს კრიზისების ისტორიაში.

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება *სოციალურ მიზნებს*, რომლებშიც ჩვენ შეგვიძლია გავაერთიანოთ ორი ეკონომიკური მიზანი – *შემოსავლების სამართლიანი განაწილება და ეკონომიკური უზრუნველყოფა*. მართალია, ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ შემოსავლების სამართლიანი განაწილება ეფემერული მიზანია და პრაქტიკულად შეუძლებელია მასზე საუბარი, მაგრამ ეკონომიკური პროცესების ანალიზისათვის მნიშვნელოვანია გარკვეული ინდიკატორების შესწავლა, რომლებიც ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნიან ცხოვრების დონეზე და მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე.

ამდენად, ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის, ცხოვრებისა და კეთილდღეობის დონის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება GDP-ის ისეთ წარმოებულებს, როგორცაა GDP მოსახლეობის ერთ სულზე. აღნიშნული მაჩვენებელი ითვლება ეკონომიკური განვითარების მდგომარეობის ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებლად და ხშირად კეთილდღეობის ინდექსადაც მოიხსენიება.

ამ მიზნისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი მაკროეკონომიკური ინდიკატორები, როგორცაა PI – პირადი შემოსავალი და DI - ხელთარსებული წმინდა შემოსავალი.

სტატისტიკური ორგანოები როგორც წესი ანგარიშობენ მოსახლეობის საშუალო შემოსავლებს და ხარჯებს (სსსდ, 2001), რასაც ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას.

სოციალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ნომინალური და რეალური ხელფასის, პენსიის და სხვა გასაცემლების ოდენობის დადგენა და სახელმწიფოს მხრიდან გასაწევი სოციალური ხარჯების წილი GDP-სთან.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რთულია ეკონომიკური ეფექტიანობის რაიმე კონკრეტული ინდიკატორის გაანგარიშება. მაგრამ მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია ერთი კონკრეტული ინდიკატორის მეშვეობით გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ასეთ მაჩვენებლად შესაძლებელია გამოდგეს GDP-ს მოცულობა ერთ დასაქმებულზე. აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყნის ეკონომიკის ინტენსიური განვითარების ერთ-ერთი კარგი მაჩვენებელია.

სავაჭრო ბალანსი, თავისთავად ექსპორტისა და იმპორტის სხვაობაა, და იგი შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე ადვილად გამოსაანგარიშებელი ინდიკატორია. სწორედ სავაჭრო ბალანსი, ანუ წმინდა ექსპორტი (X) შიდა მოხმარებასთან ($B+G$) და ინვესტიციებთან (I) ერთად ქმნის GDP-ის. სრულყოფილი ანალიზისათვის სასურველია გაანგარიშებულ იქნეს ექსპორტისა და იმპორტის მოცულობა GDP-სთან ან შექმნილ დამატებულ ღირებულებასთან (VA) მიმართებაში;

გარდა ამისა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას აუცილებელია გაანგარიშებული იყოს ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა:

- ეროვნული მეურნეობის დარგებში წარმოებული პროდუქციის წილი GDP-სთან მიმართებაში;
- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, მ.შ. საგადასახადო შემოსავლები (სასურველია გადასახადის სახეების მიხედვით), ხარჯები (მ.შ. კაპიტალური და მიმდინარე), დეფიციტი და დეფიციტის დაფარვის წყაროები GDP-სთან მიმართებაში;

გარდა ამისა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობის ანალიზისათვის აუცილებელია შესწავლილ იქნეს მთლიანი საერთაშორისო რეზერვები (მ.შ. სავალუტო და ოქროში), საგადამხდელო ბალანსი, სახელმწიფო ვალი (როგორც საგარეო, ასევე საშინაო), შესაძლებელია ყველა აღნიშნული მონაცემი დავაკავშიროთ GDP-სთან.

უკანასკნელ ხანს ფართოდ გამოიყენება სახელმწიფო საგარეო ვალის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი, ანუ ხდება საგარეო ვალის დაპროცენტება ექსპორტის მიმართ (სებ, 2001, გვ. 83)

გასათვალისწინებელია "ჩრდილოვანი ეკონომიკის" მასშტაბები და მისი წილი რეალურ, აღრიცხულ ეკონომიკასთან, რომელიც ამცირებს GDP-ის მოცულობას.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის შესწავლა, ცხადია შეუძლებელია, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი ხელისუფლებისაგან ფარულად მოქმედებს. მაგრამ არსებობს ექსპერტული გათვლების რამდენიმე მეთოდი, რომელიც მისი მასშტაბების გარკვეული სიზუსტით გაანგარიშების საშუალებას იძლევა. ცხადია, ხელისუფლებამ უნდა იცოდეს "რა ზომისაა" ეკონომიკა, რომელსაც ის ვერ აკონტროლებს, რა მოცულობის თანხები მოძრაობს საბანკო სფეროს გარეთ, და როგორ შეიძლება ამ თანხების მიერ ეკონომიკურ პროცესებზე ზეგავლენის განეიტრალება, შემცირება ან ქვეყნის ეკონომიკის ინტერესების მიზნით გამოყენება.

სახელმწიფოსათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩრდილოვან ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობის, შრომის ანაზღაურების ცოდნა, და რეალურად პრაქტიკულად ყველა იმ ინდიკატორის გაანგარიშება, რომელსაც ლეგალურ ეკონომიკაში იყენებს, რათა გაანგარიშებულ იქნეს ე.წ. **ნაერთი მაჩვენებლები**.

მხოლოდ ორივე, ე.წ. ლეგალური და ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთობლივი ანალიზი იძლევა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების სრული ანალიზის საშუალებას, მით უმეტეს ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი მასშტაბებია.

იმ ფონზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კორუფციასთან ბრძოლას შეეხება ვფიქრობთ საინტერესო უნდა იყოს იმ მაკროეკონომიკური ინდიკატორების ანალიზი, რომელიც კორუფციის გამოვლენასა და მის პრევენციაზე აკეთებს აქცენტს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია კორუფციის გამოვლენის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა – საგადასახადო დანაშაული, როცა გადასახადის სრული, ან თუნდაც ნაწილობრივი გადახდისაგან თავის აცილების მიზნით საგადასახადო სამსახურის მუშაკები ქრთამის საფასურად "თვალს ხუჭავენ" დასაბეგრ ოპერაციაზე (Свенссон, 1987; Коттке 1998, сс. 535-621).

საგადასახადო ორგანოებში კორუფციის პრობლემა (ჩჰანდერ, ჭილდე, 1992; Левин, Цирик, 1998 (Б), сс. 34-39) თავისი არსით "ჩრდილოვანი ეკონომიკის" უმნიშვნელოვანესი ნაწილია (Богомолов, 1998, с. 104; Макаров, 1998, с. 38), რომლის ბუნების შესწავლის, შეფასებისა და გაზომვის საკითხებზე არაერთი საინტერესო

გამოკვლევა ჩატარებული (მაგალითად, Adams, FITCპეტ (ედ.), 1992; Bკატატაცკარყა, 1999; Feინსტეინ, 1999; Gilეს, 1999; თანზი, 1999; თჰომას, 1999; Макаров, 1998); უნდა აღინიშნოს “ჩრდილოვანი ეკონომიკის” პრობლემის სიმწვავე პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, როცა დღის წესრიგში დგება ინსტიტუციონალურ გარდაქმნათა აუცილებლობა (პაპავა, ხადური, 1998; Éკეს, 1994; Paპავა, Kჰადური, 1997).

კორუფციის მასშტაბის შესაფასებლად სხვადასხვა ტიპის ინდექსი გამოიყენება.

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ჩვენი აზრით აუცილებელია “ჩრდილოვანი ეკონომიკის” იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილის შეფასების მაჩვენებლის განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია კორუფციასთან საგადასახადო სისტემაში.

ინდექსების თეორიის ზოგად პრინციპებზე (მაგალითად, ბაკლანოვი, 1977; Аллен, 1980; Kёвеш, 1990; Ковалевский, 1989) დაყრდნობით საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვლადიმერ პაპავას მიერ შემუშავებული იქნა *საგადასახადო კორუფციის ინდექსები*⁶⁵ რომლებიც იძლევიან საგადასახადო კორუფციის საკმაოდ ზუსტი შეფასების საშუალებას (პაპავა, 2000ბ).

“საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსების” აგებისათვის (შევარდნაძე, ჩეჩელაშვილი, ჩოჩელი, ხადური, 2000) უწინარეს ყოვლისა ის პოტენციური საგადასახადო შემოსავლები უნდა განისაზღვროს, რასაც მხოლოდ თავად ეკონომიკის განვითარება უზრუნველყოფს; შემდეგ კი საჭიროა ამ პოტენციური სიდიდის გადასახადების ფაქტიურ ამოღების დონესთან შედარება.

იმ ფონზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კორუფციასთან ბრძოლას შეეხება, უპრიანი იქნება კორუფციის გამოვლენისა და მაკროეკონომიკური ინდიკატორების ურთიერთდამოკიდებულებაზე ვისაუბროთ.

კორუფცია, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა დიდი ხანია არსებობს, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავე დღეს შეიძინა, როცა თავად კორუფციის მასშტაბი განსაკუთრებით საშიში გახდა. კორუფცია დიდ ზეგავლენას ახდენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე, როგორც უშუალოდ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე⁶⁶, ასევე დიდ ზეგავლენას ახდენს ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების ფორმირებაზე. სახეზეა კორუფციის

⁶⁵ ამ ინდექსებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ “საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსები” უწოდა.

პრობლემის გლობალიზაცია (ელიოტ (ედ.), 1997). შემთხვევითი არ არის, რომ პრობლემის სირთულისა და საზოგადოებისათვის განსაკუთრებით საშიში შედეგების გამო მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის შეფასებით საქმე გვაქვს “კორუფციულ კიბოსთან” (მაურო, 1997 (B), კვ. 1, 3).

კორუფცია Collins-ის სოციოლოგიურ ლექსიკონში განმარტებულია როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ უკანონო პირადი გამორჩენის მიზნით ქცევის მოსალოდნელ სტანდარტებზე უარის თქმა (Джери, Джери, 1999, ს. 322).

ეკონომიკურ ლიტერატურაში გაანალიზებულია კორუფციის ბუნება, ფაქტორები, წარმოშობის მიზეზები და შედეგები (მაგალითად, მაურო, 1997 (A), 1997 (B); ლოსე-აკერმან, 1997; თანზი, 1995; Левин, Цирик, 1998 (A), სს. 40-47), შესწავლილია შესაბამისი მათემატიკური მოდელები (მაგალითად, Левин, Цирик, 1998 (A), 1998 (B); Полтерович, 1998).

კორუფციის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა საგადასახადო დანაშაულია, როცა გადასახადის სრული, ან თუნდაც ნაწილობრივი გადახდისაგან თავის აცილების მიზნით საგადასახადო სამსახურის მუშაკები ქრთამის საფასურად “თვალს ხუჭავენ” დასაბეგრ ოპერაციაზე (Свенссон, 1987; Коттке 1998, სს. 535-621). საგადასახადო ორგანოებში კორუფციის პრობლემა (ჩჰანდერ, ჭილდე, 1992; Левин, Цирик, 1998 (B), სს. 34-39) თავისი არსით “ჩრდილოვანი ეკონომიკის” უმნიშვნელოვანესი ნაწილია (Богомолов, 1998, ს. 104; Макаров, 1998, ს. 38), რომლის ბუნების შესწავლის, შეფასებისა და გაზომვის საკითხებზე არაერთი საინტერესო გამოკვლევაა ჩატარებული (მაგალითად, Адамс, Фицჰეტტ (ედ.), 1992; Вჰატტაცჰარყა, 1999; Feინსტეინ, 1999; Gilles, 1999; თანზი, 1999; თჰომას, 1999; Макаров, 1998); უნდა აღინიშნოს “ჩრდილოვანი ეკონომიკის” პრობლემის სიმწვავე პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, როცა დღის წესრიგში დგება ინსტიტუციონალურ გარდაქმნათა აუცილებლობა (პაპავა, ხადური, 1998; Éკეს, 1994; Паპავა, Кჰადური, 1997).

კორუფციის მასშტაბის შესაფასებლად სხვადასხვა ტიპის ინდექსი გამოიყენება.

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ჩვენი აზრით აუცილებელია “ჩრდილოვანი ეკონომიკის” იმ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილის შეფასების მაჩვენებლის განსაზღვრა, რომელიც დაკავშირებულია კორუფციასთან საგადასახადო სისტემაში.

⁶⁶ ამ მოვლენის შესახებ ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

ინდექსების თეორიის ზოგად პრინციპებზე (მაგალითად, ბაკლანოვი, 1977; Аллен, 1980; Кёвеш, 1990; Ковалевский, 1989) დაყრდნობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვლადიმერ პაპავას მიერ შემუშავებული იქნა *საგადასახადო კორუფციის ინდექსები*⁶⁷ რომლებიც იძლევიან საგადასახადო კორუფციის საკმაოდ ზუსტი შეფასების საშუალებას (პაპავა, 2000ბ).

“საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსების” აგებისათვის (შევარდნაძე, ჩეჩელაშვილი, ჩოჩელი, ხადური, 2000) უწინარეს ყოვლისა ის პოტენციური საგადასახადო შემოსავლები უნდა განისაზღვროს, რასაც მხოლოდ თავად ეკონომიკის განვითარება უზრუნველყოფს; შემდეგ კი საჭიროა ამ პოტენციური სიდიდის გადასახადების ფაქტიურ ამოღების დონესთან შედარება; ამასთან წინასწარ – გათვლების დაწყებამდე უნდა გამოირიცხოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ყოველგვარი ცვლილების ზეგავლენა.

ამოსავალი პარამეტრი, რომლის საფუძველზეც ქვეყნის მასშტაბით ხსენებული ინდექსების გათვლა უნდა მოხდეს, არის GDP, ხოლო ეკონომიკის ცალკეული დარგისა, თუ ქვეყნის ცალკეული რეგიონის მიხედვით კი – შესაბამის დარგსა, თუ რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულება.

აღსანიშნავია, რომ ინდექსების აგების მიზნიდან გამომდინარე GDP-ის მაჩვენებელი თავის მხრივ მოითხოვს გარკვეულ კორექტირებას, რაც განპირობებულია ამ პარამეტრის სხვადასხვა ელემენტის მიმართ დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმის გამოყენებით.

უწინარეს ყოვლისა GDP-დან უნდა გამოირიცხოს საგარეო ვაჭრობა.

იმპორტი, როგორც ცნობილია ის ქვეყანაში მოქმედ სხვა გადასახადებთან ერთად საიმპორტო გადასახადითაც (ე.წ. საბაჟო გადასახადი) იბეგრება. ამავე დროს იმპორტიდან შესაბამისი საგადასახადო შემოსავალი არსებით ზეგავლენას განიცდის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მხრიდან. იმპორტის მიმართ საგადასახადო კორუფციის დონის შეფასება ცალკე უნდა მოხდეს.

GDP-დან უნდა გამოირიცხოს ექსპორტის ოდენობა, რამეთუ საერთაშორისო პრაქტიკაში მოქმედი წესის თანახმად, ექსპორტიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შედის

⁶⁷ ამ ინდექსებს საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ “საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსები” უწოდა.

მხოლოდ პირდაპირი გადასახადები, რადგან ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, ექსპორტი არ იბეგრება ირიბი გადასახადებით, მ.შ. დამატებული ღირებულების გადასახადით, აქციზითა და საექსპორტო გადასახადით, რაც ამცირებს რეალურ საგადასახადო ბაზას. ექსპორტის მიმართაც საგადასახადო კორუფციის დონის შეფასების გათვლები ცალკე უნდა ჩატარდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ეკონომიკის ცალკეული დარგები და რეგიონები არ განეკუთვნება მაკროეკონომიკის შესწავლის სფეროს, ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ზუსტი სურათის წარმოსადგენად, მიზანშეწონილია GDP-დან ცალკე გამოიყოს ის დარგებიც და რეგიონებიც (მაგალითად რეგიონი, სადაც შექმნილია თავისუფალი ეკონომიკური ზონა), სადაც დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმი გამოიყენება. დარგებს შორის ასეთი, როგორც წესი, სოფლის მეურნეობაა. კერძოდ, საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, აქ პრაქტიკულად დაბეგვრის მხოლოდ ერთი სახეობა - მიწის გადასახადი მოქმედებს⁶⁸.

ასეთი დარგისა და რეგიონებისათვის საგადასახადო კორუფციის დონე ცალკე უნდა იქნეს შეფასებული, რაც გათვლის მეთოდის თვალსაზრისით პრინციპში ექსპორტთან დაკავშირებული გათვლების იდენტურია. გათვლების გამარტივების მიზნით დავუშვათ, რომ ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკური ზონა არ არსებობს.

ინდექსების ფორმალიზაციის მიზნით შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

Q_0 არის ნომინალური GDP საბაზო წელს;

\tilde{Q}_0 – კორექტირებული ნომინალური GDP საბაზო წელს (ზემოთმოყვანილი დაშვებების გათვალისწინებით⁶⁹);

Q_1 – ნომინალური GDP შესადარ წელს;

\tilde{Q}_1 – კორექტირებული ნომინალური GDP შესადარ წელს (ზემოთმოყვანილი დაშვებების გათვალისწინებით);

⁶⁸ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 100 ათას ლარს, ნაცვლად საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა, იბეგრებიან მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადით.

⁶⁹ კერძოდ, კორექტირება ხდება საგარეო ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობაში შექმნილი და ქვეყნის შიგნით მოხმარებული დამატებული ღირებულების გამორიცხვით.

- M_0 – საბაზო წელს იმპორტის მოცულობა (აშშ დოლარებში);
- M_1 – შესადარ წელს იმპორტის მოცულობა (აშშ დოლარებში);
- α_0 – ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი საბაზო წელს;
- α_1 – ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი შესადარ წელს;
- X_0 – ექსპორტის მოცულობა საბაზო წელს;
- X_1 – ექსპორტის მოცულობა შესადარ წელს;
- A_0 – აგრარულ სექტორში შექმნილი და ქვეყნის შიგნით მოხმარებული დამატებული ღირებულება საბაზო წელს;
- A_1 – აგრარულ სექტორში შექმნილი და ქვეყნის შიგნით მოხმარებული დამატებული ღირებულება შესადარ წელს;
- T_0^T – საგადასახადო შემოსავალი საგადასახადო სამსახურის მიხედვით საბაზო წელს;
- T_1^T – საგადასახადო შემოსავალი საგადასახადო სამსახურის მიხედვით შესადარ წელს;
- \tilde{T}_0^T – კორექტირებული საგადასახადო შემოსავალი საგადასახადო სამსახურის მიხედვით საბაზო წელს (ზემოთმოყვანილი დაშვებების გათვალისწინებით⁷⁰);
- \tilde{T}_1^T – კორექტირებული საგადასახადო შემოსავალი საგადასახადო სამსახურის მიხედვით შესადარ წელს (ზემოთმოყვანილი დაშვებების გათვალისწინებით);
- T_0^M – საგადასახადო შემოსავალი იმპორტიდან საბაზო წელს;
- T_1^M – საგადასახადო შემოსავალი იმპორტიდან შესადარ წელს;
- T_0^X – საგადასახადო შემოსავალი ექსპორტიდან საბაზო წელს;
- T_1^X – საგადასახადო შემოსავალი ექსპორტიდან შესადარ წელს;

⁷⁰ კერძოდ, კორექტირება ხდება საგარეო ვაჭრობიდან და სოფლის მეურნეობიდან ამოღებულ გადასახადთა გამორიცხვით.

T_0^A – საგადასახადო შემოსავალი აგრარული სექტორიდან საბაზო წელს;

T_1^A – საგადასახადო შემოსავალი აგრარული სექტორიდან შესადარ წელს.

ამ აღნიშვნების თანახმად:

$$\tilde{Q}_0 = Q_0 + \alpha_0 \cdot M_0 - X_0 - A_0,$$

$$\tilde{Q}_1 = Q_1 + \alpha_1 \cdot M_1 - X_1 - A_1,$$

$$\tilde{T}_0^T = T_0^T - T_0^M - T_0^X - T_0^A,$$

$$\tilde{T}_1^T = T_1^T - T_1^M - T_1^X - T_1^A.$$

მოცემული აღნიშვნების გათვალისწინებით განვსაზღვროთ საგადასახადო შემოსავლების სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზების პარამეტრები:

$t_0 = \frac{\tilde{T}_0^T}{\tilde{Q}_0}$ გვიჩვენებს საგადასახადო სამსახურის მიერ მობილიზებული კორექ-

ტირებული საგადასახადო შემოსავლების წილს კორექტირებულ GDP-თან საბაზო წელს;

$t_1 = \frac{\tilde{T}_1^T}{\tilde{Q}_1}$ კი, – საგადასახადო სამსახურის მიერ მობილიზებული კორექტირებული

საგადასახადო შემოსავლების წილს კორექტირებულ GDP-ში შესადარ წელს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, “საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსი” გაიანგარიშება როგორც ფაქტიურად მიღებული საგადასახადო შემოსავლების თანაფარდობა პოტენციურ მოცულობასთან. ეს უკანასკნელი კი მიიღება როგორც საბაზო წელს არსებული საგადასახადო შემოსავლების დონისა და საანალიზო წელს შექმნილი კორექტირებული მთლიანი შიდა პროდუქტის ნამრავლი $T_1^{TP} = t_0 \cdot \tilde{Q}_1$, რაც გვიჩვენებს იმ პოტენციურ საგადასახადო შემოსავლებს, რომელიც შეეძლო მიეღო ქვეყანას მხოლოდ ეკონომიკური აქტივობის ცვლილების ხარჯზე, საგადასახადო ადმინისტრირებისა და საგადასახადო კანონმდებლობის უცვლელობის პირობებში.

პოტენციური საგადასახადო შემოსავლებიდან ფაქტიურის გამოკლებით მივიღებთ საგადასახადო შემოსავლების ნაზრდს, ან კლებას, რაც უნდა გამოეწვიოს საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფას და საგადასახადო კანონმდებლობაში

ცვლილებას - $T_1^{TP} - \tilde{T}_1^T$; საგადასახადო შემოსავლების ამ ნაზრდის, თუ კლების დაპროცენტებით ზემოხსენებულ პოტენციურ საგადასახადო შემოსავლებთან მივიღებთ პოტენციური საგადასახადო შემოსავლის ყოველ ერთეულზე საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფისა და საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებით დამატებით მიღებულ ან დაკლებულ საგადასახადო შემოსავალს.

თუ გათვლებში წინასწარ ავსახავთ საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებს (კერძოდ საბაზო წლის ფაქტიური საგადასახადო შემოსავლების კორექტირება უნდა გახდეს შესადარი წლის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად), მაშინ ეს თანაფარდობა იქნება “საგადასახადო სამსახურში საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსი სოფლის მეურნეობისა და ექსპორტის გათვალისწინების გარეშე”⁷¹:

$$I_{TC}^T = \frac{T_1^{TP} - \tilde{T}_1^T}{T_1^{TP}} = \frac{t_0 \tilde{Q}_1 - t_1 \tilde{Q}_1}{t_0 \tilde{Q}_1} = \frac{t_0 - t_1}{t_0}.$$

თუ $I_{TC}^T > 0$ ($I_{TC}^T < 0$), მაშინ ადგილი აქვს საგადასახადო კორუფციის დონის ზრდას (შემცირებას)⁷².

როგორც უკვე აღინიშნა სოფლის მეურნეობა გამოყოფილ უნდა იქნეს ცალკე, რადგანაც იქ მოქმედებს დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმი. კერძოდ სოფლის მეურნეობისათვის⁷³ ჯერ განისაზღვრება პარამეტრები:

$$t_0^A = \frac{T_0^A}{A_0} \quad \text{და} \quad t_1^A = \frac{T_1^A}{A_1},$$

სადაც t_0^A და t_1^A შესაბამისად, საბაზო და შესადარ წლებში აგრარული სექტორიდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების ოდენობაა, დარგში შექმნილი დამატებული

⁷¹ მოცემული და ამ პარაგრაფში შემდგომში მოყვანილი ფორმულები შემუშავებულია უშუალოდ ვ. პაპავას მიერ.

⁷² თეორიულად არ არის გამორიცხული, რომ, როცა $I_{TC}^T > 0$ - ეს გამოწვეული იყოს შესადარ წელს საბაზოსთან შედარებით საგადასახადო სამსახურში უფრო დაბალკვალიფიციური კადრების მოზიდვით, ან საერთო მოშვებულობით, ორგანიზებულობის დაქვეითებით, რაც, საბოლოო ჯამში, თუ მთელი სამსახურის არა, მისი ცალკეული მუშაკების მიერ პრინციპში აუცილებლად იქნება გამოყენებული კორუფციის მიზნით. ეს შენიშვნა ვრცელდება ქვემოთ მოყვანილ სხვა ინდექსებზეც.

⁷³ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მეურნეობის დარგების მიხედვით “საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსები” არ განეკუთვნება მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების ანალიზისათვის აუცილებელია მათი გაანგარიშებაც, რის გარეშეც ინტეგრირებული ინდექსის გაანგარიშება შეუძლებელია.

ღირებულების ერთეულზე.

მათი მეშვეობით მარტივად დაითვლება აგრარულ სექტორში საგადასახადო შემოსავლების პოტენციური მოცულობა $T_1^{AP} = t_0^A A_1$ და შესაბამისად “სოფლის მეურნეობაში საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსი”

$$I_{TC}^A = \frac{T_1^{AP} - T_1^A}{T_1^{AP}} = \frac{t_0^A A_1 - t_1^A A_1}{t_0^A A_1} = \frac{t_0^A - t_1^A}{t_0^A}.$$

კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ თუ რომელიმე ქვეყანაში სოფლის მეურნეობის გარდა, რომელიმე სხვა სექტორი (ან რეგიონი) ქვეყანაში მიღებული ერთიანი რეჟიმისაგან განსხვავებული წესით იბეგრება, მაშინ თითოეული ამ სექტორისათვის ცალკე უნდა მოხდეს შესაბამისი ინდექსის გათვლა.

ზემოთ ხაზი უკვე გაესვა, რომ ცალკე შესწავლის საგანია აგრეთვე ექსპორტიც. მიღებული აღნიშვნების თანახმად:

$$t_0^X = \frac{T_0^X}{X_0} \quad \text{და} \quad t_1^X = \frac{T_1^X}{X_1},$$

სადაც t_0^X და t_1^X შესაბამისად, საბაზო და შესადარ წლებში ექსპორტიდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების ოდენობაა ექსპორტის ერთეულზე.

ამ პარამეტრების საფუძველზე გაიანგარიშება ექსპორტიდან საგადასახადო შემოსავლების პოტენციური მოცულობა $T_1^{XP} = t_0^X X_1$ და შესაბამისად “ექსპორტში საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსი” იქნება

$$I_{TC}^X = \frac{T_1^{XP} - T_1^X}{T_1^{XP}} = \frac{t_0^X X_1 - t_1^X X_1}{t_0^X X_1} = \frac{t_0^X - t_1^X}{t_0^X}.$$

ზემოთ მოყვანილი ინდექსების საფუძველზე ძნელი გასაანგარიშებელი არ არის, თუ რა დააკლო, ან დამატებით რა მიიღო სახელმწიფოს ბიუჯეტმა საგადასახადო სამსახურში კორუფციის, შესაბამისად ზრდის ან შემცირების საფუძველზე; თუ კი ამ სიდიდეს $(I_{TC}^T T_1^{TP} + I_{TC}^A T_1^{AP} + I_{TC}^X T_1^{XP})$ შევუფარდებთ ეკონომიკის განვითარებით განპირობებულ პოტენციურ საგადასახადო შემოსავლის ოდენობას $(T_1^{TP} + T_1^{AP} + T_1^{XP})$ და შესაბამისი ინდექსებიდან გავითვალისწინებთ, რომ $I_{TC}^T T_1^{TP} = T_1^{TP} - \tilde{T}_1^T$,

$I_{TC}^A T_1^{AP} = T_1^{AP} - T_1^A$ და $I_{TC}^X T_1^{XP} = T_1^{XP} - T_1^X$, მაშინ მივიღებთ “საგადასახადო სამსახურში

საგადასახადო კორუფციის პაპავას ინტეგრირებულ ინდექსს”:

$$I_{TC}^1 = \frac{T_1^{TP} - \tilde{T}_1^T + T_1^{AP} - T_1^A + T_1^{XP} - T_1^X}{T_1^{TP} + T_1^{AP} + T_1^{XP}} = 1 - \frac{T_1^f}{T_1^P},$$

სადაც T_1^f საგადასახადო სამსახურის მიერ შესადარ წელს ფაქტიურად მობილიზებული საგადასახადო შემოსავლებია ($T_1^f = \tilde{T}_1^T + T_1^A + T_1^X$);

T_1^P კი, – შესადარ წელს ეკონომიკის განვითარებით განპირობებული ქვეყნის შიგნით შექმნილი პოტენციური საგადასახადო შემოსავლები ($T_1^P = T_1^{TP} + T_1^{AP} + T_1^{XP}$).

თუ $I_{TC}^1 > 0$ ($I_{TC}^1 < 0$), მაშინ საგადასახადო სამსახურში საგადასახადო კორუფციის დონის ზრდას (შემცირებას) აქვს ადგილი.

საბაჟო სამსახურის ხაზით გათვლების ჩატარებისას დამატებული ღირებულების მაჩვენებლის ნაცვლად აიღება იმპორტის მოცულობა ეროვნული ვალუტის შესაბამის გაცვლით კურსზე გადაანგარიშებით და გაითვლება შემდეგი პარამეტრები:

$$C_0 = \frac{T_0^M}{\alpha_0 M_0} \text{ არის საბაჟო სამსახურის მიერ მობილიზებული გადასახადების}$$

წილი იმპორტში საბაზო წელს;

$$C_1 = \frac{T_1^M}{\alpha_1 M_1} \text{ კი, – საბაჟო სამსახურის მიერ მობილიზებული გადასახადების}$$

წილი იმპორტში შესადარ წელს.

საგადასახადო შემოსავლების პოტენციური დონე საბაჟო სამსახურის ხაზით იანგარიშება, როგორც საბაზო წლის შესაბამისი საგადასახადო შემოსავლების დონის, საბაზო წლის გაცვლითი კურსისა და საანგარიშო წლის მთლიანი იმპორტის ნამრავლით

$$T_{1c}^{MP} = C_0 \alpha_0 M_1.$$

ზემოთმოყვანილი ინდექსების ანალოგიურად “საბაჟო სამსახურში საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსი” იქნება:

$$I_{TC}^M = \frac{T_1^{MP} - T_1^c}{T_1^{MP}} = \frac{C_0 \alpha_0 M_1 - C_1 \alpha_1 M_1}{C_0 \alpha_0 M_1} = \frac{C_0 \alpha_0 - C_1 \alpha_1}{C_0 \alpha_0} = \frac{C_0 - C_1 \beta}{C_1},$$

სადაც $\beta = \frac{\alpha_1}{\alpha_0}$ არის ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ზრდის (კლების) ტემპი.

თუ $I_{TC}^M > 0$ ($I_{TC}^M < 0$), მაშინ საბაჟო სამსახურში საგადასახადო კორუფციის მასშტაბების ზრდას (შემცირებას) აქვს ადგილი.

თუ კი საგადასახადო და საბაჟო სამსახურებში საგადასახადო კორუფციის მასშტაბის ცვლილებას განვიხილავთ ერთობლიობაში, მაშინ მივიღებთ მთლიანად ქვეყნის მასშტაბში ამ მოვლენის შემაფასებელ პარამეტრს – “ქვეყანაში საგადასახადო კორუფციის პაპავას ინტეგრირებულ ინდექსს”:

$$I_{TC}^2 = \frac{T_1^P - \tilde{T}_1 + T_1^{AP} - T_1^A + T_1^{XP} - T_1^X + T_1^{MP} - T_1^M}{T_1^{TP} + T_1^{AP} + T_1^{XP} + T_1^{MP}} = 1 - \frac{T_1^f + T_1^M}{T_1^P + T_1^{MP}}.$$

თუ $I_{TC}^2 > 0$ ($I_{TC}^2 < 0$) მაშინ მთლიანად ქვეყნის მასშტაბში საგადასახადო კორუფციის მასშტაბების ზრდას (კლებას) აქვს ადგილი.

აქ მოყვანილი ინდექსების გარდა შესაძლებელია გამოთვლილ იყოს “საგადასახდლო კორუფციის პაპავას ინდექსიც” არასაბიუჯეტო (სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვის და დასაქმების) ფონდებში მობილიზებული თანხების მიხედვით.

თუ დავუშვებთ, რომ არასაბიუჯეტო ფონდებში ამოღებული სახსრები შესაბამისად საბაჟო და შესადარ წლებში არის P_0 და P_1 , ხოლო ხელფასის ფონდი W_0 და W_1 , შესაძლოა გავიანგარიშოთ აღნიშნულ ფონდებში შემოსავლების მობილიზების

შესაბამისი დონეები $t_0^P = \frac{P_0}{W_0}$ და $t_1^P = \frac{P_1}{W_1}$.

შესადარ წელს არასაბიუჯეტო ფონდებში თანხების მობილიზების პოტენციური მოცულობა იქნება $P_1^P = t_0^P W_1$, ხოლო “საგადასახდლო კორუფციის პაპავას ინდექსი” კი

$$I_{PC} = \frac{P_1^P - P_1}{P_1^P} = \frac{t_0^P W_1 - t_1^P W_1}{t_0^P W_1} = \frac{t_0^P - t_1^P}{t_0^P}.$$

თუ $I_{PC} > 0$ ($I_{PC} < 0$), მაშინ არასაბიუჯეტო ფონდებში საგადასახდლო კორუფციის დონის ზრდას (კლებას) აქვს ადგილი.

შეიძლება გათვლილი იქნეს “ქვეყანაში საგადასახადო და საგადასახდლო

კორუფციის პაპავას ინტეგრირებული ინდექსი”:

$$I_{TPC}^3 = \frac{T_1 - \tilde{T}_1 + T_1^{AP} - T_1^A + T_1^{XP} - T_1^X + T_1^{MP} - T_1^M + P_1^P - P_1}{T_1^{MP} + T_1^{AP} + T_1^{XP} + T_1^{MP} + P_1^P} = 1 - \frac{T_1^f + T_1^M + P_1}{T_1^P + T_1^{MP} + P_1^P}$$

მთლიანად აღნიშნული მაჩვენებლების სრულყოფილი ანალიზის ჩატარების შემთხვევაში ეკონომისტებს შეეძლება მეტნაკლებად ზუსტი რჩევები მისცენ ხელისუფალთ, თუმცა ტრუმენის სურვილისაგან, რომ ჰყოლოდა ”ცალხელა ეკონომისტი”, ალბათ ვერც ერთი ხელისუფლება დაზღვეული ვერ იქნება.

2.2 მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მაკროეკონომიკური პოლიტიკა არის მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევის სტრატეგიული და ტაქტიკური გზების ერთობლიობა და ამ მიმართულებით ფუნდამენტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების სინქრონულად მიღება. ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო, თავისუფალი ბაზრის პირობებში, სამოქმედო ინსტრუმენტების არჩევაში შეზღუდულია და მხოლოდ რამდენიმე ქმედით ინსტრუმენტს ფლობს, რომელთა ოპტიმალურად გამოყენების პირობებშია მხოლოდ შესაძლებელი მაკროეკონომიკური მიზნების მიღწევა.

ჩვენ იმაზეც გვქონდა საუბარი, რომ ბაზარი არ არის სრულად თვითრეგულირებადი სისტემა და იგი არ განეკუთვნება ისეთ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის განუხრელ და სტაბილურ ზრდას. ამდენად ბაზრის ეს "ნაკლი" ვიღაცამ უნდა გამოასწოროს და სწორედ ეს "ვიღაცაა" სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია შეზღუდული, მაგრამ საკმაოდ ეფექტიანი ბერკეტები, იმისათვის რომ შეაკავოს ეკონომიკაში არსებული რყევები და ეკონომიკური ზრდას უფრო სტაბილურ ფორმაში "მიაღებინოს".

მბრძანებლურ ადმინისტრაციული ეკონომიკისაგან განსხვავებით, სადაც სახელმწიფო თავად "ასრულებდა" ბაზრის როლს, რყევები ნაკლები უნდა ყოფილიყო, რადგან იგეგმებოდა რყევების გამომწვევი ფაქტორების ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ოდენობები და ცხადია, როცა ფორმალურად არ არსებობდა სხვაობა მათ შორის, ეკონომიკაც ძირითადად არსებული გეგმის მიხედვით ვითარდებოდა.

რაც შეეხება თავისუფალ ბაზარს, სადაც ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებას ბაზარი არეგულირებს, რთულია სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი და ყოველთვის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც რყევებს აგვარიდებს. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს არ გააჩნია იძულების ის მექანიზმები, რომლებიც მბრძანებლურ ადმინისტრაციული ეკონომიკის დროს აქვს.

ამდენად ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების რეგულირებისათვის სახელმწიფოს, გარდა მათზე პირდაპირი ზემოქმედების (ადმინისტრირების)

ფორმებისა, რჩება ორი ძირითადი ინსტრუმენტი: ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, რომლებიც მაკროეკონომიკურ პოლიტიკის საფუძველს ქმნიან.

მთავარი მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში არის ის, რომ *მას (მაკროეკონომიკურ პოლიტიკას) შეუძლია ერთობლივ მოთხოვნაზე საკმაოდ მნიშვნელოვანი და სისტემატიური ზეგავლენა მოახდინოს* (Сакс, Ларрენ, 1999, с. 396). სწორედ ამ თეზის ეყრდნობიან ქეინზის მიმდევრები, რომლებიც ასკვნიან, რომ სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით შეუძლია მიაღწიოს ეკონომიკის სტაბილიზაციას სრული დასაქმების დონეზე.

სახელმწიფოს ხელში ეკონომიკაზე ზემოქმედების და შესაბამისად მაკროეკონომიკური პოლიტიკის საუკეთესო ინსტრუმენტი მონეტარული, ანუ ფულად საკრედიტო პოლიტიკაა, რომელიც, განმარტების თანახმად *სახელმწიფოს მხრიდან ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სფეროში გატარებული ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია ეკონომიკისა და ფულადი (მონეტარული) სისტემის ეფექტიანი, მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. მის ძირითად შემადგენელ ნაწილებად მოიაზრება ოპერაციები ღია ბაზარზე, სააღრიცხვო პოლიტიკა და აუცილებელი მინიმალური რეზერვების დაწესება*. მონეტარიზმის შესაბამისად ეკონომიკურ პროცესებში გადამწყვეტ როლს თამაშობს ემისიის რეგულირება, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი, კრედიტის პროცენტი (Борисов, 1999, сс. 181, 402).

მაკროეკონომიკური პოლიტიკის მეორე ძირითადი შემადგენელი ნაწილია საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც *სახელმწიფოს პოლიტიკაა სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო შემოსავლების სფეროში, რომელიც მიმართულია დასაქმების მაღალი დონის, ეკონომიკის სტაბილურობისა და GDP-ის ზრდის უზრუნველსაყოფად* (Борисов, 1999, с. 86). ზოგჯერ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას ფისკალურ პოლიტიკასაც უწოდებენ⁷⁴ (Бункина, Семенов, 1999, с. 78; Борисов, 1999, с. 805).

ამდენად უკვე გამოიკვეთა იმ კონკრეტულ ინსტრუმენტთა არასრული, მაგრამ ძირითადი ჩამონათვალი, რომლებზე ზემოქმედებითაც სახელმწიფოს შეუძლია

⁷⁴ ლათინურად “ფისცუს” სახელმწიფო ხაზინას ნიშნავს.

ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედება და მის წინაშე არსებული ეკონომიკური მიზნების შესრულება⁷⁵.

უმთავრესი ინსტრუმენტი, რომლითაც ხდება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედება არის ბიუჯეტი⁷⁶.

ბიუჯეტი არის ეროვნული შემოსავლის სახელმწიფოს მიერ გადასანაწილებელი ნაწილი, რომელიც ორი ნაწილისაგან – შემოსავლებისა და ხარჯებისაგან შედგება. ბიუჯეტის ორივე ნაწილი აქტიურად ზემოქმედებს ეკონომიკაზე.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს როგორც წესი საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები აყალიბებენ. წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის პროცესში, იმის გათვალისწინებით, რომ არასაგადასახადო შემოსავლები თავისი არსით იგივეა, რაც კერძო კომერციული სტრუქტურის შემოსავალი ბიზნესიდან, ჩვენ დავუშვათ, რომ სახელმწიფოს არა აქვს არასაგადასახადო შემოსავლები, ანუ შემოსავლები ბიზნესიდან და მივიჩნიოთ, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ერთადერთი წყარო გადასახადებია, რადგან სწორედ გადასახადები უშუალოდ ზემოქმედებენ ეროვნულ ეკონომიკაზე.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ეკონომისტები საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ინსტრუმენტებიდან პირველ რიგში სახელმწიფოს მიერ გაწეულ ხარჯებს, სახელმწიფო შესყიდვებს განიხილავენ როგორც ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების საუკეთესო საშუალებას.

სწორედ სახელმწიფოს მიერ მოხმარებული თანხები ზრდიან ერთობლივ მოთხოვნას და მასტიმულირებელ როლს თამაშობენ ეკონომიკის განვითარებაში. თუ გავიხსენებთ (1), ამკარად ჩანს, რომ კერძო სექტორის ხარჯებთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ გაწეულ ხარჯებს $GDP = \beta + I_g + G + X_g = (\beta + I_g + X_g) + G$,

⁷⁵ ცხადია, რომ მათ გარდა სახელმწიფო ხშირად მიმართავს პირდაპირი რეგულირების ფორმებსაც, რომლებზეც ოდნავ ქვემოთ გვექნება საუბარი.

⁷⁶ თითქმის არც-ერთ სახელმწიფოში ერთიანი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის ცნება პრაქტიკულად არ არსებობს, როგორც წესი არსებობს ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტი, ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტები და არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდები. ჩვენ მსჯელობებისას ვისაუბრებთ ზოგადად ბიუჯეტზე, რომელიც ერთგვარად კონსოლიდირებული ბიუჯეტის სახეს ატარებს და ყველა ზემოთაღნიშნულ ბიუჯეტს მოიცავს. ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით დეფიციტური მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტი შეიძლება იყოს, ცხადი ხდება, რომ ჩვენი დაშვება ზოგადად ბიუჯეტზე საუბრის შესახებ გამართლებულია.

ამდენად სახელმწიფო შესყიდვების რაოდენობით იზრდება ერთობლივი მოთხოვნა და იწვევს წონასწორული GDP⁷⁷-ის ზრდას (Макконнелл, Брю, 1999, с. 215).

სახელმწიფო შესყიდვებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური მიზნების მიღწევისათვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფოს ფუნქციების შესასრულებლად ისეთი ხარჯების გაწევაც უწევს, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის სოციალურ დაცვასთან და სამედიცინო უზრუნველყოფასთან, სახელმწიფოს თავდაცვასთან, ვალების მომსახურებასთან, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან, განათლებასთან, ბიუროკრატის შენახვასთან და სხვა.

იმისათვის რომ სახელმწიფომ შესყიდვების მეშვეობით გაზარდოს ერთობლივი მოთხოვნა და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდაზე მასტიმულირებელი როლი ითამაშოს, აუცილებელია მას საამისო სახსრები გააჩნდეს. რომლებსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძირითადად გადასახადების სახით კრეფს. სახსრები, რომელსაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკის სტიმულირებისათვის, იმავე ეკონომიკის განვითარებიდან ამოღებული სახსრებია და აღნიშნულით სახელმწიფო ამცირებს ერთობლივ მოთხოვნას. ამდენად საგადასახადო პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან მიმართულია საკუთარი ფუნქციების შესრულების მატერიალური უზრუნველყოფისა და ერთობლივი მოთხოვნის და შესაბამისად ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებისაკენ.

ცხადია რომ არა გადასახადების მეშვეობით ერთობლივი მოთხოვნის შემცირება, შეუძლებელი გახდებოდა სახელმწიფოს მიერ თავისი თუნდაც ნომინალური ფუნქციების რეალურად შესრულება.

იმისათვის, რომ საგადასახადო სისტემა მეტ-ნაკლებად ოპტიმალურად ფუნქციონირებდეს, აუცილებელია, რომ იგი 6 ძირითად პრინციპს ემყარებოდეს (ჩჰაპკელლ, 1990, კვ. 41-44):

- **სიმარტივე**⁷⁸ - ყველას, როგორც გადასახადის გადამხდელს, ასევე ადმინისტრირებაში დასაქმებულ პირს ექსპერტების დახმარების გარეშე უნდა შეეძლოს გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებში გარკვევა;

⁷⁷ წონასწორულია GDP (Eქუილიბრუმ გროსს დომესტიც პროდუცტ), რომლის დროსაც საბოლოო საქონლისა და მომსახურების წარმოების (სამამულო, ადგილობრივი წარმოება) მოცულობა უდრის საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარებას (საერთო ხარჯებს) (Макконнелл, Брю, 1999, с. С-26).

⁷⁸ ინგლისურად “სიმპლიციტყ”;

- **სიცხადე**⁷⁹ - გადასახადი უნდა იყოს ერთიანი განაკვეთით⁸⁰ და საგადასახადო სისტემის დოკუმენტებში დებულებები არ უნდა იძლეოდეს ორმაგი გაგების საფუძველს;
- **განაკვეთი**⁸¹ - გადასახადის განაკვეთი მისაღები უნდა ყველასათვის და გადამხდელისათვის მისი გადახდა უნდა სჯობდეს არგადახდას;
- **უნივერსალურობა**⁸² - გადასახადის განაკვეთი ერთნაირად უნდა გამოიყენებოდეს დაბეგვრის ყველა სფეროში, ხოლო თუ სახელმწიფოს მიერ რაიმე შეღავათზეა საუბარი, იგი სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური პროგრამული დაფინანსებით უნდა ხდებოდეს;
- **სრულყოფილება**⁸³ - საგადასახადო სისტემა უნდა იყოს სრულყოფილი, ანუ უნდა იბეგრებოდეს არა მარტო ხარჯები, არამედ შემოსავლებიც;
- **სამართლიანობა**⁸⁴ - გადასახადებმა არ უნდა გამოიწვიონ ეკონომიკური პროცესების დამახინჯება, კერძოდ კი დაზოგვის სხვადასხვა ფორმასა და საუკეთესო შემთხვევაში მოხმარებასა და დაზოგვას შორის.

სახელმწიფო უნდა ისწრაფოდეს, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი საგადასახადო ადმინისტრაციის ხარჯები (Русакова, Кашина, 1998, с. 11).

ცხადია, სხვადასხვა სახის გადასახადი, როგორც განსხვავებული მაკროეკონომიკური ინდიკატორი, სხვადასხვა მიზნის მისაღწევად გამოიყენება (Русакова, Кашина, 1998, с. 12-15), კერძოდ ზოგიერთი გადასახადი მოხმარებაზე ანუ ირიბი (არაპირდაპირი) გადასახადი (მაგალითად, აქციზი) იწვევს ფასების ზრდას და დასაბეგრ საქონელზე მოთხოვნის შემცირებას, წარმოების ფაქტორებზე გადასახადები ამცირებს ამ ფაქტორთა მიწოდებას ბაზარზე.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ უნივერსალური, საერთო არაპირდაპირი გადასახადი (მაგალითად, დამატებული ღირებულების გადასახადი ან ბრუნვის გადასახადი) საქონლის არჩევანზე ზემოქმედებას ვერ ახდენენ, მაშინ როცა აქციზი ასეთ ზემოქმედებას ახდენს.

⁷⁹ ინგლისურად “Plainness”.

⁸⁰ ინგლისურად “შინგლე ფლატ ლატე”.

⁸¹ ინგლისურად “ლატე”.

⁸² ინგლისურად “სუნივერსალიტი”.

⁸³ ინგლისურად “ჰომპრეჰენსივენეს”.

⁸⁴ ინგლისურად “ჟვენ-ჰაუდედნეს”.

გადასახადები (ძირითადად შემოსავალზე გადასახადები, ანუ საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი) შეიძლება იყოს პროგრესიული, პროპორციული ან რეგრესიული, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციაში და სხვადასხვა მიზანს ისახავს.

გადასახადებზე და საგადასახადო სისტემაზე საუბრისას კიდევ ერთხელ გაიჟღერა სამართლიანობის თემა, რომელიც ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ეფემერული გამონათქვამია და რეალურ სამართლიანობასთან საერთო არაფერი არ აქვს. კერძოდ, სამართლიანობის მაჩვენებლად მიჩნეულია გადასახადის ოდენობა, რომელსაც კონკრეტულად გადამხდელი იხდის და აღიარებულისა, რომ სამართლიანობა ამ სფეროში შესაძლებელია ორი პრინციპის დაცვით იქნეს განხორციელებული (მენქიუ, 2000, გვ. 329; Мэнкью, 1999, სს. 265-273; Макконнелл, Брю, 1999, სს. 687-689; Русакова, Кашина, 1998, ს. 12). პირველ რიგში ესაა დაბეგვრა მიღებული სარგებლობის მიხედვით, ანუ გადამხდელი გადასახადს იხდის *სახელმწიფოს მიერ მისთვის გაწეული მომსახურებიდან მიღებული სარგებლის* მიხედვით, ხოლო მეორე პრინციპი არის *გადახდისუნარიანობის მიხედვით* დაბეგვრა. ცხადია არც ერთი ზემოთ აღნიშნული პრინციპი ოდნავადაც კი არ არის სამართლიანი და პირიქით უსამართლოც კია, რადგან შეუძლებელია გადამხდელმა გაზომოს ის “სარგებელი”, რომელსაც მას სახელმწიფო მოუტანს, მაშინ როცა ხშირად პირიქით, სახელმწიფო ზიანის მეტს არაფერს “აძლევს” გადამხდელს (მაგალითად, ინფლაციის, ომის, კრიმინალური არასტაბილურობის შემთხვევაში) და გადასახადებს მაინც იღებს და შესაძლოა გაზრდილი ოდენობითაც (სახელმწიფოს მიერ მიღებული ზარალის დასაფარავად). ასევე შეუძლებელია არსებობდეს რაიმე კრიტერიუმი *გადახდისუნარიანობის* დასადგენად. ის ფორმები, რომლებსაც როგორც წესი მიმართავენ, შემოიფარგლება შემოსავლის ოდენობით და არა კონკრეტული გადამხდელის ან მისი გარემოცვის (თუნდაც ოჯახის) მოხმარების სტრუქტურის ანალიზით. ამდენად ნებისმიერი განცხადება იმისა, რომ საგადასახადო სისტემა თუნდაც მეტნაკლებად სამართლიანია, არის მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ტრიუკი და მას არავითარი რეალური, თუნდაც ელემენტარული ეკონომიკური საფუძველი არ გააჩნია.

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, სრულყოფილი საგადასახადო სისტემის, რომელიც ბუნებაში პრინციპში არ არსებობს (პაპავა, 2000გ, გვ. 84),

ჩამოყალიბებაში ან უარეს შემთხვევაში სრულყოფისაკენ მიმართულ ღონისძიებებში და შესაბამისად, ეკონომიკის რეგულირების თვალსაზრისით, გადასახადების განაკვეთს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში შეუძლებელია ერთიან გადასახადზე და შესაბამისად მის ერთიან განაკვეთზე საუბარი, რადგან საქმიანობის ყველა ასპექტი სხვადასხვანაირი გადასახადით იბეგრება და მათ შორის არანაირი ლოგიკური კავშირი არ არსებობს. მაგრამ მსჯელობების გამარტივებისათვის თუ დავუშვებთ, რომ ეკონომიკაში მოქმედებს მხოლოდ ერთი გადასახადი, რომელსაც მაკროეკონომიკური ბუნება აქვს და ყველა მოქმედი გადასახადის გარკვეულ ერთობლიობაა⁸⁵, შესაძლებლობა მოგვეცემა სიღრმისეულად ჩავწვდეთ გადასახადების მაკროეკონომიკურ ბუნებას. ამდენად ჩვენც მხოლოდ ერთ, აგრეგირებულ, მაკროგადასახადზე გვექნება საუბარი, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ მასზე დაკვირვება და შემდეგ მისი სხვა გადასახადებზე გავრცობა შესაძლებელი და სასარგებლო იქნება. ცხადია გადასახადის განაკვეთზე დამოკიდებული უნდა იყოს GDP-ის რა წილი მოექცევა ბიუჯეტში და GDP-ის რა წილს მიმართავს სახელმწიფო ეკონომიკაში ერთობლივი მოთხოვნის წასახალისებლად.


ამ მიმართულებით მეტად საინტერესოა ის თეორიული მსჯელობანი, რომლებიც გადასახადის განაკვეთსა და ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსავლებს შორის კავშირს მიუთითებენ, კერძოდ კი ართურ ლაფერის შეხედულებანი და მისი ცნობილი მრუდი, რომელიც მან პირველად 1974 წელს ერთ-ერთ რესტორანში, ხელსახოცზე დახაზა (მენქიუ, 2000, გვ. 218-219). ეკონომისტები როგორც ყოველთვის ამ მოსაზრებასაც სკეპტიკურად შეხვდნენ (Никитин, Никитин, Степанова, 2000, сс. 49-50), მაგრამ იგი ძალიან მოეწონა რონალდ რეიგანს და მისი "რეიგანომიკის" და "მიწოდების ეკონომიკის" ერთ-ერთ თეორიულ საფუძვლადაც იქცა (ჩანტო, ჟონესს, ლაფერ, 1983; Макашева, 1983, гл.3; Самуельсон, Нордхаус, 1999, с. 357, Мэнкью, 1999, с. 188).

ლაფერის თანახმად გადასახადის განაკვეთის ზრდის შესაბამისად იზრდება ბიუჯეტში მობილიზებული თანხების ოდენობაც, თუმცა გარკვეული წერტილის (რომელიც ლაფერის წერტილის სახელითაა ცნობილი) მიღწევის შემდეგ, განაკვეთის

⁸⁵ მით უფრო, რომ ცალკეული გადასახადების ბუნების შესწავლა არ შედის მაკროეკონომიკის შესწავლის სფეროში და იგი უფრო მიკროეკონომიკური პრობლემაა.

ზრდა იწვევს შემოსავლების შემცირებას. ეს კავშირი "ლაფერის ეფექტით" ან "ლაფერის კანონითაა" ცნობილი (გუესნერიე, 1998).

ლაფერის მრუდის იდეა საკმაოდ მარტივია და გულისხმობს, რომ როდესაც გადასახადის განაკვეთი 0 %-ის და 100 %-ის ანუ $t=0$ და $t=1$ ტოლია, მაშინ ბიუჯეტში შემოსავლებიც 0-ს ტოლია, ანუ $T=0$, და მათ შორის შუალედში არსებობს ისეთი t_{max} , რომელის დროსაც ბიუჯეტში მაქსიმალური შემოსავლები T_{max} მიიღება.



ნახაზი 1. ლაფერის მრუდი

მრუდის მიხედვით ჩანს, რომ გადასახადის განაკვეთის შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს შემოსავლების არა შემცირება, არამედ გაზრდა. თუმცა მისმა პრაქტიკულმა გამოყენებამ დაადასტურა, რომ გადასახადის განაკვეთის შემცირებამ აშშ ბიუჯეტში შემოსავლების მკვეთრი კლება და დეფიციტის ზრდა გამოიწვია, ამდენად ეჭვქვეშ დადგა მისი არსებობაც კი.

ლაფერის მრუდის იდეისა და გრაფიკული ანალიზის მეშვეობით ე. ბალაცკიმ დაასკვნა, რომ τ_{ab} -ის არსებობა მხოლოდ ლოგიკური მსჯელობის ნაყოფია (Макконнелл, Брю, 1992, с. 359; Балацкий, 1997А, с. 39) და მას არანაირი სამეცნიერო უზრუნველყოფა არ გააჩნია და ამასთან თავად სახელმწიფოს არსიდან გამომდინარე, არ შეიძლება ლაფერის მრუდს გააჩნდეს კიდურა წერტილები, რადგან თუ გადასახადის განაკვეთი 0-ის ტოლია, ეს ნიშნავს რომ სახელმწიფო აღარ არსებობს, და იმის მტკიცება, რომ გადასახადის 100 %-იანი განაკვეთის არსებობის პირობებში საწარმოები ვერ იარსებებენ, მბრძანებლური ეკონომიკის არსებობამ გააქარწყლა. ამდენად ბალაცკის აზრით ლაფერის მრუდი ფარავს არა $[0, 1]$ შუალედს, არამედ შედარებით უფრო ვიწრო $(0, \tau)$ შუალედს, სადაც $0 < \tau < 1$ (Балацкий, 1997В, с. 93);

ამასთან ლაფერის მრუდი არ ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორცაა ინფლაცია, რომლის ტემპების არ გათვალისწინება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაანგარიშებისას ელემენტარულად ანალიზის საშუალებასაც არ იძლევა.

მიუხედავად იმისა, რომ ლაფერის მრუდის არსებობა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში არ დასტურდება, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში გადასახადების შემცირებას შეიძლება მოჰყვეს სასურველი შედეგი, ანუ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში ლაფერის ეფექტის არსებობა პრაქტიკულად შესაძლებელია. აღნიშნულს ადასტურებს ჩატარებული დაკვირვებები (პაპავა, 1995, პაპავა, 1996А, კვ. 263-267; 1999, კვ. 285-291; Балацкий, 2000Б; Вишневский, Липницкий, 2000), კონკრეტული გამოკვლევებია ჩატარებული საქართველოსა (Бეკერ, 1998) და უკრაინაში (Мэнкью, 1999, с. 1912), რომლის მიხედვითაც დასტურდება, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ეკონომიკური აქტივობის ზრდასა და საგადასახადო შემოსავლების ზრდას. კონკრეტულად საქართველოში 1996 წელს ზოგიერთი გადასახადის განაკვეთის შემცირებას, რომელიც ცხადია ერთობლივი გადასახადის "ტარიფშიც" აისახა, ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ზრდა მოჰყვა (პაპავა, 2000ა, გვ. 119-120). აღნიშნული ეფექტი იმით აიხსნება, რომ როგორც წესი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში დიდია ძირითადი საშუალებების დაუტვირთავი "მარაგი" (პაპავა, 2001გ, გვ. 47), რაც მნიშვნელოვანი ინვესტიციების გარეშე წარმოების გაფართოების საშუალებას იძლევა, რაც ლაფერის ეფექტის გამოვლენის საშუალებას იძლევა (Вишневский, Липницкий, 2000, сс. 110-111), მაგრამ გასათ-

ვალისწინებელია ე.წ. "მკვდარი" საწარმოებიც, რომლებიც ე.წ. *ნეკროეკონომიკას* ქმნიან, და ცხადია მათზე არანაირი გადასახადების შემცირება და შესაბამისად ლაფერის ეფექტი არ მოქმედებს (პაპავა, 2000ბ; 2000გ; პაპავა, 2001; Папава, 2001).

უნდა აღინიშნოს, რომ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში გადასახადების შემცირება არა მხოლოდ მიწოდების სტიმულირებას ახდენს, რაც საფუძვლად დაედო "რეიგანომიკას", არამედ ხდება მოთხოვნის სტიმულირებაც, ანუ სახელმწიფო უფრო ქმედითად ზემოქმედებს როგორც ერთობლივ მოთხოვნაზე, ასევე ერთობლივ მიწოდებაზე. აღნიშნულის შესახებ პირველად "ლაფერ-ქეინზიანური სინთეზის" სახელით გაცხადდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ხელშემწყობი "საგადასახადო თერაპიის" დამუშავების და მისი განხორციელების პროცესში (პაპავა, 1995; პაპავა, 1996A, პპ. 263-267; 1999, პპ. 285-291).

ქეინზიანური მიდგომის შესაბამისად გადასახადების განაკვეთის შემცირება და უპირველეს ყოვლისა ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შემცირება განაპირობებს მოხმარების ზრდას, რამეთუ იზრდება ხელთარსებული შემოსავლების ოდენობა, რომელიც მიიმართება ან მოხმარებაზე (ა) ან დაგროვებაზე (ბ), იზრდება სამომხმარებლო ხარჯების მოცულობა, რაც იწვევს მიწოდების ზრდას, ანუ წარმოებისა და დასაქმების ზრდას (პაპავა, 2001გ, გვ. 47); მოხმარების ზრდა იწვევს დაზოგვის შემცირებას, საპროცენტო განაკვეთის ზრდას, შესაბამისად სამამულო ინვესტიციების ოდენობის შემცირებას და უცხოური კაპიტალის ინტერვენციის ზრდას (Мэнкью, 1994, с. 618). აღნიშნული პროცესი განვითარებული ქვეყნებისათვის საკმაოდ უარყოფითია, თუმცა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისათვის იგი დადებითია რამდენიმე ფაქტორის გამო, უპირველეს ყოვლისა, შესაძლებელია ხელი შეეწყოს ადგილობრივი საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვას, ამასთან ტექნიკურად, ტექნოლოგიურად და მორალურად მოძველებული ტექნიკის პირობებში სწორედაც რომ სასურველია უცხოური კაპიტალის შემოსვლა (პაპავა 2001გ, გვ. 48; პაპავა, 1996A, პ. 264; 1999, პ. 287; Папава, 2001B).

ამდენად საგადასახადო შემოსავლების ოპტიმიზაციის მიზნით გადასახადების განაკვეთის დადგენას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

გადასახადების განაკვეთს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში, ეროვნული ეკონომიკის

ცალკეული დარგისათვის შედარებით შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმის პირობებში, სახელმწიფოს საშუალება ეძლევა საკმაოდ ქმედითი ბერკეტები აამოქმედოს ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ დარგებში პროდუქციის გამოშვების გაზრდის ან შემცირების თვალსაზრისით. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აღნიშნული ქმედებით სახელმწიფო უკვე აქტიურად და უხეშად ერევა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში და ხელოვნურად წახალისებს იმ დარგების განვითარებას, რომლებიც კონკურენციას ვერ უწევენ სხვა დარგებს, ამით ირღვევა რესურსების გადანაწილების ეფექტიანობა და სახელმწიფო ძალით კლავს ეროვნული ეკონომიკის იმ დარგს, რომელსაც უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს და "ხელოვნურ სუნთქვაზე" ჰყავს გადაყვანილი ნაკლებად-სიცოცხლისუნარიანი დარგი.

ეს პროცესი უფრო ნათლად ჩანს საერთაშორისო ვაჭრობაში. როდესაც სახელმწიფო ცდილობს საბაჟო ბარიერების მეშვეობით "დაიცვას" ადგილობრივი ბაზარი, ანუ გაატაროს "პროტექციონისტული პოლიტიკა", რაც თავის მხრივ კიდევ ერთი, არც-თუ უმნიშვნელო მაკროეკონომიკური ინსტრუმენტია.

ზოგადად თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა, სახელმწიფოთა შედარებითი უპირატესობა, მსოფლიო ეკონომიკას რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების საშუალებას აძლევს (Линдерт, 1992). რესურსებისა და ტექნოლოგიური განვითარების დონე სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვანაირია. შესაბამისად, თითოეულმა ქვეყანამ უნდა აწარმოოს ის საქონელი, რომლის წარმოებაც უფრო იაფი დაუჯდება.

თუ ყველა ქვეყანა ასე მოიქცევა, მოიგებს როგორც ერთი სახელმწიფო, ისე დანარჩენებიც. ამასთან, თავისუფალი ვაჭრობა ზღუდავს მონოპოლიებს და ავითარებს კონკურენციას. უცხოური ფირმების აქტიური მოქმედება ქვეყნის შიდა ბაზარზე აიძულებს ადგილობრივ ფირმებს დახვეწონ ტექნოლოგია, ეძებონ იაფი რესურსების ბაზა და გასაღების ახალი ბაზრები, გააუმჯობესონ ხარისხი და შეამცირონ პროდუქციის ღირებულება. თავისუფალი ვაჭრობა უბრალო მომხმარებელს საქონლისა და მომსახურების უფრო დიდ ასორტიმენტს სთავაზობს. სწორედ თავისუფალი ვაჭრობა წახალისებს ტექნოლოგიურ პროგრესს და შესაბამისად – ეკონომიკურ ზრდას.

ყველა სახელმწიფო გარკვეულ ზომებს ღებულობს თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვისათვის. ზოგიერთ სახელმწიფოში ეს შეზღუდვები საკმაოდ დიდია, ზოგან – ზომიერი, ზოგან კი საკმაოდ ლიბერალური. თუმცა, ბოლო ხანებში საკმაოდ მაღალი

ტრიბუნიდან მისი გამკაცრების მოთხოვნა გაისმის. როგორც ჩანს ხელისუფლებასა⁸⁶ და მასთან ახლოს მდგომ წრეებში თანდათან მწიფდება პროტექციონისტული პოლიტიკის კონტურები.

პროტექციონიზმი თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვას გულისხმობს. მის ძირითად მიზნად შიდა ბაზრის დაცვას მიიჩნევენ. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი “შიდა ბაზრის დაცვა” არ შეესაბამება იმ დატვირთვას, რასაც უნდა გულისხმობდეს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინი “ბაზარი” უამრავი მნიშვნელობით იხმარება, თუმცა ერთი ცხადია, იგი მყიდველთა და გამყიდველთა გარკვეული ერთობლიობაა, თანაც მყიდველთა ინტერესების დაკმაყოფილების გარკვეული უპირატესობით გამყიდველთა ინტერესების მიმართ.

ამდენად, ჩვენი აზრით, ბაზრის დაცვა მომხმარებელთა უფლებების დაცვა უფროა, ვიდრე მწარმოებლისა. მით უმეტეს, რომ მომხმარებელია ყველა (მათ შორის მწარმოებელიც), ხოლო მწარმოებელი ყველა არ არის.

პროტექციონისტული სავაჭრო პოლიტიკა თავისუფალი ვაჭრობის შეზღუდვას გულისხმობს. შეზღუდვის უამრავი მექანიზმი არსებობს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია საბაჟო და საგადასახადო ტარიფების, იმპორტის ქვოტირების, ლიცენზირების და სხვა არასატარიფო ბარიერების გამოყენება.

ჩვენ ამ შემთხვევაში, ვინაიდან მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებზე და კერძოდ გადასახადებზე ვსაუბრობთ, საბაჟო პოლიტიკას შევეხებით.

სახელმწიფოსათვის გადასახადების დაწესებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ნებისმიერ სახელმწიფოში უამრავი გადასახადი არსებობს როგორც იმპორტზე, ისე საკუთარ წარმოებაზე. თუმცა მათი დაწესების მიზანი შესაძლოა განსხვავებული იყოს. გადასახადები შესაძლოა დაწესდეს როგორც სახელმწიფო შემოსავლების ზრდის, ისე გარკვეული სახის საქონლის და მომსახურების იმპორტის შესღუდვის მიზნით.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადასახადებს შემოსავლების ზრდისათვის აწესებს (ე.წ. “ფისკალური გადასახადები”), მაშინ ეს გადასახადები თანაბარია როგორც

⁸⁶ მათ შორის საქართველოს ხელისუფლებაშიც.

იმპორტზე, ისე ადგილობრივ წარმოებაზე. ამ თვალსაზრისით უცხოელი და ადგილობრივი მეწარმე დაახლოებით თანაბარ⁸⁷ პირობებში იმყოფებიან.

ამასთან ფისკალური გადასახადების ერთადერთ დანიშნულებას სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება წარმოადგენს.

არის სიტუაცია, როცა აქციზი უცხოურ საქონელსა და მომსახურებაზე უფრო მაღალია, ვიდრე სამამულო წარმოების პროდუქციაზე. სწორედ ამაში ვლინდება პროტექციონისტული პოლიტიკის მთავარი მექანიზმი. ცხადია პროტექციონისტული საბაჟო და საგადასახადო განაკვეთები ყოველთვის იმდენად მაღალი არ არის, რომ მთლიანად შეაჩეროს იმპორტი, მაგრამ ისინი საზღვარგარეთელ მომწოდებლებს მაინც არასასურველ მდგომარეობაში აყენებს, ხოლო ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გასაღება გაცილებით უკეთეს პირობებშია.

ერთი შეხედვით⁸⁸ სწორედ ამგვარ პოლიტიკას შეუძლია ადგილობრივი მეწარმის დაცვა და შემდგომ წარმოების აღორძინება. სამწუხაროდ, რეალობა ცოტა სხვაგვარია.

მართალია, მეცნიერ-ეკონომისტებში თავისუფალი საბაზრო მექანიზმებისა და მათ შორის, ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის განხორციელების მომხრენი სჭარბობენ, მაგრამ ხელისუფლებაში მაინც პროტექციონიზმის მომხრეთა სიმრავლე იგრძნობა. ეს ალბათ არც არის გასაკვირი, რამეთუ როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაში საკმაოდ მრავლად არიან ბიზნესიდან მოსული, ან ბიზნესთან ახლოს მდგომი ადამიანები. ამდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ისინი იცავენ საკუთარ ინტერესებს ან ლობირებას უკეთებენ მათთვის მისაღებ მოსაზრებათა განხორციელებას⁸⁸.

პროტექციონისტული პოლიტიკის მომხრეთა არგუმენტები საკმაოდ სერიოზულია, მით უფრო პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში. უპირველეს ყოვლისა, ისინი ანალიზს უკეთებენ რა ეკონომიკის მდგომარეობას აღნიშნავენ, რომ ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებში მემკვიდრეობით დარჩა დანგრეული საწარმოო ბაზა, ხოლო მძიმე კრიმინოგენულმა

⁸⁷ “დაახლოებით თანაბარი” ცხადია არ ნიშნავს თანაბარს, რამეთუ ადგილობრივ მწარმოებელსა და იმპორტიორს შორის “თანაბრობას” ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს, რომლის წყალობითაც ადგილობრივი მწარმოებელი თითქმის ყოველთვის უკეთეს პირობებშია. ეს ფაქტორებია საბაჟო გადასახადი, ტრანსპორტირების ხარჯები, დაზღვევა, რესურსების (მ.შ. შრომითი) ფასთა შორის სხვაობა, ტექნოლოგიურ დონეებს შორის სხვაობა და სხვ.

⁸⁸ ამ საკითხებზე საუბარი უფრო დაწვრილებით მომდევნო პარაგრაფში გვექნება.

ვითარებამ მთლიანად წელში გატეხა ეროვნული ეკონომიკა; გაწყვეტილმა ეკონომიკურმა კავშირებმა შეუძლებელი გახადა ეკონომიკის აღმავლობა და ამდენად დღეს სახელმწიფოს უმთავრესი დანიშნულება სწორედ მეწარმეობისადმი ხელის შეწყობაა.

ცხადია ყოველივე ზემოთ თქმულს *აბსოლუტურად ვეთანხმებით*, და უფრო მეტიც, მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოს მხრიდან გატარებული უნდა იქნას ქმედითი ღონისძიებანი ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობისათვის.

მაგრამ, რთულია გაზიარებულ იქნეს ის მოთხოვნები, რომლებიც ადგილობრივ მეწარმეთათვის ე.წ. “სათბურის პირობების” შექმნას მკაცრი პროტექციონისტული პოლიტიკის მეშვეობით მოითხოვენ. “სათბურის პირობებში” თავისთავად უფრო ეფექტიანი, საზღვარგარეთული ფირმების კონკურენციისაგან დაცვა იგულისხმება, რაც თითქოს წარმოების სხვადასხვა დარგის ფეხზე დაყენების ერთადერთი პირობაა.

წარმოების აღორძინების მნიშვნელოვან ფაქტორად წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზრის არსებობა და კონკურენცია უნდა მივიჩნიოთ. იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეებმა ვერ უზრუნველყვეს საკუთარი წარმოებული პროდუქციის რეალიზება, საუბარი წარმოების შემდგომ გაფართოებაზე საკმაოდ არარეალურ ფერებს მიიღებს. ამდენად გასაღების ბაზარი წარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ კონკურენციის გარეშე ადგილობრივ მეწარმეები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ფასების შემცირების სტიმულის გარეშე რჩებიან, რაც აშკარად ხელს შეუშლის წარმოების გაფართოებას და მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ იმუშავებს. დღეს მოსახლეობა გარკვეული, სრულიად ობიექტური და გასაგები მიზეზების გამო უარს ამბობს შეიძინოს ადგილობრივი წარმოების გარკვეული სახეობის პროდუქცია, მათ ნაცვლად ისინი უცხოურ და შედარებით იაფ საქონელს ყიდულობენ. სხვათა შორის მათი ხარისხი გაცილებით მაღალია ზოგიერთ ადგილობრივი წარმოების გაცილებით ძვირ პროდუქტზე.

ელემენტარული გათვლებიც კი საკმარისია იმის გასარკვევად, რომ ადგილობრივი უხარისხო პროდუქციის გასაღების ერთადერთი გზა უცხოური ანალოგების გაძვირებაა. ეს საკითხის “მარტივად” გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. მეწარმეებს ზედმეტი თავის მტვრევის გარეშე, შესაძლებლობა ექნებათ სახელმწიფოს “მხარდაჭერით”, დაჯაბნონ უცხოელი კონკურენტები. იმისათვის, რომ იმპორტული

საქონელი გაძვირდეს, აუცილებელია მათზე დანახარჯების ზრდა, რაც ჩვენს პირობებში იმპორტულ საქონელზე გადასახადების გაზრდაში გამოიხატება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საბაჟო გადასახადის ზრდა იმპორტირებული პროდუქციის კონტრაბანდას შეუწყობს ხელს, რაც შემდგომში ბაზრის დანგრევით იმუქრება, რადგან, როგორც წესი, კონტრაბანდული საქონლის შეტანა ქვეყანაში უფრო იაფი ჯდება, ვიდრე იგივე საქონლის მაღალი საბაჟო გადასახადებით დაბეგვრის შემთხვევაში. მით უფრო, რომ არც-ერთ სახელმწიფოში არ არის აღმოფხვრილი კონტრაბანდა და საბაჟოს გვერდის ავლით პროდუქციის იმპორტი.

თუ ამგვარი პოლიტიკა განხორციელდება და ადგილობრივი მეწარმე "ჩინური კედლით" გამოეყოფა უცხოურ კონკურენტებს, ადგილობრივი წარმოება ყოველთვის უზადრუკი, ხოლო მათი ნაწარმი ყოველთვის უხარისხო და ძვირი იქნება. რამეთუ, ნორმალურ, თანაბარ პირობებში ჩაყენებული უცხოური კონკურენციის გარეშე წარმოების გაფართოებაზე, ეფექტიანობის ზრდაზე, პროდუქციის ხარისხის დახვეწაზე საუბარიც კი ნაადრევია. ამასთან მნიშვნელოვანია ისიც, რომ *დიფერენცირებული აქციზი რესურსების არასწორ განაწილებას კიდევ უფრო გაამძაფრებს, რაც ისედაც არაეფექტიან ეკონომიკურ სისტემას სრული დეზორგანიზაციითა და აბსოლუტური კონტრასტულობით ემუქრება.* რაც საბოლოო ჯამში "სათბურიდან" გარეთ გასვლისთანავე "მოყინვით" და დაღუპვით ემუქრება სახელმწიფოს თბილ კალთას ამოფარებულ მეწარმეს.

ცხადია, არის დარგები, რომლებსაც სახელმწიფოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, რომლებშიც შესაძლოა დაბეგვრის განსაკუთრებულ რეჟიმზე ვიფიქროთ, მაგრამ ამას არ უნდა მიეცეს ყოვლისმომცველი ხასიათი⁸⁹ და თანაც არ უნდა დაირღვეს თანასწორობის პრინციპი, ანუ ადგილობრივი მეწარმე და იმპორტიორი თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ.

⁸⁹ ძნელია იმ დარგთა გარკვევაც, რომლებშიც შესაძლოა მცირე დოზით, ძალიან ზომიერ ფარგლებში განხორციელდეს პროტექციონისტული პოლიტიკა, რამეთუ დღეს საქართველოში თითქმის ყველა დარგი და საწარმო ერთმანეთზე უარეს მდგომარეობაში იმყოფება და ყველა მათგანი დაცვას საჭიროებს. არ არსებობს საწარმო, რომელიც "სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციას არ აწარმოებდეს" და წარმოებასთან ახლოს მდგომი ნებისმიერი ადამიანი დაგვეთანხმება, რომ, რომელ საწარმოშიც არ უნდა შეხვიდეთ, თითოეული მათგანის ხელმძღვანელს საკმაოზე მეტი არგუმენტი აქვს, რომ სწორედ ეს საწარმო გადაარჩენს საქართველოს. ცხადია, საქმისადმი ასეთი მიდგომის პირობებში რაიმე შეღავათების დაწესება ან რომელიმე დარგის საწარმოთა, სხვებთან შედარებით უკეთესი პირობების ხელოვნურად შექმნა ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის განვითარების საკმაოდ კარგ ნიადაგს ქმნის.

პროტექციონისტული პოლიტიკის მომხრენი მიიჩნევენ, რომ იმპორტულ საქონელზე მაღალი საბაჟო და აქციზური გადასახადების შემოღებით მკვეთრად გაიზრდება სახელმწიფოს შემოსავლები. სხვათა შორის ეკონომიკური გაანგარიშება და სხვა ქვეყნების გამოცდილება იმას მოწმობს, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა ხელს უწყობს შემოსავლების გადანაწილებას მომხმარებლებიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ. ანუ სახელმწიფო იგებს იმას, რასაც კარგავს მომხმარებელი, იზრდება სახელმწიფოს შემოსავლები და იგივე რაოდენობით მცირდება მოსახლეობის შემოსავლები. მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობის დონე არ იცვლება.

აღმოჩნდა, რომ პროტექციონისტული პოლიტიკა ყველაზე მეტად მოსახლეობის მცირეშემოსავლიან ფენებს დააზარალებს. თუ, დღეს მოსახლეობის ფართო მასებს მეტნაკლებად შეუძლიათ უცხოური საქონლის შეძენა, პროტექციონისტული პოლიტიკის წყალობით უცხოური პროდუქცია მკვეთრად გაძვირდება, ეს ფენა პირისპირ აღმოჩნდება უხარისხო სამამულო პროდუქციასთან, რომელიც იმის გამო, რომ უცხოური საქონლის კონკურენციას აღარ განიცდის, ასევე მკვეთრად გაძვირდება.

პროტექციონიზმი მომხმარებელს სამუდამოდ უხარისხო პროდუქციით სარგებლობას მიუსჯის. ასე, რომ პროტექციონიზმის მეშვეობით შესაძლოა მწარმოებელმა კი ამოისუნთქოს, მაგრამ მომხმარებელი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. მისი მსყიდველობით უნარიანობა დაეცემა, შემცირდება მოთხოვნა, რაც საბოლოო ჯამში წარმოების მასშტაბების შემცირებასაც გამოიწვევს.

გასათვალისწინებელია აგრეთვე კონტრაბანდის ფაქტორიც, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, საბაჟო გადასახადების აწევა უცილობლად გამოიწვევს კონტრაბანდის ზრდას, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლის ადგილობრივი წარმოების განვითარებასაც, რადგან კონტრაბანდული პროდუქცია არ იბეგრება და შესაბამისად დაბალი ფასის გამო (მიუხედავად მისი ქვეყანაში შემოტანისას არაოფიციალურად გადახდილი თანხებისა) მას ადგილობრივი, დაბეგრული პროდუქცია კონკურენციას ვერ გაუწევს. შესაბამისად მთავარი მიზანი, რისთვისაც უნდა მოხდეს საბაჟო გადასახადების აწევა ვერ შესრულდება, ანუ ბიუჯეტი დაკარგავს არსებულ შემოსავლებს იმპორტიდან, ხოლო

ადგილობრივი პროდუქცია ვერ მოიპოვებს ბაზარს, ანუ ბიუჯეტი დაკარგავს შემოსავლებს ადგილობრივი წარმოებიდანაც⁹⁰.

პროტექციონიზმს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს და ეს არც არის გასაკვირი. მათ საკმაოდ სერიოზული არგუმენტებიც გააჩნიათ, თუმცა ეს არგუმენტები შესაძლოა მთლად დამაჯერებლად ვერ ჟღერდეს. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ეს არგუმენტები ხშირად ემოციებზე დაყრდნობილ მოწოდებებს უფრო ჰგავს, ამიტომ უდიდესი დაფიქრება გვმართებს, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდეთ.

ამას მსოფლიოს გამოცდილებაც მოწმობს. 50-იან წლებში ურუგვას, რომელშიც დაახლოებით იმავე პოლიტიკას ახორციელებდა, როგორც საქართველო დღეს და თანაც პრაქტიკულად იგივე მდგომარეობაში იყო, სამხრეთ ამერიკის შვეიცარიას უწოდებდნენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. შემდგომში ადგილობრივ მწარმოებელთა ლობირებით, პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა, დაიწყო პროტექციონისტული პოლიტიკის განხორციელება. დღეს ურუგვა იჩვეულებრივი, გაჭირვებული განვითარებადი ქვეყანაა.

ამასთან აქ არ შეიძლება უდიდესი ქართველი მოაზროვნის, ერის სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის სიტყვები არ გავიხსენოთ, რომელიც მან ჯერ კიდევ 1887 წლის ივნისში გამოაქვეყნა “რა გზით ნდომულობენ ბედნიერების ჩამოვარდნას პროტექციონელი? ამისათვის ერთადერთი ღონეა “ტამოჟნა”, ესე იგი საბაჟო. რომელი სახელმწიფოც ამ პროტექციონობას მისდევს, იგი იმოდენა ბაჟს ადებს შემოსატან თუ გასატან საქონელს და იმისთანა წესებით ჰხლართავს საქონლის გატან-გამოტანის საქმეს და ამაებით იმოდენად ჰზრდის საქონლის ფასსა, რადგანაც ბაჟი ზედ ეკეცება, რომ ბაზარი ვეღარ იფერებს, თუ ძალიან არ უჭირს საქონელი. ამ გზით საქონლის მიდენ-მოდენას წინ უშვე-ლებელი ზღუდე აემართება ხოლმე, რომ ვერას გზით ვერ გაირღვევა.

ამისთანაა ბუნება პროტექციონობისა სათავიდან დაწყობილი ბოლომდე. ეს ხომ ასეა, და იქნება ამ მხრით ამ სისტემას ცოტა რამ საბუთი ჰქონდეს, თუმცა კი ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისთვის ისა სჯობია, საშუალება ჰქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს,

⁹⁰ ამ მოსაზრებას, ჩვენი აზრით ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში მოხმარებული თამბაქოს დაახლოებით 50%, საავტომობილო ბენზინის დაახლოებით 60%, დიზელის საწვავის დაახლოებით 80% და ნავთის დაახლოებით 85% კონტრაბანდულია.

საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იეფი ჩემ-შენაობის განურჩევლად” (ჭავჭავაძე, 1956, გვ. 322).

ჩვენ განვიხილეთ სახელმწიფო ბიუჯეტის ორი ნაწილი, ხარჯები და შემოსავლები. სახელმწიფოს მხრიდან ეროვნულ ეკონომიკაზე ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია როგორც თითოეული ცალკე-ცალკე, ასევე ერთად, ანუ საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც შეიძლება იყოს დისკრეციული ან არადისკრეციული (Макконнелл, Брю, 1999, сс. 252-260).

დისკრეციულია ისეთი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, როცა სახელმწიფო ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებებს ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ და ახორციელებს მასტიმულირებელ ან შემაკავებელ (შემაფერხებელ) პოლიტიკას (Макконнелл, Брю, 1999, сс. 252-260).

მასტიმულირებელია ისეთი პოლიტიკა, როდესაც სახელმწიფო ზრდის ხარჯებს, ან ამცირებს გადასახადებს, რითაც ზრდის ერთობლივ მოთხოვნას და სტიმულს აძლევს ეროვნულ ეკონომიკას. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ გადასახადების შემცირებას შეიძლება არ მოჰყვეს ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, რადგან შეიძლება გადასახადებში არ გადახდილი თანხა ნაცვლად მოხმარებისა, დანაზოგებში მიიმართოს⁹¹, ცხადია უფრო ეფექტიანი შეიძლება იყოს ხარჯების ზრდა.

შესაძლებელია ორივე ღონისძიება პარალელურად გატარდეს, ამ დროს როგორც წესი ადგილი აქვს *ბიუჯეტის დეფიციტს*.

თავისი არსით სრულიად საწინააღმდეგოა შემაკავებელი პოლიტიკა, რომლის დროსაც მოთხოვნის ინფლაციაზე კონტროლის მიზნით ხდება გადასახადების ზრდა, სახელმწიფო ხარჯების შემცირება და *საბიუჯეტო გარდამეტი* წარმოქმნა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ **ბიუჯეტი ყოველთვის დაბალანსებულია**, ანუ სახელმწიფო ვერ დახარჯავს იმაზე მეტს რაც გააჩნია ან პირიქით, ვერაფერს მოუხერხებს იმას რაც გააჩნია, თუ არ დახარჯა, ანუ **ბიუჯეტის დეფიციტიც ფინანსდება და ბიუჯეტის პროფიციტიც (გარდამეტი) იხარჯება** და ბიუჯეტში შემოსავლები

⁹¹ ალბათ უპრიანია გავიხსენოთ, რომ *მოხმარებისადმი (დაზოგვისადმი) საშუალო მიდრეკილება უდრის მოხმარება (დაზოგვა) შეფარდებული შემოსავალთან*, ხოლო *ძვრული მიდრეკილება მოხმარებისადმი (დაზოგვისადმი) უდრის მოხმარების (დაზოგვის) ცვლილების შეფარდება შემოსავლის ცვლილებასთან*. დასაზუსტებელია ისიც, რომ *მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებისა და დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილების ჯამი ერთის ტოლია* (Макконнелл, Брю, 1999, сс. 186-187).

(დეფიციტის დაფარვის წყაროსთან ერთად) ყოველთვის უდრის ხარჯებს (გარდამეტან ანუ პროფიციტთან ერთად), საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის უმთავრესი ინსტრუმენტი სწორედ დეფიციტის ან პროფიციტის სიდიდეა და შესაბამისად მათი დაფარვის ან გამოყენების მიმართულებაა.

დეფიციტის დაფინანსებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სესხი (როგორც სამამულო ბაზარზე აღებული, ასევე უცხოური) ან ემისიის ხარჯზე. როდესაც დეფიციტი იფარება სესხის ხარჯზე, ამ დროს ცხადია იზრდება მოთხოვნა კაპიტალზე, შესაბამისად იზრდება პროცენტი, რაც არახელსაყრელ მდგომარეობაში აგდებს წარმოებას, რომელსაც აკლდება კაპიტალის სესხების შესაძლებლობა. რაც შეეხება ახალი ფულის გამოშვებით დეფიციტის დაფარვას, იგი ერთი შეხედვით თავისუფალია ზემოთაღნიშნული ნაკლოვანებისაგან, თუმცა მან შეიძლება ინფლაცია გამოიწვიოს.

უკანასკნელ ხანს დეფიციტის დაფარვისათვის გამოიყენება სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან (პრივატიზებიდან) მიღებული შემოსავლები, რაც ვფიქრობთ ყოველად მიუღებელი პრაქტიკაა, რადგან სახელმწიფო ქონების ხარჯზე ხდება სახელმწიფოს მიმდინარე პრობლემების დაფინანსება. საბოლოოდ არც ამ პრობლემების მოგვარება ხდება და შესაბამისად არც პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლები იხარჯება მიზნობრივად – წარმოების გაფართოებისათვის.

რაც შეეხება პროფიციტის გამოყენებას, ლოგიკურია, რომ იგი სწორედ დეფიციტის დაფარვის წყაროების საწინააღმდეგო ქმედებებისათვის, ანუ ვალების გასტუმრების და მიმოქცევიდან ამოღების გზით იხარჯება. შესაძლებელია პროფიციტი სახელმწიფო ქონების შესაძენადაც იქნეს გამოყენებული.

რაც შეეხება არადისკრეციულ საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკას, იგი ავტომატური, ჩაშენებული სტაბილიზატორების მეშვეობით ზრდის ან ამცირებს ბიუჯეტის დეფიციტს ან პროფიციტს შესაბამისად დაცემის ან ინფლაციის პერიოდში, სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ქმედებების გატარების გარეშე (Макконнелл, Брю, 1999, с. 257). ეს უპირველეს ყოვლისა, ისევ და ისევ გადასახადების მეშვეობით ხდება, რადგან, როგორც წესი, გადასახადები ფიქსირდება პროცენტულად შემოსავალთან ან ხარჯთან მიმართებაში და ინფლაციის დროს იზრდება და აფერხებს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას, ხოლო დაცემის პერიოდში მცირდება და ახალისებს ერთობლივ მოთხოვნის ზრდას.

საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის პარალელურად, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაზე ზემოქმედებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ თეორიაში ქეინზიანელებსა და მონეტარისტებს შორის არ წყდება კამათი საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკების ეფექტიანობის შესახებ, ეს უკანასკნელი და მისი ინსტრუმენტები ძალზედ ეფექტიანად გამოიყენება.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქეინზიანელთა თვალსაზრისით ეკონომიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერთობლივ ხარჯებს, კერძოდ $GDP = C + I_g + G + X_n$, მათგან განსხვავებით მონეტარისტები ეკონომიკურ პროცესებში ძირითად როლს ფულს ანიჭებენ და უმთავრეს თანაფარდობად *გაცვლის განტოლება* (Макконнелл, Брю, 1999, с. 345) მიაჩნიათ, რომლის თანახმადაც

$$MV = PQ$$

სადაც M არის მიმოქცევაში არსებული ფულის მასა, V – მისი ბრუნვის სიჩქარეა, P ფასების დონეა (უფრო სწორედ, გასაშუალოებული ფასია), ხოლო Q – წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობაა.

ორივე ფორმულაზე დაკვირვებით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ $GDP = PQ$ ანუ $MV = C + I_g + G + X_n$. რაც გვადლევს იმის საშუალებას, რომ ვისაუბროთ ფულის როლზე ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიმოქცევაში ფულის რაოდენობაზე დიდადაა დამოკიდებული ფასების დონე და შესაბამისად ინფლაციური პროცესების რეგულირება.

სწორედ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა⁹² აძლევს სახელმწიფოს საშუალებას ფულის მეშვეობით მიაღწიოს საკუთარ მიზნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკას განსაზღვრავს საკანონმდებლო ორგანო, ხოლო განახორციელებს და წინადადებებს შეიმუშავებს ცენტრალური ბანკი, რომელსაც ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან დამოუკიდებლობის საკმაოდ მაღალი ხარისხი აქვს. როგორც წესი, ცენტრალური ბანკი არ შედის მთავრობის შემადგენლობაში⁹³, მოქმედებს

⁹² ჩვენ ზემოთ უკვე გავიხსენეთ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული განმარტებები და ის ინსტრუმენტები, რომელიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკას გააჩნია, ამდენად ადარ განვმეორდებით და უშუალოდ აღნიშნულ ინსტრუმენტებზე შევჩერდებით.

⁹³ კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი იმისა, თუ რატომ უნდა ვთქვათ უარი ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში პოლიტიკაზე საუბრისას სიტყვაზე "მთავრობა" და რატომ უნდა ვიხმაროთ უფრო უნივერსალური მცნება "სახელმწიფო".

ავტონომიურად, ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე და მის ხელმძღვანელს ხელშეუხებლობის გარანტია აქვს (გარდა კრიმინალური ქმედებებისა).

ცენტრალური ბანკი, როგორც წესი ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ახორციელებს სამი ხერხით (მენქიუ, 2000, გვ. 798-800; Мэнкью, 1999, сс. 597, 598; Макконнелл, Брю, 1999, сс. 317-318; Сакс, Ларрენ, 1999, сс. 292-302; Бурда, Виплош, 1998, сс. 214-225) ესაა ოპერაციები *ღია ბაზარზე*, *აუცილებელი რეზერვის ნორმის რეგულირება* და *საადრიცხვო ნორმის (დისკონტის) რეგულირება*.

ღია ბაზარზე ოპერაციები გულისხმობს ცენტრალური ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდებით (როგორც წესი სამთავრობო ობლიგაციებისა და სახაზინო ვალდებულებების სახით) ვაჭრობას. ფასიანი ქაღალდების გაყიდვით ცენტრალური ბანკი მიმოქცევიდან იღებს ფულს, ხოლო ყიდვით ახდენს ემისიას.

აუცილებელი რეზერვის რეგულირებით ცენტრალური ბანკი ასევე არეგულირებს მიმოქცევაში ფულის რაოდენობას, კერძოდ სარეზერვო ნორმის ზრდის შემთხვევაში, კომერციული ბანკები იძულებულნი არიან შეამცირონ დაკრედიტება და შეზღუდონ კაპიტალის ბაზარზე ფულის მიწოდება, და პირიქით, აუცილებელი რეზერვის შემცირებით მათ საშუალება ეძლევათ გაზარდონ ფულის მიწოდება ბაზარზე.

საადრიცხვო ნორმა (დისკონტი) არის ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გამოყოფილ სესხებზე სარგებლის ნორმა. მისი ზრდა ამცირებს საბანკო რეზერვების ოდენობას და შესაბამისად ფულის მიწოდებას, ხოლო შემცირება ზრდის მათ.

ცხადია ეს ინსტრუმენტები სრულად არ იძლევიან ფულის კონტროლის საშუალებას, ვინაიდან ბევრ ქვეყანაში (მათ შორის აშშ-ში და საქართველოშიც) ფულის ნაწილი არ არის მოქცეული საბანკო სფეროში და ხშირად "მუთაქაშია" (ემსახურება ჩრდილოვან ეკონომიკას), ცხადია ცენტრალური ბანკის მიერ ზემოთდასახელებული ინსტრუმენტები უძლურია მათ მიმართ და ამდენად ფულის ბაზარზე ყოველთვის არის იმის საშუალება, რომ მიწოდება მოულოდნელად გაიზარდოს ან შემცირდეს.

თუ დავუშვებთ, რომ მთელი ფული საბანკო სისტემაშია მოქცეული, და ცენტრალური ბანკი აკონტროლებს მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობას, შესაძლებელია ორი სახის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე ვისაუბროთ, რომელიც *იაფი* და *ძვირი ფულის პოლიტიკის* სახელითაა ცნობილი (Макконнелл, Брю, 1999, сс. 325-327).

იაფი ფულის პოლიტიკა მოიცავს ცენტრალური ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების შექმნას, აუცილებელი რეზერვის შემცირებას და სააღრიცხვო ნორმის შემცირებას. აღნიშნული რონისძიება გაზრდის ფულის მიწოდებას ბაზარზე, რასაც ცხადია მისი ფასის – პროცენტის შემცირება მოჰყვება, რაც შესაძლოა ინვესტიციების წამახალისებელ ფაქტორად იქცეს, რაც ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევს.

მეორე ფულის პოლიტიკა გულისხმობს ფასიანი ქაღალდების გაყიდვას, აუცილებელი რეზერვისა და სააღრიცხვო განაკვეთის ზრდას, რაც ამცირებს ბანკების შესაძლებლობას “შექმნან ფული”, ანუ ამცირებს ბაზარზე ფულის მიწოდებას და ზრდის პროცენტს და ამცირებს ინფლაციის ტემპებს.

რამდენიმე მიზეზის გამო, ეკონომისტთა ნაწილი ფულად-საკრედიტო პოლიტიკას უფრო ეფექტიანად მიიჩნევს რამდენიმე მიზეზის გამო, რომელთაგან ჩვენ საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკასთან შედარებით სისწრაფეს, მოქნილობას, ნაკლებად პოლიტიზირებას და მეტ დამოუკიდებლობას გამოვყოფთ.

იმის გამო, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელობა, მთავრობის ხელმძღვანელობისაგან განსხვავებით დროის გარკვეული პერიოდის (როგორც წესი 5-7 წელი) განმავლობაში გარანტირებულნი არიან, რომ არ დაკარგავენ თანამდებობას და მათ არ შეეხებათ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და ამასთან ცენტრალურ ბანკს თითქმის ყოველდღიურად შეუძლია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აწარმოოს ოპერაციები, მის მიერ გატარებული პოლიტიკა უფრო მოქნილია და სტაბილური და ნაკლებად შეიცავს პოპულიზმის ელემენტებს, რადგან გარკვეული ვადის გასვლამდე მას არ ეხება ქვეყნის უმაღლეს ემელონებში (როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში) მოსალოდნელი ცვლილებები.

ამდენად სახელმწიფო ზემოთაღნიშნული ინსტრუმენტების მეშვეობით აქტიურად ზემოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე და ერთობლივ მიწოდებაზე და შესაბამისად რეალურად ზემოქმედებს საკუთარი მიზნების მიღწევასა და ფუნქციების განხორციელებაზე.

2.3 "საზოგადოებრივი არჩევანი", "ახალი ინსტიტუციონალური თეორია" და საზოგადოებრივი ინსტრუმენტები – მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების არაეკონომიკური საფუძველი

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე, გარდა ზემოთ აღწერილი ინსტრუმენტებისა, რომლებსაც წმინდა ეკონომიკური ხასიათი აქვს, ბევრი სხვა ფაქტორიც მოქმედებს, რომელთა გათვალისწინებლობა პრაქტიკულად შეუძლებელია.

იმის გათვალისწინებით, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე გადაწყვეტილებებს ადამიანი – სუბიექტი ღებულობს, ცხადია ყველა გადაწყვეტილების მიღება არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიზნების, ინსტრუმენტების და სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების სრულყოფილ ანალიზს და ხშირ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილებები გარკვეულ წილად სუბიექტურია, ანუ არ ჯდება იმ მოდელებში, რასაც მაკროეკონომიკური პოლიტიკის თეორია სთავაზობს სახელმწიფოს.

არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკურ განზრახვლობათა ჩამოყალიბებაზე მოქმედებს (Соколинский, 1999, с. 75):

- სახელმწიფოს ისტორიული განვითარების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოტენციალი;
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არჩეული მოდელის ხასიათი;
- საზოგადოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დონე და ინსტიტუციონალური სტრუქტურა;
- სახელმწიფოს მიერ დაგროვილი გამოცდილება;
- ერის მენტალიტეტი;
- ლიდერის ინსტიტუტი.

ცხადია თითოეულ აღნიშნულ ფაქტორს უდიდესი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე, თუმცა მათი ნაწილი მაინც ეკონომიკურ ფაქტორებს (სახელმწიფოს ისტორიული განვითარების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოტენციალი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არჩეული მოდელის ხასიათი) მიეკუთვნება და მათზე ამჟამად აღარ შევჩერდებით.

განვიხილავთ მხოლოდ ბოლო სამ ფაქტორს, რომლებიც არაეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენას მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე ყველაზე უფრო ნათლად წარმოაჩენენ.

ერის მენტალიტეტი – ალბათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც დიდწილად განაპირობებს ყველა იმ მოვლენის არსსა და ფორმას, რომელიც სახელმწიფოში მიმდინარეობს. იგი ამა თუ იმ ერის ტიპური ფსიქოლოგიური ხასიათების ერთობლიობაა. საუბარი შეეხება იმ ფასეულობების მიმართ ერის დამოკიდებულებას, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების დროს.

სხვადასხვა ერი სხვადასხვანაირად აღიქვამს ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს. მაგალითად, სამხრეთ ევროპის მოსახლეობის⁹⁴ ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ცხოვრებით ხალისი, გარკვეული კანონდაუმორჩილებლობა, დროისადმი არარაციონალური დამოკიდებულება, მაშინ როცა ჩრდილოელი ხალხები უფრო მეტ ყურადღებას არა ცხოვრებისაგან სიხარულის მიღებას, არამედ ცხოვრებაში უფრო მეტის მიღწევას აქცევენ. მათთვის დრო ყოველთვის დეფიციტურია და ცხოვრების სტრესული სტილი – ტიპური მოვლენაა (Саракуев, Крыско, 1996).

ამ თვალსაზრისით ალბათ საინტერესოა ე.წ. “საბჭოთა ხალხის” მენტალიტეტი, რომლის “ნარჩენები” ჩვენში საკმაოდ ფართოდაა შემორჩენილი. ყოველ შემთხვევაში *არარაციონალურობა (ხშირ შემთხვევაში ქმედებათა ირაციონალურობა), პირადი ინტერესისა და როლის მიჩქმალვა, არსებობის ჯგუფური ფორმებისაკენ მიდრეკილება* (Соколинский, 1999, с. 76) დღესაც საკმაოდ მძლავრობს პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში.

ცხადია ამ მეტად ზოგადი მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, რომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების დროს ერის მენტალიტეტი, მისი ტრადიციები, ცხოვრების სტილი, განვითარების დონე, დამოკიდებულება ფულისადმი, წინაპრებისადმი, სახელმწიფოსადმი აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს⁹⁵.

⁹⁴ რომლებსაც, შესაძლოა ხასიათის გარკვეული შტრიხებით ჩვენც, ქართველებიც ვგავართ.

⁹⁵ სამწუხაროდ, იმის მტკიცება, რომ ჩვენს ქვეყანაში სწორედ ასე ხდება მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება, გაგვიჭირდება, თუნდაც იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენ გვიწევს ისეთი კანონებით ცხოვრება, რომელიც გერმანული ან ამერიკული კანონების სიტყვა-სიტყვითი ნათარგმნია და მათ მენტალიტეტზეა აგებული.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე, ჩვენი აზრით არის **ლიდერის ინსტიტუტი**. კამათი პიროვნების როლზე გრძელდება, მაგრამ ფაქტების არ გათვალისწინება არ შეიძლება. ფაქტია რომ რუზველტის, ერჰარდის, თეთჩერის, კოლის, პინოჩეტის, რეიგანის, ქლინთონის პიროვნებებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს მათი სახელმწიფოების განვითარებაში და მათ შორის ცხადია მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზაციაში. შორს რომ არ წავიდეთ ოსტრალიის ყოფილი ლიდერებისა და მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდების შედარებაც ბევრ საინტერესო საფიქრალს მოგვცემს. მკაცრი სტალინი და მძლავრი, ძალით დამყარებული ეკონომიკური აღმავლობა, ხრუშოვი და პურზე გაჩენილი რიგები, ბრეჟნევი-ჩერნენკო და უძრაობა, რომლის დროსაც ყველა კმაყოფილი იყო, გორბაჩოვი და სისტემის რღვევა.

ვფიქრობთ ორი აღნიშნული ფაქტორი არანაკლებ როლს ასრულებს პოლიტიკის ფორმირებაში, ვიდრე მაკროეკონომიკური ინსტრუმენტები.

შედარებისათვის ორი ქვეყნის, გერმანიისა და იტალიის მოსახლეობის მენტალიტეტი და მათი ლიდერები შევადაროთ და სურათი კიდევ უფრო ნათელი გახდება. ორივე ქვეყანა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყანათა რიგს განეკუთვნება, თუმცა მათ შორის სხვაობა სწორედ მენტალიტეტისა და ლიდერების დამსახურებაა.

იტალიელები ცხოვრებისადმი შედარებით თავისუფალი და მხიარული დამოკიდებულებით არიან ცნობილი. ამასთან ზოგიერთი გამოკვლევების თანახმად იტალიელებს “აკლიათ” დისციპლინა, მათ შორის ცხადია ეკონომიკური დისციპლინა. მათ არა აქვთ საგადასახადო კულტურა. გასული საუკუნის 50-იან წლებში იტალიაში პრაქტიკულად არავინ აღარ იხდიდა გადასახადებს. სახელმწიფოს მოუწია უპრეცედენტო საჯარიმო ღონისძიებების გატარება, რათა სავაჭრო სფეროში დანერგილიყო საკასო აპარატები.

ამას ემატება ისიც, რომ არ ჩანან გამოკვეთილი ლიდერებიც და როგორც შედეგი, არასტაბილური მთავრობა, კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის მაღალი დონე და შედარებით მოკრძალებული ეკონომიკური ზრდის ტემპები.

სრულიად საწინააღმდეგო ტიპის მენტალიტეტის ხალხი ცხოვრობს გერმანიაში. ერის კანონმორჩილება, შრომისმოყვარეობა და მიზანმიმართულება შეხამებულია ისეთ გამოჩენილ ლიდერებთან, როგორებიც არიან კონრად ადენაუერი, ლუდვიგ ერჰარდი,

ვილი ბრანდი, ჰელმულტ კოლი. ბევრი მეცნიერი თვლის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის ეკონომიკის განვითარების სადავეებთან რომ არ ყოფილიყო ერჰარდი, შესაძლოა “გერმანული ეკონომიკური სასწაული” არ შემდგარიყო. მენტალიტეტის როლს ხაზს უსვამს ისიც, რომ სადმე სხვაგან რომ ყოფილიყო ერჰარდი, მას შესაძლოა ასეთი წარმატებები არ ჰქონოდა. ამდენად ეს ორივე ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზოგადად სახელმწიფოს განვითარებაზე და მათ შორის უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურ განვითარებაზე. ამის მიუხედავად, ორივე სახელმწიფო განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა, არიან ევროპის კავშირის წევრები და აქვთ ერთიანი ვალუტა⁹⁶.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს ე.წ. “საზოგადოებრივი არჩევანის თეორია⁹⁷”, რომელსაც საფუძველი გასულ საუკუნეში ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტებმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯეიმს ბიუქენენმა ჩაუყარა (Бункина, Семенов, 1999, с. 46; Худокормов, 1998, с. 218; Долан, Линдсдей, 1992, с. 359).

“საზოგადოებრივი არჩევანის თეორიას” სხვანაირად ”ახალ საზოგადოებრივ ეკონომიასაც” უწოდებენ (Худокормов, 1998, с. 218). “საზოგადოებრივი არჩევანის” სკოლის მიმდევრები აკრიტიკებენ ქეინზიანელებს და ეჭვქვეშ აყენებენ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ეფექტიანობას. ისინი იყენებდნენ რა კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპებსა და მიკროეკონომიკური ანალიზის მეთოდებს, იკვლევდნენ არა ეკონომიკაზე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ზემოქმედებას, არამედ თვითონ სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

თავის ნობელის ლექციაში ჯ. ბიუქენენმა ჩამოაყალიბა სამი ძირითადი წანამდღვარი, რომელსაც ეყრდნობა პოლიტიკური არჩევანის თეორია (Бугцџанан, 1979; 1992;

⁹⁶ იტალიაში 2002 წლის 1 იანვრიდან მიმოქცევაში ევროს გაშვება მცირედ “უხერხულობას” მაინც შექმნის, რაც პირველ რიგში მიმოქცევაში ხურდა ფულის მონეტების გამოჩენაში აისახება. იტალიელები კარგა ხანია გადაეჩვივნენ ხურდა ფულს და თანაც დღემდე იტალიაში ყველა “მილიონერი” იყო იტალიურ ლირაზე დახვავებული ნულების წყალობით.

⁹⁷ “*Публик Цџоიცე*”-ს ქართული და რუსული თარგმანის დროს, ზოგჯერ გვხვდება არა “საზოგადოებრივი არჩევანი”, არამედ “პოლიტიკური არჩევანი”, რაც ავტორთა აზრით ამ ეკონომიკური თეორიის ბუნებიდან გამომდინარეობს (პაპავა, 1999ა, Автономов, 1996, с. 8), მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებულია (ისევე როგორც რუსულში) მისი თარმანი, როგორც “საზოგადოებრივი არჩევანი”.

Вуцჰანან, თულლოცკ, 1962; Бьюкенеи, 1994; Бьюкенеи, Ли, 1982; Бьюкенеи, Таллок, 1997; Худокормов, 1998, с. 218):

- მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი;
- “Номო ეკონომიცუს”-ის კონცეპცია;
- პოლიტიკის, როგორც გაცვლის პროცესის ანალიზი.

საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის მთავარი წანამძღვარი არის დაშვება, რომ ადამიანები პოლიტიკურ სარბიელზე მოქმედებენ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და რომ არ არსებობს პოლიტიკასა და ბიზნესს შორის რაიმე გადაულახავი საზღვარი. ამ თეორიამ ზღვარი დაუდო მტკიცებებს, რომ საზოგადოებრივ ინტერესებზე ზრუნვის გარდა სახელმწიფოს არ გააჩნია სხვა მიზანი.

საზოგადოებრივი არჩევანის თეორია სწავლობს იმ გზებსა და ხერხებს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები სახელმწიფო დაწესებულებებს საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ (Худокормов, 1998, с. 218). ცხადია არ იგულისხმება მხოლოდ “ქვენა მიზნები”.

რაციონალურად მოაზროვნე პოლიტიკოსები ცდილობენ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მოემსახურებიან მათი პრესტიჟის ზრდას და უზრუნველყოფენ არჩევნებში გამარჯვებას. აღნიშნული თეორიის შესაბამისად ინდივიდუალიზმი მნიშვნელოვანია როგორც კერძო საქმიანობაში, ასევე სახელმწიფო სამსახურში.

მეორე წანამძღვარი არის “Номო ეკონომიცუს”-ი. ამ დაშვების შესაბამისად ყველა ადამიანი, უბრალო მოკვდავიდან დაწყებული პრეზიდენტის ჩათვლით საკუთარ უპირატესობებს აიგივებს საქონელთან და ცდილობს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც მაქსიმალურად ზრდის სარგებლიანობას. ადამიანთა რაციონალურობა ამ პროცესში გამოიხატება ეკონომიკური პრინციპით: ზღვრული სარგებლისა და ზღვრული ხარჯების შედარებით.

ჯ. ბიუქენენი ამბობდა, რომ “პოლიტიკა ინდივიდთა შორის გაცვლის რთული სისტემაა, რომელშიც ინდივიდები კოლექტიურად მიისწრაფიან საკუთარი პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ, რადგან მათი რეალიზება ჩვეულებრივი საბაზრო გაცვლის წესით არ შეუძლიათ. აქ არ არის სხვა ინტერესი, გარდა პირადისა. ბაზარზე ადამიანები ცვლიან ვაშლებს ფორთოხალში, ხოლო პოლიტიკაში თანახმანი არიან გადაიხადონ გადასახადები იმ დოვლათის სანაცვლოდ, რომელიც ჭირდება ყველას: სახანძრო დაცვიდან სასამართლომდე” (Бьюкенеи, 1994, с. 108).

საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის შესაბამისად სახელმწიფო, ბაზრის ანალოგიურად, ადამიანთა შორის გადაწყვეტილებათა მიღების პროცესზე ზემოქმედებისათვის კონკურენციის არენაა. სახელმწიფო განსაკუთრებული სახის ბაზარია, რომლის წევრებსაც განსაკუთრებული სახის საკუთრება აქვთ. ამომრჩევლები საკუთარი ხმების მეშვეობით ირჩევენ წარმომადგენლებს პარლამენტში, რომლებიც იღებენ კანონებს, ხოლო ჩინოვნიკები თვალ-ყურს ადევნებენ მათ შესრულებას. ამომრჩევლები და პოლიტიკოსები არიან “ბაზარზე” სადაც ცვლიან ხმებს დაპირებებში.

სწორედ ეს გაცვლის (ანუ ხმის მიცემის) პროცესი, დეპუტატების საქმიანობა, ბიუროკრატიის თეორია და სახელმწიფო რეგულირების თეორიაა ის სფერო, რომელიც უფრო მეტად ღებულობს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობას, ვიდრე მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ეკონომიკური წინამძღვრები.

კანონებს, როგორც წესი იღებენ პოლიტიკოსები და არა პროფესიონალები. თანაც მიუხედავად კენჭისყრის მეტ-ნაკლებად დემოკრატიული ფორმებისა, ეკონომიკურად არაეფექტიანი კანონის მიღებას ხელს არაფერი არ უშლის. შესაძლოა ხმის მიმცემი უპირატესობას სხვა გადაწყვეტილებას აძლევდეს, მაგრამ... სულ სხვა გადაწყვეტილებას დაუჭიროს მხარი. ანუ საზოგადოებაში და არჩევით ორგანოში გამორიცხულია რაციონალური მიდგომა და უპირატესობათა ტრანზიტულობის პრინციპი ირღვევა, რასაც ჟ. კონდორსემ ხმისმიცემის პარადოქსი⁹⁸ უწოდა (Худокормов, 1998, с. 221). ეს პრობლემა განავრცო ასევე ნობელის პრემიის ლაურეატმა ქ. ეროუმ (Арроу К.ჟ., 1951;1953), რომლის თანახმადაც **ხმისმიცემის პარადოქსი – ესაა წინააღმდეგობა, რომელიც ვლინდება გადაწყვეტილების ხმათა უმრავლესობით მიღებაში, როდესაც უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერ ავლენს ეკონომიკური თვალსაზრისით ნამდვილ უპირატესობებს.**

შესაძლებელია საქმე გვქონდეს ხმის მიცემის პროცედურის არასრულყოფილებასთან. თუმცა ხშირ შემთხვევაში ე.წ. დემოკრატიულად მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა სულაც არ იყოს ეკონომიკურად გამართლებული⁹⁹.

⁹⁸ ინგლისურად “Парадокс ох вотиנג”.

⁹⁹ ჩვენ შევეცდებით ნაშრომის ბოლო თავში კონკრეტული მაგალითებით დავადასტუროთ აღნიშნული თეორიული მოსაზრება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გადაწყვეტილებების მიღებაზე დიდ გავლენას ახდენს როგორც მისაღები გადაწყვეტილების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია, ასევე *სტიმულები*.

ცხადია კონკრეტული ამომრჩევლის როლი გადაწყვეტილების მიღებაში შეზღუდულია, მას შეუძლია მისწეროს წერილი მინისტრს, დეპუტატს, პარლამენტს, პრეზიდენტს, დაასაბუთოს თავისი სიმართლე, ბოლოს მიმართოს პრესას, გადავიდეს ლანძღვაზე და მაინც ვერაფერს ვერ მიაღწევს.

სულ სხვაგვარად მოქმედებენ *დაინტერესებული ამომრჩევლები*, რომლებიც ერთიანდებიან ანალოგიური ინტერესის მქონე სხვა ამომრჩევლებთან (მაგალითად, ნავთობის იმპორტით დაინტერესებული პირები) და აყალიბებენ თავის მოსაზრებებს, რომლებსაც მათთვის ყოფნა-არყოფნის მნიშვნელობა აქვთ. ისინი მიმართავენ ყველა ზომას მათთვის საჭირო გადაწყვეტილების მისაღებად. ატარებენ მიტინგებს, აწყობენ საჯარო განხილვებს, შიმშილობენ, იკერავენ პირებს და რა თქმა უნდა იძლევიან ქრთამებს. ყველა ის მეთოდი, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის შეზღუდული რაოდენობის მიერ საკუთარი ინტერესებით განპირობებული გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად ცნობილია *ლობიზმის*¹⁰⁰ (Худокормов, 1998, с. 222; Доллан, Линсдей, 1992, с. 367) სახით.

ცხადია ქრთამს არ იძლევიან, თუ არ არიან დარწმუნებულნი, რომ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ გაწეული ხარჯები ერთი ათად დაიფარება. ანუ ხარჯებს გადაწყვეტილების მიღებაზე გასწევს მთელი საზოგადოება, ხოლო მოგებულები დარჩებიან მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებნი და დაინტერესებული პირები.

სწორედ ასეთი ქმედებები თუ ახსნის იმ პარადოქსებს რომლებიც თითქმის ყველა სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში გვხვდება. ეს ეხება საგადასახადო თუ სხვა სახის შეღავათებს, ტრანსფერების გამოყოფას, რეგულირების განსაკუთრებულ წესებს და სხვ.

ლობიზმით მხოლოდ ის ფენა არ არის დაინტერესებული, რომლისათვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღებაც ხდება. ლობიზმი ხელს აძლევს ხელისუფლებასაც. ამ გზით ხდება მომავალი არჩევნების დასაფინანსებლად სახსრების მოძიება.

¹⁰⁰ ინგლისურად “Lობიზინგ”.

ლობიზმის გამოვლენა გვხვდება არა მარტო საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც, რომელზეც დამოკიდებულია მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება. ცხადია გვერდით არც სასამართლო ხელისუფლება და ე.წ. მეოთხე ხელისუფლება, პრესა რჩება.

საკანონმდებლო ხელისუფლებაში ფართოდაა გავრცელებული გადაწყვეტილებების მიღება **ლოგროლინგის**¹⁰¹ (Долан, Линсдей, 1992, сс. 366-369), ანუ “ხმებით ვაჭრობის” გზით (Кау, ლუბლინ, 1979, კვ. 365-384). დეპუტატები “ხმებს უცვლიან” ერთმანეთს მათთვის საჭირო კანონპროექტების მხარდასაჭერად.

ბიუქენენსა და თალოქს “ხმებით ვაჭრობა” ყოველთვის უარყოფით მოვლენად არ მიაჩნიათ (Бучканан, თულლოცკ, 1965, ცვ. 10-12) და ამბობენ, რომ ამ გზით უხშირ შემთხვევაში რესურსების ოპტიმალურად განაწილება შესაძლებელი. თუმცა არის შემთხვევები, როცა ამ ფორმით იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რაც ეროვნულ ეკონომიკაში არასასურველი პროცესების დაწყების საფუძველი ხდება.

ლოგროლინგის კლასიკური ფორმაა “ქონის კასრი”¹⁰², ანუ კანონების ერთ პაკეტად განხილვა. და ვიდრე არ იქნებიან დარწმუნებულნი, რომ კანონპროექტი მიღებული იქნება მას უმატებენ და უმატებენ ქონს (“სალას”), ანუ სხვა დეპუტატთა წინადადებებს¹⁰³.

ვფიქრობთ, აღნიშნული პროცესები აიძულებს ბევრ, ცნობილ ბიზნესმენს კერძო, საკმაოდ წარმატებული საქმე დეპუტატის ან, მით უფრო მინისტრის სავარძელში გაცვალოს.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის აღსრულების პროცესში ცალკე უნდა ვისაუბროთ ბიუროკრატიაზე (Нисკანენ, 1968, კ. 293-305; 1975, კ. 617-643), რადგან მასზე დიდადაა დამოკიდებული მიღებული გადაწყვეტილებების სათანადო შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ ბიუროკრატია ერთი შეხედვით ამომრჩეველთან შეხება არა აქვს, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ჯგუფებთან, რომლებიც გარკვეულ გადაწყვეტილებებს ლობირებენ.

¹⁰¹ ინგლისურად “ლოგროლინგ”.

¹⁰² “Бочонок с салом” (Худокормов, 1998, с. 223).

¹⁰³ ალბათ ანალოგიურ პროცესებს ჰქონდა ადგილი, როდესაც 1997 წელს მიღებულ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლში, რომელიც დღ-სგან განთავისუფლებას შეეხება ქვეპუნქტების დასანომრავად ქართული ანბანის ასოებიც აღარ გვყოფნის და უკვე “ჰ”-ის ინდექსებზე გადავედით.

ამასთან ბიუროკრატის ნაწილი პირადი გამორჩენისავის იყენებს საზოგადოებრივი და კვაზისაზოგადოებრივი დოვლათის საწარმოებლად გამოყოფილ სახსრებს, მნიშვნელოვანი ეროვნული პროგრამების განხორციელებიდანაც დიდი ნაწილი მათი და მათი მფარველების ჯიბეებში ილექება. ალბათ ამას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ჩინოვნიკები, სახელმწიფო სამსახურიდან წასვლის შემდეგ ხშირ შემთხვევაში საკმაოდ წარმატებულ ბიზნესმენებად მოგვევლინებიან ხოლმე.

თუ კერძო ფირმაში დამატებითი ადამიანის დასაქმების აუცილებლობას ფირმის საქმიანობა და მოგების ზრდის აუცილებლობა განაპირობებს, სახელმწიფო სამსახურში ასეთი კრიტერიუმები არ არსებობს და ამდენად ბიუროკრატის გაფართოება ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე ხდება. იზრდება სახელმწიფო აპარატი და იზრდება მათი რიცხვი, ვინც **პოლიტიკურ რენტას**¹⁰⁴ ეძებს.

პოლიტიკური რენტის მიღება ნიშნავს პოლიტიკური პროცესის მეშვეობით ეკონომიკური რენტის მიღებას (Худокормов, 1998, с. 225). აღნიშნული თეორიის შესაბამისად ჩინოვნიკები ცდილობენ, როგორც კერძო პირების, რომლებიც თავისთვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღებას ცდილობენ, ასევე საზოგადოების ხარჯზე მიიღონ მატერიალური “ანაზღაურება” (Крүгერ, 1974, კვ. 291-301). ამასთან ბიუროკრატები, რომლებიც ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობენ, ცდილობენ ისეთი გადაწყვეტილებების “გათრევას”, რომლებიც უზრუნველყოფს ეკონომიკური რენტის მიღებას. პოლიტიკოსებიც მხარს უჭერენ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლის უარყოფითი მხარეები და ხარჯები ერთი შეხედვით არ ჩანს, ხოლო შედეგი მალე იქნება, როგორც საზოგადოებისათვის, ასევე განსაკუთრებით გადაწყვეტილებების მიღების ინიციატორებისათვის, რაც ზრდის როგორც მათ ეკონომიკურ კეთილდღეობას, ასევე პოლიტიკურ ავტორიტეტს.

რენტაზე ორიენტირებული ქცევა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ქვეყნებშიც გვხვდება (პაპავა, 1999ბ, გვ. 19), სადაც მას ოთხი ძირითადი მიმართულება აქვს (Ослунд, 1994, с. 101-102): სპეკულაცია (იაფი დეფიციტური პროდუქტების “თავის ფასში” შექმნა და შემდეგ ბაზარზე გატანა), სუბსიდიები იმპორტზე (თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის იაფად შექმნა), შეღავათიანი კრედიტები (ძირითადად

¹⁰⁴ ინგლისურად “პოლიტიკალ ლენტ შეეკინგ”.

სახელმწიფო ბანკების მეშვეობით) და პრივატიზება (როგორც ფასების ხელოვნური შემცირების, ისე ინფორმაციის დამალვის გზით).

ამ “რენტაზე ორიენტირებული ქცევის” ეკონომიკური ფესვები კომუნისტური სისტემის კლექტოკრატიულ ფორმაში ძევს (Ослунд, 1994, с. 104).

თუმცა ყოველივე ზემოთთქმული იგივედება “სახელმწიფოს ფიასკოსთან” (Папава, 1993, с. 35; Долян, Линсдей, 1992, с. 100; Худокормов, 1998, с. 226), როდესაც სახელმწიფო უძლურია ეფექტიანად გაანაწილოს და გამოიყენოს საზოგადოებრივი რესურსები.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე (განსაკუთრებით კი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში) ინსტიტუციონალური მოწყობა უდიდეს გავლენას ახდენს. ამ ზეგავლენის არსის გასაგებად საკმაოდ წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს “ახალი ინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია” (Норт 1997, с. 6-17).

აღნიშნული თეორიის მიხედვით, ადამიანთა ქცევა, მათი ურთიერთობანი საზოგადოების ინსტიტუციონალური სტრუქტურითაა განპირობებული, რომელიც დროის ამ თუ იმ პერიოდის განმავლობაში ადამიანთა ქცევის გარკვეულ საზღვრებს აყალიბებს (პაპავა, ხადური, 1998; Паპავა, Кჰადური, 1997; Папава, Хадური, 2000). თავად ინსტიტუტები ფორმალური და არაფორმალური (ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები, ზეპირი შეთანხმებები და ა.შ.) შეზღუდვებისა და მათი შესრულების იძულების მექანიზმების (ამ შეზღუდვების სულისკვეთებით აღზრდა და მათი დარღვევისათვის დასჯა) ერთობლიობაა.


ფორმალური ინსტიტუტები FI ძირითადად წერილობით სამართალშია წარმოდგენილი.

უნდა აღინიშნოს, რომ *FI* და *არაფორმალური ინსტიტუტები (II)* ურთიერთზეგავლენის დიდი ხარისხით ხასიათდებიან: *FI* არის არსებული ან სასურველი *II*, რომელიც ასახულია წერილობით სამართალში; ახლადგაჩენილ *FI*-ს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია *II*-ის განვითარების მიმართულებაზე და პირიქით. *II*-ის *FI*-ზე ზეგავლენის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს საბაზრო სისტემის განვითარება, რომლის დროსაც ბევრი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ეკონომიკას არეგულირებს კონკურენტულ გარემოში ადამიანთა ქცევის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებიდან გამომდინარე იქნა მიღებული. *FI*-ის *II*-ზე უკუზემოქმედების არანაკლებ

თვალსაჩინო მაგალითია კომუნისტური ტიპის ეკონომიკა, სადაც *FI* იქმნებოდა ადამიანთა ხელოვნური “გაუმჯობესების” მიზნით, რაც საბოლოო ჯამში ზოგიერთი *II*-ის ატროფირებასაც იწვევდა.

იმის გამო, რომ *FI*-ის ნაწილი ზოგიერთი *II*-ის წერილობით სამართალში ასახვის შედეგად ყალიბდება, *FI*-ის და *II*-ის სიმრავლეები იკვეთებიან. მათ თანაკვეთა ბუნებრივი ფორმალური ინსტიტუტებია (*NatFI*). რაც უფრო დიდია *NatFI* მით უფრო შეესაბამება *FI* ადამიანის ბუნებას. აღსანიშნავია, რომ *FI* და *II* სიმრავლეები არასოდეს არ ემთხვევიან ერთმანეთს: უპირველეს ყოვლისა, არ შეიძლება (და არც ამის აუცილებლობაა ყოველთვის), რომ ყველა *II* აისახოს წერილობით სამართალში; ამასთან *FI*-ის ერთობლიობა ყოველთვის მოიცავს ისეთ ინსტიტუტებს (*არაბუნებრივი ფორმალური ინსტიტუტები (UFI)*), რომლებიც, არა მარტო ჩამოყალიბებულ *II*-ს, არამედ ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების მიზნებიდან გამომდინარე სასურველ შეზღუდვებსა და მათ დასაცავად საჭირო იძულების მექანიზმებსაც ასახავენ. *NFI*-ის და *UFI*-ის თანაკვეთა ცარიელი სიმრავლეა, ხოლო მათი გაერთიანება *FI*-ის ერთობლიობას იძლევა.

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ განვიხილოთ ნახაზი – 2¹⁰⁵ რომელზეც, *FI* და *II* პირობითად იკვეთებიან.



ნახ. 2. ფორმალური (*FI*), არაფორმალური (*II*) და ბუნებრივი ფორმალური (*NatFI*) ინსტიტუტების თანაფარდობა კომუნისტური ტიპის ქვეყნებში *UFI*-ის რაოდენობა რამდენჯერმე აღემატებოდა *NatFI*-ისას, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, ასეთი ეკონომიკური სისტემების დაბალსიცოცხლისუნარიანობას განაპირობებდა. განვითარებული საბაზრო დემოკრატიის ქვეყნებში კი *NatFI*-ის წილი *FI*-ის ერთობლიობაში გაცილებით მაღალია.

¹⁰⁵ აღნიშნული და მომდევნო ორი ნახაზი იხილეთ, *Папава, Кзადური, 1997.*


ლეგალური ეკონომიკის საფუძველს ნებისმიერ საზოგადოებაში უპირველეს ყოვლისა *FI* წარმოადგენს. ჩრდილოვანი ეკონომიკის განმსაზღვრელი პრინციპი სწორედ *FI*-ის უგულებელყოფაა, როცა ადამიანთა ქმედება არანაირად არ პასუხობს ამ ინსტიტუტთა მოთხოვნებს და მთლიანად *II*-ით რეგულირდება.

ყველა *II* ჩრდილოვანი ეკონომიკის საფუძველს არ ქმნის, იმის გამო, რომ *II*-ის გარკვეული ნაწილი ერთგვარად ავსებს *FI*-ს. ეს *FI*-სთან ერთად ზოგადად ადამიანთა საქმიანობისათვის, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობისათვის საჭირო გარემოს ქმნის. *FI*-ის პოზიციიდან ამგვარი *II* რაციონალურია. აქედან გამომდინარე, იმ *II*-ს, რომლებიც ავსებენ *FI*-ს და ამით ადამიანთა ლეგალური საქმიანობისათვის საფუძველს ქმნიან, *რაციონალური არაფორმალური ინსტიტუტებია (დII)*.

II-ის მთელი ერთობლიობიდან ჩრდილოვანი ეკონომიკა უპირველეს ყოვლისა იმ ინსტიტუტებზე ბაზირდება, რომლებიც იგნორირებას უკეთებენ *FI*-ს. ამ უკანასკნელთა პოზიციიდან, ასეთი სახის *II* ირაციონალურია. ამრიგად, იმ *II*-ს, რომლებიც იგნორირებას უკეთებენ *FI*-ს და ადამიანთა არალეგალური, ჩრდილოვანი საქმიანობისათვის ქმნიან საფუძველს, *ირაციონალური არაფორმალური ინსტიტუტებია (III)*.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა *III*-სა და *დII*-ის გაერთიანება ვერ იქნება *II*. ეს გამოწვეულია იმით, რომ *III*-ცა და *დII*-იც ერთდროულად ერთი და იგივე ისეთ *II*-ს მოიცავს, რომელიც “ერთნაირი წარმატებით” არ ეწინააღმდეგება *FI*-ს და ამასთან ავსებს იმ *II*-ს, რომლებიც თავისი არსით ეწინააღმდეგება *FI*-ს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *III*-სა და *დII*-ის ერთობლიობები *II*-ის ერთიდაიმავე ქვესიმრავლეს – *ნეიტრალურ არაფორმალურ ინსტიტუტებს (NეუტII)* .მოიცავს. ეს უკანასკნელი აერთიანებს ქცევის ყველაზე გავრცელებულ, ელემენტარულ ნორმებს, რომლებიც საზოგადოებაში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში (ზოგჯერ საუკუნეების განმავლობაშიც) ყალიბდებოდნენ; მაგალითად ქცევის ნორმები, რომლებიც ძლიერის მხრიდან სუსტის შებრალების მომენტს შეიცავს.

თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ნახაზი – 3, რომელზეც *დII*, *NეუტII* და *III* სიმრავლეების ურთიერთობაა განხილული.




ნახაზი 3. რაციონალური (RII), ირაციონალური (III) და ნეიტრალური (NeutII) არაფორმალური ინსტიტუტები

სხვადასხვა II-ს ცვლილების განსხვავებული მექანიზმი აქვს.

ყველაზე სტაბილურია NeutII; იგი ყველაზე ნაკლებად განიცდის FI-ის მხრიდან ზემოქმედებას. უნდა აღინიშნოს, რომ NeII ყველაზე უფრო ახლოს დგას ადამიანის ბუნებასთან და ამდენად ყველაზე კონსერვატიულია.

NeutII-ს ნაწილი აისახება NatFI-ში, რის გამოც ეს უკანასკნელი ყველაზე სტაბილურია NatFI-ის შემადგენლობაში, მით უმეტეს მთელს FI-ში. NatFI-ის ეს ნაწილი ნეიტრალური ფორმალური ინსტიტუტებია (NeutFI).

თუ გავაერთიანებთ ნახაზებს, მივიღებთ



ნახაზი 4. ფორმალური (FI), ბუნებრივი ფორმალური (NatFI), ნეიტრალური ფორმალური (NeutFI), რაციონალური არაფორმალური (RII), ნეიტრალური არაფორმალური (NeutII) და ირაციონალური არაფორმალური (III) ინსტიტუტების თანაფარდობა

როდესაც საზოგადოების ეკონომიკურ წყობაში ცვლილებები ხდება, ეს უპირველეს ყოვლისა *FI*-ს ეხება. როცა ასეთი ცვლილებები უმნიშვნელოა, ერთი სახის *FI* თანდათანობით იცვლება სხვა სახის ფორმალური ინსტიტუტებით, ხოლო, როცა ცვლილებები მნიშვნელოვანია *FI*-ის დიდი ნაწილი ინგრევა, ისე რომ მის ნაცვლად ახალი ინსტიტუტები ყოველთვის როდი ასწრებენ წარმოშობას. უნდა აღინიშნოს, რომ იდეალურ შემთხვევაშიც, საზოგადოების ეკონომიკური წყობის ცვლილების გამოკვეთილი მიზნებისა და შესატყვისი ახალი *FI*-ის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მონახაზების არსებობის პირობებშიც კი (რაც თავისთავად ასევე რთული წარმოსადგენია), ამ ახალი ინსტიტუტების შექმნა საკმაოდ გამძლელებულია, რასაც გარკვეულწილად ეკონომიკური და სოციალური პროცესების ინერციულობაც უწყობს ხელს.

ის ვაკუუმი, რომელიც *FI*-ის შემადგენლობაში იქმნება, უშუალოდ უარყოფითად ზემოქმედებს *ღII*-ზე: მისი ნაწილი ქრება შესაბამისი *FI*-ის ნგრევის შედეგად. *FI*-ისა და *ღII*-ს შემადგენლობაში წარმოქმნილი ვაკუუმი ივსება გაფართოვებადი *III*-ის მეშვეობით. სწორედ ამის გამო ამგვარ, გარდამავალი ეკონომიკური სისტემის ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები მნიშვნელოვნად იზრდება (Кузнецов, 1994, с.8). ძველი *FI*-ის ნგრევისა და მასთან ერთად შესაბამისი *ღII*-ის გაქრობისა და პარალელურად *III*-ს გაფართოების საუკეთესო მაგალითია 1993-1995 წლების საქართველო, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებმა 80%-მდე მიაღწია (Pაპავა V. 1996, პპ. 305-314). გარდაქმნების უფრო მიზანმიმართული და გააზრებული განხორციელების მაგალითია პოსტკომუნისტური უნგრეთი, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები 25%-ს აღწევდნენ (Éკეს. 1994, პპ. 309-334).

ამრიგად, ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის დროს უფრო სტაბილური და პრაქტიკულად უცვლელია *ნეუტII*, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ *ნეუტFI* შედარებით სტაბილური იქნება *FI*-ს მთელს ერთობლიობაში. მაგრამ თუ *ნეუტFI*-ის თუნდაც რაღაც ნაწილი მაინც “ინგრევა”, ეს არც ისე საშიშია, რამეთუ აღნიშნულ პროცესებს საზოგადოებისათვის რაიმე ზარალის გარეშე არეგულირებს. შესაბამისი *ნეუტII*-ის *ნატFI*, რომლებიც არ შედიან *ნეუტFI*-ს შემადგენლობაში, ბევრად უფრო ადვილად ექვემდებარება ცვლილებებს ვიდრე *ნეუტFI*.

FI-სა და *ღII*-ის შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ნგრევა და მათი *III*-ით შეცვლა (რომლებიც არ შედიან და პრინციპში არც შეიძლება, რომ შედიოდნენ *ნეუტII*-ს შემადგენლობაში) იწვევს ეკონომიკის კრიმინალიზაციის საკმაოდ სერიოზულ გამოვლინებებს.

ნეუტII-ს იმ ნაწილის განსაკუთრებული როლი, რომელიც არ შედის *ნეუტFI*-ის შემადგენლობაში, როცა ისინი ერთდროულად შეადგენენ *ღII*-სა და *III*-ის ერთობლიობის ნაწილებს, იმითაა განპირობებული, რომ ჩრდილოვანი საქმიანობის ზოგიერთ სახეობას არ აქვს ანტისაზოგადოებრივი და ანტიადამიანური ხასიათი. ჩრდილოვანი საქმიანობის ასეთი სახეების ლეგალიზაციას ხელს უშლის არასრულყოფილი *FI*; მათი ნებისმიერი სრულყოფა აღნიშნული საქმიანობის შემდგომ ლეგალიზაციას უწყობს ხელს, მაგრამ იმის გამო, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია აბსოლუტურად სრულყოფილი *FI* შექმნა, ნებისმიერ საზოგადოებაში იქნება უწყინარი ჩრდილოვანი ეკონომიკური აქტივობის სახეები.

მხოლოდ *ნეუტFI*-ის შენარჩუნებითა და *ნეუტII*-ზე დაყრდნობით არის შესაძლებელი ნაკლები დანაკარგებითა და საზოგადოებისათვის მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ ჩამოყალიბდეს საბაზრო დემოკრატიისათვის დამახასიათებელი *FI*. მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებას.

ინსტიტუციონალური ანალიზი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას მით უფრო მნიშვნელოვანია, რამეთუ ფსიქოლოგიურ ფაქტორთან და “პოლიტიკურ არჩევანთან” ერთად სწორედ ინსტიტუციონალური მოწყობა განაპირობებს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას. ამასთან სწორედ მათზეა დამოკიდებული უკვე შემუშავებული პოლიტიკის სრულფასოვნად გატარების და აღსრულების შესაძლებლობა და წარმატება.

**თავი 3. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი
საქართველოში XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე**

3.1. ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობა საქართველოში

მეოცე საუკუნის მიწურულს საქართველომ მეორედ საუკუნეში დამოუკიდებლობის მიღება და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების საშუალება შესძლო. შესაბამისად დღის წესრიგში დადგა როგორც ეკონომიკური, ისე უპირველეს ყოვლისა ზოგადად პოლიტიკური აღმშენებლობის და სახელმწიფოებრიობის აღდგენის დაწყება.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე საქართველო მეტ-ნაკლებად ხავერდოვანი გზით მიდიოდა, დამოუკიდებლობის პირველი წლები უდიდეს გამოცდად იქცა ქვეყნისათვის, რაც სამოქალაქო თუ სამამულო ომების, ეთნოკონფლიქტებისა და სატრანსპორტო და ენერგეტიკული ბლოკადების სახით მოველინა ახალგაზრდა სახელმწიფოს.

ერთ დროს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი აყვავებული რესპუბლიკა ყველაზე მეტად დაზარალდა და მეოცე საუკუნე უმძიმეს მდგომარეობაში მყოფმა გააცილა.

მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენი "საბჭოეთისაგან" განსხვავებით საქართველო ბუნებრივი რესურსების უდიდესი მარაგებით ვერ დაიკვებნიდა, რესპუბლიკაში ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონე იყო მიღწეული, რაც საქართველოს თბილი კლიმატური პირობებით, სოფლის მეურნეობის განვითარებული სპეციფიური, მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელი დარგების მაღალი შედეგებითა და ტურიზმით იყო განპირობებული.

იმან, რამაც საბოლოო ჯამში მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის დაშლა გამოიწვია, საქართველო თავის დროზე აყვავებულ მხარედ აქცია.

გეგმიური ეკონომიკის დროს საქართველოში ცხოვრების დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში.

ცხადია, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და გეგმიური ეკონომიკის "გარდაცვალების" შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა და საქართველოში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის დონე მკვეთრად დაეცა. მოთ-

ხოვნილების შემცირებას მიწოდების შემცირებაც მოჰყვა, რაც უპირველეს ყოვლისა ომის, უმძიმესი კრიმინოგენული ვითარების და გაწყვეტილი კავშირების დამსახურებაა. მიუხედავად დეკლარირებული იდეებისა, რომლებიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზას აღიარებდა, ქვეყანა ძველებურად, ადმინისტრაციულად იმართებოდა.

ყოველივე ამას ქვეყნის უმძიმესი კრიზისული მდგომარეობა მოჰყვა.

ასეთ ფონზე საქართველოში ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ერთმანეთისადმი სასიცოცხლოდ განმსაზღვრელი ამოცანის გადაჭრა დაიწყო: დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების განხორციელება, რამაც საფუძველი უნდა დაუდოს დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას (პაპავა, 1995, გვ. 3; Paპავა, 1996A).

ჩვენ შევეცდებით გავაანალიზოთ მხოლოდ საქართველოში მბრძანებლურ-ადმინისტრაციულიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი და ის ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც ამ გადასვლას განაპირობებენ.

ეკონომიკური რეფორმები საქართველოში თვით მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის დროსაც მიმდინარეობდა, რასაც თუნდაც ფოთისა და აბაშის ექსპერიმენტები ადასტურებენ, თუმცა სისტემის შიგნით ყველაზე რეალური ეკონომიკური ცვლილებები 1985 წლიდან იწყება, როცა "პერესტროიკასთან" ერთად "ჩრდილიდან" გამოსვლა დაიწყეს იმდროინდელმა "მეწარმეებმა". ჩნდება "საერთო სახალხო", სახელმწიფო საკუთრების ალტერნატივა, კერძო და კოოპერაციული საკუთრების სახით, ამასთან რეალურად ისახება ბაზარი, რომელიც ნაკლებად ემორჩილება გეგმას და სადაც ფასწარმოქმნის მექანიზმები უკვე მოქმედებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ძირითადად ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში მიმდინარეობდა, მაინც უდიდესი კვალი დატოვა საქართველოში მეწარმეთა კლასის ჩამოყალიბებაში. იწყება წარმოება-დაწესებულებების თვითდაფინანსების პრინციპზე გადასვლის შეუქცევადი პროცესები

ცხადია, ეს რეფორმები არ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში ჩატარებულ რეფორმებად, რადგან ისინი ერთიანი ეკონომიკური "პერესტროიკის" ნაწილი იყო.

1988-89 წლებში საქართველოში განხორციელებულმა მოვლენებმა დღის წესრიგში საქართველოსათვის განვითარების განსხვავებული გზის არსებობა დააყენა, რასაც შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და აღმავლობისათვის უნდა

შეეწყო ხელი. თუმცა უკვე იმ დროს პრესით და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ისმოდა მოწოდებები, რომ "ველოსიპედის ხელახლა გამოგონება" საჭირო არ არის და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან ესტონეთში შემუშავებული მოდელი, რომელიც ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას ემსახურება, ყველაზე უფრო მისაღები იყო საქართველოსათვისაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ რესპუბლიკას შორის უკვე იმ დროს საკმაოდ დიდი იყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონებს შორის სხვაობა (პაპავა, 1995ა, გვ. 11).

დაიწყო საუბარი საქართველოს სსრ-ს სრულ სამეურნეო ანგარიშზე და თვით-დაფინანსებაზე გადასვლის შესახებ, რასაც უნდა უზრუნველყო მომავალი დამოუკიდებელი ქვეყნის არსებობის ეკონომიკური საფუძველი. ეს წამოწყება იმთავითვე განწირული იყო, რადგან იგი სწორედ საქართველოს სსრ ეკონომიკურ სისტემას განიხილავდა როგორც ერთიანი სახალხო მეურნეობის ნაწილს და მის (ეკონომიკური სისტემის) საფუძვლად აღიარებდა საქართველოს ეკონომიკის ე.წ. ოპტიმალური დარგობრივი მოდელის შემუშავებას (პაპავა, 1995ა, გვ. 17).

უმთავრესი შეცდომა, რომელიც იმ წლებში იქნა დაშვებული, მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოს სსრ-ს ხელმძღვანელობა არ ითვალისწინებდა მეცნიერ-ეკონომისტთა წინადადებებს საკუთრების საკითხის მოგვარების შესახებ, საკავშირო და რესპუბლიკური ქონების გამიჯვნისა და თანმიმდევრული ეკონომიკური რეფორმების გატარების შესახებ (მაგალითად, გოცირიძე, 1999). ეს გასაგებიც იყო, რადგან საქართველო ისევ ცენტრიდან იმართებოდა, ხოლო პოლიტიკური მოსაზრებებით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სიმდიდრის საქართველოს საკუთრებად გამოცხადება უკვე საბჭოთა კავშირის დაშლას ნიშნავდა.

1970-იან და 80-იან წლებში საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმები ჩვენ *პოსტკომუნისტური ეკონომიკური რეფორმებისათვის მოსამზადებელ ეტაპად* შეიძლება მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმების "მამოძრავებელ" ძალასაც კი არ ჰქონდა წარმოდგენა, რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის შიგნით ასეთი სახის, აშკარად თამამი რეფორმების ჩატარებას.

რეალურად ეკონომიკურ რეფორმებზე საუბარი მხოლოდ გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს იწყება. ეკონომიკური რეფორმების ეტაპი, რომელიც 1989 წლის

9 აპრილის ცნობილი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ დაიწყო და პირველ მრავალპარტიულ არჩევნებამდე გაგრძელდა, ვლადიმერ პაპავას კლასიფიკაციით *ეკონომიკური რეფორმების გულუბრყვილო გააზრების ეტაპადაა* ცნობილი (პაპავა, 1995ბ, გვ. 2). ამ ეტაპის უმთავრეს დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის გავრცელება და შესაბამისი ეკონომიკური კონცეფციების შექმნა, თუმცა სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ისეთი გაუაზრებელი ეკონომიკური ლოზუნგები, რომლებიც მხოლოდ საქართველოს ზოგიერთი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენებით უზრუნველ ცხოვრებას შეეხებოდა.

1990 წლის შემოდგომაზე ჩატარებული არჩევნების შემდეგ, საქართველოს ხელი-სუფლებამ ოფიციალურად აღიარა, რომ იწყებოდა ეკონომიკური რეფორმები, მაგრამ როგორც ჩანს ხელისუფლებაში მისული ძალა არ აღმოჩნდა მზად რადიკალური რეფორმების ჩასატარებლად და თანაც, ძველი სისტემით მართვა უფრო მარტივი ჩანდა ვიდრე ახლებურად რეგულირება, რის გამოც ეკონომიკური რეფორმები პრაქტიკულად არ განხორციელებულა. ეს ეტაპი ცნობილია, როგორც *უძრაობის ტოლფასი მოძრაობის ეტაპი* (პაპავა, 1995ბ, გვ. 2). იმის გამო, რომ 1991 წლის დეკემბრიდან საქართველო სამოქალაქო ომმა მოიცვა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხელისუფლებისათვის არც მანამდე, და მით უმეტეს არც დაპირისპირების დღეებში ეკონომიკაზე ფიქრი არ ყოფი-ლა ყოველდღიური ზრუნვის საგანი.

დროებითმა მთავრობამ თავისი მოღვაწეობა ეკონომიკის სფეროში პოპულის-ტური ნაბიჯების გადადგმით დაიწყო, ყოველგვარი მომზადების გარეშე, ერთი ხელის მოსმით, უსასყიდლოდ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და საც-ხოვრებელი ბინების კერძო საკუთრებაში გადაცემა. ეს ეტაპი *ეკონომიკური რეფორმის პოპულისტურ ეტაპადაა* (პაპავა, 1995ბ, გვ. 2-3) ცნობილი. რამაც დიდი ზიანი მიაყენა როგორც სოფლის მეურნეობას, რადგან მოუფიქრებლად, ყოველგვარი საკანონმდებლო მომზადების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის გარეშე დაქუცმაცდა დიდი მეურნეობები, გლეხობა პრაქტიკულად შიშველი ხელების ამარა აღმოჩნდა მიწის პირისპირ, ასევე საბინაო ფონდს, რითაც პრაქტიკულად შეწყდა შემდგომი ბინათმშენებლობისათვის საჭირო თანხების აკუმულირება.

ამ ეტაპზე საქართველოში რუსეთის ანალოგიურად და პარალელურად იწყება ”შოკური თერაპიის” გამოყენება (პაპავა, 1995ბ, გვ. 3), რაც გულისხმობდა ფინანსურ

სტაბილიზაციას, ფასების ლიბერალიზაციას, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, ზომიერი საგადასახადო სისტემის დანერგვას და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას (მესხია, მურჯიკნელი, 1996, გვ. 28), მაგრამ ქართველმა რეფორმატორებმა არ გაითვალისწინეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. კერძოდ, საქართველოს ხელისუფლებას იმ ეტაპზე არ ჰქონდა არც ერთი რეალური მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი, მათ შორის არ გააჩნდა არც საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა და არც საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების რეალური ბერკეტები. ამდენად ნაცვლად ამ ინსტრუმენტების ჩამოყალიბებაზე ზრუნვისა, ხელისუფლება მოუმზადებლად იწყებს "შოკური თერაპიის" განხორციელებას.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, "შოკური თერაპიის" ქრესტომათიულ მაგალითად იქცა პოლონეთში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის, პოლონეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრისა და დღეს ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის ლემეკ ბალცეროვიჩის სახელთანაა დაკავშირებული და "ბალცეროვიჩის გეგმის" (პაპავა, 1995ბ, გვ. 4; 1999ა, გვ. 122) სახელითაა ცნობილი.

"ბალცეროვიჩის გეგმის" თანახმად პოლონეთში გატარდა უმკაცრესი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, რაც ფასების ლიბერალიზაციაში, საბიუჯეტო დოტაციებსა და სუბსიდიებზე უარის თქმის მეშვეობით ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვნად შემცირებაში, მოსახლეობის შემოსავლებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის შეზღუდვაში გამოიხატებოდა (პაპავა, 1995ბ, გვ. 4).

ჩვენ უკვე საუბარი იმის შესახებ, რომ "შოკურ თერაპიას" ალტერნატივა, ჩვენი აზრით, არ გააჩნია, თუმცა მიუხედავად ამისა, რთულია ჩვენში 1992-93 წლებში განხორციელებულ ცვლილებებს კლასიკური გაგებით "შოკური თერაპია" ვუწოდოთ.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ თუ რატომ იყო წარუმატებელი რეფორმის ეს ეტაპი საქართველოში, მოკლედ შევადაროთ საქართველოსა და პოლონეთში განხორციელებული პროცესები ერთმანეთს. პოლონეთში ჩატარებული "შოკური თერაპია" ითვალისწინებდა 11 სხვადასხვა სახის ღონისძიების სინქრონულად ჩატარებას (პაპავა, 1995ბ, გვ. 5), კერძოდ:

1. ბაზარზე წონასწორობის დამყარების მიზნით ინფლაციის ხელოვნური წახალისება, ფასების მრავალჯერადი მატება;
2. მოსახლეობის შემოსავლების მკაცრი შეზღუდვა;
3. საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ზრდა და ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა;
4. ანაზრებსა და სხვა დეპოზიტებზე პროცენტის გაზრდა, მოსახლეობის მიერ ფულის დაზოგვის სტიმულირების მიზნით;
5. ბიუჯეტის ხარჯების შემცირება, კაპიტალდაბანდებებისა და დოტაციების ხარჯზე;
6. სახელმწიფო სესხის ობლიგაციის გამოშვება, ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის მიზნით;
7. საგადასახადო სისტემის მოწესრიგება და უნიფიცირება;
8. აშშ დოლარის მიმართ ზლოტის ერთიანი გაცვლითი კურსის შემოღება და შიდა ბაზარზე ზლოტის კონვერტირების უზრუნველყოფა;
9. ერთიანი საბაჟო ტარიფების შემოღება იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით;
10. მოსახლეობისათვის სოციალური დახმარებების აღმოჩენა რეალური შესაძლებლობების ფარგლებში;
11. მონოპოლიური სტრუქტურების ლიკვიდაცია და საწარმოთა საქმიანობაში სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ჩარევაზე უარის თქმა;

სამწუხაროდ, საქართველოში "შოკური თერაპიის" განხორციელება რუსული რეფორმების კალკით, რუსეთში დაწყებული პროცესებიდან ერთი თვის დაგვიანებით, 1992 წლის თებერვლიდან დაიწყო (პაპავა, 1995ბ, გვ. 5).

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ფასების მოწესრიგების მცდელობა საქართველოში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო, მაგრამ რეალურად პირველი ნაბიჯები 1991 წელს გადაიდგა, რასაც წინ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება უსწრებდა, რის თანახმადაც საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მოხდა ფასების რამდენიმეჯერ მომატება. ეს პროცესები "პავლოვის რეფორმის" სახელით იყო ცნობილი. საქართველოში ზოგიერთი სახის პროდუქციაზე ფასების ზრდა უფრო დიდი ტემპებით მოხდა, ვიდრე სსრკ-ის დანარჩენ ტერიტორიაზე,

რასაც საფუძვლად დაედო მოსაზრება, რომ მაღალი ფასების შემთხვევაში მოხდებოდა პროდუქციის საქართველოში შემოდინება და ბაზარი დეფიციტური აღარ იქნებოდა.

სამწუხაროდ, პოლიტიკური და პოპულისტური მოსაზრებებით ერთი თვის შემდეგ, საქართველოში პირველი საპრეზიდენტო არჩევნების წინ გარკვეული სახის პროდუქციის (მათ შორის პურის და საქალაქო ტრანსპორტის) ფასები ძველ ნიშნულს დაუბრუნდა, რამაც მკვეთრად უკან დასწია საქართველო რეფორმების გზაზე.

ფასების ლიბერალიზაციის თვალსაზრისით შედარებით უფრო რადიკალური ნაბიჯები გადაიდგა საქართველოში 1992 წლის 1 თებერვლიდან, როცა საქონლისა და მომსახურების ერთი ჯგუფის ფასები განთავისუფლდა, ხოლო მეორე ჯგუფზე რეგულირებადი ფასები მკვეთრად (მაგალითად, პურზე 100-ჯერ) გაიზარდა.

ფასების ზრდის პარალელურად, იმავე ტემპებით არ იზრდებოდა ხელფასები და სოციალური გასაცემლები. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ გამოყენებულა ისეთი მკაცრი ადმინისტრაციული ზომები, რომლებიც გამოყენებული იყო პოლონეთში, სადაც ხელფასის ფონდის ორი პროცენტით გადაჭარბება საწარმოს ამ თანხის 200 პროცენტის, ხოლო უფრო მეტი გადაჭარბების შემთხვევაში 300 პროცენტით დაჯარიმებას იწვევდა (პაპავა, 1995ბ, გვ. 5).

ზემოთაღნიშნული ორი ღონისძიება მლიანად ეწერებოდა ”ბალცეროვიჩის გეგმის” ფარგლებში და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო რეფორმის განხორციელებისათვის.

შეიძლება მივიჩნიოთ, რომ იმ დროს დაწყებული საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების პროცესი ნაწილობრივ მაინც აკმაყოფილებდა ”ბალცეროვიჩის გეგმის” მოთხოვნებს (პაპავა, 1995ბ, გვ. 7), მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება ვერ იქნება ერთჯერადი აქტი, ამდენად როგორც გასულმა პერიოდმა დაადასტურა, საგადასახადო სისტემა დღესაც კი, მიუხედავად იმისა რომ ამ სფეროში რეფორმების დაწყებიდან 10 წელი გავიდა და თითქოს საკანონმდებლო ბაზაც მეტ-ნაკლებად შექმნილია, შორსაა ოდნავი ოპტიმიზაციისაგანაც კი.

მიუხედავად იმისა, რომ დაიწყო სხვა დანარჩენი ღონისძიებების განხორციელება, უნდა აღინიშნოს, რომ მათი განხორციელების ტემპები და შინაარსი ვერ აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნებს, რაც აუცილებელი იყო რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის.

კერძოდ, იმის გამო, რომ საქართველოს არ გააჩნდა საკუთარი ვალუტა და შესაბამისად არ ჰყავდა ემიტენტი, იგი ვერ განახორციელებდა რეფორმისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, რომლებიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული. ეს შეეხება როგორც მიმოქცევაში ნაღდი ფულის რაოდენობის შეზღუდვას, ასევე საპროცენტო განაკვეთის ზრდას.

საპროცენტო განაკვეთი იმ პერიოდში ვერ შესძლებდა მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტის როლის შესრულებას, რადგან მოსახლეობას უკვე დაკარგული ჰქონდა საბანკო დაწესებულებების ნდობა და გასატარებელი იყო რეალური, არაორდინალური ღონისძიებები, მიმოქცევიდან ზედმეტი ფულის ნიშნების ამოსაღებად.

ასეთი ღონისძიებაც ”მოფიქრებული” იქნა და საქართველოში დაიწყო ”უნიკალური” ნაბიჯის გადადგმა, შემნახველ ბანკში მოსახლეობის კუთვნილი ანაბრების გაორმაგება. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1992 წლის 25 ივლისს (პაპავა, 1995ბ, გვ. 6). ამ გადაწყვეტილებით გაორმაგდებოდა ის თანხა, რომელიც შემნახველ ბანკში ანაბარზე 1 აგვისტოსათვის იქნებოდა, შემდგომ ამ თარიღმა 10 დღით კიდევ გადაიწია.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება არაპირდაპირი გზით წლიური საპროცენტო განაკვეთის 100-მდე გაზრდის შესახებ. ამასთან ძირითადი თანხის გამოტანა შემნახველი ბანკიდან უკვე 11 აგვისტოს შეიძლებოდა, მაშინ როცა ინდექსირებული თანხების გაცემა შეიძლებოდა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, მანამდე კი მთავრობამ კიდევ ერთხელ მოატყუილა მოსახლეობა, როდესაც ინდექსირებული თანხებით პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობა აღუთქვა, როცა პრივატიზების დაწყებასაც კი არ ჩქარობდა, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მცირე პრივატიზებაც კი მხოლოდ 1993 წლის მარტში დაიწყო და პირველ აუქციონზე, რომელიც 4 მარტს თბილისში გაიმართა მხოლოდ 21 ძველი ავტომანქანა იყო გამოტანილი (სილაგაძე და სხვები, 1996, გვ. 32).

აღნიშნულ ღონისძიებას უდიდესი რეზონანსი ჰქონდა. მასახლეობის უდიდესმა ნაწილმა თანხების გაორმაგების იმედით შემნახველ ბანკში უკანასკნელი კაპიკები შეიტანა.

სამწუხაროდ, ამ გზით მიმოქცევიდან ამოღებული თანხები სახელმწიფომ ხელფასებისა და პენსიების სახით ისევ მიმოქცევაში გაუშვა, ანუ ღონისძიების ეფექტი უფრო

უარყოფითი იყო, ვიდრე დადებითი. როგორც ჩანს, სახელმწიფომ აღნიშნული ღონისძიებით სცადა ემიტენტთან (ამ შემთხვევაში რუსეთთან) არსებული პრობლემების მოსახლეობაში არსებული ნაღდი ფულის მასით გადაწყვეტა.

ცხადია, ამდენად ეს ღონისძიება სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა. უფრო მეტიც, ეს იყო საქართველოში ფინანსური პირამიდის მშენებლობის პირველი მცდელობა, რომელიც სახელმწიფომ წამოიწყო და რომელიც კრახით დამთავრდა. ამ წამოწყებას შემდეგ ბევრი მიმდევარი და უფრო მეტი მსხვერპლი გაუჩნდა, რამაც საკმაოდ ხელი შეუშალა საქართველოში ნორმალური საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და ეს პროცესი რამდენიმე წლით გადასწია. ამდენად ერთმა ნაბიჯმა, რომელიც შესაძლოა სულაც არ ისახავდა მიზნად ასეთ შედეგებს, საკმაოდ უკან დახია საქართველო ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოში არც ფასიანი ქაღალდის ბაზარი არსებობდა¹⁰⁶, რომელზეც სახელმწიფო თუნდაც ობლიგაციების მეშვეობით შესძლებდა მიმოქცევიდან ფულის ამოღებას. მართალია 1992 წელს გადაწყდა სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვება (პაპავა, 1995ბ, გვ. 6), მაგრამ ეს პროცესი მხოლოდ 1993 წელს დაიწყო და ისიც ყოველგვარი ეკონომიკური ეფექტის გარეშე, რადგან პრაქტიკულად ყოფილი სსრკ ობლიგაციების "გაეროვნულება" მოხდა და ფულის ბაზარზე ობლიგაციებს რეალური შედეგი, რომელიც თეორიულად უნდა მოეტანა, არ მოუტანია.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პირველად მოუწია საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე ფიქრი და პრაქტიკულად პირველად ყალიბდებოდა საბაჟო სამსახური და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, გამორიცხული იყო ოპტიმალური საბაჟო გადასახადების დაწესება, რომლებიც შესძლებდნენ როგორც გადასახადების ფისკალური ფუნქციის შესრულებას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაში გამოიხატებოდა, ასევე უზრუნველყოფდნენ ექსპორტის წახალისებას. რაც ჩვენი აზრით შემდგომში ეროვნული ეკონომიკური სისტემის დარგობრივი სტრუქტურის "უმისამართო" განვითარებაში გამოიხატა.

¹⁰⁶ სამწუხაროდ, ფასიანი ქაღალდის ბაზარი დღესაც მხოლოდ ჩანასახოვან ფორმაშია, სადაც მხოლოდ სახაზინო ვალდებულებებით ვაჭრობა ხდება, ამდენად საუბარი 9 წლის წინანდელ ბაზარზე უხერხულადაც კი მიგვაჩნია.

რეფორმის ამ ეტაპზე სახელმწიფომ ვერ შეძლო სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის რაიმე, ოდნავ მაინც ქმედითი სისტემის შექმნა. მოსახლეობა, რომელიც მანამდე სახელმწიფოს ნების გარეშე ჩაისაც კი არ სვამდა (იმიტომ, რომ შაქარიც და კარაქიც ნორმირებული იყო და ტალონის გარეშე ვერ შეიძენდა) ახლა მთლიანად საკუთარ, არც თუ ისე ძლიერ ძალებთან აღმოჩნდა პირისპირ. ვერ მოხერხდა ყველაზე უფრო შეჭირვებულთა დახმარებაც კი. ქვეყანა სოციალური აფეთქების შიშით ცხოვრობდა.

იწყება სახელმწიფოს მხრიდან მონოპოლიური სტრუქტურების საქმიანობის შეზღუდვაზე ფიქრი, მაგრამ რეალურად მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ მოხერხდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამოქმედება და მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ფიქრი.

ვერ ხერხდება სახელმწიფოს მხრიდან საწარმოთა უშუალო მართვაზე უარის თქმა, რაც აგრძელებს რესურსების არსწორ გამოყენებას და ქვეყნის ეკონომიკური სისტემის დარგობრივი სტრუქტურის დამახინჯებას.

გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო, თითქმის ომი გამოვუცხადეთ ჩვენს ყველაზე დიდ სავაჭრო პარტნიორს და ქვეყანა დარჩა როგორც წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ბაზრის, ასევე გარკვეული ტიპის ნედლეულის მომწოდებლის გარეშე.

ამდენად პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ყველაზე სწრაფი და ეფექტიანი გზა, რომელიც "შოკური თერაპიის" სახელითაა ცნობილი, პრაქტიკულად საქართველოში ვერ განხორციელდა. არ შესრულდა "შოკური თერაპიის" თანამედროვე ქრესტომათიული "ბალცეროვიჩის გეგმის" თერთმეტი პუნქტიდან რვა (პაპავა, 1995ბ, გვ. 8). ვერ განხორციელდა და ვერც განხორციელდებოდა უმთავრესი პუნქტები, რომლებსაც ეკონომიკაში "შოკის ეფექტი" უნდა მოეხდინა, ანუ სახელმწიფო ვერ განახორციელებდა ეფექტიან მონეტარულ პოლიტიკას, რამეთუ მიუხედავად ზემოთ აღნიშნული "ცივი ომისა" ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან, ის მაინც რჩებოდა ჩვენი ეკონომიკისათვის გულის ფუნქციის შემსრულებელი, რადგან სწორედ რუსეთის ცენტრალურ ბანკზე იყო დამოკიდებული საქართველოში მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტიც ისევ მის ხელში რჩებოდა.

ამდენად აღნიშნულ ეტაპზე, ვიდრე საქართველო არ შესძლებდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისათვის აუცილებელი ინსტრუმენტების თავის ხელში თავმოყრას, რეფორმების წარმატებით განხორციელებაზე ფიქრიც კი უტოპიის სფეროს უფრო განეკუთვნება, ვიდრე რეალურ ეკონომიკურ პოლიტიკას.

ეკონომიკური რეფორმის პოპულისტური ეტაპი ”შოკური თერაპიის” არასრულფასოვანი რუსული მოდელის კიდევ უფრო არასრულფასოვანი ქართული კალკის გარდაუვალი კრახით დასრულდა, რამაც საქართველოს ეკონომიკაში შემდგომი კრიზისული მოვლენები დააჩქარა (პაპავა, 1995ბ, გვ. 8).

1993 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში იწყება რეფორმების შეფერხების ეტაპი, რომელიც 1994 წლის შუახანებამდე გრძელდება (პაპავა, 1995ბ, გვ. 8-9). ამ შეფერხების გამომწვევი მიზეზების ნაწილი სცდება ეკონომიკის სფეროს, ნაწილი კი მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია.

ალბათ სწორედ ეს ეტაპი შეიძლება იქნეს მიჩნეული დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის (და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ ეკონომიკის) ისტორიაში ყველაზე ძნელ პერიოდად.

მცირე ისტორიული ექსკურსიც კი საკმარისია, იმისათვის, რომ გავიხსენოთ ის მძიმე დღეები, რომლის მომსწრენიც ჩვენ ვართ.

1992 წლის ზაფხულში აფხაზეთში დაიწყო ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები, ხოლო 1993 წლის შემოდგომაზე სამოქალაქო ომი, პრაქტიკულად საომარი ვითარება იყო ცხინვალშიც.

სიტუაციას ქვეყანაში ამძიმებდა კრიმინოგენული ვითარება, ძარცვა, ყაჩაღობა, რეკეტი, რაც ხელს უშლიდა როგორც ეკონომიკის განვითარებას, ასევე ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს.

სატრანსპორტო ბლოკადამ კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. საქართველო პრაქტიკულად გარე სამყაროსაგან იზოლირებული იყო.

რეალურად აღარ არსებობდა არანაირი საფინანსო წესრიგი და შედეგად ქვეყნის ბიუჯეტიც ფაქტობრივად მოიშალა: 1993-1994 წლებში საქართველოს არ ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი.

დაფინანსების ერთადერთ შესაძლო წყაროდ დარჩა ფულის ემისია, რითაც იფარებოდა სახელმწიფო ხარჯებსა და შემოსავლებს შორის სხვაობა. კერძოდ, 1993 წელს

სახელმწიფო ხარჯები საგადასახადო შემოსავლებს აღემატებოდა 1,118 ტრლნ. კუპონით, ხოლო 1994 წელს კი 2,893 ტრლნ. კუპონით (პაპავა, 1995ბ, გვ. 9).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რომ მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისათვის საკუთარი პრობლემების არც თუ იშვიათად სამართლიანი გადაბრალებისა და კრიტიკის მეტს არაფერს აკეთებდა, რატომღაც არ ელოდა, რომ მოსკოვიდან ვეღარ შეძლებდა ფულის ნიშნების მიღებას. ხოლო, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს მთავრობა ფაქტის წინაშე დააყენა და შეუწყვიტა ფულის მიწოდება, საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა 1993 წლის აპრილში ბრუნვაში გაეშვა საქართველოს დროებითი ფულის ნიშანი – საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონი.

მიუხედავად იმისა, რომ კუპონის მიმოქცევაში გაშვება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, როგორც სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის, ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებმა კუპონის მიმართ არასერიოზული, ზოგ შემთხვევაში აგდებული დამოკიდებულება გამოიჩინეს (პაპავა, 1995ბ, გვ. 10), რამაც გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია დევალვაციური პროცესის გაძლიერებაზე.

მოსახლეობა უნდობლად შეხვდა კუპონს და ამის ძირითადი მიზეზი, არა თავად კუპონი, ან საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა იყო, არამედ ისევ ქვეყნის ხელისუფლების სურვილი “რუბლის ზონაში” მუდმივი ან დროებითი დარჩენის შესახებ და კუპონის, როგორც მიმოქცევაში რუსული რუბლის წარმომადგენლის გაშვება იყო.

თავად ხელისუფლებამ, ნაცვლად იმისა, რომ კუპონი თავიდანვე გადახდის ერთადერთ საშუალებად გამოეცხადებინა და მკაცრი ღონისძიებების გატარებით უზრუნველყო დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება, არ დაანება თავი კავკასიონის გაღმა ყურებას და “რუბლის ზონაში” ეკონომიკური ხელსაყრელობის ილუზიის ტყვეობაში მყოფს დაავიწყდა, რომ დამოუკიდებელი ქვეყნის აშენების პრეტენზია ჰქონდა.

სწორედ ამიტომ კუპონი ერთადერთ კანონიერ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა არა თავიდანვე, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთმა 1993 წლის ივლის-აგვისტოში გაატარა ფულის ნაწილობრივი რეფორმა და ბრუნვიდან ამოიღო დაშლილი საბჭოთა კავშირის მანეთი.

უკონტროლო საკრედიტო ემისიამ საფუძველი ჩაუყარა ჰიპერინფლაციურ პროცესს. 1993 წლის შემოდგომიდან დაწყებული პრაქტიკულად არარსებული ბიუჯეტის ხარჯზე ვითომდა სასოფლო-სამეურნეო პრობლემების (1993 წლის შემოდგომაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, ხოლო 1994 წლის გაზაფხულზე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმოების) გადაწყვეტის მცდელობამ, რაც იმ პერიოდისათვის არნახულ საბიუჯეტო ემისიაში გამოიხატა (პაპავა, 1995ბ, გვ. 9; გოცირიძე, 1999, გვ. 259-260), საბოლოოდ მოშალა ქვეყნის საფინანსო სისტემა და საქართველო მოექცა ჰიპერინფლაციურ სპირალში: ინფლაციის ტემპი 1993 წელსა და 1994 წლის შემოდგომამდე შეადგენდა 50-70 პროცენტს თვეში (პაპავა, 2000გ, გვ. 27). სამწუხაროდ, ეს ფული, საბოლოო ჯამში, არც სოფლის მეურნეობას მოხმარდა.

ინფლაციის მაღალი ტემპის პირობებში კუპონი ვეღარ ასრულებდა გადახდის ფუნქციას, რომ აღარაფერი ვთქვათ ღირებულების საზომისა და მით უმეტეს დაგროვების ფუნქციებზე, კუპონის რეალური ღირებულება განუწყვეტლივ მცირდებოდა. კუპონის ნაცვლად მიმოქცევაში იზრდებოდა რუბლის გამოყენების მასშტაბები, ხოლო თავად რუბლის მსყიდველუნარიანობის ასევე სწრაფი დაცემის პირობებში, იზრდებოდა საქართველოში აშშ დოლარის მოქმედების ასპარეზი. რეალურად ყველა მეტ-ნაკლებად ძვირფასი საქონლის ფასი, როგორც წესი მხოლოდ დოლარში ფიქსირდებოდა, ხოლო გადახდა დოლართან ერთად, შესაძლოა რუბლითაც მომხდარიყო. რეალურად კუპონი მხოლოდ მეტროპოლიტენით მგზავრობის საფასურის გადახდას და ნორმირებული პურის (ხაზს ვუსვამთ, მხოლოდ ნორმირებული) შეძენას უზრუნველყოფდა.

ეროვნული ბანკის მცდარმა პოლიტიკამ ნაღდი ფულის მოძრაობის არეალის შეზღუდვაზე, რაც გამოიწვია საბანკო სისტემიდან ნაღდი კუპონის გამოტანაზე ყოველგვარ ჯანსაღ აზრს მოკლებულმა შეზღუდვებმა, მიგვიყვანა ნაღდი და უნაღდო ფულის ღირებულებათა შორის მნიშვნელოვან სხვაობამდე. შედეგად კიდევ უფრო შეიზღუდა კუპონის მიმოქცევის არეალი.

პურზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე, ტრანსპორტზე ბიუჯეტიდან სუფსიდირებულმა ფასებმა ბიუჯეტს მისცა დამატებითი “დატვირთვა”, რამაც ასევე ხელი შეუწყო საბიუჯეტო ემისიას, კუპონის კიდევ უფრო გაუფასურებასა და ქვეყნის ეკონომიკის კოლაფსამდე მიყვანას.

უდიდესი შეცდომა იქნა დაშვებული საგარეო ვაჭრობაში, რაც გამოიხატა “უნიკალური” ქართული საკლირინგო სისტემის დამკვიდრებაში (პაპავა, 1995ბ, გვ. 10-11). თურქმენეთიდან გაზის შემოტანის ერთადერთ გზად მიჩნეულ იქნა ბარტერი. ხელოვნურად ძვირად იქნა შეფასებული, როგორც თურქმენული გაზი, ისე ქართული წარმოების ბევრი უხარისხო პროდუქცია. ამგვარი მიდგომის “ნოვატორთა” აზრით შედეგად უნდა მიგველო საქართველოს საწარმოთათვის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა¹⁰⁷.

უხარისხო პროდუქციის საწარმოებლად და კორუფციული გარიგებებისათვის შესანიშნავი სტიმული გაჩნდა, რადგან ეს პროდუქცია უნდა შეეძინა მთავრობას ბიუჯეტის ხარჯზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს ბიუჯეტი ჯერ კიდევ არ არსებობდა, ამგვარი ოპერაცია მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა და ისიც ფულის ემისიის ხარჯზე, რამაც კიდევ უფრო წაახალისა ინფლაციური პროცესები.

ამ პროდუქციის უდიდესი ნაწილი მთავრობის მიერ საწარმოებიდან მოტყუილებით იქნა მიღებული, შესაბამისი საფასურის მომავალში გადახდის გარანტიის მიცემით, რამაც საწარმოები ჩააყენა უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში და შედეგად ქვეყნის შიგნით ჩამოყალიბდა არგადახდების სისტემა (პაპავა, 1995ბ, გვ. 11).

ამგვარი ნოვატორების წყალობით საქართველოს ორი წლის განმავლობაში დაუგროვდა თურქმენეთის მიმართ თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობის ვალი, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელმწიფო ვალში დარჩა მეწარმეებთანაც, რომლის გასასტუმრებლად შემდგომ ხშირად სტრატეგიული ობიექტებიც კი გამოიყენებოდა.

საქართველო კორუფციამ მოიცვა. დაიწყო ქვეყნის ხარჯზე ზოგიერთი კლანის გამდიდრების სამწუხაროდ შეუქცევადი პროცესი, რასაც ქვეყნის ინსტიტუციონალური მოუწყობლობაც უწყობდა ხელს.

პრაქტიკულად ყველანაირი საქმიანობისათვის საჭირო იყო კვოტებისა და ლიცენზიების მიღება.

¹⁰⁷ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დღესაც კი ვერ დავაღწიეთ თავი ამ მანკიერ პრაქტიკას. სამწუხაროდ კვლავ გრძელდება თურქმენეთის ვალის სანაცვლოდ პროდუქციის გადატვირთვის ფაქტები, რასაც საფუძვლად ცხადია “ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზე ზრუნვა უდევს”. აღნიშნული ტიპის კლირინგული ოპერაციები საქართველოს 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არის დაკანონებული.

ქვეყანა დღემდე გადაუჭრელმა ენერგეტიკულმა კრიზისმა მოიცვა, რაც ასევე კორუფციული გარიგებების დამსახურებაა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ინიციატივით 1994 წელს ანტიკრიზისული პროგრამის მიღებითა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მუშაობის განახლებით იწყება ეკონომიკური რეფორმების ახალი ეტაპი, რომელიც შეცდომების გამოსწორების ეტაპის (პაპავა, 1995ბ, გვ. 12) სახელითაა ცნობილი. ამ ეტაპზე თავიდანვე იყო გარკვეული წარმატებები (ბასილია, (და სხვები), 1998), რომლებსაც შემდგომი რეფორმირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

პარალელურად საქართველოში იწყება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მისიების მუშაობის გააქტიურება, თუ აქამდე (1991-1994 წლებში) საქართველო "ურჩი ბავშვივით" არად აგდებდა მათ რეკომენდაციებს (პაპავა, 2000გ, გვ. 28-29; Папава, 2001В, с. 13), შემდგომ აღნიშნული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები აქტიურად ეხმარებიან საქართველოს ხელისუფლებას პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებაში (პაპავა, 2000გ, გვ. 29; Папава, 2001В, с. 13).

1994 წლის ზაფხულიდან ხელისუფლებამ ქართული კუპონისათვისაც მოიცალა. ამას ხელი შეუწყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მზადყოფნამაც დაეხმაროს ქვეყანას, რომელსაც აქვს საკუთარი ვალუტა და რომლის ხელისუფლებაც ზრუნავს მის განმტკიცებაზე (პაპავა, 1995ბ, გვ. 13). საქართველოს "რუბლის ზონაში" ყოფნის შემთხვევაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს ურთიერთობა პრაქტიკულად ნულამდე აღმოჩნდებოდა დაყვანილი, რამეთუ ეს ორგანიზაცია იმუშავებდა არა ჩვენთან, არამედ რუბლის ემიტენტ ქვეყანასთან – რუსეთთან. ამგვარმა მიდგომამ ხელისუფლებაში მყოფ "რუბლის ზონის" მოტრფიალებს ხელიდან გამოაცალა რუსული რუბლის საგადამხდელო საშუალებად გამოცხადების აუცილებლობის ხმამაღალი ქადაგების შესაძლებლობა (პაპავა, 1995ბ, გვ. 13) და ხელი შეუწყო ხელისუფლებაში მყოფ იმ ძალებს რომელთაც თავიდანვე გააზრებული ჰქონდათ, რომ საქართველოს ეკონომიკას მომავალი არ შეიძლებოდა ჰქონოდა საკუთარი ვალუტის გარეშე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის საშური სიმტკიცის პირობებში პრაქტიკულად გამოირიცხა უკონტროლო საკრედიტო ემისია. 1994 წლის

შემოდგომაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის აშკარა ზეწოლის ქვეშ გააუქმა შეზღუდვები ბანკებიდან ნაღდი ფულის გამოტანაზე, რის შედეგადაც ნაღდი და უნუღდო ფულის ღირებულებები მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ერთმანეთს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის ბოლოდან დაიწყო საბანკო სისტემის რეგულირება მსოფლიოში აპრობირებული კლასიკური მეთოდებით, რამაც სხვა პრობლემებთან ერთად გადაჭრა სახელმწიფო კომერციულ ბანკების მიერ ოვერდაფტის პირობებში მუშაობის აკრძალვის პრობლემა. აქვე აღსანიშნავია, რომ 1994 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო სახელმწიფო-კომერციული ბანკების აქციონირება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შემუშავებული პროგრამის მიხედვით 1994 წლის სექტემბერში გაზსა და ელექტროენერგიაზე ფასები გაიზარდა საერთაშორისო დონემდე, პურზე ფასი გაიზარდა 285-ჯერ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეტროპოლიტენით მგზავრობის საფასური და კომუნალური მომსახურების ტარიფებიც (პაპავა, 1995ბ, გვ. 14).

გაიზარდა საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები, პენსიები და შემწობანი, მაგრამ მათი ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩა ფასების ზრდას. ამ გზით მიღწეულ იქნა ფასთა სხვაობის საბიუჯეტო სუბსიდირების არსებითი შემცირება.

ამას მოჰყვა ქართული კუპონის კურსის მნიშვნელოვანი განმტკიცება. თუ პურზე ფასის გაზრდამდე ერთი დოლარი უდრიდა 5,3 მლნ. კუპონს, ფასების მომატების შემდეგ ერთი დოლარი უკვე უდრიდა 2,4 მლნ. კუპონს (პაპავა, 1995ბ, გვ. 14). ეს პროცესი გაგრძელდა: 1994 წლის მიწურულს პურის ფასი კვლავ გაიზარდა 40 პროცენტით, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ 1995 წლიდან ჩამოყალიბდა კუპონის სტაბილური კურსი ერთი დოლარი უდრიდა 1,3 მლნ. კუპონს, რომელიც კუპონის არსებობის ბოლო დღემდე უცვლელი იყო.

დაიწყო ლიცენზირების არსებული მექანიზმის გამარტივება. 1995 წლის 1 იანვრიდან ქვოტირების სისტემა საერთოდ გაუქმდა, ხოლო ლიცენზირება შენარჩუნებულ იქნა საქონელთა მცირე ჩამონათვლზე (პაპავა, 1995ბ, გვ. 15), რამაც ხელი შეუწყო ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და კორუფციული გარემოს შეზღუდვას, ამასთან დაიწყო რეალური საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება,

როდესაც ბაზარზე შესვლა და გამოსვლა არ იყო დამოკიდებული ჩინოვნიკის სურვილზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საფინანსო-საკრედიტო სისტემაში წესრიგის დამყარებისაკენ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ორწლიანი პაუზის შედეგად 1995 წლის დასაწყისში პარლამენტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება. ამ ბიუჯეტის უმნიშვნელოვანესი ღირსებაა ის, რომ შემოსავლებისა და გასავლების დასაბალანსებლად უარი ეთქვა ემისიური კრედიტების გამოყენებას და საკრედიტო ემისიას საერთოდ (პაპავა, 1995ბ, გვ. 16).

1995 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ხარჯების მხოლოდ 47 პროცენტი უნდა დაფარულიყო გადასახადების ხარჯზე, ხოლო დანარჩენი 53 პროცენტი უნდა შეესაბამებოდეს ჰუმანიტარული დახმარების გზით მიღებული ხორბლისა და ფქვილის მონეტიზაციით (პაპავა, 1995ბ, გვ. 16).

ბევრ პოსკომუნისტურ ქვეყანაში განხორციელებული პრივატიზების პროცესის უკვე ტრადიციად ქცეულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 1995 წლიდან საქართველოში დაწყებული ვაუჩერიზაცია (პაპავა, 1995ბ, გვ. 17). ქონების ნაწილი უფასოდ "დაუნაწილდათ" მოქალაქეებს. ამ პროცესმა ნაცვლად იმისა, რომ შეექმნა რეალური მესაკუთრეთა კლასი კიდევ ერთი უარყოფითი როლი შეასრულა ეკონომიკის გაჯანსაღების საქმეში. ნაცვლად იმისა, რომ წარმოების საშუალებები გადასულიყო იმათ ხელში (თუნდაც უფასოდ), ვინც შეძლებდა მათ გადაიარაღებას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, წარმოების წახალისებასა და პროდუქციისათვის რეალიზაციის ბაზრის პოვნას, ქარხანა-ფაბრიკები ბოლშევიკური ლოზუნგის "მიწა - გლეხებს"¹⁰⁸, ფაბრიკა-ქარხნები - მუშებს" შესაბამისად მოსახლეობის იმ ფენას გადაეცა, რომელსაც მისი ამოქმედებისათვის თუნდაც გახვრეტილი შაურთანის მოძიებაც კი არ შეეძლო. მეორეს მხრივ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საქართველოში იმ დროისათვის პრაქტიკულად არ არსებობდა ფენა, რომელსაც ლეგალური, არაკრიმინალური გზებით ნაშოვნი ფული ჰქონდა, რომელსაც წარმოებაში დააბანდებდა. ამდენად სახელმწიფომ იმ ეტაპზე პოლიტიკურად მისაღები, მაგრამ ყოველგვარ ეკონომიკურ გათვლებს მოკლებული ნაბიჯი გადადგა.

¹⁰⁸ ამ ლოზუნგმა, როგორც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი უკვე 1992 წლის თებერვალში ჰპოვა ასახვა ქართულ რეალობაში.

საქართველოში იწყება საგადასახადო სისტემის გამარტივების პროცესი, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის დაწყებას.

ეკონომიკური რეფორმის მოცემულ ეტაპზე მიღწეულ იქნა საფინანსო სისტემის სტაბილურობა, ეკონომიკის ცალკეულ სექტორში წარმოების დაცემის ტემპები საგრძნობად შემცირდა, ხოლო ზოგიერთ მათგანში ზრდის ტენდენციაც კი გაჩნდა (პაპავა, 1995ბ, გვ. 18).

1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში დიდი წარმატებების სამწლიანი ეტაპი დაიწყო.

ქვეყანაში შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ჩამოყალიბდა მეტ-ნაკლებად ქმედითუნარიანი ორიარუსიანი საბანკო სისტემა, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები, მოხერხდა ფინანსური სტაბილიზაცია და საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოდება, აღდგენილ იქნა წესრიგი და საშემსრულებლო დისციპლინა, ძირითადად დამთავრდა ე.წ. “მცირე პრივატიზაციის” პროცესი, განხორციელდა ფასების, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაცია. ყოველივე ამ საფუძველზე ქვეყანაში ჩამოყალიბდა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის ელემენტალურად აუცილებელი ეკონომიკური გარემო, რამაც თავის მხრივ უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი დაჩქარებული განვითარება.

შემუშავებული და მიღებული იქნა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლო და სამართლებრივი გარემოს საფუძველი – ქვეყნის კონსტიტუცია, რითაც ფაქტიურად წერტილი დაესვა აღმშენებლობის ქაოსურ პროცესს და იგი კანონის ფარგლებში რეგულირების პრინციპებს დაექვემდებარა.

ყოველივე ეს კი ცენტრალიზებულად მართული სისტემის სრულ დემონტაჟსა და დემოკრატიული აღმშენებლობის დაწყებას მოასწავებდა, რისთვისაც პრაქტიკულად 1996 წლის დამდეგისათვის უკვე ჩამოყალიბებული იყო აუცილებელი ხელშემწყობი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო. ამის დადასტურებას კი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტაბილური და მაღალი ტემპები წარმოადგენდა.

ფულად-საკრედიტო და ფისკალურ სფეროებში რეფორმის წარმატებით განხორციელებამ კეთილსაიმედო ფონი შექმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტის – ეროვნული ვალუტის

შემოღებისათვის, რაც 1995 წლის სექტემბერში წარმატებით განხორციელდა. შემოღებული იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი და დადგენილი იქნა ლარის კუპონზე გადაცვლის ფიქსირებული კურსი 1 ლარი – 1 მილიონი კუპონი, ხოლო აშშ დოლართან მიმართებაში იგი 1.3 ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფულის რეფორმამ არ გაიმეორა ის შეცდომები, რაც დაშვებული იქნა ხელისუფლების მხრიდან კუპონის მიმართ. ამასთან, ხელისუფლებამ რეფორმის დროს არ გამოიყენა არავითარი კონფისკაციური ღონისძიება და იგი თავის მიერ გატარებული ეფექტიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით წარმოგვიდგა საქართველოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობის გარანტად, რამაც საზოგადოების თვალში ნდობა დაიმსახურა და ლარი სწრაფად დამკვიდრდა როგორც საყოველთაოდ აღიარებული კანონიერი გაცვლის საშუალება. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით ეროვნული ვალუტის შემოღების უკვე პირველი კვირის მანძილზე მოსახლეობამ ლარებზე 37.9 მლნ. აშშ დოლარი და 70.6 მილიარდი რუსული რუბლი გადაცვალა. მოსახლეობის ასეთმა პოზიტიურმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები სერიოზულად შეივსო, რამაც ბრუნვაში არსებული ეროვნული ვალუტისა და ფულის მიწოდების სხვა აგრეგატების გაზრდა გამოიწვია. ყოველივე ამან, გავლენა მოახდინა ეროვნული ბანკის მიერ გატარებულ სავალუტო პოლიტიკაზე, რაც გამოიხატა ფიქსირებულიდან რეგულირებად საკურსო მექანიზმზე გადასვლით. ეროვნული ვალუტის შემოღებიდან უკვე ერთი თვის განმავლობაში ლარის კურსი თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე 1.3-დან 1.25-მდე დაეცა აშშ დოლართან მიმართებაში, ხოლო “შავ ბაზარზე” – 1.275 -დან 1.25-მდე. მოქნილი საკურსო პოლიტიკის შედეგად საქართველოში გადაილახა ე. წ. მულტისაკურსო პრაქტიკა და დასრულდა სავალუტო კურსის უნიფიცირება.

გატარდა რამდენიმე ღონისძიება, რომელმაც კომერციულ ბანკებს თანაბარ და ცივილიზებულ პირობებში ფუნქციონირების საშუალება მისცა. მათგან, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

- შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო ეროვნული ბანკის საკრედიტო აუქციონმა, რომელზედაც ნებისმიერ ბანკს უფლება აქვს დაუბრკოლებლად შეიძინოს და გაყიდოს ფინანსური რესურსები საკუთარი ლიკვიდობის რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით;

- უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღო თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავალუტო სესიებმა, რამაც გაადვილა ბირჟის გარეთა სავალუტო ბაზის საქმიანობის კოორდინირება;
- გაუქმდა შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც იურიდიულ პირს ეკრძალებოდა რამდენიმე ანგარიშის ფლობა და განკარგვა, რამაც გაადვილა ფინანსური რესურსების დივერსიფიკაცია, ანგარიშსწორების სრულყოფა და ფულის მასის აღრიცხვა საბანკო სექტორში.

საბანკო სექტორში სწორად წარმართულმა მონეტარულმა პოლიტიკამ ლარს გადახდის ფუნქციის შესრულების პარალელურად ღირებულების საზომისა და დაგროვების ფუნქცია შესძინა.

სამწუხაროდ, 1998 წლიდან ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში შეფერხებები იწყება, რასაც ჰქონდა როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები. ეკონომიკური რეფორმების ამ ეტაპს, რომელიც ჩვენი აზრით 1998-2000 წლებს მოიცავდა, შეიძლება *ეკონომიკური რეფორმების შეფერხების ეტაპი* ვუწოდოთ.

სუბიექტური ფაქტორებიდან აღსანიშნავია აღმასრულებელი ხელისუფლების ეკონომიკური გუნდის არასტაბილურობა (1997 წლიდან ყოველ წელიწადნახევარში იცვლება ფინანსთა მინისტრი), გუნდის წევრების შეუთანხმებელი მოქმედებები, მათი დაბალპროფესიული უნარ-ჩვევები, კორუფციის დიდი მასშტაბები.

აშკარად გაუთვლელი იყო ინსტიტუციონალური ნაბიჯები, რომლებიც ამ წლებში გადაიდგა, კერძოდ წინა წლებში ჩამოყალიბებული ძლიერი ფინანსთა სამინისტროს ნაცვლად, ჩამოყალიბდა უსუსური, "ღამის დარაჯის" ფუნქციებით აღჭურვილი ფინანსთა სამინისტროს შექმნა, მოხდა მისი დაშლა და ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მობილიზებაზე პასუხისმგებლობა ფინანსთა მინისტრმა მოიხსნა, რასაც შესაბამისად შემდგომში ბიუჯეტის შეუსრულებლობაზე ურთიერთგადაბრალებების მთელი კასკადი და მუდმივად შეუსრულებადი ბიუჯეტი მოჰყვა. ეს პროცესი ასევე ნაკლებადგააზრებული ახალი სამინისტროს შექმნით დასრულდა.

ობიექტური ფაქტორებიდან აღსანიშნავია, აზიიდან აღმოცენებული გლობალური ფინანსური პრობლემები და ამის ფონზე მეზობელ ქვეყნებში, პირველ რიგში კირუსეთში განვითარებული კრიზისი, რომელმაც საქართველოს საფინანსო-საბიუჯეტო

სისტემას სერიოზული დარტყმა მიაყენა. აგრეთვე ტერაქტების, საომარი მოქმედებების განახლება აფხაზეთში, კერძოდ გალის რაიონში.

აღნიშნულმა და აგრეთვე, ერთის მხრივ, ქვეყანაში დაფიქსირებულმა საბიუჯეტო და, მეორეს მხრივ, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთში განვითარებულმა საფინანსო კრიზისმა, ქვეყანა იძულებული გახადა გადაესინჯა მოქმედი სავალუტო რეჟიმი, რომელიც ეროვნული ბანკის აქტიური მონაწილეობით სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების მეშვეობით რეგულირებადი მცურავი სავალუტო კურსის შენარჩუნებას ითვალისწინებდა.

რეგულირებადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი საკმაოდ “მგრძობიარე” აღმოჩნდა უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისების მიმართ.

რუსეთში ვალუტის იძულებით დევალვაციების სერიამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა ეროვნულ ვალუტაზე სპეკულაციური შეტევის წარმატებული განხორციელებისათვის, რამაც ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები თითქმის ამოწურვამდე მიიყვანა. ასეთ პირობებში მიზანშეწონილად ჩაითვალა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ინტერვენციებზე უარის თქმა, რაც 7 დეკემბრიდან რეალურად განხორციელდა და საბაზრო მექანიზმებით ახალი წონასწორული გაცვლითი კურსი ჩამოყალიბდა – 2.1 ლარი 1 აშშ დოლარზე. ეს კი პრაქტიკულად ნიშნავდა ლარის კურსის ეგრეთწოდებულ მცურავ რეჟიმზე გადასვლას და ამ გზით წონასწორული გაცვლითი კურსის ჩამოყალიბებას მოასწავებს.

2000 წელს გაგრძელდა ინსტიტუციონალური ცვლილებები და ეკონომიკური პროფილის სამინისტროების მექანიკური გაერთიანების პროცესი. მაკროეკონომიკური ფუნქციის მატარებელი ეკონომიკის სამინისტროს ნაცვლად, რომელსაც მთელი ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე უნდა ეზრუნა, ჩამოყალიბდა გაურკვეველი *მაკრო-მიკროეკონომიკური სიმბიოზი* – ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს სახით¹⁰⁹.

ამ ნაბიჯით ეკონომიკის სამინისტრომ დაკარგა მაკროეკონომიკური ფუნქცია და იგი დარგობრივი სამინისტრო გახდა.

¹⁰⁹ როგორც ჩანს, ეს პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა და ხელისუფლებაში კვლავ ტრიალებს სტრუქტურული ცვლილებების ახალ-ახალი გეგმები.

ეკონომიკური რეფორმებიდან გადახვევის ყველაზე დიდ ნაბიჯად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ სახელმწიფოს ხელში არსებული აქციების დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებებისათვის გადაცემა უნდა ჩავთვალოთ. ამ ნაბიჯის შემდგომ დარგობრივმა სამინისტროებმა, დარგში პოლიტიკის განმხორციელების ნაცვლად, სამეურნეო ფუნქციები დაიბრუნეს და ქონების მართვის სამინისტრო პრაქტიკულად ქონების გასხვისების სამინისტროდ იქცა. უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წლის დასაწყისში, სახელმწიფო ქონების მართვის ახალი მინისტრის, ბატონ ს. პავლიაშვილის მონდომების შედეგად სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები სამართავად დაუბრუნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, რაც რეფორმისაკენ შემობრუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია.

რეფორმებისაკენ შემობრუნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია 2002 წლის მაისში საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსთან შერწყმა. ამ ნაბიჯის შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულებაზე მთელი პასუხისმგებლობა კვლავ ფინანსთა მინისტრზე გადავიდა, რამაც აშკარად უნდა შეუწყოს ხელი საფინანსო კრიზისის დაძლევას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წლებში საქართველოში თავისი მუშაობა პრაქტიკულად შეაჩერეს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა. ეს ფაქტიც ადასტურებს რეფორმების პროცესის შეფერხების თაობაზე ჩვენს მოსაზრებას.

მაგრამ ამ ორგანიზაციების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი დაწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე იმდენად დიდი იყო, რომ 2001 წლიდან ხელისუფლება იძულებული გახდა რეფორმებისაკენ შემობრუნებულიყო. მართალია ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში რაიმე რევოლუციური ნაბიჯები არ გადადგმულა, მაგრამ უკვე არის იმის მცდელობა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში გაითვალისწინონ ეკონომისტთა აზრიც, რისი შესაძლებლობაც ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ქვეყანაში არ ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში გარკვეული შედეგებებია და ხშირ შემთხვევაში უკან სვლაც¹¹⁰ კი, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის პროცესმა საბოლოოდ მიიღო შეუქცევადი სახე.

¹¹⁰ ამის მაგალითად თუნდაც დარგობრივი სამინისტროებისათვის სამეურნეო ფუნქციის დაბრუნება და მათი ე.წ. “თვითდაფინანსებაზე” გადაყვანა მიგვაჩნია.

3.2. XX საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორების ანალიზი

საქართველოსათვის სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან შედარებით განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა დამოუკიდებელი, ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირების პირველი წლები, რაც განპირობებული იყო როგორც ყველასათვის საერთო პრობლემებით (ტრადიციული კავშირ-ურთიერთობების მოშლა, საკუთარი ვალუტისა და ფულად-საკრედიტო სისტემის უქონლობა, არასრულყოფილი მმართველობის, ტერიტორიული მოწყობის და თავდაცვითი სისტემები და ა.შ.), ასევე რიგი საშინაო პრობლემების გამწვავებით, უპირველეს ყოვლისა სეპარატისტული მოძრაობების გააქტიურებით, რასაც შედეგად სამოქალაქო ომი და კრიმინალური სამყაროს უკიდურესად აღზევა მოჰყვა.

1991 წელს საქართველო ჯერ კიდევ "ინერციით" ცხოვრობდა, თანაც წელი ქვეყანამ ოფიციალურად სსრკ-ს შემადგენლობაში დაიწყო, მართალია უკვე 9 აპრილს, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო "დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი", მაგრამ პრაქტიკულად მთელი წლის განმავლობაში არც-ერთ სახელმწიფოს მისი დამოუკიდებლობა არ უცვნიას, თუ არ ჩავთვლით რუმინეთს. დამოუკიდებლობის პირველი დიდი აღიარება წლის ბოლოს მოხდა, როცა ბელოვეჟის შეთანხმების საფუძველზე რუსეთის, ბელორუსისა და უკრაინის პრეზიდენტებმა სსრკ-ს დაშლა აღიარეს. 1991 წლის დეკემბრის ბოლოს აშშ-მა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, თუმცა ამ დროს საქართველოში უკვე სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, რომელიც 21 დეკემბერს დაიწყო. გასათვალისწინებელია ის პოლიტიკური ვითარებაც, რომელიც 1991 წლის აგვისტოდან დაიწყო და პრაქტიკულად პერმანენტულ გაფიცვებსა და მიტინგებში გამოიხატებოდა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, 1991 წელს 1990 წელთან შედარებით საქართველოს ეკონომიკაში GDP-ის 21,9 პროცენტის დაცემა დაფიქსირდა¹¹¹. სამწუხაროდ, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს 1991 წელს ინფლაციის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია.

¹¹¹ ნაშრომში მოყვანილი ყველა სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს შესახებ (თუ სხვა რამ არ არის მითითებული) აღებულია წიგნიდან: სსსდ, 2001.

1992 წელს გაგრძელდა საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის პროცესები და მას თან დაერთო საქართველოში უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური, კრიმინალური, შიდა პოლიტიკური და სხვა ნეგატიური მოვლენები, რომელთა დამსახურებითაც 1991 წელთან შედარებით ქვეყნის ეკონომიკაში რეალური GDP კიდევ 44,9%-ით დაეცა და 1990 წელთან შედარებით მხოლოდ 43,47 პროცენტი შეადგინა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ 1989 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში დაცემის პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

სამწუხაროდ, არც 1993 წელი გამოირჩეოდა წინა წლებისაგან. უმძიმესი კრიმინალური ვითარება, საომარი მოქმედებები აფხაზეთში, სატრანსპორტო ბლოკადა, კუპონის უკონტროლო ემისია, ჰიპერინფლაცია და შედეგად GDP-ის კიდევ 29,3%-ანი დაცემა. საბოლოოდ 1990 წელთან შედარებით GDP-ის მოცულობამ მხოლოდ 30,73% შეადგინა.

პრობლემები გაჩნდა ბიუჯეტშიც. თუ 1990-1992 წლებში კონსოლიდირებული ბიუჯეტის¹¹² შემოსავლებმა GDP-ის 33-34% შეადგინეს (1990 წელს 33,3%; 1991 – 33,2%; 1992 – 34,5%), 1993 წელს მათ GDP-ის მხოლოდ 6,4% შეადგინა, რაც პრაქტიკულად ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის არარსებობას ადასტურებდა.

ანალოგიური სიტუაცია დაფიქსირდა ბიუჯეტის ხარჯებთან მიმართებაში. 1990-92 წლებში კონსოლიდირებული ბიუჯეტის ხარჯებმა GDP-ის დაახლოებით 32% შეადგინეს (შესაბამისად, 32%; 31%; 32,9%), 1993 წელს კონსოლიდირებული ბიუჯეტის ხარჯები GDP-ის 4,8%-ის დონეზე დაფიქსირდა. ეს მონაცემები ადასტურებს რომ 1993 წელს ქვეყანაში არანაირი საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა არ არსებობდა, და ამგვარი დაფინანსების პირობებში ხელისუფლება რეალურად ქვეყნის განვითარებაზე ვერანაირ ზემოქმედებას ვერ განახორციელებდა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, 1990-1993 წლებში საქართველოს ბიუჯეტში შედიოდა მეტი თანხა, ვიდრე ბიუჯეტი მის დახარჯვას ახერხებდა. შემოსავლების ხარჯებზე გადამეტება შესაბამისად GDP-ის 1,3; 2,2; 1,7 და 1,5 პროცენტს შეადგენდა.

ეკონომიკური დაცემის პირობებში საქართველოს ბიუჯეტი "შემაკავებელ" პოლიტიკას ატარებდა, რითაც კიდევ უფრო "ახალისებდა" კრიზისს. თუ გავითვალისწინებთ,

¹¹² კონსოლიდირებული ბიუჯეტი მოიცავდა სახელმწიფო ბიუჯეტსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს.

რომ ამ პერიოდში ეროვნული ბანკი "იაფი ფულის"¹¹³ პოლიტიკას ატარებდა, დავრწმუნდებით, რომ მთავრობა, ფინანსთა სამინისტროს სახით და ეროვნული ბანკი აბსოლუტურად შეუთანხმებელ პოლიტიკას ატარებდნენ, რასაც თანამედროვე სტანდარტებით ვერ ვუწოდებთ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას.

ამდენად, 1990-1993 წლებში ქვეყანა ყოველგვარი გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გარეშე ცხოვრობდა, რაც შესაბამისად მაკროეკონომიკურ ინდიკატორებშიც აისახა.

1990 წელს საქართველოში დასაქმებამ 100% შეადგინა, 1991 წელს ოფიციალურად უმუშევარი იყო მხოლოდ 3500 კაცი, 1992 წელს უმუშევრობის დონე 32-ჯერ გაიზარდა და 113 ათასი კაცი შეადგინა, 1993 წელს უმუშევართა რიცხვი კიდევ 60%-ით გაიზარდა და 180 ათასი კაცი შეადგინა.

ეს ციფრები ცხადია არ მეტყველებენ რეალურ უმუშევრობაზე, რადგან შრომის ანაზღაურება იმ წლებში იყო მიზერული და მოსახლეობა ძირითადად დანაზოგების მეშვეობით ცხოვრობდა. უდიდესი იყო ფარული უმუშევრობის მოცულობა.

ყოველივე ამის შედეგი კი მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი იყო, რომელმაც თავის ზენიტს 1994 წელს მიაღწია.

ამაზე მეტყველებს თუნდაც შემდეგი ციფრები: ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით 1994 ინფლაციამ 7840 პროცენტს გადააჭარბა, ხოლო 1989-1993 წლებში GDP-ის მოცულობის 3,5-ჯერ შემცირების შემდეგ, იგი დამატებით კიდევ 10,4 პროცენტით შემცირდა, რაც ფაქტიურად 25-30 წლით უკან დახვევის ტოლფასი იყო.

1994 წელს ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებული იყო დაახლოებით 1,7 მლნ. კაცი, ანუ შრომითი რესურსების მხოლოდ 56 პროცენტი. ამასთან, დასაქმებულთა დიდი უმრავლესობა თვეობით უხელფასო შვებულებაში იმყოფებოდა, ანუ ფარული უმუშევრების რიგებს ავსებდა და ეს მაშინ, როცა ყოველი რეალურად დასაქმებული საშუალოდ თვეში 6271 ათას კუპონს, ანუ 5 აშშ დოლარს, მათ შორის საბიუჯეტო სექტორში დასაქმებული – 1 აშშ დოლარს იღებდა. ეს კი პრაქტიკულად ქვეყნის მოსახლეობის შიმშილით სიკვდილისათვის გაწირვას ნიშნავდა.

¹¹³ ალბათ უფრო მართებული იქნებოდა ტერმინ "მალთან იაფი ფულის" გამოყენება, რასაც ეკონომიკური ლიტერატურა არ იცნობს;

ასეთი, პრაქტიკულად ჩიხური, მდგომარეობიდან გამოსვლა ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან კარდინალური რეფორმების გატარებას საჭიროებდა.

შემუშავებული იქნა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური გარდაქმნების პროგრამა, რომლის შესახებაც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ანტიკრიზისული პროგრამის პრაქტიკული რეალიზაციის კვალობაზე უკვე 1995 წლის შედეგების მიხედვით არა მარტო შეჩერებულ იქნა წარმოების შემდგომი ვარდნა, არამედ მიღწეულ იქნა GDP-ის 2,6 პროცენტის ან ზრდა, ხოლო ინფლაციამ 157,4 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 7841 პროცენტისა 1994 წელს.

ამასთან, ქვეყანაში შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ჩამოყალიბდა მეტ-ნაკლებად ქმედითუნარიანი ორიარუსიანი საბანკო სისტემა, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები, მოხერხდა ფინანსური სტაბილიზაცია და საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღება, აღდგენილ იქნა წესრიგი და საშემსრულებლო დისციპლინა, ძირითადად დამთავრდა ე.წ. “მცირე პრივატიზაციის” პროცესი, განხორციელდა ფასების, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაცია.

ყოველივე ამ საფუძველზე ქვეყანაში ჩამოყალიბდა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის ელემენტალურად აუცილებელი ეკონომიკური გარემო, რამაც თავის მხრივ უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი დაჩქარებული განვითარება.

მთლიანობაში ანტიკრიზისული პროგრამის რეალიზაციისა და საერთოდ 1994-1995 წლებში საქართველოში განხორციელებული რეფორმების ძირითად შედეგს წარმოადგენდა ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ მნიშვნელოვან ინდიკატორებზე, როგორცაა ეროვნული ვალუტის კურსი და პურის ფასი.

პურზე დაწესებული იყო სახელმწიფო ფიქსირებული ფასი რასაც საფუძვლად მოსახლეობის სოციალური დაცვა ედო. პურის ღირებულების 50%-ის დაფარვა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხდებოდა.

შემდგომში, ეტაპობრივად ხორციელდებოდა შეღავათიანი ფასებისა და ტარიფების მიახლოება რეალურ დონეებთან. 1992 წლიდან 1994 წლის სექტემბრამდე 1 კგ. პურის საცალო ფასი 4,80 მანეთიდან 700 კუპონამდე ანუ 146-ჯერ გაიზარდა.

ფასების ასეთი მასშტაბით ზრდა გამოწვეული იყო არა მარტო აღნიშნული პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების ზრდით, არამედ ეროვნული ვალუტის – კუპონის დევალვაციის მაღალი ტემპით.

ბოლო წლებში საქართველოში პურისა და პურპროდუქტების ფასი საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდებოდა. ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ ნორმირებული ერთი კილოგრამი პურის ფასი თუ 1994 წლის იანვარში შეადგენდა 0,5 ცენტს, ერთი წლის თავზე მისი ფასი 22 ცენტი გახდა, ხოლო 1996 წლის მაისში 33 ცენტი შეადგინა, ე.ი. 66-ჯერ გაიზარდა. ეს მონაცემი მთლიანად არა, მაგრამ მაინც სრულად ასახავდა პურზე გაწეული ხარჯების დონეს და რეალურ ღირებულებას. ამ ვითარებამ პურის ფასების სრული ლიბერალიზაციის წინაპირობა შექმნა.

1996 წლის 15 ივნისიდან დაიწყო პურზე ფასების სრული ლიბერალიზაციის პროცესი, რაც ანტიკრიზისული პროგრამის რეალიზაციის ერთერთი მთავარი მიღწევა იყო. ფასების ლიბერალიზაციას წინ უსწრებდა ისეთი ურთულესი პრობლემის გადაწყვეტა – როგორცაა პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციის დემონოპოლიზაცია და ამ სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნა.

ამასთან პარალელურად განხორციელდა მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიება. შეიქმნა დარგობრივი და რეგიონული ოპერატიული სამსახურები, შტაბები, რომლებმაც უზრუნველყვეს აღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებელი გატარება, შეიქმნა კონკურენტული ბაზარი, რათა არ დაემვათ მონოპოლიზმი და ფასების ხელოვნური ზრდა.

პურპროდუქტებზე ფასების ლიბერალიზაციის ერთი კვირის შემდეგ პურის საშუალო ფასი ადრე მოქმედ პურის ფასთან შედარებით 10,7 პროცენტით, ხოლო სამი თვის თავზე 13,6 პროცენტით გაიზარდა. შემდგომში ფასების ზრდას ადგილი არ ჰქონია. არ გამართლდა სკეპტიკოსების ვარაუდი იმის თაობაზე, რომ პურპროდუქტებზე და კერძოდ პურზე ფასების გაზრდა იმავდროულად გაზრდიდა ფასებს ყველა სხვა სახის სამომხმარებლო საქონელზე.

უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო ლიბერალიზაციის საწყის ეტაპზე პურზე ფასების მკვეთრი ზრდის დაუშვებლობა. ადმინისტრაციული ხერხებით ამის გაკეთება გამორიცხული იყო, ამიტომ უპირატესობა მიენიჭა ეკონომიკურ ბერკეტებს როგორცაა: შეღავათიანი ტარიფების დადგენა რკინიგზის ტრანსპორტზე და ელექტროენერჯის

მოხმარებაზე, ხორბალი – მისი გადამუშავების ყველა სტადიაზე განთავისუფლდა დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

პურის ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა ჰუმანიტარული და გრანტებით მიღებული ხორბლისა და ფქვილის ნაშთების აფასების წესი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იყო ცენტრალურ ბიუჯეტში ამოსაღები თანხა აღნიშნული პროდუქციის ყოველ ერთ ტონაზე.

განხორციელებულმა შედეგებმა გაამართლა და დღეს ხორბლის ბიზნესი ერთ-ერთი წამყვანი სფეროა საქართველოში, დიდი რაოდენობით შემოდის ხორბალი, ფქვილი; ფასები პურზე სტაბილურია.

ორწლიანი პაუზის შემდეგ 1995 წლის დასაწყისში პარლამენტის მიერ მიღებული იქნა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის დადებითი მომენტი იყო ის, რომ დეფიციტის დაფინანსების წყაროებში მნიშვნელოვნად შეიზღუდა საკრედიტო ემისია. ბიუჯეტის დეფიციტის საბანკო დაფინანსების წილის შემცირების ტენდენცია გაგრძელდა შემდეგ წლებშიც (1996 წელს GDP-ის 6,6%; 1997 წელს – 6%; 1998 წელს – 3,7%; 1999 წელს – 4,5%; 2000 წელს – 3,4%; 2001 წელს – 4,7%-ს) (სებ, 2001, გვ. 5; სსსდ, 2002), რაც შესაბამისობაშია საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ ნორმებთან.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებით მაღალი შედეგები იქნა მიღწეული 1996-1997 წლებში. კერძოდ, ამ წლებში ქვეყანაში GDP-ის მოცულობა თითქმის 24 პროცენტით გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში.

1996-1997 წლებში უფრო დამაჯერებელი შედეგები იქნა მიღწეული ისეთი უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვითაც, როგორცაა ინფლაცია და რომლის პარამეტრებზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი შედეგები. კერძოდ, 1996 წელს ინფლაციის წლიურმა ტემპმა 13,5 პროცენტი, ხოლო 1997 წელს – 7,3 პროცენტი შეადგინა, რაც შესაბამისად საშუალოდ თვეში 1,1 პროცენტი და 0,6 პროცენტი იყო და მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ყველაზე ოპტიმისტურ პროგნოზებსაც კი. ყოველივე ამან კი შესაბამისად პოზიტიური ზეგავლენა იქონია მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს ფორმირებაზე.

1996-1997 წლებში ქვეყანაში ჩამოყალიბებული წარმოების ზრდის მასტიმულირებელი ეკონომიკური გარემო და შესაბამისად განვითარების მაღალი ტემპები იქნა მიღწეული 1998 წლის პირველ კვარტალშიც, რაც პირველ რიგში GDP-ის 11,2 პროცენტის მატებით გამოიხატა. ამასთან, შემდგომ პერიოდში ცნობილი ნეგატიური ფაქტორების შედეგად ეკონომიკური გარემო ქვეყანაში არსებითად შეიცვალა, რასაც მაკროეკონომიკური პარამეტრების პროგრესული გაუარესება მოჰყვა. კერძოდ, 1998 წლის 6 თვის შედეგების მიხედვით GDP-ის ზრდის ტემპი 108,9 პროცენტამდე, 9 თვის შედეგებით – 107,3 პროცენტამდე, ხოლო წლის საბოლოო შედეგების მიხედვით – 102,9 პროცენტამდე შემცირდა.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელებიდან, აგრეთვე საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების სფეროში ჯერ ისევ არსებული ნაკლოვანებებიდან გამომდინარე 1998 წლის მეორე კვარტლიდან მნიშვნელოვნად იკლო შემოსავლებმა სახელმწიფო ბიუჯეტში, რის შედეგადაც შეუძლებელი გახდა კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება და ქვეყანაში თანდათანობით საბიუჯეტო კრიზისი ჩამოყალიბდა. სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანებამ მარტო ხელფასებისა და პენსიების სახით 1998 წლის ნოემბრის დასაწყისისთვის 70 მლნ. ლარს გადააჭარბა და სამწუხაროდ, მიუხედავად გარკვეული ნაბიჯებისა, ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

მომდევნო ეტაპზე ეროვნული ბანკის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების დეფიციტის პირობებში საბიუჯეტო კრიზისი სავალუტო კრიზისშიც გადაიზარდა, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო-სავალუტო კრიზისის ფორმა მიიღო და იგი უკვე თვითონ გახდა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ 1998 წლის მე-4 კვარტალში 1997 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, პირველად ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაწყებიდან, ადგილი ჰქონდა GDP-ის მოცულობის რეალურ შემცირებას და თანაც დაახლოებით 7-8 პროცენტის ფარგლებში.

ყოველივე ამას კი თავისი მიზეზები განაპირობებდა, რომელთა შორის მნიშვნელოვანი იყო ისეთი ობიექტური ფაქტორების გავლენა, როგორცაა საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი, გალის რაიონის მაისის მოვლენები, მეტად არახელსაყრელი კლიმატური პირობები და მსოფლიოს

გლობალური ფინანსური პრობლემების ფონზე რუსეთში განვითარებული კრიზისული პროცესები.

1998 წლის მაისში გალის რაიონში განვითარებულმა მოვლენებმა და საქართველოს პრეზიდენტზე განხორციელებულმა თავდასხმამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყანაში არაჯანსაღი სამეწარმეო კლიმატის ჩამოყალიბებაზე და ამდენად ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაქვეითების ერთ-ერთი არაპირდაპირი ფაქტორი გახდა. გარდა ამისა, გალის მოვლენების შედეგად ქვეყნის ისედაც მწირ სახელმწიფო ბიუჯეტში გაჩნდა 50 ათასამდე დამატებითი ლტოლვილისათვის მინიმალურად აუცილებელი პირობების შესაქმნელად საჭირო დანახარჯების ახალი მუხლები, რომელთა საერთო თანხამ მარტო 1998 წლის განმავლობაში 10 მლნ. ლარს გადააჭარბა.

მნიშვნელოვანი იყო ისეთი ობიექტური ფაქტორის უარყოფითი ეფექტიც, როგორცაა თითქმის მთელი წლის განმავლობაში მეტად არახელსაყრელი კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები. სპეციალისტებისა და ექსპერტების მიახლოებითი გაანგარიშებით სტიქიის მიერ 1998 წელს სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკისათვის მიყენებულმა პირდაპირმა ზარალმა დაახლოებით 200 მლნ. ლარი შეადგინა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ფაქტორებით გამოწვეული არაპირდაპირი ზარალიც.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაქვეითებაზე და საბიუჯეტო-სავალუტო კრიზისის საბოლოო ჩამოყალიბებაზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ განსაკუთრებით მტკივნეულად იმოქმედა მსოფლიოში მიმდინარე ფინანსურმა კრიზისმა, პირველ რიგში კი რუსეთში განვითარებულმა კრიზისულმა პროცესებმა, ვინაიდან, მიუხედავად ბოლო პერიოდში რუსეთთან კავშირურთიერთობის რამდენადმე შესუსტებისა, ის ჯერჯერობით მაინც საქართველოს უმთავრეს ეკონომიკურ პარტნიორად რჩება.

რუსეთში კრიზისული მოვლენების გამწვავების პირდაპირი ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე გამოიხატა როგორც იმპორტის ზრდაში, ასევე ექსპორტის მნიშვნელოვნად შემცირებაში.

მაგალითად, თუ 1998 წლის იანვარ-ივლისში რუსეთიდან ლეგალური იმპორტის საშუალოთვიური მოცულობა 9,4 მლნ. აშშ დოლარს (57,434 მლნ. რუსულ რუბლს¹¹⁴)

¹¹⁴ რუსული რუბლის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში აღებულია რუსეთის ცენტრალური ბანკის ოფიციალური საიტიდან: www.cbr.ru; 1998 წლის პირველ ნახევარში იგი შეადგენდა 6,11 რუბლს ერთ დოლარში, აგვისტოს მეორე ნახევრიდან იგი შეადგენდა 16,06 რუბლს ერთ დოლარში, ხოლო სექტემბრიდან დაახლოებით 20,65 რუბლს ერთ დოლარში.

შეადგენდა, აგვისტო-ოქტომბრის თვეებში დოლარებში იგი თითქმის 11 პროცენტით გაიზარდა და 10,4 მლნ. აშშ დოლარს (167 მლნ რუსულ რუბლს) მიაღწია და რუბლებში თითქმის სამჯერ გაიზარდა. უფრო მეტიც, ოქტომბრის თვეში იმპორტმა რუსეთიდან უკვე 14,2 მლნ. აშშ დოლარი (284,8 მლნ. რუსულ რუბლი) შეადგინა. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ რუსეთი, იმ პერიოდში რუბლის მაღალი ტემპებით დევალვაციიდან გამომდინარე, საქართველოში ძირითადად იაფ იმპორტს ეწეოდა და ნატურალურ გამოსახულებაში ოფიციალური იმპორტი თითქმის 5-ჯერ გაიზარდა, ამას ემატებოდა იაფი პროდუქციის კონტრაბანდის მკვეთრი ზრდა ჯერ კიდევ მოუწესრიგებელ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, რამაც ადგილობრივ მეწარმეს შეუქმნა გასაღების ბაზრის პრობლემა და აიძულა იგი შეემცირებინა წარმოება.

ანალოგიური უარყოფითი ეფექტის მატარებელია, რუსეთში საქართველოდან პროდუქციის ექსპორტის შემცირების ტენდენციის ჩამოყალიბებაც. კერძოდ, თუ 1998 წლის იანვარ-ივლისში რუსეთში ექსპორტის საშუალოთვიური მოცულობა 5,4 მლნ. აშშ დოლარი (7 მლნ. ლარი¹¹⁵) იყო, შემდგომ სამ თვეში იგი 3,3 მლნ. აშშ დოლარამდე (დაახლოებით 5 მლნ. ლარი), ხოლო ოქტომბრის თვეში კი _ 1,2 მლნ. აშშ დოლარამდე (დაახლოებით 2 მლნ. ლარი) შემცირდა.

ცხადია ასეთ შემთხვევაში და მით უმეტეს, ალტერნატიული ბაზრის არარსებობის პირობებში პოტენციური ექსპორტიორი იძულებული გახდა შესაბამისად შეემცირებინა რუსეთის ბაზარზე გასატანად გათვალისწინებული პროდუქციის წარმოება.

მაგალითად, 1998 წლის დეკემბერში 1997 წლის დეკემბერთან შედარებით მინერალური წყლების ჩამოსხმა შემცირდა 10-ჯერ და მეტადაც, ყურძნის ღვინოებისა - 7-ჯერ, ბრენდისა - 5,8-ჯერ, ცქრიალა ღვინოებისა _ 6-ჯერ და ა.შ.

რუსეთიდან იმპორტის ზრდისა და რუსეთში ექსპორტის შემცირების ტენდენციამ, აგრეთვე, რუსული რუბლის გაუფასურების გამო, რუსეთში მომუშავე საქართველოს რეზიდენტების ფულადი ტრანსფერტების საქართველოში რეპატრიაციის შესაძლებლობების მაქსიმალურმა შეზღუდვამ (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით აღნიშნული ტრანსფერტები თვეში 10-12 მლნ. ლარის ფარგლებში

¹¹⁵ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ აღებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ საიტზე www.nbg.gov.ge; 1998 წლის აგვისტომდე კურსი შეადგენდა დაახლოებით 1,34 ლარს ერთ აშშ დოლარში, სექტემბერში 1,36 ლარს, ოქტომბერში 1,404 ლარს, ნოემბერში 1,53 ლარს, ხოლო დეკემბერში 1,8 ლარს ერთ აშშ დოლარში.

იყო და ამ მხრივ დანაკარგი მთლიანობაში 1998 წელს 50-60 მლნ. ლარს შეადგენს) ქვეყნის სავალუტო ბაზარზე მნიშვნელოვნად შეამცირა აშშ დოლარის მიწოდება, რამაც შესაბამისი ბიძგი მისცა ლარის დევალვაციის პროცესის დაწყებას, და საბოლოო ჯამში სავალუტო კრიზისის ჩამოყალიბებას.

მიუხედავად აღნიშნულისა, მთლიანობაში 1996-1998 წლებში ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი მაკროეკონომიკური შედეგები პროგრესულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ამ წლებში ოფიციალური მონაცემებით ქვეყანაში წარმოებული GDP-ს მოცულობა გაიზარდა 27,4 პროცენტით, რაც საშუალოდ წელიწადში 8,4 პროცენტს შეადგენს და ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია დსთ-ს სივრცეში. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ამისა 1998 წლის GDP-ში გამოხატული ქვეყანაში შექმნილი დოვლათი 1988 წლის შესაბამისი მაჩვენებლის მხოლოდ მესამედს შეადგენდა და ამ უკანასკნელის მიხედვით საქართველო დსთ-ს ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზე იყო. ეს კი განპირობებულია ეკონომიკური კრიზისის პერიოდში (1989-1994 წლებში) ქვეყნის ეკონომიკის 4-ჯერ და მეტად დაქვეითებით, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული და ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების შემაფერხებელი სხვა პრობლემების მიუხედავად, დამაიმედებელია 1999 წლის დასაწყისიდან ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების განვითარების ტენდენციები, რაც 1998 წლის ბოლო კვარტალში საქართველოში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის, კერძოდ, საბიუჯეტო-სავალუტო კრიზისის შემდგომი გამწვავების წინააღმდეგ შემუშავებული ღონისძიებათა კომპლექსის თანმიმდევრული რეალიზაციის შედეგად უნდა ჩაითვალოს.

მიუხედავად ასეთი მძიმე პროცესებისა, ინფლაცია 1998 წლის განმავლობაში მხოლოდ 10,7%-ს შეადგენდა, რაც არც თუ ცუდი მაჩვენებელია.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ თუ 1999 წლის იანვარ-თებერვალში მოვლენები წინა თვეების ანალოგიით განვითარდა, მარტიდან პოზიტიურად ჩამოყალიბდა ისეთი უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა, როგორცაა ეროვნული ვალუტის კურსი და სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ანუ ინფლაცია. კერძოდ, თუ თებერვლის თვეში საშუალოდ აღნიშნული კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,268 ლარის დონეზე დაფიქსირდა და მათ შორის 22

თებერვლის 2,451 ლარსაც მიაღწია, მარტის თვეში უკვე საშუალო კურსი 2,263 ლარამდე, ხოლო აპრილის თვეში _ 2,17 ლარამდე შემცირდა.

1999 წელს GDP-ის ზრდის ტემპი პრაქტიკულად არ შეცვლილა, და რეალური GDP 3%-ით გაიზარდა. ინფლაცია 10,9 პროცენტს შეადგენდა. სამწუხაროდ ვერ მოხერხდა საფინანსო საბიუჯეტო კრიზისის დაძლევა.

2000 წელს ეკონომიკის ზრდის ტემპები კიდევ უფრო შემცირდა, და რეალური GDP მხოლოდ 1,9%-ით გაიზარდა, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 104,6 პროცენტი შეადგინა (სებ, 2000. გვ. 5).

შედარებით უკეთესია 2001 წლის ეკონომიკური მაჩვენებლები. მიუხედავად უმძიმესი ენერგეტიკული კრიზისისა, რომელიც პრაქტიკულად მთელი ზამთრის განმავლობაში გრძელდებოდა, ეკონომიკურმა ზრდამ 4,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო ინფლაცია 3,4 პროცენტი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მაის-ივლისსა და სექტემბერში აღინიშნა დეფლაცია (0,4-1%-ის ფარგლებში), ხოლო დანარჩენი თვეების განმავლობაში ინფლაცია 0,3-1,4 პროცენტის ინტერვალში იყო (სსსდ, 2002, გვ. 35-36).

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზიც. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ რეალურად საქართველოში მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება მხოლოდ 1995 წლიდან იწყება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს ჩვენ მხოლოდ ამ დროიდან განვიხილავთ, რათა შედარებით ზუსტი წარმოდგენა მოგვეცეს მაკროეკონომიკური პოლიტიკის როლზე ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

ამ ჭრილში საინტერესოა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზი¹¹⁶.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ არც-ერთი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი არ შესრულებულა და ყველა მათგანმა წლის განმავლობაში რამდენჯერმე განიცადა ე.წ. “სეკვესტრი”¹¹⁷, ამდენად ჩვენ საუბარი გვექნება არა დაგეგმილ, არამედ ფაქტობრივად შესრულებულ პარამეტრებზე.

¹¹⁶ სახელმწიფო ბიუჯეტის ანალიზისას გამოყენებული იქნება (სებ, 2002)

¹¹⁷ “საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად სეკვესტრი არის წლის განმავლობაში ხარჯების პროპორციული შემცირება. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში არასოდეს არ განხორციელებულა სეკვესტრი და პრაქტიკულად ყოველთვის ხდებოდა ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილის შემცირება, ანუ პრაქტიკულად ახალი ბიუჯეტის მიღება.

1995 წელს ბიუჯეტის¹¹⁸ შემოსავლებმა 271,3 მლნ ლარი შეადგინეს, მ.შ. საგადასახადო შემოსავლები მხოლოდ 48,7% იყო, ხარჯებმა 469,4 მლნ. ლარი შეადგინეს. ბიუჯეტის დეფიციტის 52,7% საგარეო წყაროებიდან იფარებოდა.

სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკის და ხელისუფლების კოორდინირებული ქმედებების შედეგად უკვე 1996 წელს ბიუჯეტის შემოსავლებმა 527,7 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებელს 1,9-ჯერ აღემატებოდა. გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების წილიც და მოცულობაც. თუ 1995 წელს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებული იყო 132 მლნ. ლარი, რაც მთელი შემოსავლების 48,7%-ს შეადგენდა, 1996 წელს საგადასახადო შემოსავლების სახით 306,6 მლნ. ლარი შემოვიდა, რაც მთელი შემოსავლების 58,1%-ს შეადგენდა. შედარებით ნაკლები ტემპებით გაიზარდა ხარჯების მოცულობა და მან 783 მლნ. ლარი შეადგინა. დეფიციტი GDP-ის 6,6%-ის დონეზე დაფიქსირდა და მისი მხოლოდ 21% მოდიოდა საგარეო დაფინანსების წყაროებზე.

ბიუჯეტში შემოსავლების თვალსაზრისით საუკეთესო წელი იყო 1997 წელი, როდესაც საშემოსავლო ნაწილმა 738,6 მლნ. ლარს მიაღწია, საიდანაც საგადასახადო შემოსავლებმა 65,6%, ანუ 484 მლნ. ლარი შეადგინა. შემცირდა დეფიციტის ოდენობაც, და მან GDP-ის 6% შეადგინა, საიდანაც უკვე 58% საგარეო დაფინანსების წყაროებიდან იფარებოდა.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი 1998-99 წლებზე. ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ამ წლებში დაიწყო საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისი, რომელიც დღემდე გრძელდება.

უკვე 1998 წელს ბიუჯეტში იკლო შემოსავლების ოდენობამ და მან 621,9 მლნ. ლარი, ხოლო 1999 წელს 650 მლნ. ლარი შეადგინა. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1998 წლის ბოლოს მკვეთრად დაეცა ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში, ამდენად ეს ციფრები რეალურად კიდევ უფრო მცირე იყო. სამწუხაროდ კიდევ უფრო მცირე იყო შემოსავლები 2000 წელს (639 მლნ. ლარი), ანალოგიური სიტუაციაა 2001 წლის 9 თვეში (487 მლნ. ლარი, თუ ამ ტემპებით გაგრძელდება წლის ბოლოსათვის საგადასახადო შემოსავლები მხოლოდ 650 მლნ. ლარი იქნება, ნაცვლად დაგეგმილი 720 მლნ. ლარისა), შესაბამისად შემცირდა ხარჯებიც და დეფიციტის ოდენობაც. თუ

¹¹⁸ თუ სხვა რამ მითითებული არ იქნება, იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტი.

დეფიციტი 1998 წელს შეადგენდა 3,7%-ს, 1999 წელს 4,5%-ს, 2000 წელს იგი 3,4%-ის დონეზე დაფიქსირდა. აღნიშნული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გამო საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა საქართველოში შეაჩერეს თავისი პროგრამები. რაც დეფიციტის დაფინანსებაში მათი წილის შემცირებაშიც გამოიხატება. თუ 1998 წელს დეფიციტის 41,2% უცხოური წყაროებიდან იფარებოდა, 1999 წელს იგივე მაჩვენებელი 56,9%, 2000 წელს მხოლოდ 19,4%, ხოლო 2001 წელს 17,8% იყო (სსსდ, 2002).

საქართველოში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესების ანალიზისათვის მეტად მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის ანალიზი. 1995 წლიდან განუხრელად იზრდება ექსპორტის მოცულობა. თუ 1995 წელს საქართველოდან განხორციელდა 151 მლნ. დოლარის ექსპორტი, 2000 წელს მისი მოცულობა 2,2-ჯერ გაიზარდა და 329,9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2001 წელს ექსპორტის მოცულობა შემცირდა და 320 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სამწუხაროდ, ექსპორტის მოცულობაში დიდია ნედლეულისა და ჯართის ოდენობა. თუ არ ჩავთვლით 2001 წელს, როდესაც სასაქონლო ჯგუფებიდან ექსპორტში პირველ პოზიციაზე გადაინაცვლა საფრენმა აპარატებმა, გასულ წელს საქართველოდან 35,7 მლნ. აშშ დოლარის საფრენი აპარატების ექსპორტი დაფიქსირდა, რაც მთელი ექსპორტის 11,2 პროცენტია. 2001 წელს თითქმის 7 მლნ. დოლარით შემცირდა ჯართის ექსპორტის მოცულობა, თუმცა განხორციელდა 32 მლნ. აშშ დოლარის ჯართის ექსპორტი, გაიზარდა ღვინის ექსპორტი, თითქმის 10 მლნ. აშშ დოლარით შემცირდა კაკლისა და თხილის ექსპორტი.

ეს ციფრები სრულად ვერ ასახავს ეროვნული ეკონომიკის პოტენციალის ამოქმედების დონეს. სამწუხაროდ, შესაძლებელია ექსპორტის მოცულობა ხელოვნურად იყოს გაზრდილი, რაც ჩვენი აზრით გამოწვეულია საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით, სუსტი საბაჟო ადმინისტრაციით, დაუცველი საზღვრებით და კორუფციით. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით, რომელიც ექსპორტის სტიმულირებისაკენაა მოწოდებული, ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ექსპორტი დამატებული ღირებულების გადასახადის და აქციზის ნულოვანი განაკვეთებით იბეგრება, ანუ პროდუქციის საქართველოს ტერიტორიის დატოვებისთანავე მწარმოებლებს უკან უბრუნდებათ აღნიშნული პროდუქციის წარმოების პროცესში გადახდილი დღგ და აქციზი. გადახდილი გადასახადების უკან დაბრუნების ცდუნება

და შემდეგ დაუბეგრავი პროდუქციის ბაზარზე რეალიზაციით მისაღები ზემოდაღი მოგების მიღების ცდუნება იმდენად დიდია, რომ მწარმოებელი კორუფციულ გარიგებაში შედის საბაჟო სამსახურის წარმომადგენლებთან, რომელიც ფიქტიურად ადასტურებს საქონლის საქართველოს ფარგლების დატოვების ფაქტს.

საწინააღმდეგო ფაქტორები მოქმედებს იმპორტის დროს. კერძოდ საბაჟოზე გადასახდელი გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით ხდება იმპორტირებული საქონლის ღირებულების შემცირება, ან მისი საბაჟოს გვერდის ავლით შემოტანა. ამდენად, ჩვენი აზრით ოფიციალური ინფორმაცია ექსპორტისა და იმპორტის მოცულობების შესახებ ოდნავი მიახლოებითაც ვერ ასახავს მათ რეალურ მოცულობებს. რასაც ადასტურებს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტისა და საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის აბსოლუტურად განსხვავებული ინფორმაციები საქართველოდან გასული და შემოსული სატრანსპორტო საშუალებების და ტვირთების ოდენობების შესახებ.

ჩვენი გათვლებით, საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული სახის პროდუქციის (მათ შორის ნავთობპროდუქტების, თამბაქოს და ა.შ.) რეალური იმპორტი ოფიციალურად დაფიქსირებულს 3-4 ჯერ აღემატება.

ამდენად, ჩვენი აზრით საუბარი საქართველოს რეალურ საგადამხდელო ბალანსზე საფუძველს მოკლებულია და ექსპორტისა და იმპორტის რეალურად დაფიქსირების პირობებში საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი გაცილებით დიდი უნდა იყოს.

დიდია საქართველოს საგარეო ვალი. თუ 1995 წელს იგი 1,14 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენდა, რაც 1995 წელს განხორციელებული ოფიციალური ექსპორტის 287,42%-ს შეადგენდა. 2000 წელს საგარეო ვალმა 1,56 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც GDP-ის 51,61% და ექსპორტის 233,83%-ის ტოლია. დღეისათვის საგარეო ვალი 1,6 მლრდ. დოლარია, რაც GDP-ის 43,3%-ს უდრის (სებ, 2000; სებ, 2002; სსსდ, 2002). საგარეო ვალში დიდია თურქმენეთიდან მიღებული გაზის დავალიანებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ვალების წილი.

2001 წლის დასაწყისში საქართველომ უარი განაცხადა ყოფილი სსრკ-ს აქტივებსა და პასივებზე, რითაც პრაქტიკულად შესაძლებელი გახდა დაწყებულიყო მოლა-

პარაკებები კრედიტორი ქვეყნების პარიზის კლუბთან ვალების რესტრუქტურის შესახებ.

ქვეყანაში კვლავ მძიმეა სოციალური ფონი. ნომინალური საშუალო ხელფასი 13 ლარიდან (1995 წელს) 90,1 ლარამდე (2001 წელს) გაიზარდა, რაც საარსებო მინიმუმის (2001 წლისათვის 103,5 ლარი) მხოლოდ 87%-ია. რაც იმის კონსტატირების საშუალებას გვაძლევს, რომ მოსახლეობა ან დანაზოგებით ცხოვრობს, ან დიდია ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი.

როგორც ჩანს, “ქართული სასწაულის” ძირითადი მიზეზი მაინც ჩრდილოვანი ეკონომიკაა, რომლის წილი სხვადასხვა გათვლებით GDP-ის 45-65%-ის ფარგლებში მერყეობს, თუმცა არის უფრო პესიმისტური ცნობებიც.

ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობის ოფიციალურად გამოცხადებული ფულადი შემოსავლები დაახლოებით მათ მიერ გაწეული ხარჯების მხოლოდ 70%-ს შეადგენს (სებ, 2002, გვ. 5). რაც თვალნათლივ ადასტურებს საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდ მასშტაბებს.

მიუხედავად არსებული სიძნელებისა და სხვადასხვა სახის აშკარად არარეფორმატორული გადაწყვეტილებებისა, შეიძლება ითქვას, რომ 1994-2001 წლებში საქართველოში განხორციელებულმა მიზანმიმართულმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ ქვეყანაში მიმდინარე სხვა დადებით ეკონომიკურ და პოლიტიკურ ტენდენციებთან ერთად მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი სტაბილური ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას, რაც გამოიხატა ინფლაციის ტემპების შემცირებით, სტაბილური სავალუტო კურსის შენარჩუნებითა და ეკონომიკური ზრდის განუხრელი პროცესით.

3.3. საქართველოში ახალი ეკონომიკური აზროვნების დამკვიდრების ხელისშემშლელი ფაქტორები და მათი დაძლევის გზები

უკვე ათ წელზე მეტია საქართველო პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში ცხოვრობს. ამ ხნის განმავლობაში მიუხედავად იმისა, რომ იყო როგორც წარმატებები, ისე წარუმატებლობა, ქვეყანა ნელი ნაბიჯებით მაინც იმკვიდრებს თავის ადგილს მსოფლიო თანამეგობრობაში.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ პრობლემად რჩება ქვეყნისათვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. არასაკმარისია ეკონომიკური ზრდის ტემპები, მაღალია უმუშევრობა, მიზეზულია სოციალური დაცვის მექანიზმები.

ამ ფონზე უმთავრესი პრობლემა, რომელიც ჩვენი აზრით ქვეყნის ეკონომიკური ზრდის და განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია, ისევ და ისევ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების სისუსტე და სახელმწიფოს მართვაში არსებული პრობლემებია.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმ ფაქტორებზე, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე. ჩვენი აზრით საინტერესო უნდა იყოს ამ ფაქტორების ანალიზი საქართველოში მიმდინარე პროცესების ფონზე.

სახელმწიფოს მიერ მისაღებ ეკონომიკური გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებაზე მოქმედებენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა (Соколинский, 1999, с. 75):

1. სახელმწიფოს ისტორიული განვითარების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოტენციალი;
2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არჩეული მოდელის ხასიათი;
3. საზოგადოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების დონე და ინსტიტუციონალური სტრუქტურა;
4. სახელმწიფოს მიერ დაგროვილი გამოცდილება;
5. ერის მენტალიტეტი;
6. ლიდერის ინსტიტუტი.

ჩვენ შევეცდებით თითოეული ამ ფაქტორის მეშვეობით გავაანალიზოთ საქართველოში ეკონომიკის შემდგომი განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები.

კერძოდ, პირველი და მეოთხე ფაქტორები (*სახელმწიფოს ისტორიული განვითარების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური პოტენციალი და სახელმწიფოს მიერ დაგროვილი გამოცდილება*) პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დაწყებისას, საქართველოს პრაქტიკულად არ გააჩნდა.

შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლად ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს არ მიუღია არასოდეს (თუ არ ჩავთვლით 1918-1920 წლებში, სულ რაღაც 32 თვის განმავლობაში მეტნაკლებად დამოუკიდებლად მიღებულ გადაწყვეტილებებს). უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა რუსეთის იმპერიის დედაქალაქიდან იმართებოდა, როგორც რუსეთის იმპერიის გუბერნიის და შემდეგ კი მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საქართველოში მზადდებოდა კადრები, რომლებიც უშუალოდ ადგილზე მართავდნენ რესპუბლიკის "სახალხო მეურნეობას", მაინც ამ მართვას არაფერი საერთო არ ჰქონდა დამოუკიდებელი ქვეყნის მართვასთან და მისი ეროვნული ეკონომიკის რეგულირებასთან.

ამდენად ზემოთდასახელებული 6 ფაქტორიდან ორი, ან არ არსებობდა საერთოდ, ან თუ არსებობდა – ძირითადად იყო ის გამოცდილება, რომელიც პრინციპში ამუხრუჭებდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ამ მხრივ საკმაოდ დიდი გამოცდილება დაგროვდა. განსაკუთრებით სახელმწიფოს მართვის თვალსაზრისით, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის შემდგომ სრულყოფას.

შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც პრინციპში, ერთ-ერთ განმსაზღვრელ როლს თამაშობს ეკონომიკური პროცესების სწორად წარმართვაში არის *სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არჩეული მოდელი და მისი ხასიათი*.

აქ გასათვალისწინებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არ წყდება კამათი იმის შესახებ, თუ განვითარების როგორი გზა უნდა აირჩიოს საქართველომ, დღიდან მისი დამოუკიდებლობის აღდგენიდან საქართველოს ხელისუფლებამ ყველა დეკლარაციაში ცალსახად დააფიქსირა, რომ ქვეყანა ადგას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა პრინციპებს და აშენებს სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოს (იხ. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის

პრემიუმულა). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მიერ არჩეული განვითარების მოდელი და მისი ხასიათი ცნობილია და იგი არ ეწინააღმდეგება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ზოგად პრინციპებს, რომლებიც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრიმატს აღიარებენ. ამასთან ქვეყანა თავის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს სოციალურ ფაქტორს.

სამწუხაროდ იმის კონსტატაცია გვიხდება, რომ სოციალური ფონი ქვეყანაში უკიდურესად დაძაბულია. საბიუჯეტო კრიზისი, რომელიც 1998 წლის მაისის შემდეგ ჩამოყალიბდა ყველაზე მეტად სოციალურ სფეროს შეეხო, გაუცემელი ხელფასები და პენსიები ბიუჯეტს დღესაც უდიდეს ტვირთად აწევს. ამას ემატება უმუშევრობა, რეალური ხელფასის მიზერული დონე, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულების პრობლემა და მარტივი წარმოსადგენი უნდა იყოს რეფორმების შემდგომი გაგრძელებისათვის როგორი დაძაბული ფონია.

სწორედ ამიტომ ამ ფაქტორს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში. თუ შედარებით მოკლე ვადებში სახელმწიფომ ვერ მოახერხა ზემოთჩამოთვლილი პრობლემებიდან ერთ-ერთის მაინც რეალურად მოგვარება, სოციალური აფეთქების შიში რეფორმების შემდგომ გაგრძელებას საკმაოდ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

პირველი და მეოთხე ფაქტორიდან გამომდინარე საკმაოდ ცუდადაა განვითარებული ისეთი ფაქტორი, როგორცაა *საზოგადოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური დონე და ინსტიტუციონალური სტრუქტურა*.

განსაკუთრებით შევჩერდებით ინსტიტუციონალურ სტრუქტურაზე. ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ქვეყნის განვითარება დიდადაა დამოკიდებული იმ ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებზე, რომლებიც ისტორიულად ყალიბდება (პაპავა, ხადური, 1998; Паპავა, Кхადური, 1997; Папава, Хадური, 2000). ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, რომ ფორმალურმა ინსტიტუტებმა რაც შეიძლება სრულად მოიცვან არაფორმალური ურთიერთობები. ცხადია შეუძლებელია ყველა არაფორმალური ურთიერთობის ფორმალიზება, მაგრამ ვფიქრობთ პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს ისეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებიც მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ისტორიულ გამოცდილებას, ადათს, წეს-ჩვეულებებს.

სამწუხაროდ საქართველოში ყოველთვის ვერ ხერხდება ასეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბება რომლებიც სრულად ითვალისწინებენ ამ მოთხოვნებს. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს გაკოტრების ინსტიტუტი, რომელიც მთელს ცივილიზებულ სამყაროში მოქმედებს და ცხადია უნდა მოქმედებდეს საქართველოშიც. შესაბამისად ამ ინსტიტუტის ჩამოსაყალიბებლად მიღებული იქნა კანონი, რომელმაც ეს ინსტიტუტი ფორმალურ ჩარჩოებში მოაქცია. სამწუხაროდ ეს კანონი და შესაბამისად მთელი ინსტიტუტი არ მოქმედებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კანონის მიღებით ჩვენ შევეცადეთ საქართველოში პირდაპირი კოპირების გზით დაგვეწერა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტიტუტი, ისე, რომ მისთვის არანაირი საფუძველი ქვეყანაში არ არსებობდა.

სხვა უამრავი მაგალითის მოყვანაც შეიძლება იმისა, თუ როგორ არ უნდა იქმნებოდეს ასეთი ტიპის ინსტიტუტები.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოსი ძალიან ძლიერია არაფორმალური ინსტიტუტები, რომლებიც დღესაც კი უდიდეს ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკური და არა მარტო ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე.

ეს არაფორმალური ინსტიტუტები (მაგალითად ე.წ. "კრიშის" ინსტიტუტი) ჩამოყალიბდნენ როგორც ისტორიულად, ერის ევოლუციური განვითარების კვალობაზე, ასევე როგორც პროტესტის გარკვეული ფორმა საბჭოურ სისტემაში.

სამწუხაროდ აღნიშნული ინსტიტუტები დღესაც აგრძელებენ მუშაობას და არანაკლები ძალა აქვთ, ვიდრე ფორმალურ ინსტიტუტებს, თუ მეტი არა.

ჩვენი აზრით სწორედ ასეთი ინსტიტუტების სიძლიერის გამოხატულებაა კორუფციის ის მასშტაბები, რომლებიც საქართველოშია. კერძოდ, კორუფცია და კორუფციული გარიგებები ხშირად კანონის მოვალეობებს ასრულებს და სრულიად უკანონო გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი ხდება. ამდენად, როცა საუბარი შეეხება კორუფციის მასშტაბების შემცირებას, ჩვენი აზრით ხელისუფლება უნდა ისწრაფოდეს ქმედითი ინსტიტუტების შექმნისა და სრული ამოქმედებისაკენ. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კორუფციის შეზღუდვის ეკონომიკური მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება (პაპავა, 2001ბ).

ცხადია ასეთ ინსტიტუტებს არ მიეკუთვნება ხელოვნურად შექმნილი ის ორგანიზაციები, რომლებიც კიდევ ერთ, დამატებით ზემაკონტროლებელ ორგანოს წარმოადგენენ.

სამწუხაროდ, არც სურვილი ჩანს დღევანდელ საქართველოში, რომ ისეთი ინსტიტუციონალური სტრუქტურა ჩამოყალიბდეს, რომელიც ქმედით როლს შეასრულებს ეკონომიკის განვითარებაში.

ერთ-ერთ ასეთ მაგალითს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევა წარმოადგენს. საზოგადოდ მიღებულია, რომ სახელმწიფოში არსებობს სამი ტიპის ხელისუფლება, ან ხელისუფლების სამი შტო, რომელიც კლასიკურად ურთიერთ-დამოუკიდებლად არსებობს. ესაა საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც ადგენს ქვეყანაში "თამაშის წესებს", აღმასრულებელი ქვეყანა, რომელიც ამ წესების მიხედვით მოქმედებს და სასამართლო, რომელიც ამ წესების დარღვევებს აღკვეთს.

სახელმწიფოთა უმრავლესობაში ამ სამი შტოდან, როგორც წესი საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლებიდან, ამოირჩევა ერთ-ერთი, რომელსაც უფრო მეტი ძალა აქვს ვიდრე ორ, სხვა დანარჩენს (მაგალითად აშშ პრეზიდენტი, რუსეთის პრეზიდენტი, გერმანიის კანცლერი და ა.შ.), მაგრამ ძნელია მოიძებნოს ისეთი სახელმწიფო სადაც ერთი ხელისუფლება და თანაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი – აღმასრულებელი, მთავრობის სახით იმდენად იყოს დაკნინებული, რომ პრაქტიკულად არ არსებობდეს, როგორც ასეთი და მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის, ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წარმოადგენდეს. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს კონსულტაციები მინისტრთა კაბინეტის შემოღების მიზნით, მისი აღდგენა უახლოეს პერსპექტივაში (ალბათ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე) ნაკლებად სავარაუდოა.

ცხადია ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ მიმდინარეობს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბება. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი გაკეთდა იმისათვის, რომ ქვეყნის ინსტიტუციონალური მოწყობა უკეთესობისაკენ შეცვლილიყო. შეიქმნა მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, რომლებიც მანამდე საქართველოში არ არსებობდნენ, ან თუ არსებობდნენ ფიქტიურ, ფორმალურ ხასიათს ატარებდნენ. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩამოყალიბდა ისეთი უმთავრესი ინსტიტუტები, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ ქვეყნის

ეკონომიკური და არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას.

სამწუხაროდ, ყველაზე დიდი დეფიციტი, რომელიც ამ პირობებში საქართველოში შეიმჩნევა, არის კადრები. კადრები, რომელთა ნება-სურვილზეც ხშირად დამოკიდებულია უფრო მეტი, ვიდრე ინსტიტუტებზე, რაც ისევ და ისევ ქვეყნის ინსტიტუციონალურ მოუწყობლობაზე მეტყველებს.

იქამდე ვიდრე გადაწყვეტილების მიღების დროს არ გამოირიცხება სუბიექტური ფაქტორები, მნელია კორუფციასთან ბრძოლა.

ერის მენტალიტეტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ ისტორიული და სხვა მიზეზების გამო ქართველები უფრო სამხრეთევროპელებს ვგავართ, რომელთათვისაც კანონისადმი დაუმორჩილებლობა, დროისადმი ირაციონალური დამოკიდებულება არც თუ ისე უცხო რამაა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისევე როგორც ყველა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოში და საზოგადოებაში საქართველოშიც პირადი ინტერესი, როგორც ერის მენტალიტეტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი საზოგადოებრივ (ანუ პარტიულ-ბიუროკრატიულ) ინტერესს იყო დაქვემდებარებული და პირადი ინტერესის ნებისმიერი გამოვლენა სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა. როგორც ზემოთ გვქონდა საუბარი, ჩამოყალიბდა ადამიანის ტიპი "ჰომო სოვეტიკუს"-ი (Бузгалин, 1994, сс. 250-253). იგი დათრგუნულია სახელმწიფოს მხრიდან და მოწყალების თვალით შესცქეროდა სახელმწიფოსა და ჩინოვნიკებს და მთლიანად მათზეა დამოკიდებული (პაპავა, 1999ბ, გვ. 18).

ამას ემატება ისტორიულად ჩამოყალიბებული ის თვისებები, რომლებიც სხვა პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში (მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიაში, ბალტიისპირეთში, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებში) ნაკლებად გვხვდება (თუნდაც კანონისადმი გარკვეული დაუმორჩილებლობა, დროის მიმართ ირაციონალურობა და სხვ.) და ცხადი ხდება, როგორი სირთულეების წინაშე დგება საზოგადოება პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, როდესაც "ჰომო სოვეტიკუს"-ი "ჰომო ეკონომიკუს"-მა უნდა შეცვალოს. საქართველოში ამ პროცესის დაჩქარების გარეშე შეუძლებელია სრულფასოვან პოსტკომუნისტურ ტრანსფორმაციაზე

საუბარი. არადა ის მძიმე სოციალური ფონი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი ამუხრუჭებს ამ გარდაქმნის ტემპებს.

ჩვენ დაწვრილებით არ შევჩერდებით *ლიდერის ინსტიტუტზე*, რადგან პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის უმთავრესი დანიშნულება, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ინსტიტუტის დასუსტება და ისეთი ინსტიტუციონალური მოწყობაა რომელიც სახელმწიფოს შემდგომ განვითარებას ნაკლებად დამოკიდებულს გახდის ლიდერზე.

ფრიად საინტერესო უნდა იყოს საქართველოში მიმდინარე პროცესების ანალიზი "საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის" შესაბამისად.

აღნიშნული თეორიის შესაბამისად ადამიანები პოლიტიკურ სარბიელზე მოქმედებენ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და არ არსებობს რაიმე გადაულახავი საზღვარი პოლიტიკასა და ბიზნესს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარე პროცესების ალბათ ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ანალიზი სწორედ ამ თვალსაზრისით შეიძლება გაკეთდეს. პოლიტიკოსები ყველგან და მათ შორის საქართველოშიც ცდილობენ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც მათ მეტ პოლიტიკურ კაპიტალს – ხმებს მოუტანს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით არჩევნების წინ შეიმჩნევა. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში პრაქტიკულად ყოველწლიურად ტარდება ამა-თუ იმ მასშტაბის არჩევნები და ჩვენც ყოველწლიურად გვაქვს საშუალება თვალი ვადევნოთ პოლიტიკურ კონკურენციას, როგორც ადამიანთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ზემოქმედებას.

არჩევნები ეს არის ბაზარზე ხმების დაპირებებზე გაცვლის პროცესი¹¹⁹. მაგრამ ცივილიზებული დასავლური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სადაც მომდევნო არჩევნების წინ მხოლოდ დაპირებებს, თუ მათ რეალური საფუძველი არ გააჩნიათ, არანაირი პოლიტიკური კაპიტალის მოტანა არ შეუძლია, საქართველოში ელექტორატი მხოლოდ დაპირებებს იღებს და გულუხვად იძლევა ხმებს "კრედიტში".

ალბათ მოსახლეობის მხრიდან ხმის მიცემის პროცესისადმი ასეთი დამოკიდებულება საბჭოური არჩევნების ფრიად სერიოზული ზეგავლენის დამსახურებაა და

¹¹⁹ ეს თეზა ალბათ ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან თეზებს შორის დასავლური ეკონომიკური აზროვნებიდან, რომელიც პირდაპირ მოქმედებს საქართველოში.

თავის მხრივ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების (მათ შორის კორუფციის) წამახალისებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

თავად გადაწყვეტილების მიღების პროცესი პრინციპულად განსხვავდება არჩევნებში მიცემული დაპირებებისაგან და ძირითადად გამოწვეულია პოლიტიკურ ძალთა შორის ხმების გაცვლით.

ხმის მიცემის პარადოქსი, რომელზეც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, საკმაოდ ხშირად ვლინდება საქართველოს პარლამენტში. ეს ძირითადად ეკონომიკური კანონების მიღების დროს ჩანს, როცა ცალკეული ჯგუფის ინტერესების გამო პარლამენტარები "თვალს ხუჭავენ" მისაღები კანონპროექტის მიღების ეკონომიკურ ეფექტზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული ლობიზმის ინსტიტუტი, ლობიზმის გამოვლენას ვხვდებით თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისას. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ თუნდაც საგადასახადო კოდექსის ორი: 101-ე და 273-ე მუხლების¹²⁰ ანალიზი და მათში შეტანილი ცვლილებების დინამიკა ამის ნათელი დადასტურებაა.

საკანონმდებლო ორგანოზე ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ფორმაა მიტინგები და ე.წ. "ქუჩის აქციები". მით უმეტეს, როცა აღნიშნული მიტინგების უფრო ეფექტიან, მაგრამ ტრაგიკულ ფორმებში გადაზრდის დიდი გამოცდილებაც გვაქვს.

სამწუხაროდ, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ასეთი საერთო სახალხო აქციები ძირითადად ეკონომიკურ საკითხებს შეეხება და მათ ხშირად პროფკავშირები ატარებენ, საქართველოში სულ სხვა სიტუაციაა და ასეთ გამოსვლებსაც (ყოველ შემთხვევაში ყველაზე რეზონანსულ გამოსვლებს) მხოლოდ პოლიტიკური ელფერი აქვთ.

საქართველოს პარლამენტში ხშირია ხმებით ვაჭრობის ისეთი ფორმაც, როგორცაა ლოგროლინგი. პარლამენტის წევრები ერთმანეთს უცვლიან ხმებს, იმისათვის, რომ მათთვის საჭირო კანონების მიღება შესაძლებელი გახდეს.

¹²⁰ აღნიშნული მუხლები ძირითადად საგადასახადო შეღავათებს შეეხება.

ქართულ საზოგადოებაში აზროვნების ძველი სტილის და "ჰომო ტრანსფორმატიცუს"-ის ერთ-ერთ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ მეტ-ნაკლებად წარმატებულ ბიზნესმენტა ხელისუფლებისაკენ სწრაფვა. რაც ჩვენი აზრით არა მხოლოდ ქვეყნის მომავალზე ზრუნვითაა ნაკარნახევი, არამედ საკუთარი ბიზნესის უკეთესად "დაკრიშვის" აუცილებლობით და პოლიტიკური რენტის მიღებით.

ხშირ შემთხვევაში კი მეწარმეთა პარლამენტში მოხვედრა იმუნიტეტის სურვილითაა განპირობებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ მათ ასეთი ოდენობით ფული მთლად პატიოსანი გზით არ უნდა ჰქონდეთ ნაშოვნი.

ცხადია, ეს მოსაზრება არ ეხება ყველა იმ მეწარმეს და ბიზნესმენს, რომელმაც თავის ახალ ასპარეზად პოლიტიკური ტრიბუნა აირჩია.

უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეთა მიერ პოლიტიკური თანამდებობების დაკავების პროცესი მთლად კანონშესაბამისად არ ხდება, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, იმ მოსაზრებას, რომ დასავლური ინსტიტუტების პირდაპირი კოპირების გზით დანერგვა არაფერ სიკეთეს არ მოგვიტანს.

მთელს მსოფლიოში მიღებულია, რომ თუ მეწარმე ხელისუფლებაში გადადის იგი წყვეტს სამეწარმეო საქმიანობას და მის მფლობელობაში არსებულ აქციებს სამართავად გადასცემს საფინანსო-სატრასტო კომპანიებს. საქართველოშიც დაახლოებით ანალოგიური კანონი მოქმედებს, იმ განსხვავებით, რომ ჩვენში არ არსებობს არც ფასიანი ქაღალდების ბაზარი, არც საფინანსო-სატრასტო კომპანიები და მეწარმეები პარლამენტში ან მთავრობაში მოხვედრის შემდეგ თავის კუთვნილ აქციებს სამართავად საკუთარ მეუღლეებს, სიდედრებს ან საუკეთესო შემთხვევაში ბიძაშვილებს გადასცემენ. ცხადია, რეალურად ისინი თავად აგრძელებენ კომპანიების მართვას და კანონმდებლის ან აღმასრულებლის სახელის გამოყენებით სასათბურე პირობებს უქმნიან საკუთარ ბიზნესს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის "ჰომო სოვეტიცუს"-ის "ჰომო ეკონომიცუს"-ად გარდაქმნას, ჩვენი აზრით არის ის ფაქტები, რომლებიც ზოგიერთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის ცხოვრების წესთან და დონესთანაა დაკავშირებული და რომლებიც მოსახლეობის ფართო ფენებში სახელმწიფოსადმი, როგორც სოციალური ინსტიტუტისადმი ნდობას ამცირებს.

ადამიანი რომელიც სახელმწიფოს ჯერ კიდევ უყურებს როგორც ყოვლისშემძლე ინსტიტუტს, რომელიც ვალდებულია იზრუნოს მის მოქალაქეებზე და ხედავს, როგორ ზრუნავენ კორუმპირებული ჩინოვნიკები საკუთარ თავზე, კიდევ ერთხელ რწმუნდებიან, რომ ამ ქვეყანაში თუ სახელმწიფოს მიმართ არ გექნება იგივე დამოკიდებულება, როგორც იყო თუნდაც 10-15 წლის წინ, ისე ვერ შესძლებ ელემენტარულად ღირსეულად იცხოვრო. ამიტომ ადამიანები ცდილობენ იმუშაონ სახელმწიფო სამსახურში და გაიკეთონ კარიერა, რაც შემდგომში მათი ღირსეული არსებობის გარანტი უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ შრომის ანაზღაურება არ იძლევა არათუ ღირსეული ცხოვრების, არამედ თუნდაც არსებობის საშუალებას.

ამდენად იმისათვის, რათა შედარებით მოკლე ხანებში შესაძლებელი გახდეს საქართველოში ეკონომიკური ზრდის შეუქცევადი პროცესების დაწყება, აუცილებელია, რათა სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენოს ისეთი უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესასრულებლად, როგორებიცაა: სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მოსახლეობის სოციალური დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტების, მათ შორის უპირველეს ყოვლისა ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ცივილიზებული ლობიზმის ინსტიტუტის შექმნა, ისეთი საგადასახადო სისტემის შექმნა, რომელიც წახალისებს გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდას, სახელმწიფო სამსახურის სისტემის ისეთნაირად მოწყობას, რომელიც უზრუნველყოფს, სახელმწიფო მოხელეთა ღირსეულად ცხოვრებასა და შრომას, ასევე კორუფციის მასშტაბების შემცირებას.